დანართი 6ა

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა

ტომი I – გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება

“საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის”

მომზადებულია GIZ-ისთვის
კლიმატის მწვანე ფონდში (GCF) წარსადგენად

"საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის"

ტომი I – გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება

ვერსია 2

კატერინ გარსია
დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტი

ნანა ბერძენიშვილთან -
დამოუკიდებელ სოციალურ სპეციალისტთან
თანამშრომლობით

ნანა ბერძენიშვილთან
(სოციოლოგიის დამოუკიდებელ სპეციალისტი) თანამშრომლობით

განახლება:
განახლდა 2021 წლის მაისში UNIQUE forestry and land use GmbH-ის მიერ, კომპონენტ 3-ის დეტალური დაგეგმვის და შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების ასასახად.

სარჩევი

რეზიუმე 10

1 შესავალი 20

1.1. მიმოხილვა 20

1.2. მიზნები 20

1.3. მეთოდოლოგია 20

2 პროექტის აღწერა 22

2.1. პროექტის მიზანი 22

3 პროექტის განხორციელების სტრუქტურა 23

3.1. ხელმძღვანელი კომიტეტის სტრუქტურა 24

3.2. პროექტის განმახორციელებელი განყოფილება 26

3.3. მონიტორინგისა და შეფასების დამოუკიდებელი კვლევები 26

4 სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო 27

4.1 საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო 27

4.1.1 პროექტისთვის მთავარი გარემოსდაცვითი კანონები 28

4.1.2 ტყის კოდექსი და სატყეო პოლიტიკა 34

4.1.3 ენერგეტიკული პოლიტიკა 37

4.1.4 სტრატეგიები და პროგრამები 43

4.1.5 საერთაშორისო და რეგიონული გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები 47

4.1.6 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება 50

4.1.7 მდგრადი განვითარების მიზნები 50

4.2 კლიმატის მწვანე ფონდის მოთხოვნები და სტანდარტები 58

4.2.1 კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) / საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) 58

4.2.2 GIZ-ის გარანტიები 64

4.3 ეროვნული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და IFC/GCF-ის შედარება 67

5 გარემოსდაცვითი და სოციალური ფონის აღწერა 71

5.1 საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები 71

5.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი 73

5.2.1 დასაქმება, სიღარიბე და უთანასწორობა საქართველოში 74

5.1.2 ეკონომიკა..... 79

5.3 გარემოსდაცვითი პროფილი 80

5.3.1 კლიმატი..... 80

5.3.2 წყლის რესურსები 83

5.3.3 ნიადაგები 83

5.3.4 ბიომრავალფეროვნება..... 84

5.3.5 დაცული ტერიტორიები..... 85

5.3.6 ჰაბიტატები..... 87

5.3.7 ტყეები..... 88

5.4 ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფონი სამიზნე რეგიონებში 89

5.5 კახეთის რეგიონი 90

5.5.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი..... 90

5.5.2 გარემოსდაცვითი პროფილი..... 95

5.6 გურიის რეგიონი..... 101

5.6.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი..... 101

5.6.2 გარემოსდაცვითი პროფილი..... 104

5.7 მცხეთა-მთიანეთის რეგიონი..... 109

5.7.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი 109

5.7.2 გარემოსდაცვითი პროფილი..... 112

5.8 ბარიერები და შესაძლებლობები სამ სამიზნე რეგიონში 117

6 პროექტის კატეგორია 120

7 გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები 123

7.1 პროექტის მოსალოდნელი დადებითი შედეგები 124

7.2 პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები 126

7.2.1 ზემოქმედების ფიზიკური წყარო 126

7.2.2 გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების და ზემოქმედებათა კლასიფიკაციის მიმოხილვა 127

7.2.3 ზემოქმედებათა ანალიზი 155

7.3 ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება 187

7.3.1 ტყის ეკოსისტემურ მომსახურებებზე ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ზომების შეჯამება 190

7.4 COVID-19-ის გავლენა 197

8 გამოყენებული წყაროები 199

ცხრილები

ცხრილი 3-1: ინსტიტუციური სტრუქტურა 23

ცხრილი 4-1: საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო 28

ცხრილი 4-2: სატყეო სექტორთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო 35

ცხრილი 4-3: ენერგეტიკასთან დაკავშირებული ძირითადი კანონმდებლობა საქართველოში 38

ცხრილი 4-4: სხვა კოდექსები, სამოქმედო გეგმები და ცენტრალური და რეგიონული სტრატეგიები 43

ცხრილი 4-5: მდგრადი განვითარების მიზნები და პროექტი (GIZ-ის მიერ ჩატარებული განხორციელებადობის კვლევა) 50

ცხრილი 4-6: IFC IFC-ის მდგრადობის პოლიტიკა 61

ცხრილი 4-7: GCF/IFC-ის და GIZ-ის სტანდარტების შედარება 64

ცხრილი 4-8: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და IFC/GCF-ის შედარება 67

ცხრილი 5-1: საქართველოს მოსახლეობა - ათასებში (საქსტატი, 2019 წ.) 73

ცხრილი 5-2: საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი რეგიონების მიხედვით - 2010-2017 წწ. (საქსტატი, 2019წ.) 74

ცხრილი 5-3:ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება რეგიონების მიხედვით - 2018 წ. (საქსტატი, 2019 წ.) 76

ცხრილი 5-4: პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა (საქსტატი, 2019 წ.) 78

ცხრილი 5-5: ტემპერატურისა და ნალექიანობის პროექციები (UNDP Georgia 2014; TNC; USAID 2017; 82

ცხრილი 5-6: საქართველოში სახეობრივად ყველაზე მრავალფეროვანი მცენარეთა ოჯახები (Fisher, Groger & Lobin 2018) 84

ცხრილი 5-7: ტყის ტიპები და სიმაღლე ზღვის დონიდან (Fisher, Groger, Lobin 2018) 89

ცხრილი 5-8: დასაქმების მაჩვენებელი კახეთში 91

ცხრილი 5-9: მოწყვლადი ოჯახების რიცხოვნობა კახეთში – 2019 (კახეთის რეგიონული ოფისი).... 92

ცხრილი 5-10: მოწყვლადი ოჯახები, დევნილები და ეკომიგრანტები – 2019 წ. (გურიის რეგიონული ოფისი) 103

ცხრილი 5-11: მცხეთა-მთიანეთი მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტები და მოსახლეობა 110

ცხრილი 5-12: დაუცველი ოჯახების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში (რეგიონული ოფისი) 112

ცხრილი 5-13: ბარიერები და შესაძლებლობები 3 სამიზნე რეგიონში..... 117

ცხრილი 7-1: GIZ-ის რისკების შეფასების მატრიცა (GIZ, 2018 წ.) 123

ცხრილი 7-2: გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების კლასიფიცირება..... 128

ცხრილი 7-3: ეკოსისტემური მომსახურების ოთხი კატეგორია (ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასება, 2005) 187

ცხრილი 7-4: ეკოსისტემური მომსახურებების საზოგადოებრივი გამოყენება..... 188

ცხრილი 7-5: ტყის ეკოსისტემურ მომსახურებაზე ზემოქმედება და შემარბილებელი ზომები # ეკოსისტემური მომსახურება ზემოქმედების დონე შერბილების ზომები 190

სურათები

სურათი 2-1: პროექტის მონახაზი 22

სურათი 1: ხელმძღვანელობის სტრუქტურა 25

სურათი 5-1: საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები 71

სურათი 5-2: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ავტონომიური რეგიონები)..... 73

სურათი 5-3: მოსახლეობის განაწილება საქართველოში – 2014 წ. (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018 წ.) 74

სურათი 5-4: საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა (დაცული ტერიტორიების სააგენტო). 86

სურათი 5-5: სამიზნე რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების რუკა..... 90

სურათი 5-6: კახეთის რეგიონის რუკა 91

სურათი 5-7: კახეთის ვენახები 94

სურათი 5-8: ტყით დაფარულობა კახეთში (კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013 წ.) 96

სურათი 5-9: მიწათსარგებლობა კახეთში, 1999 წ. 98

სურათი 5-10: მიწათსარგებლობა კახეთში, 2018 წ. 98

სურათი 5-11: 1999 Land Cover Map for კახეთი..... 100

სურათი 5-12: კახეთი კახეთის მიწის საფარის რუკა, 1999 წ..... 100

სურათი 5-13: გურიის რეგიონი 102

სურათი 5-14: ნაბეღლავის მინერალური წყალი გურიაში..... 103

სურათი 5-15: მიწათსარგებლობა გურიაში, 1998 წ. 105

სურათი 5-16: მიწათსარგებლობა გურიაში, 2018 წ. 105

სურათი 5-17: გურიის მიწის საფარის რუკა, 1998 წ. 106

სურათი 5-18: გურიის მიწის საფარის რუკა, 2018 წ. 107

სურათი 5-19: მცხეთა-მთიანეთი 109

სურათი 5-20: მიწათსარგებლობა მცხეთა-მთიანეთში, 1998 წ. 113

სურათი 5-21: მიწათსარგებლობა მცხეთა-მთიანეთში, 2018 წ. 114

სურათი 5-22: მცხეთა-მთიანეთი მცხეთა-მთიანეთის მიწის საფარის რუკა, 1998 წ. 115

სურათი 5-23: მცხეთა-მთიანეთის მიწის საფარის რუკა, 2018 წ. 116

სურათი 7-1: საქმიანი ეზოს პოტენციური განლაგება (აღებულია განხორციელებადობის კვლევიდან) 127

დანართები (იხილეთ ცალკე დოკუმენტად 6ა დანართები)

დანართი 1 გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი

დანართი 2 ამორიცხული აქტივობების ნუსხა

რეზიუმე

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა მომზადდა GIZ-ის და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტის "საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა ტყის დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიების შემცირებისთვის" კლიმატის მწვანე ფონდში (GCF) წარდგენის ხელშესაწყობად.

პროექტი მიზნად ისახავს ტყის დეგრადაციით გამოწვეული ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, ასევე ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის გამოყენების ხელშეწყობას, რათა შემცირდეს შეშის მოხმარება, რაც ტყეების დეგრადაციის მთავარი მიზეზია. პროექტი შედეგად მოიტანს სათბურის აირების ეროვნული ემისიების შემცირებას, დაახლოებით 5,2 მილიონი ტონა CO2-ის ექვივალენტით 7 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, პროექტი გააძლიერებს ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ემისიების შემცირების დაგეგმვისა და განვითარების, ასევე კანონაღსრულების გაუმჯობესების ინსტიტუციურ და მარეგულირებელ სისტემებს.

პროექტის ხანგრძლივობა 7 წელია და ის განხორციელდება შემდეგი სამი კომპონენტის საშუალებით:

- კომპონენტი 1: ტყის მდგრადი მართვა
- კომპონენტი 2: ბაზრის განვითარება ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავისთვის
- კომპონენტი 3: საარსებო საშუალებები და ადგილობრივი თვითმმართველობა ტყის მართვაში

კომპონენტი 1-ის ფარგლებში, პროექტი ხუთ აქტივობას განახორციელებს:

- აქტივობა 1.1: ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება
- აქტივობა 1.2: ტყეზე ზედამხედველობის გაძლიერება
- აქტივობა 1.3: ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მდგრადად წარმოებული საწვავი ხე-ტყის უზრუნველყოფა
- აქტივობა 1.4: არსებული გარემოს გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით ტყის მდგრადი მართვის განხორციელებისთვის
- აქტივობა 1.5: სატყეო სექტორში მონიტორინგის, აღრიცხვის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის სისტემების გაუმჯობესება
-
- კომპონენტი 2-ის ფარგლებში, პროექტი ოთხ აქტივობას განახორციელებს:
-
- აქტივობა 2.1: ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავისთვის მიწოდების ჯაჭვის განვითარება
- აქტივობა 2.2: მომხმარებლის დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის გადაწყვეტებისთვის

- აქტივობა 2.3: მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საწვავი ხე-ტყის მომხმარებლებისთვის
- აქტივობა 2.4: პოლიტიკის და რეგულაციების ხელშეწყობა.
-

კომპონენტი 3-ის ფარგლებში, პროექტი განახორციელებს ოთხ აქტივობას:

- **აქტივობა 3.1:** შემუშავებული და დანერგილია მუნიციპალიტეტის დონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის
- **აქტივობა 3.2:** შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთესად დასაცავად
- **აქტივობა 3.3:** ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარები და ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების, და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით.
- **აქტივობა 3.4:** გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები (მაგ. მერქნის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი, ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები)

პროექტი განიზრახავს სამ სამიზნე რეგიონში რვა მუნიციპალიტეტის მხარდაჭერას 270,807 ჰა-ზე ტყის მდგრადი მართვის განხორციელებაში, ახალი ტყის კოდექსის და მასთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე, რომლებიც გადაიხედება, რათა მოხდეს მათში ტყის კოდექსის, და ასევე ტყის მდგრადი მართვის ეროვნული და მართვის დონის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების ასახვა. გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს ენერგოეფექტური ღუმელების და ალტერნატიული საწვავის (მაგ. ბრიკეტები) დანერგვას, საწვავი ხე-ტყის მოხმარების შემცირების მიზნით.

ის რეგიონები, მუნიციპალიტეტები და სოფლები, სადაც დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში ვიზიტები განხორციელდა, მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 1-1: სოფლები, რომლებთანაც კონსულტაციები განხორციელდა ჩართულობის პროცესში (* აღნიშნავს სოფლებს, რომლებთანაც კონსულტაციები განხორციელდა 2020/21 წლებში)

რეგიონი	მუნიციპალიტეტი	სოფლები, სადაც კონსულტაციები განხორციელდა ჩართულობის პროცესში
მცხეთა-მთიანეთი	თიანეთი	არტანი*
კახეთი	ახმეტა	არგოხი შახვეტილა*
	თელავი	ვარდისუბანი ლაფანყური*
	დედოფლისწყარო	დედოფლისწყარო ოზაანი*
	ყვარელი	შილდა

		ახალსოფელი*
გურია	ლანჩხუთი	ლესა
	ჩოხატაური	ზოთი
	ოზურგეთი	მთისპირი შემოქმედი *

მოხდა პროექტის სკრინინგი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) სტანდარტებისა და GCF-ისა და GIZ-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების (Safeguards) თვალსაზრისით. განხორციელდა პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და პროექტს მიენიჭა საშუალო რისკის („ბ“ კატეგორია) კატეგორია; პოტენციურად იშვიათი ან ადგილობრივად შეზღუდული შემთხვევა, დიდწილად შექცევადი შედეგები, მარტივი მართვა.

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა წარმოდგენილია სამ ნაწილად:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მექანიზმების ანგარიში. წარმოადგენს პროექტის მიერ განხორციელებული საკონსულტაციო პროცესის აღწერას და მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმას და საჩივრების მექანიზმის პროცედურას (დაფინანსების შეთავაზების დანართი 7ა).
- ტომი 1: გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება, წინამდებარე დოკუმენტში მოცემულია პროექტის აღწერა, სამართლებრივი ჩარჩო, პროექტის მოთხოვნები და სტანდარტები (GCF, IFC და GIZ), სოციალური და გარემოსდაცვითი ფონის აღწერა, ზემოქმედების შეფასება და ზემოქმედებათა კლასიფიკაცია (დაფინანსების შეთავაზების დანართი 6ა).
- ტომი 2: გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა. აღწერს პროექტის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, პროექტის მოთხოვნებისა და სტანდარტების შესრულებაში და წარადგენს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის აქტივობებს (დაფინანსების შეთავაზების დანართი 6ბ).

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ESIA/ESMP-ისთან დაკავშირებით:
<u>პირველადი კონსულტაციები 2019 წელს</u>

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებასა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმასთან დაკავშირებით, დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა განხორციელდა 2019 წლის მარტიდან ამავე წლის აპრილამდე. ჩართულობის პროცესში მონაწილეობდა გენდერის სპეციალისტი, მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად და დაინტერესებული მხარეთა გადაღლის შესამცირებლად. რეგიონული, ადგილობრივი და სათემო კონსულტაციები ჩატარდა შერჩეულ სამ რეგიონში და რვა სამიზნე მუნიციპალიტეტში. კონსულტაციებში მონაწილე თემების მამაკაცი და ქალი წევრები შერჩეულ იქნა GIZ-ის ადგილობრივი წარმომადგენლის მიერ, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით.

გამოყენებული იყო ქვემოთ მოცემული მიდგომა:

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მექანიზმების ანგარიში. წარმოადგენს პროექტის მიერ განხორციელებული საკონსულტაციო პროცესის აღწერას და მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმას და საჩივრების მექანიზმის პროცედურას (დაფინანსების შეთავაზების დანართი 7ა).
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრები თბილისში (2019 წლის 5 მარტი);
- არასამთავრობო ორგანიზაციებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრები თბილისში (2019 წლის 25 - 26 მარტი);
- ეროვნული, რეგიონული და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრები (იხ. ცხრილი 2-2);
- ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლებთან რეგიონულ და მუნიციპალიტეტის დონეზე გამართული საკონსულტაციო შეხვედრები (იხ. ცხრილი 2-2);
- მოსახლეობის წარმომადგენლებთან გამართული საკონსულტაციო / ფოკუს ჯგუფის განხილვები (იხ. ცხრილი 2-2);
- საზოგადოებრივი კონსულტაციის / ვალიდაციის სამუშაო შეხვედრა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა პარტნიორებთან (2019 წლის 3 - 4 აპრილი);
- საჯარო კონსულტაცია არასამთავრობო ორგანიზაციებთან თბილისში (2019 წლის 23 აპრილი); და
- წერილობითი კორესპონდეცია, კომპანიის ელექტრონული ფოსტის ჩათვლით.
-

სულ 25 შეხვედრა გაიმართა და შეხვედრებში მონაწილეობდა დაახლოებით 266 ადამიანი, მონაწილეთა 40%-ზე მეტი ქალი იყო. ზოგადად, დაინტერესებული მხარეების მხრიდან წამოჭრილი ძირითადი საკითხები დაკავშირებული იყო სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მოლოდინებთან და მათ სურვილთან, ადაპტირდნენ ეკოლოგიურად უფრო მგრძნობიარე პრაქტიკებთან, თუ ეს არ გაზრდის საყოფაცხოვრებო ხარჯებს; ნახსენები იყო, რომ მოსახლეობის აღქმით, მათთან სათანადო კონსულტაციები არ გამართულა სამთავრობო კანონმდებლობასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში, შეთავაზებულ პროექტს ხვდა დადებითი გამოხმაურება და მხარდაჭერა.

<u>ESIA/ESMP-ის ცვლილება 2020/2021 წლებში</u>

ეს ESIA ძირითადად ფოკუსირებულია GCF-ის პროექტის 1 და 2 კომპონენტებზე, SDC-ის მიერ დაფინანსებული კომპონენტი 3-ის მოლოდინის რეჟიმში ყოფნის გამო. SDC-ის მიერ დაფინანსებული კომპონენტი 3 შემუშავდა 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის აპრილამდე, საბაზისო სიტუაციის, ბარიერების და პრიორიტეტული ღონისძიებების დეტალური შეფასების საფუძველზე, მონაწილეობით პროცესების გამოყენებით. იგი დაიგეგმა ისე, რომ უზრუნველყოს შესაბამისობა დანარჩენ ორ კომპონენტთან და პროექტის საერთ ზემოქმედებასთან. კომპონენტი 3-ის ფარგლებში ქვეაქტივობების შემუშავების შედეგად, თავდაპირველი ESIA და ESMP გადაიხედა და შეიცვალა პროექტის სამივე კომპონენტის

ასახვის მიზნით. ასევე ცვლილებები შევიდა პროექტის გენდერულ შეფასებასა და გენდერულ სამოქმედო გეგმაში.

პროექტის შემუშავებისთვის გამოყენებული იყო კვლევა შვიდ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე, კერძოდ, i) საკანონმდებლო ბაზა, ii) ტყის მართვა და ადგილობრივი თვითმმართველობა, iii) საზოგადოების მონაწილეობა ტყის მართვის დაგეგმვაში, iv) ტყესთან დაკავშირებული ცოდნის მართვა და უნარების განვითარება, v) ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვის განვითარება, vi) თემზე დაფუძნებული ბუნებასთან დაკავშირებული ტურიზმი და vii) გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიები. საკვლევ თემებზე დამატებითი ინფორმაციისთვის გამოყენებული იყო ლიტერატურის მიმოხილვები, ექსპერტებთან გასაუბრება და მრავალი დაინტერესებული მხარის სამუშაო შეხვედრები. გენდერული და გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიები განიხილებოდა, როგორც გადამკვეთი საკითხები. სულ გამოიკითხა 59 დაინტერესებული მხარე (30% ქალი) 56 სუბიექტიდან, რომლებმაც ღირებული ინფორმაციის მიწოდება მოახდინეს კვლევის საკითხების, და შესაბამისად SDC-ის პროექტის შემუშავებისთვის.

თავდაპირველი შეფასებით ჩატარებული კონსულტაციების გარდა, გამოვლინდა შემდეგი დაინტერესებული მხარეები და ჩატარდა მათთან კონსულტაციები მეორე განახლებისთვის:

1. საქართველოს მთავრობისა და საჯარო უწყებების წარმომადგენლები

- ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)
- თელავის მუნიციპალიტეტის, ყვარელის მუნიციპალიტეტის, კახეთის რეგიონული სატყეო მეურნეობის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ახმეტის მუნიციპალიტეტის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის, გურიის რეგიონის, გურიის რეგიონული სატყეო მეურნეობის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტების თემების ხელმძღვანელები
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლები.
- ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (ASRC)
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი (AUG)
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ტექნიკური უნივერსიტეტი
- თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (NACHP)
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (GNTA)
- პროფესიული კოლეჯი „აისი“
- მესტიის თეთნულდის კოლეჯი

- ოპიზარის კოლეჯი
- აჭარის რეგიონის, ქობულეთისა და ხულოს პროფესიული განათლების ფილიალები
- თელავის კოლეჯი „პრესტიჟი“
- კოლეჯი „ჰორიზონტი“

2. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და დონორი პროექტები
   - თუშეთის დაცული ლანდშაფტის ასოციაცია (TPLA)
   - „ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა კლიმატისადმი მედეგი სოფლის განვითარებისთვის საქართველოში”/ CENN,
   - პროექტი „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“
   - ეკო დერეფნის ფონდი (ECF)
   - WWF / აჭარის სატყეო პროექტი
   - REC Caucasus
   - SUCCOW-ის ფონდი
   - ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)
   - Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ)
3. კერძო სექტორი
   - ანა ბახტაძე, ტურიზმის ექსპერტი
   - კომპანია „ჯეოლენდი“
   - აწარმოე საქართველოში
   - ტუროპერატორი Explore Georgia
   - GITOA (საქართველოს საერთაშორისო ტუროპერატორთა ასოციაცია)

პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების იდენტიფიცირება

პროექტს აქვს დაბალი და საშუალო გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების გამოწვევის პოტენციალი. საერთო ჯამში, შეფასებისას გამოვლინდა 43 ზემოქმედება; 17 გამოვლინდა როგორც დაბალი, 26 შეფასდა, როგორც საშუალო, ხოლო დანარჩენი, როგორც უმნიშვნელო ან ვერ შეფასდა, რადგან საქმიანობა მოიცავდა ჯერ არ შემუშავებული მეორადი კანონების იმპლემენტაციას. პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება დაბალი და საშუალო დონისაა. საერთო ჯამში, შეფასებისას გამოვლინდა 43 ზემოქმედება; 17 შეფასდა როგორც დაბალი, 26 როგორც საშუალო, ხოლო დანარჩენი, როგორც უმნიშვნელო, ან ვერ შეფასდა, რადგან აქტივობები მოიცავდა ჯერ არ შემუშავებული, მეორადი კანონმდებლობის განხორციელებას.

გარემოსდაცვითი ზემოქმედებები მოიცავს მცირე და საშუალო რისკებს, რომლებიც განპირობებულია მშენებლობის ფაზაში მცირე სამშენებლო სამუშაოებით, ხოლო ექსპლუატაციის ფაზაში ხე-ტყის ჭრითა და გზების მოვლით. ზემოქმედებები მოიცავს გავლენას ველურ ბუნებაზე, დალექვისა და ეროზიის რისკებს, ნიადაგსა და ზედაპირულ წყლებში სახიფათო ნივთიერებების ჩაღვრის რისკებს. შრომითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზემოქმედებები ასევე გამოიკვეთა, როგორც რისკი პროექტის

მუშახელისთვის, სამშენებლო და ხე-ტყის ჭრის სამუშაოების დროს, განსაკუთრებით მთის ფერდობებზე. მცირე ზემოქმედებებში ასევე შედის ნარჩენების მატება და ხმაურსა და მტვერთან დაკავშირებული უმნიშვნელო ზიანი, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპებზე. გარდა ამისა, მცირე ზემოქმედება შეიძლება გამოწვეული იქნას დაბინძურებით ეკოტურიზმის ხელშეწყობის შედეგად, რაც ადგილსპეციფიკური და დაბალი რისკის შემცველი იქნება.

სოციალური ზემოქმედება ძირითადად გამოწვეულია ტყის მდგრადი მართვის ინდივიდუალური გეგმების შემუშავების გზით ტყის კოდექსის აღსრულების შედეგად, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდება შეშისა და მერქნისთვის ხეების მოჭრის შესაძლებლობა და დაწესდება შეზღუდვები საქონლის ძოვებასა და ტყის არამერქნული პროდუქტების შეგროვებაზე. ძირითადი სოციალური რისკი უკავშირდება ხეების ჭრაზე დაწესებულ შეზღუდვებს, რადგან ადგილობრივი თემები საკვების მომზადებისა და ზამთრის ცივ თვეებში სახლების გათბობისთვის ძლიერ არიან დამოკიდებული შეშის გამოყენებაზე, და ამავდროულად მაღალია სოფლის მოსახლეობის სიღარიბის მაჩვენებელი. ამ საკითხების მოსაგვარებლად შეთავაზებულია სათანადო აქტივობები. სხვა სოციალური რისკები მოიცავს ქალების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ნაკლებ მონაწილეობას პროექტის აქტივობებში. მექანიზმები უნდა დაინერგოს მთლიანად პროექტის აქტივობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიური მიდგომა.

პროექტი არ მოითხოვს მიწის არანებაყოფლობით შეძენას ან / და განსახლებას. მიწის ნაკვეთები საჭირო იქნება 14 საქმიანი ეზოს მშენებლობისთვის და ეს საქმიანი ეზოები აშენდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებზე ან ყოფილი საწარმოო ტერიტორიების შეძენით. ყოფილი საწარმოო ტერიტორიების გამოყენება მხოლოდ ნებაყოფლობითი შეთანხმებების საფუძველზე მოხდება. თუ ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდება, მიწა არ იქნება გამოყენებული.

პროექტით გათვალისწინებული ნებისმიერი ჩარევის განხორციელებამდე, დამატებით მოხდება დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადგილობრივ მოსახლეობასთან სრულყოფილი კონსულტაციები, და რომ პროექტი არ იმოქმედებს მათზე და / ან მათ საარსებო წყაროზე, კულტურასა და ტრადიციებზე. გარდა ამისა, პროექტის განხორციელებისას, ტყის მდგრადი მართვის გეგმების შესახებ მონაწილეობითი კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი იქნება. ტყის მდგრადი გამოყენებისა და ტყეების სარგებლიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები განხორციელდება პროექტის მიმდინარეობის მანძილზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების განვითარება, შეთავაზებული იყო, როგორც პროექტის ზემოქმედებათა მართვის საშუალება. ეს მოიცავს შესაძლებლობების განვითარებას ა) კონფლიქტების მართვაში, შუამავლობასა და დავების მოგვარებაში; ბ) თემებთან კომუნიკაციასა და ჩართულობაში; გ) შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაში; დ) გარემოსდაცვით კომუნიკაციაში; და ე) ფაუნისა და ფლორის

იდენტიფიკაციასა და ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. მიზანია დიალოგისა და თანამშრომლობისთვის ინსტიტუციური კომპეტენციების განვითარება და გარემოსდაცვითი კომუნიკაციის შესაძლებლობების გაზრდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ინკლუზიური მდგრადი განვითარების მისაღწევად.

მე-2 ტომში შეთავაზებულია პრევენციისა და შერბილების სხვა სათანადო გზები, რომლებიც პროექტის პოტენციურ ზემოქმედებას მისაღებ დონემდე შეამცირებს.

პროექტი მოიტანს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და სოციალურ სარგებელს. ეს მოიცავს:

- პირდაპირი დადებითი ზემოქმედება კლიმატის აქტივობაზე, ტყის ზეზემდგომ მარაგში tCO2eq-ის დამარაგების გაზრდით, აგრეთვე დამატებითი ნახშირბადის დამარაგების პოტენციალი ტყის შემატების ზრდით. კერძოდ, პროექტი გამოიწვევს ემისიების 5.2 მილიონი ტონა CO2eq-ით შემცირებას 250,000 ჰექტარზე ტყის მდგრადი მართვის განხორციელების გზით.
- ტყეების ეკოლოგიური პროცესებისა და ეკოსისტემური მომსახურების გაუმჯობესება.
- ტყეების დეგრადაციის აჩქარების შეჩერება და ტყეების არასათანადო მართვის ჩანაცვლება მდგრადი მართვით.
- ტყის მდგრადი მართვის გეგმების პროექტირების გაუმჯობესება, დაინტერესებული მხარეების მიერ მერქნის კანონიერი შესყიდვის უზრუნველსაყოფად, და ამით საქართველოში ტყეების ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება.
- პროექტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე, ეს პროექტი შეიძლება იყოს კატალიზატორი, მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტებისთვის, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მოსახლეობის და სხვა დაინტერესებული მხარეების შედეგიანი ჩართულობა, მათ შორის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის მონაცემთა მართვაში, დამუშავებასა და ანალიზში, და ასევე სტანდარტული საოპერაციო პროცედურების მომზადებასა და გამოყენებაში.
- ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაუმჯობესება.
- ენერგოეფექტური ღუმელები და ბრიკეტები წარმოქმნიან უფრო ნაკლებ კვამლს, ვიდრე ტრადიციული ღუმელები და შეშა, რაც ზრდის მომხმარებლისთვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სარგებელს.
- ტყეში უკანონო საქმიანობის ფორმალიზება მოიტანს დადებით ეკონომიკურ შედეგს ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის, ხე-ტყის მრეწველობისა და ეროვნული ეკონომიკისთვის.
- უკანონო საქმიანობის შემცირება მოიტანს ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს.
- პირდაპირი, არაპირდაპირი და ინდუცირებული დასაქმების, და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. ამჟამინდელი შეფასებით, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში სატყეო სექტორში შეიქმნება 867 სამუშაო ადგილი, აღდგენის, მოვლის, ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირების, გზების მშენებლობისა და მოვლის სამუშაოებში; მხარდაჭერილი

იქნება დაახლოებით 100 მცირე და საშუალო ბიზნესი, 20-მდე დასაქმებულით - რაც საჭირო იქნება სატყეო ტექნოლოგიებით ბაზრის მოსამარაგებლად.

- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება (ღირებულებითი ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა ტყის არამერქნული პროდუქტების, ეკოტურიზმისა და ხე-ტყის გადამუშავების სექტორებში), რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ გაძლიერებას მდგრადად მართულ ტყეებთან დაკავშირებული ფორმალური სამუშაო ადგილების საშუალებით
- ტყის მდგრადი მართვისა და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ განათლებისა და ცოდნის გაძლიერება
- ტყის მართვის მონაწილეობითი დაგეგმვის მხარდაჭერა ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ და ადგილობრივ სატყეო უწყებებსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა
- სატყეო სექტორისთვის საჩივრების განხილვისა და სარგებლის განაწილების მექანიზმების დანერგვა
- ტყის მდგრადი მართვის შესაბამისი პროფესიული უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება
- სატყეო რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური რისკების შერბილება და მართვა, უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და უფლებების უკეთ დაცვით
- საკანონმდებლო და მარეგულირებელი პოლიტიკის გაძლიერება, რომელიც შექმნის ჩარჩოს ბუნებრივი რესურსების მდგრადი და გენდერულად მგრძნობიარე მართვისთვის.

საინფორმაციო უჯრა 1. პროექტი და სექტორის სპეციფიკის საჩივრების განხილვის მექანიზმები

GCF-ის პროექტის აქტივობა 3.2 მოიცავს საჩივრების განხილვის მექანიზმების მხარდაჭერას საქართველოში. ეს მექანიზმები არ უნდა აგვერიოს საჩივრების მართვის პროცედურასთან, რომელიც შედის GCF-ის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP).

საჩივრების მართვის პროცედურა განკუთვნილია კონკრეტულად პროექტისთვის, GCF-ის პროექტთან დაკავშირებული საჩივრების წარსადგენად GIZ-ში, როგორც კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) აკრედიტებულ სუბიექტში, რომელიც პასუხისმგებელია პროექტის განხორციელებაზე. ამრიგად, ის ქმედითი იქნება პროექტის განხორციელების პერიოდში (2021-2028წწ.) და ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ მათთვის, ვისაც საჩივრები ექნება საპროექტო ტერიტორიაზე (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ESMP).

GCF-ის პროექტის მე-3 კომპონენტის ფარგლებში განხილული საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) მიზნად ისახავს შექმნას სექტორისთვის სპეციფიკური მექანიზმი, რომელიც შენარჩუნდება საქართველოში პროექტის დასრულების შემდეგ და სადაც საქართველოს მთავრობა იქნება ძირითადი პასუხისმგებელი სექტორში არსებული საჩივრების ზედამხედველობაზე, მართვასა და მოხსენებაზე. ინტერვენციები ფოკუსირებული იქნება მექანიზმებზე საპროექტო რეგიონში, მაგრამ ასევე განიხილება ეროვნული მექანიზმების განვითარების პოტენციალი, ან მექანიზმები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნას საქართველოს სხვა ნაწილებში.

1 შესავალი

1.1. მიმოხილვა

პროექტი მიზნად ისახავს ტყეების დეგრადაციით გამოწვეული ემისიების შემცირებას ტყეების მდგრადი მართვის გზით, ასევე ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის ხელშეწყობას, საწვავი ხე-ტყის მოხმარების შესამცირებლად, რაც ტყეების დეგრადაციის მთავარი მიზეზია. პროექტი შედეგად მოიტანს სათბურის აირების ეროვნული ემისიების შემცირებას დაახლოებით 5,2 მილიონი ტონა CO2eq-ით 7 წლის განმავლობაში. გარდა ამისა, პროექტი გააძლიერებს ეროვნულ და რეგიონულ დონეებზე ემისიების შემცირების დაგეგმვისა და განვითარების, ასევე კანონაღსრულების გაუმჯობესების ინსტიტუციურ და მარეგულირებელ სისტემებს.

კლიმატის მწვანე ფონდისა (GCF) და GIZ-ის მოთხოვნაა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადება ყველა იმ პროექტისთვის, რომელიც კლასიფიცირდება "ბ კატეგორიად". წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს I ტომს – გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებას და წაკითხული უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების მექანიზმის ანგარიშთან და II ტომთან - გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმასთან ერთად.

1.2. მიზნები

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების დანიშნულებაა ა) პროექტის კატეგორიის განსაზღვრა პროექტის ზემოქმედებების ანალიზის გზით და დადგენა, პროექტის რომელიმე კომპონენტი ხომ არ განაპირობებს "ა" კატეგორიზაციას კლიმატის მწვანე ფონდის (GCF) და GIZ-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის მიხედვით; ბ) პროექტისთვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება; გ) ბუნებრივი და სოციალური გარემოს აღწერა; დ) პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების გამოვლენა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესისას შეგროვებული პირველადი მონაცემების და მეორეული მონაცემების ანალიზის საფუძველზე; და ე) თითოეული გამოვლენილი პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შემარბილებელი ზომების აღწერა. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა მოცემულია II ტომში.

1.3. მეთოდოლოგია

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შესამუშავებლად გამოყენებული მეთოდოლოგია მოიცავდა ლიტერატურის მიმოხილვას, პირველადი მონაცემების შეგროვებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში და ერთი-ერთზე შეხვედრებს, რომლებიც დაიწყო 2019 წლის მარტში და დასრულდა 2019 წლის აპრილში. 2020 წლის დეკემბერში და 2021 წლის იანვარში ჩატარდა დამატებითი ინტერვიუები, რომლებიც ფოკუსირებული იყო პროექტის კომპონენტ 3-ზე, რომლის ქვეაქტივობები ჯერ არ იყო შემუშავებული 2018/19 წლებში თავდაპირველი შეფასების დროს. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და საჩივრების

მექანიზმების ანგარიშში მოცემულია დაინტერესებულ მხარეებთან გამართული შეხვედრების სია. ზემოქმედებების განსაზღვრის და ზემოქმედებათა კლასიფიკაციისთვის განხორციელდა მონაცემთა ანალიზი GIZ-ის რისკების შეფასების მეთოდოლოგიის საფუძველზე. ზემოქმედებათა შერბილების ღონისძიებები შემუშავდა მოსახლეობის მოსაზრებების გათვალისწინებისა და პროექტის გუნდთან კონსულტაციის საფუძველზე. შემარბილებელი ზომები განხილული იქნა საზოგადოებრივი კონსულტაციის ფორუმებზე. Iგარდა ამისა, კონსულტანტმა შეასრულა მიწათსარგებლობის რუკის ოპერაცია, 1998 წლიდან 2018 წლამდე სამ სამიზნე რეგიონში მაწითსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების შესასწავლად. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია პროექტის დაწყების დროისთვის არსებული ვითარების გასაგებად. გარდა ამისა, პროექტის მიერ გამოწვეული პოტენციური ცვლილებების უკეთ პროგნოზირებისთვის, უმნიშვნელოვანესია იმ ლანდშაფტის განვითარების შესწავლა, სადაც ხორციელდება პროექტი და სადაც მოსალოდნელია პროექტის ზემოქმედება (Slootweg et al. 2010).

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში გარემოსდაცვით და სოციალურ სპეციალისტს დახმარებას უწევდა ქართველი სოციალური სპეციალისტი. ამ კონსულტაციის ძირითადი ეტაპები იყო:

- დესკტოპ ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა.
- წინასწარი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შეფასება.
- კონსულტაციები მთავრობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.
- კონსულტაციები რეგიონულ, მუნიციპალიტეტის და ადგილობრივ ხელისუფლებებთან და თემებთან, მათ შორის იმ სოფლების /ქალაქების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება, სადაც ვიზიტები განხორციელდება საკონსულტაციო პროცესის დროს.
- გურიის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ლანდშაფტური რუკების მომზადება.
- დაინტერესებულ მხარეთა მიერ დასახელებული პრობლემების წარდგენა ხელისუფლებისთვის და პროექტის დიზაინის ჯგუფისთვის, და პროექტის დიზაინში ამ პრობლემური საკითხების ინტეგრაცია.
- ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ზომების წარდგენა ორ სამუშაო შეხვედრაზე.
- ზემოქმედებების განახლება და შემარბილებელი ზომების განსაზღვრა უკუკავშირის საფუძველზე.
- ანგარიშის მომზადება.

2 პროექტის აღწერა



სურათი 2-1: პროექტის მონახაზი

2.1. პროექტის მიზანი

პროექტი საქართველოს ხელისუფლებას დაეხმარება სატყეო სექტორის გარდაქმნაში, ხელს შეუწყობს რა, ქვეყნის მასშტაბით ტყის მდგრადი მართვის სისტემის დანერგვას პოლიტიკის, დაგეგმვის და განხორციელების დონეებზე. ის მხარს დაუჭერს საქართველოს მთავრობას ამბიციური პოლიტიკური მიზნის მიღწევაში, რომელიც გულისხმობს ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მართული ტყეების 1,8 მილიონ ჰექტარზე ტყის მდგრადი მართვის დანერგავს, რაც უზრუნველყოფს საქართველოს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას; აღნიშნული შეამცირებს ტყეების დეგრადაციით გამოწვეული სათბურის აირების ემისიებს მინიმუმ 5.2 მილიონი ტონა CO_2eq-ით 270,000 ჰექტარზე (ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) სამიზნე მაჩვენებლის შესაბამისად). დამატებითი მიზნის სახით, პროექტი ასევე განიზრახავს ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ალტერნატიული საწვავისთვის ბაზრის განვითარების ხელშეწყობას, საქართველოს ტყეების დეგრადაციის მთავარ მიზეზთან - სოფლის მოსახლეობის მიერ შეშის არამდგრად მოხმარებასთან საბრძოლველად. ამ მხრივ, მოსალოდნელია სოფლად გაუმჯობესებული ღუმელების და ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის სხვა გადაწყვეტების წლიური გაყიდვების 20-ჯერ გაზრდის ხელშეწყობა, რითაც საწვავ ხე-ტყეზე წლიური მოთხოვნა ეფექტურად შემცირდება დაახლოებით 40%-ით საწყისთან მაჩვენებელთან შედარებით. კომპონენტი 3, რომელიც პასუხობს სატყეო სექტორის რეფორმის პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებებს, უზრუნველყოფს რეფორმის განხორციელების საყრდენ მექანიზმს, ტყის

მიმდებარე სოფლების მოსახლეობის შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების გზით.

3 პროექტის განხორციელების სტრუქტურა

პროექტს ეყოლება ხუთი აღმასრულებელი პირი (აქტივობებზე ინდივიდუალური პასუხისმგებლობებისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი 3-1):

- ეროვნული სატყეო სააგენტო (NFA)
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (DES) - წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფოს
- გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი (EIEC)
- სოფლის განვითარების სააგენტო (RDA)1
- Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

ცხრილი 3-1: ინსტიტუციური სტრუქტურა

კომპონენტები / აქტივობები	განმახორციელებელი პირ(ებ)ი
კომპონენტი 1	
აქტივობა 1.1 ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება	NFA
აქტივობა 1.2 ტყის ზედამხედველობის გაძლიერება	DES
აქტივობა 1.3. ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მდგრადად წარმოებული საწვავი ხე-ტყის უზრუნველყოფა	NFA
აქტივობა 1.4 არსებული გარემოს გაუმჯობესება ქვეყნის მასშტაბით ტყის მდგრადი მართვის განხორციელებისთვის	EIEC, NFA და GIZ
აქტივობა 1.5 სატყეო სექტორში მონიტორინგის და აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის (MRV) სისტემების გაუმჯობესება	EIEC და GIZ
კომპონენტი 2	
აქტივობა 2.1 ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავისთვის მიწოდების ჯაჭვის განვითარება	RDA და GIZ
აქტივობა 2.2 მომხმარებლის დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის გადაწყვეტებისთვის	RDA და GIZ
აქტივობა 2.3 მომხმარებლის ცნობიერების ამაღლება და საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საწვავი ხე-ტყის მომხმარებლებისთვის	EIEC და GIZ
აქტივობა 2.4 პოლიტიკის და რეგულაციების ხელშეწყობა	GIZ

1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (APMA) ოფიციალური სახელწოდება 2019 წლის ივლისში შეიცვალა და გახდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სააგენტო (ARDA). 2020 წელს სააგენტოს სახელი კიდევ შეიცვალა და გახდა სოფლის განვითარების სააგენტო (RDA).

კომპონენტი 3	
აქტივობა 3.1: შემუშავებული და დანერგილია მუნიციპალიტეტის დონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის	GIZ
აქტივობა 3.2: შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების უკეთესად დასაცვად	GIZ
აქტივობა 3.3: ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარები და ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების, და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით.	GIZ
აქტივობა 3.4: გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები, მაგ. ხე- ტყის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი, ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები.	GIZ

3.1. ხელმძღვანელი კომიტეტის სტრუქტურა

პროექტისთვის შეიქმნება ხელმძღვანელი კომიტეტი, რომლის სტრუქტურაც ნაჩვენებია სურათზე 3-1. კომიტეტის შეხვედრა გაიმართება წელიწადში ორჯერ და მის წევრებს შეადგენენ დეპარტამენტების ხელმძღვანელები / დირექტორები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან (MoEPA), ეროვნული სატყეო სააგენტოდან (NFA), გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან (DES), სოფლის განვითარების სააგენტოდან (RDA), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან (MESD), ფინანსთა სამინისტროდან (MoF), გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიდან (EIEC), ეროვნული დანიშნული ორგანოდან (NDA), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან (MRDI), არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, SIDA-დან, SDC-დან და GIZ-დან. ხელმძღვანელი კომიტეტის მანდატი მოიცავს:

- პროექტის ზოგადი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.
- წლიური სამუშაო გეგმების, წლიური ანგარიშების და აუდიტების შეფასებისა და დადასტურების უზრუნველყოფა.
- პროექტის ენერგიულობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო და ეროვნული გარემოებების ცვლილების კვალდაკვალ.
- ინფორმაციის მიღება პროექტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების და გენდერული სამოქმედო გეგმის მიზნების შესრულების შესახებ
- პროექტის აქტივობების კოორდინაციის ხელშეწყობა სხვადასხვა ხაზის სამინისტროებს, კერძო და საჯარო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.
-
-



სურათი 1: ხელმძღვანელობის სტრუქტურა

3.2. პროექტის განმახორციელებელი განყოფილება

პროექტის განმახორციელებელი განყოფილება, რომელიც განთავსებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტში, შეიქმნება პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდისთვის, სტრუქტურა წარმოდგენილია დაფინანსების შეთავაზებაში. განყოფილების მანდატი მოიცავს:

- აღმასრულებელ პირებს შორის ურთიერთგაგების გაღრმავება ცვლილებებთან და ორივე სექტორში მიმდინარე გარდაქმნების მიმართულებასთან დაკავშირებით.
- აღმასრულებელ პირებს შორის მაქსიმალური სინქრონიზაციის განხილვა, მონიტორინგი და ხელშეწყობა.
- სამუშაო გეგმების განსაზღვრა, მონიტორინგი და კოორდინაცია. ➢ ბიუჯეტების და სამუშაო გეგმების შესრულებისა და პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგის უზრუნველყოფა.
- პროექტის პრობლემების და განხორციელების გამოწვევების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა.
- გარემოსდაცვითი, სოციალური და ფიდუციური გარანტიების (fiduciary safeguards) შესრულების მონიტორინგი; პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის და გენდერული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში ამ გეგმების გადახედვის ხელმძღვანელობა.
- ისეთი საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც საჭიროებს ხელმძღვანელი კომიტეტის ან / და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ყურადღებას.
- ინფორმაციის გაცვლის და პროექტის შედეგებს შორის სინერგიის უზრუნველყოფა.
- შეთანხმება ტექნიკურ დავალებაზე, ექსპერტთა ჩართვაზე.
- შედეგებისა და ზემოქმედებების მონიტორინგის პროცესების და შედეგების განხილვა.

3.3. მონიტორინგისა და შეფასების დამოუკიდებელი კვლევები

GIZ-ი შუალედურ შეფასებას დაიწყებს პროექტის მეოთხე წელს (ან ნებისმიერ დროს, რომელსაც GIZ-ი ან პარტნიორები ჩათვლიან საჭიროდ). შუალედურ შეფასებაში მონაწილეობას მიიღებენ პროექტის დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები, პროექტის პარტნიორები და განვითარების პარტნიორები. შუალედური შეფასება მოიცავს:

- პროექტის ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების მიმოხილვა, პროექტის დიზაინსა (როგორც ეს განსაზღვრულია დაფინანსების შეთავაზებაში და განხორციელებადობის კვლევაში) და მონიტორინგისა და შეფასების სისტემაში გათვალისწინებული ვარაუდებისა და რისკების მიხედვით;
- ხელშეკრულებების გადახედვა, რათა შეფასდეს, ისევ აქტუალურია თუ არა ეს ხელშეკრულებები; საჭიროების შემთხვევაში მათი შეცვლა ან გაუქმება შეცვლილი გარემოებების გამო;

- დარჩენილი დაგეგმილი ზემოქმედების სიცოცხლისუნარიანობის მიმოხილვა; და
- პროექტის რესტრუქტურიზაციის ან რეფორმირების საჭიროების და პროექტის ზოგად მიზანსა და გრძელვადიან მიზნებზე ამგვარი რესტრუქტურიზაციის შედეგების შეფასება.

პროექტის დასრულებამდე, GIZ-ის აკრედიტებული პირის (AE) სამეთვალყურეო ორგანო დაიწყებს პროექტის დასრულების მისიას, რომელშიც შეფასდება პროექტის განხორციელება საპროექტო, დაფინანსებისა და განხორციელების შეთანხმებების საფუძველზე, პროექტის შედეგების და მიზნების მიღწევა. მისიაში ჩართული იქნებიან პროექტის დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, სამიზნე ჯგუფები და ბენეფიციარები, პროექტის პარტნიორები და მონაწილე განვითარების პარტნიორები. პროექტის ფიზიკური დასრულების და საგარანტიო ვადის ამოწურვამდე, GIZ-ის აკრედიტებული პირის (AE) სამეთვალყურეო ორგანო GCF-ის სამდივნოსა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს შეფასების საბოლოო ანგარიშს.

4 სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო

4.1 საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო

საქართველოში უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტია საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტმა დაამტკიცა 1995 წლის 24 აგვისტოს და ძალაში შევიდა 1995 წლის 17 ოქტომბერს. კონსტიტუციამ ჩაანაცვლა 1992 წლის ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომელიც მოქმედებდა, როგორც შუალედური საბაზისო კანონი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. კონსტიტუციის ბოლო ცვლილება პარლამენტმა 2018 წლის 21 მარტს მიიღო. კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, გათვალისწინებულია შემდეგი:

“ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.”;

და

“სახელმწიფო ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და ბუნებრივი რესურსებით რაციონალურ სარგებლობას, ქვეყნის მდგრად განვითარებას საზოგადოების ეკონომიკური და ეკოლოგიური ინტერესების შესაბამისად ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად”.

გარდა კონსტიტუციისა, საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა მოიცავს გარემოსდაცვით კანონებს, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, კანონქვემდებარე აქტებს, ნორმატიულ აქტებს, პრეზიდენტის ბრძანებებს, მთავრობის დადგენილებებს, რამდენიმე საერთაშორისო კონვენციას, ხელშეკრულებასა და შეთანხმებას.

4.1.1 პროექტისთვის მთავარი გარემოსდაცვითი კანონები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოში გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული კანონებისა და რეგულაციების ნუსხა.

ცხრილი 4-1: საქართველოს მოქმედი სამართლებრივი ჩარჩო

რეგულაცია	აღწერა
საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“	კანონი პარლამენტმა 1996 წლის 10 დეკემბერს მიიღო. კანონი არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მისი ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ჩათვლით. კანონის ძირითადი მიზნებია, განსაზღვროს, გარემოს დაცვის სფეროში სამართლებრივ ურთიერთობათა პრინციპები და ნორმები; დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში ადამიანის ძირითადი უფლებები; უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა; შეინარჩუნოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო; შეინარჩუნოს ბიოლოგიური მრავალფეროვნება, ქვეყნისათვის დამახასიათებელი და საფრთხის წინაშე მყოფი ფლორისა და ფაუნის სახეობები, დაიცვას ზღვის გარემო და უზრუნველყოს ეკოლოგიური წონასწორობა; შეინარჩუნოს და დაიცვას თვითმყოფადი ლანდშაფტები და ეკოსისტემები; სამართლებრივად უზრუნველყოს გარემოს დაცვის სფეროში საერთო გლობალური და რეგიონული პრობლემების გადაჭრა; და უზრუნველყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების პირობები. კანონი წარმოადგენს ქვეყნის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის საფუძველს; შესაბამისად, ის დაცული უნდა იქნას პროექტის კომპონენტების, აქტივობებისა და ქვე-აქტივობების განხორციელებისას.
საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ მუხლი 5 - პასუხისმგებლობა წარსულში გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე	„გარემოს დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების ერთ–ერთი ძირითადი პრინციპია - „დამბინძურებელი იხდის“. ამრიგად, საპროექტო უბანზე ან საპროექტო უბნის მიერ წასულში გარემოსთვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს იმ პირებისა თუ ობიექტების მიერ, რომლებიც გამოიწვევენ ამგვარ ზიანს. კანონით განსაზღვრულია 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა გარემოსთვის მიყენებული ზიანის მოთხოვნისთვის, იმ მომენტიდან, როცა სახელმწიფო კონტროლის

რეგულაცია	აღწერა
	განმახორციელებელი ორგანო შეიტყობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის თაობაზე. საპროექტო უბნის შემდგომი მფლობელები შეიძლება პასუხისმგებელი გახდნენ წარსულში გარემოსთვის მიყენებულ ზიანზე, თუ განისაზღვრება, რომ მათ ბრალი მიუძღვით გარემოსთვის შესაბამისი ზიანის მიყენებაზე. ამასთან, ზიანი გამოწვეული უნდა იყოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და მოთხოვნების დარღვევის შედეგად. მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №54 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი განსაზღვრავს გარემოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების გაანგარიშების მეთოდიკას. ბრძანება ითვალისწინებს ზიანის გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდებს გარემოს სხვადასხვა ობიექტებისთვის როგორიცაა ჰაერი, წყალი, ნიადაგი და ა.შ. პროექტი ინფორმირებული უნდა იყოს წარსულში მიყენებული ნებისმიერი ზიანის და პოტენციური ვალდებულებების შესახებ.
გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	ახალი კოდექსი ამოქმედდა 2018 წლის იანვარში და ის არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით. კანონით გათვალისწინებულია ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობების ნუსხა და განსაზღვრულია სამართლებრივი პრინციპები (ა) ასეთი საქმიანობის განხორციელების მიზნით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისთვის; (ბ) ნებართვის გაცემის პროცესში ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისთვის; და (გ) გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელების პროცესში და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემისას საზოგადოების ჩართულობისა და ინფორმირებისთვის და გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ჩართულობისთვის. კოდექსის მიზნებია: ა) ხელი შეუწყოს გარემოს, ადამიანის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის, კულტურული მემკვიდრეობისა და მატერიალური ფასეულობების დაცვას ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე; ბ) ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოს გარემოს მდგომარეობის შესახებ სრული და ობიექტური ინფორმაციის დროულად მიღების საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლების რეალიზაცია, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე

რეგულაცია	აღწერა
	გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა; გ) სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება ისეთი სტრატეგიული დოკუმენტის ან საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე; დ) გარემოსდაცვითი შეფასების პროცედურის განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვა. კოდექსის I დანართში ჩამოთვლილია ყველა ის საქმიანობა, რომელიც მოითხოვს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ამ **პროექტით შეთავაზებული არც ერთი აქტივობა არ იწვევს მარეგულირებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადების აუცილებლობას.** იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომელთათვისაც სავალდებულოა მარეგულირებელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადება, მოცემულია ამ ანგარიშის I დანართში.
კანონი "ნიადაგის დაცვის შესახებ"	მიღებული იქნა 1994 წელს და მიზნად ისახავს: ა) უზრუნველყოს ნიადაგის საფარის მთლიანობა, ნაყოფიერების ზრდა და შენარჩუნება; ბ) განსაზღვროს მიწათმოსარგებლეთა, მიწათმესაკუთრეთა და სახელმწიფოს მოვალეობა და პასუხისმგებლობა ნიადაგის დაცვისა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პირობების შესაქმნელად; გ) აღკვეთოს ნიადაგის ნაყოფიერების ზრდის საშუალებათა გამოყენებისას უარყოფითი შედეგები; დ) უზრუნველყოს სუბალპური და ალპური მდელოების დაცვის გზით მაღალმთიანი რეგიონების ენდემური მცენარეულობისა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენარჩუნება; ე) ხელი შეუწყოს მელიორაციის სფეროში საქმიანობის კოორდინაციას. კანონით იკრძალება სხვადასხვა საქმიანობა, მათ შორის: ნიადაგის დაზიანება ტყითსარგებლობის შედეგად, დაცვითი ტყის მოჭრა / გარდაქმნა, ნიადაგის დამცავი ნაგებობების დაზიანება, ჭარბი ძოვება (დადგენილი ნორმების გადაჭარბება, განსაკუთრებით მაღალმთიან საძოვრებზე), მაღალმთიან რეგიონებში გადაშენების პირას მისული სუბალპური და ალპური მცენარეულობის საწვავად და სხვა მიზნით მოსახმარებლად მოპოვება. პროექტის გარკვეულმა ღონისძიებებმა შეიძლება გამოიწვიოს ნიადაგზე ზემოქმედება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის დროს, რაც შეიძლება მოიცავდეს ნიადაგის დაზიანებას, ეროზიას და დაბინძურებას პროექტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, აღჭურვილობისა და მუშახელის მიერ. შესაბამისად, დაცული უნდა იყოს კანონის

რეგულაცია	აღწერა
	დებულებები, რომლებიც შეეხება ნიადაგის დაცვას ეროზიისგან, სახიფათო და ინერტული ნარჩენებით და ნაგვით დაბინძურებისგან. ნიადაგის ზედა ნაყოფიერი ფენის დაცვისას გათვალისწინებული უნდა იქნას ტექნიკური რეგლამენტი „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება, № 415, 2013 წლის 31 დეკემბერი) (GCF UNDP).
კანონი „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ„	კანონი მიღებული იქნა 2003 წელს და მიზნად ისახავს უზრუნველყოს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ნიადაგების კონსერვაცია და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება. კანონი არეგულირებს ნიადაგების კონსერვაციასა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესებას, აგრეთვე ეროზიის, ღვარცოფის, მეწყრის, ზვავის, წყალდიდობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორებითი დაჭაობებისა და დამლაშების, წიაღისეულის, აგრომადნეულისა და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, აგრეთვე ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ნიადაგების დანაკარგების აღკვეთას. მოიცავს დეტალურ მითითებებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენისა და გაუმჯობესების შესახებ და ადგენს მავნე ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ დონეს ნიადაგებში. პროექტი განახორციელებს აღდგენისა და ეროზიის კონტროლის ღონისძიებებს ტყეებში და ნიადაგის შესახებ კანონი გამოყენებული იქნება როგორც ნიადაგის კონსერვაციის საფუძველი.
კანონი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ	კანონი მიღებული იქნა 2004 წელს და განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებლის ობიექტებს და მოსაკრებლის განაკვეთებს, აგრეთვე გადახდის წესებს; მათ შორისაა სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისთვის მოსაკრებელი, რომლის ოდენობა განისაზღვრება ტყის მერქნიან სახეობათა ჯგუფებისა და კატეგორიების მიხედვით (მუხლი 5, პუნქტი 2). ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისთვის: მოსაკრებელი განისაზღვრება მხოლოდ სოჭის ხის გირჩებისთვის, თეთრყვავილას ბოლქვებისთვის და ყოჩივარდას გორგლებისთვის (მუხლი 5, პუნქტი 3). გადახდის წესის მიხედვით, მოსაკრებელი უნდა ჩარიცხოს იმ რეგიონის ადგილობრივ ბიუჯეტებში, სადაც ხდება რესურსების ამოღება. ამ კანონით დადგენილი მოსაკრებლების საფუძველზე, იანგარიშება რესურსების უკანონოდ მოპოვების შედეგად მიყენებული ზიანის (ზარალი) ოდენობა, რაც განისაზღვრება დადგენილებით. ტექნიკური რეგლამენტი - გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკა. მოსაკრებლის ოდენობა ასევე გამოიყენება ბუნებითსარგებლობის ლიცენზიის საწყისი ფასის დასადგენად.

რეგულაცია	აღწერა
	ეს კანონი არ ვრცელდება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობაზე, რამდენადაც სამიზნე ტყეები ეკუთვნის სახელმწიფოს. პროექტის თვალსაზრისით, ეს კანონი ძირითადად ეხება ხეების უკანონო ჭრას და DES-ის გაძლიერებულ ზედამხედველობას.
საქართველოს კანონი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ"	კანონი მიღებული იქნა 2004 წელს და ის აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. სატყეო სფეროში ლიცენზიის სახეა ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზია, რომელიც მოიცავს ხე-ტყის დამზადების სპეციალურ ლიცენზიას და სამონადირეო მეურნეობის სპეციალურ ლიცენზიას (მუხლი 7, პუნქტი 4), აგრეთვე ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზიას (მუხლი 7, პუნქტი 9). საკითხი სამართლებრივად წესრიგდება საქართველოს მთავრობის №132 დადგენილებით „ტყით სარგებლობის ლიცენზიების გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”. პროექტს დასჭირდება ნებართვის რეესტრის მომზადება პროექტის ყველა აქტივობისთვის (ეროვნული და რეგიონული), კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მშენებლობის ნებართვებს საქმიანი ეზოებისა და სატყეო გზებისთვის, ნარჩენების განთავსების ნებართვებს და სხვა.
ნარჩენების მართვის კოდექსი	კანონი მიღებულ იქნა 2014 წელს და მისი მიზანია ნარჩენების პრევენცია და მათი ხელახალი გამოყენების ზრდა, აგრეთვე ნარჩენების გარემოსთვის უსაფრთხო გზით დამუშავება. კანონის დებულებების დაცვა სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.
საქართველოს კანონი ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ	კანონი მიღებულ იქნა 1999 წლის 22 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ. ის უზრუნველყოფს ზოგად ჩარჩოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დასაცავად მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისგან. მათ შორის ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება; რადიაციული ზემოქმედება; მიკროორგანიზმებითა და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით დაბინძურება; აგრეთვე ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური ველებისა და სხვა სახის ფიზიკური ზემოქმედება. პროექტის ზოგიერთი აქტივობა გამოიწვევს

რეგულაცია	აღწერა
	გამონაბოლქვის გაფრქვევას, მტვერს და ხმაურს. მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, პროექტი გაითვალისწინებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისგან დაცვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.
საქართველოს კანონი წყლის შესახებ	კანონი მიღებული იქნა 1997 წლის 17 ოქტომბერს და იგი ადგენს პოლიტიკის მოთხოვნებს და პრინციპებს ქვეყნის წყლის რესურსების ზემოქმედებისგან დაცვის მიზნით. პროექტი შეასრულებს კანონის მოთხოვნებს, მაგალითად, მშენებლობის ბუფერული ზონები წყლის რესურსებიდან.
საქართველოს კანონი საშიში ნივთიერებებით გამოწვეული ზიანის კომპენსაციის შესახებ	კანონი ადგენს პრინციპებს და პროცედურებს, პასუხისმგებელი პირის ბრალის არსებობის მიუხედავად გარემოზე საშიში ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, გარემოს, ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტების, ქონებისა და ეკონომიკური ინტერესებისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაციისთვის.
კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ	კანონი მიღებული იქნა 2007 წელს და მისი მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. კანონის მოქმედება ა) ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე; ბ) საქართველო ზრუნავს საზღვარგარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე; გ) კულტურული მემკვიდრეობის, კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული საქმიანობის რეგულირების წესი განისაზღვრება ცალკე საკანონმდებლო აქტით. კანონის მე-10 მუხლით დადგენილია, რომ ”თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი გამოავლენს ან აღმოაჩენს კულტურულ მემკვიდრეობას, ან ამის შესახებ გაუჩნდება საფუძვლიანი ვარაუდი, ისეთი საქმიანობის პერიოდში, რომლის გაგრძელებამაც შეიძლება დააზიანოს, გაანადგუროს ან ამის საფრთხე შეუქმნას მას, საქმიანობის მწარმოებელი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აღნიშნული საქმიანობა და კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენის ან აღმოჩენის ან ამის შესახებ საფუძვლიანი ვარაუდის არსებობისა და საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე წერილობით აცნობოს სამინისტროს არა უგვიანეს 7 დღისა”. პროექტის საქმიანობის განხორციელებისას საჭიროა აღნიშნული კანონს დაცვა.
წითელი ნუსხა და წითელი წიგნი	კანონი მიღებული იქნა 2003 წელს და ადგენს წითელი ნუსხის და წითელი წიგნის სამართლებრივ განმარტებას და აწესრიგებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“

რეგულაცია	აღწერა
	შედგენის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში სამართლებრივ ურთიერთობებს, გარდა გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველებითა და ველური მცენარეებით საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივ საკითხებისა, რომლებიც საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში რეგულირდება „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის საფუძველზე.
საქართველოს კანონი ცხოველთა სამყაროს შესახებ	კანონი მიღებული იქნა 1996 წელს და ის მიზნად ისახავს ფაუნის დაცვას. კანონი ასევე ითვალისწინებს მათი საბინადრო გარემოს, სამიგრაციო გზების, გამრავლების არეალების დაცვას, უზრუნველყოფს ველური ცხოველების მდგრად გამოყენებას და ქმნის სამართლებრივ საფუძველს მათი in-situ და ex-situ კონსერვაციისთვის. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისა და ხეების ჭრის დროს პროექტი დაიცავს აღნიშნულ კანონს. შემოთავაზებული შემამსუბუქებელი ზომები მოიცავს ადგილსპეციფიკურ მოკვლევას ნებისმიერი სამშენებლო / ხე-ტყის ჭრის სამუშაოს დაწყებამდე, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედება.

4.1.2 ტყის კოდექსი და სატყეო პოლიტიკა

სატყეო სექტორის რეფორმა 2013 წელს დაიწყო. სატყეო სექტორის რეფორმის მიზანია (ა) ტყითსარგებლობისა და ტყის მართვის არსებული მიდგომების შეცვლა, (ბ) ტყის მართვის ერთიანი სამართლებრივი სისტემის შემუშავება და (გ) ტყის მართვის ორგანოების ინსტიტუციური და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ევროპული სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტით (ENPI) აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის სატყეო სექტორში კანონიერების დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესების მეორე პროგრამის (FLEG II) ფარგლებში და მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით, ადგილობრივმა ექსპერტებმა დაიწყეს ახალი "ტყის კოდექსის" და შესაბამისი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების შემუშავება. პროცესი განხორციელდა ეროვნული სატყეო პროგრამის ფარგლებში, ფართო სპექტრის დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით. ახალ ტყის კოდექსს შემოაქვს მთელი რიგი ახალი სოციალურ, გარემოსდაცვითი და ტყის კატეგორიზაციის პრინციპი, რომლებიც ძირითადად ტყის მდგრადი მართვისკენ არის მიმართული. ახალი ტყის კოდექსი ასევე ითვალისწინებს საერთაშორისო მნიშვნელობის ეკოლოგიური ქსელების შექმნას (ზურმუხტის ქსელი, რამსარის საიტები, ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი საიტები) და მათ მართვას საკონსერვაციო მიზნით. ეს მიდგომა ახალია საქართველოსთვის. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში ხე-ტყის უკანონო ჭრის საკითხი გაცილებით უფრო ვრცლად არის განხილული.

2016 წელს ახალმა ტყის კოდექსმა გაიარა რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასება (SESA). საერთო ჯამში, დოკუმენტი და მისი განვითარების პროცესი ძირითადად დადებითად შეფასდა, და მოსალოდნელია, რომ ახალი კანონმდებლობა მნიშვნელოვან სარგებელს მოიტანს გარემოს დაცვის თვალსაზრისით. სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების შედეგების თანახმად, ტყის კოდექსის პროექტს აქვს ასევე „პოტენციალი, იქცეს გარდამტეხ ელემენტად, რომლის საშუალებითაც აჩქარებული ტყის დეგრადაციის და არასათანადო მართვის მავნე წრე შეიცვლება ბუნებრივი რესურსებით გონივრული სარგებლობით მდგრადობის პრინციპის საფუძველზე“. ახალი ტყის კოდექსი საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა 2020 წლის მაისში. ამ პროექტის მთავარი დანიშნულებაა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერა სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელებაში.

სექტორის მთავარი მარეგულირებელი დოკუმენტი ახლა 2020 წელს დამტკიცებული საქართველოს ტყის კოდექსია (იხ. ცხრილი 4-2).

ცხრილი 4-2: სატყეო სექტორთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო

რეგულაცია	აღწერა
ტყის კოდექსი	2020 მიღებული ტყის კოდექსი აწესრიგებს ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს (მუხლი 1). მისი მიზნებია: „ა) საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება; ბ) თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება; გ) ტყის რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება; დ) ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ტყის მდგრადი მართვა.“ (მუხლი 2). ტყის კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს ტყეების მდგრადი მართვის პრინციპებს, „ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების გათვალისწინებით“. ეს პრინციპებია: ა) ტყის მართვის პროცესში გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფს მისი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას; ბ) ტყის მართვის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს ტყის ფუნქციური დანიშნულება, რათა ტყის ერთი

	ფუნქციით სარგებლის მიღებამ არ გამოიწვიოს ტყის სხვა ფუნქციის დეგრადაცია; გ) ტყის მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება უნდა ეფუძნებოდეს ტყის მდგრად მართვას. ტყით საერთო სარგებლობის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ტყის ყველასთვის ხელმისაწვდომობა; დ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით ტყის არასატყეო მიზნით გამოყენებისას უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები, გარდა ამ კოდექსით დადგენილი გამონაკლისებისა." (მუხლი 4, პარაგრაფი 1). კოდექსში ასევე აღნიშნულია, რომ „ტყის მდგრადი მართვის შეფასება და ანგარიშგება ხორციელდება „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შესახებ" დებულებით განსაზღვრული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება მდგრადი განვითარების პრინციპებს და ევროპის ტყეების დაცვის მინისტრთა კონფერენციის („ევროპის ტყე") მიერ მიღებულ „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს". (მუხლი 2, პარაგრაფი 2). ახალი ტყის კოდექსის დამტკიცების შემდეგ საქართველოს მთავრობა მუშაობს მისი მოქმედებისთვის საჭირო თანმხლები საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის რეგულაციებისა და კანონქვემდებარე აქტების განახლებაზე.
კანონი ტყის ფონდის მართვის შესახებ	კანონი მიღებულია 2011 წელს და ის აწესრიგებს ტყის ფონდის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც განეკუთვნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (ყოფილი MoENRP) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სატყეო სააგენტოს კომპეტენციას. ის მოიცავს ეროვნული სატყეო სააგენტოს მთავარ მიზნებს და ამოცანებს ტყის ფონდის მართვაში, ფონდის მართვისას სააგენტოს უფლებამოსილებებს, და ინფორმაციას სააგენტოს იურიდიულ სტატუსთან დაკავშირებით (და განმარტავს, რომ ეროვნული სატყეო სააგენტოს შემოსავალი შეიძლება უშუალოდ გამოყენებული იქნას სააგენტოს დაფინანსებისთვის). შემდეგ კოდექსი განსაზღვრავს ტყით სარგებლობის ნებადართულ ტიპებს (ტყის კოდექსისა და ტყითსარგებლობის შესახებ წესის შესაბამისად) და ტყითმოსარგებლის ვალდებულებებს, სხვა მუხლებთან ერთად.
კონცეფციები და პროგრამები	
ეროვნული სატყეო კონცეფცია	კონცეფცია, რომელიც შემუშავდა 2013 წელს, ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: ▪ ტყის მდგრადი მართვის პრინციპი. ▪ სიფრთხილის პრინციპი ტყის დაცვითი ფუნქციებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შესანარჩუნებლად.

	▪ "ყველა ტყე ადგილობრივია". ▪ მარეგულირებელი, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა. ▪ მარეგულირებელი, მართვის და ზედამხედველობის ფუნქციების გამიჯვნა. ▪ სატყეო სექტორი, როგორც სახელმწიფოს მდგრადი განვითარების შემადგენელი ნაწილი. კონცეფცია განსაზღვრავს ეროვნულ პრიორიტეტებსა და მოქმედებებს ტყის მართვის სფეროში: ▪ ტყის მართვის დაგეგმვა: დეგრადირებული ტყეების აღდგენა; ტყის აღდგენა; და მდგრადი ტყითსარგებლობა. ▪ ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება. ▪ ტყის საკუთრება, მართვა და ტყით სარგებლობის უფლება. ▪ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან ადაპტაცია.
ეროვნული სატყეო პროგრამა	განვითარდა 2013 წელს, ხელს უწყობს საქართველოში სატყეო სექტორის რეფორმის განხორციელებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვით. შეიქმნა რამდენიმე თემატური სამუშაო ჯგუფი მიმდინარე მუშაობის ხელშესაწყობად. ხელს უწყობდა ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებას, და მართვის დონის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავებას ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვისთვის.

4.1.3 ენერგეტიკული პოლიტიკა

ამჟამად საქართველოს არ გააჩნია ყოვლისმომცველი ენერგეტიკული სტრატეგია. შეიძლება ითქვას, ენერგეტიკული სექტორის განვითარების ზოგადი სტრატეგიული ჩარჩო სამ მთავარ პრიორიტეტს უკავშირდება:

- ევროკავშირში გაწევრიანება და ენერგეტიკული ბაზრისა და კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიახლოება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია GCF-ის ამ პროექტისთვის, რამდენადაც ეს ითვალისწინებს ევროკავშირის ძირითად დირექტივებთან მიახლოებას ენერგოეფექტურობის სფეროში;
- ენერგეტიკული დამოუკიდებლობა ბუნებრივი აირის და ნავთობპროდუქტების რუსეთიდან იმპორტისგან; და
- ელექტროენერგიის მეზობელ ქვეყნებში (განსაკუთრებით თურქეთში) ექსპორტიდან შემოსავლის მიღება და მწარმოებელი ქვეყნებიდან - რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ბუნებრივი აირის, ნავთობისა და ელექტროენერგიის ტრანსპორტირებაში ფიზიკური შუამავლის როლის შესრულება.

ქვემოთ განხილულია ენერგეტიკასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო და სტრატეგიული დოკუმენტები

ცხრილი 4-3: ენერგეტიკასთან დაკავშირებული ძირითადი კანონმდებლობა საქართველოში

რეგულაცია	აღწერა
ენერგოეფექტურობის კანონი	ევროკავშირის ენერგოეფექტურობის დირექტივის განხორციელება (EED - 2012/27/EU), ეხმარება საქართველოს, შეასრულოს ენერგეტიკული გაერთიანების ხელშეკრულებითა და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, და მიაღწიოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმით (NEEAP) დასახულ მიზნებს. კანონის ჩვენთვის მნიშვნელოვანი ელემენტებია: ▪ ენერგოეფექტურობის სააგენტოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ინვესტიციებს და მონიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის განხორციელებას (მათ შორის ენერგოეფექტურობა შენობებში, ენერგეტიკული ნიშანდება და ეკოდიზაინის მოთხოვნები) ▪ ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) განხორციელება, რომელიც ეროვნულ დონეზე ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლების დამდგენი დოკუმენტია ▪ საჯარო უწყებების მოთხოვნა, შეიძინონ ენერგოეფექტური აღჭურვილობა, სადაც ეს შესაძლებელია (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პასუხისმგებლობა) ▪ ენერგოეფექტურობის წლიური გეგმის მოთხოვნა მუნიციპალიტეტებში (მუნიციპალიტეტების პასუხისმგებლობა, თუმცა ენერგოეფექტურობის სააგენტოსგან იქნება ხელშეწყობა) ▪ ინტერნეტ ქსელზე დაფუძნებული მონიტორინგის, ანგარიშგების და ვერიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბების გეგმა (ენერგოეფექტურობის სააგენტოს პასუხისმგებლობა) ▪ ენერგოეფექტურობის ხელშეკრულებებისთვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა ▪ ენერგო აუდიტორების სერთიფიცირების პროგრამების შექმნის და მათ შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების მოთხოვნა (საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის პასუხისმგებლობაა სერთიფიცირების ორგანიზაციების დამტკიცება) ▪ მოთხოვნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებაში არსებული და მის მიერ დაკავებული შენობების 1%, 500 მ2-ზე მეტი სარგებლობაში მყოფი ფართობით, ყოველწლიურად უნდა განახლდეს ენერგოეფექტურობის სტანდარტების შესაბამისად (ჩამონათვალი გამოქვეყნდება კანონქვემდებარე დოკუმენტებით და ენერგოეფექტურობის სტანდარტები გახდება შენობების ენერგოეფექტურობის განმსაზღვრელი კანონქვემდებარე დოკუმენტების ნაწილი) (პასუხისმგებლობა ეკისრება ენერგოეფექტურობის სააგენტოს) ▪ ენერგიის საბოლოო მომხმარებლებში ენეგოეფექტურობის წახალისება, ცნობიერების ამაღლების, ფინანსური ზომების და ტრენინგების მეშვეობით.

კანონი შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ	შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ დირექტივასთან (EPBD) დაახლოება. ეს მოიცავს შემდეგ სპეციფიკურ დებულებებს: ▪ მოეთხოვება გაყიდულ ან ქირით/იჯარით გაცემულ კერძო შენობებს და ყველა საჯარო შენობას, რომლის საერთო ფართი 500 m^2-ს აღემატება (2023 წლის 30 ივნისიდან 250 m^2-მდე შემცირდება) და რომელსაც ხშირად სტუმრობენ გარეშე პირები, და რომლებსაც არ გააჩნიათ ენერგოეფექტიანობის სერტიფიკატი. ▪ შენობების ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნების დადგენა ენერგიის პირველად მოხმარებაზე ახალი შენობებისთვის, ან შენობებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია უტარდება - ხარჯ-ოპტიმალურ დონემდე. ▪ ყველა ახალი შენობა უნდა აკმაყოფილებდეს თითქმის ნულოვანი ენერგომოხმარების შენობის მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ხარჯ- ეფექტიანობის მაჩვენებელი უარყოფითია ▪ ქვაბების რეგულარული ინსპექტირების მოთხოვნა ▪ საჯარო განათლების ხელშეწყობა შენობების ენერგოეფექტიანობის საკითხზე და ენერგოეფექტიანობის წახალისების დაფინანსების ღონისძიებებს მიმოხილვა შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ დირექტივის (EPBD) სრულფასოვანი განხორციელებისთვის ასევე საჭიროა სხვადასხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები.
კანონი განახლებადი ენერგიის შესახებ (ამჟამად პროექტის სახით, კანონის მიღება მოსალოდნელი 2019 დასაწყისში ან შუა ნაწილში, შემუშავდება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სემეკის და / ან ადგილობრივი ხელისუფლების გარკვეული დელეგირებული პასუხისმგებლობებით)	ღია საკითხების განსაზღვრა და განახლებადი ენერგიის დირექტივასთან დაახლოება. პროექტის შესაბამისი დებულებები მოიცავს: ▪ მოთხოვნა, რომ დადგინდეს სამიზნე მაჩვენებლები განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ▪ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში ახალი შენობებისა და დასახლებებისთვის განახლებადი ენერგიის დამონტაჟების ხელშეწყობა ▪ განახლებადი ენერგიის განმარტება (ბიომასის ჩათვლით) ▪ 2025 წლიდან ახალი ან არსებითად გარემონტებული შენობებისთვის და 2022 წლიდან საჯარო შენობებისთვის განახლებადი ენერგიის მოთხოვნა ▪ ბიომასის ღუმელებისთვის, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს კონვერსიის ტექნოლოგიებს, რომლებიც უზრუნველყოფს კონვერსიის ეფექტურობის მიღწევას სულ მცირე 85%-ით საყოფაცხოვრებო და კომერციული გამოყენებისთვის და სულ მცირე 70%-ით სამრეწველო გამოყენებისთვის ▪ მზეზე მომუშავე წყლის გამათბობლებისთვის, მთავრობამ ხელი უნდა შეუწყოს სერთიფიცირებული აღჭურვილობისა და ევროპულ სტანდარტებზე დაფუძნებული სისტემების გამოყენებას, სადაც ეს არსებობს, მათ შორის ეკო ეტიკეტები, ენერგეტიკული ეტიკეტები და ევროპული სტანდარტიზაციის ორგანოების მიერ დადგენილი სხვა ტექნიკური სისტემები. ▪ განახლებად ენერგიაზე ტრენინგის მოწყობის / საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა, განახლებადი ენერგიის

	მემონტაჟეების სერთიფიცირების პროგრამების შემუშავების მოთხოვნა (მცირე ზომის ბიომასის ქვაბები და ღუმელები, მზის ფოტოვოლტური და მზის თერმული სისტემები, ზედაპირული გეოთერმული სისტემები და თბური ტუმბოები), შეიძლება შეიცავდეს სერტიფიცირებული მემონტაჟეების სიებს ▪ მთავრობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სახელმძღვანელო ხელმისაწვდომი იყოს როგორც დამგეგმავებისა და არქიტექტორებისთვის, ასევე ყველა შესაბამისი აქტორისთვის, რათა მათ შეეძლოთ სათანადოდ გაითვალისწინონ განახლებადი ენერგიის წყაროების, მაღალეფექტური ტექნოლოგიების და ცენტრალური გათბობისა და გაგრილების სისტემების ოპტიმალური კომბინაცია, სამრეწველო ან საცხოვრებელი ადგილების დაგეგმვის, პროექტირების, მშენებლობისა და განახლებისას. ▪ მთავრობამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული სამთავრობო ორგანოების მონაწილეობით, უნდა შეიმუშაოს ინფორმირების, ცნობიერების ამაღლებას, სახელმძღვანელო ან სასწავლო პროგრამები, რათა საქართველოს მოქალაქეებს ინფორმაცია მიაწოდოს განახლებადი ენერგიით სარგებლობის უპირატესობებისა და პრაქტიკულობის შესახებ. ▪ ადგენს წარმოშობის სერთიფიკატების სამართლებრივ საფუძველს
საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების სამუშაო დოკუმენტი (დოკუმენტის შემუშავება დაიწყო 2015 წელს და დღემდე მიმდინარეობს, პროცესს ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)	მიზნად ისახავს ერთიანი, გრძელვადიანი სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბებას, რაც 2030 წლისთვის მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავების საფუძველი გახდება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს განახლებადი ენერგიის რესურსების გამოყენებას. საქართველოს ენერგეტიკულ პოლიტიკაში განსაზღვრულია ცხრა სტრატეგიული ენერგეტიკული მიმართულება, რომელთაგან სამი უკავშირდება მდგრად ენერგიას: ▪ საქართველოს განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისება; ▪ ენერგოეფექტიანობისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება და განხორციელება; ▪ საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოს ეტაპობრივი დაახლოება და, საბოლოოდ, ჰარმონიზება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ენერგეტიკის დარგში. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების განვითარება მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილების პრობლემის გადაჭრისა და ქვეყნის სუფთა ენერგიით უზრუნველყოფისთვის, ასევე იმპორტირებულ ენერგომატარებლებზე ქვეყნის დამოკიდებულების შემცირებისთვის. განახლებადი ენერგეტიკული რესურსების სექტორში ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს სტრატეგიული მიზანია. ენერგოეფექტიანობისადმი მისი ინტეგრირებული მიდგომის თვალსაზრისით, საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა ითვალისწინებს ენერგიის ინტენსივობის შემცირებას

	ენერგიაზე მოთხოვნილების მართვის (Demand-side management (DSM)) სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით. ენერგიაზე მოთხოვნილების მართვის ხელშესაწყობად, საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს და ენერგოეფექტიანობის პროგრამების შექმნა, ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების და აღჭურვილობის დანერგვისა და განვითარებისთვის.
საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (პირველი ვერსია თარიღდება 2006 წლით, განახლებული ვერსია - 2015 წლით)	განახლებული ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია გრძელვადიანი ერთიანი სახელმწიფო ხედვის შემუშავება, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედება მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავებას 2030 წლისთვის, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქართველოს განახლებადი ენერგიის რესურსების გამოყენებას.
სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები	
საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEEAP) (შემუშავდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სავარაუდოდ დამტკიცდება 2019 წლის დასაწყისში, და გავრცელდება 2019–2021 წლების პერიოდზე).	მოიცავს 2021, 2025, და 2030 წლებისთვის საქართველოს ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამიზნე მაჩვენებლებს. ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მოცემული კონკრეტული ზომებიდან, პროექტისთვის არსებითია: ▪ შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ დირექტივის (EPBD) / ენერგოეფექტურობის სტანდარტების მიღება და დანერგვა შენობებში (ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა) ▪ ენერგოეფექტურობის ღონისძიებების განხორციელება სკოლებში, საბავშვო ბაღებში და სხვა საჯარო შენობებში (დაფინანსდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან / სესხით + დონორული გრანტებით) ▪ ბიომასის ეფექტური ღუმელების მხარდაჭერა (დაფინანსება დონორული გრანტებით) ▪ მზეზე მომუშავე წყლის გამათბობლების მხარდაჭერა (დაფინანსება დონორული გრანტებით)
ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 2017-2020წწ.)	სამოქმედო გეგმის შემუშავება განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის წყაროებიდან ელექტროენერგიის ათვისებისთვის და კანონმდებლობის შექმნა ენერგოეფექტურობის ღონისძიებების ხელშესაწყობად – უფრო დეტალურად აღწერილია ამ ცხრილის სხვა ნაწილში. პროექტისთვის არსებითი კონკრეტული აქტივობებია: ▪ განახლებადი ენერგიის სამოქმედო გეგმა ფოკუსირებულია განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ელექტროენერგიის წარმოებაზე / განახლებადი ენერგიით გათბობასა და გაგრილებაზე/ტრანსპორტის სექტორში განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე. დოკუმენტი პროექტია, რომელიც სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის დამტკიცდება.

	▪ მსგავსად, ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა [NEEAP], მინისტრთაშორისი საკონსულტაციო პროცესის დასკვნით ეტაპზეა. ორივე სამოქმედო გეგმაში გაწერილია მოთხოვნები შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩოების შექმნის, ინსტიტუციური მოწყობის ცვლილების და დამხმარე სქემების შექმნისათვის, ბიომასის ეფექტური ღუმელების და მზეზე მომუშავე წყლის გამათბობლების მხარდასაჭერად. შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ კანონი შემუშავდა და 2018 წლის შემოდგომაზე წარედგინა პარლამენტს. ის საქართველოს პარლამენტმა 2020 წლის მაისში დაამტკიცა ენერგოეფექტურობის შესახებ კანონთან ერთად. განახლებადი ენერგიის კანონის პროექტის და ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საერთო კანონის შემუშავება დასრულებულია და ისინი პარლამენტს წარედგინება 2019 წლის მარტში.
საქართველოს მყარი ბიოსაწვავის განვითარების სახელმწიფო სტრატეგია (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტრატეგიის პროექტი მოამზადა 2017 წელს, ამჟამად განხილვის პროცესშია)	სტრატეგიის მთავარი მიზანია, საქართველოში მყარი ბიომასის ნარჩენების გამოყენების ხელშეწყობა. სტრატეგია განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს და სახელმწიფო ღონისძიებებს მყარი ბიოსაწვავის წარმოებისა და მოხმარების მხარდასაჭერად საქართველოში. სტრატეგიის ძირითადი მიმართულებებია: ▪ სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა წყაროებიდან მყარი ბიომასის ნარჩენების მდგრადი მართვა და მიწოდების უზრუნველყოფა; ▪ მყარი ბიოსაწვავის წარმოებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და ბიზნესს პროცესების ხელშეწყობა; ▪ ბიომასის ნარჩენებიდან მიღებულ ენერგიაზე მოთხოვნის და მდგრადი წარმოების მხარდაჭერა. სტრატეგიაში განხილულია შემდეგი საკითხები: პასუხისმგებელი ორგანოს განსაზღვრა, საკანონმდებლო ჩარჩოში შესატანი ცვლილებები (განახლებადი ენერგიის კანონმდებლობა, გადასახადები, მყარი ბიოსაწვავის ბიზნესის საგადასახადო სტიმულირება, ნარჩენების მართვა); სტანდარტიზაცია (ბიომასის და საწვავის სტანდარტების დანერგვა), აგრეთვე, სათანადო წარმოებისა და მოხმარების ტექნოლოგიები; მოთხოვნის სტიმულირება; ინოვაციური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა, ცნობიერების ამაღლება და ცოდნისა და უნარების გაღრმავება; დაფინანსების მოძიება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან და კლიმატის ფონდებიდან; მდგრადი წარმოების პროცესების განვითარება.

4.1.4 სტრატეგიები და პროგრამები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია პროექტისთვის არსებითი ცენტრალური და რეგიონული სტრატეგიები და გეგმები:

ცხრილი 4-4: სხვა კოდექსები, სამოქმედო გეგმები და ცენტრალური და რეგიონული სტრატეგიები

სტრატეგია	აღწერა
საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020 (2014-2020)	სტრატეგის მესამე ძირითადი პრინციპი ეფუძნება ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფას და ბუნებრივი კატაკლიზმების რისკების თავიდან აცილებას. ის აღიარებს კლიმატის ცვლილების უარყოფით გავლენას ქვეყნის ეკონომიკაზე. ენერგოეფექტურობასა და ალტერნატიულ საწვავთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებებია: ქვეყნისთვის, ენერგორესურსების დაზოგვის მიზნით, ხელი შეეწყობა ენერგოეფექტურობის ზრდას და მისი უზრუნველყოფისთვის, შესაბამისი საკანონმდებლო მექანიზმების შემუშავებას საერთაშორისო და ევროპული ნორმების შესაბამისად. ენერგიის ეფექტიანი გამოყენება, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის და რესურსების რაციონალური გამოყენებისთვის, ასევე, პერსპექტივაში ენერგიაზე გაწეული დანახარჯების შემცირებისთვის. ბუნებრივი გაზის ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეგიონებში; საქართველოს მთავრობა გააგრძელებს სოფლების გაზიფიცირებას, ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას და უშუქო სოფლების ელექტრიფიცირებას. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების სათბობ-საწვავად გამოყენების შემცირებას და სოციალური ფონის გაუმჯობესებას რეგიონებში. ტყეებთან დაკავშირებული კონკრეტული დებულებებია: ტყის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ვინაიდან ეკონომიკის ძირითადი სექტორები დამოკიდებულია ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზე (მაგ. სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკის, ტურიზმისა და სხვა სექტორების განვითარება).
საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგია	სტრატეგიას აქვს სამი მიზანი, რომლებიც ორგანიზებულია შესაბამისი სექტორების მიხედვით: ▪ მიზანი 1 - კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორები. - ამოცანები: (I) ფერმერთა და მეწარმეთა ცოდნის/ინფორმირებულობის ამაღლების უზრუნველყოფა; (II) სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო

	ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების უზრუნველყოფა, დივერსიფიკაციაზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, კოოპერაციაზე, მწარმოებელთა გაერთიანებების ხელშეწყობაზე ფოკუსირების გზით; ფინანსურ ინსტრუმენტებზე გაზრდილი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; (IV) ფერმერთა/მეწარმეთა ბაზარზე ინტეგრაცია; (V) სოფლად ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების სტიმულირება; (VI) ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; (VII) ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება; (VIII) სოფლად ტურიზმისა და შესაბამისი ტურისტული პროდუქტების განვითარება. ▪ მიზანი 2 - ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია - ამოცანები: (I) გარემოსთან ადაპტირებული, კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება და ბიო/ორგანული წარმოების განვითარების ხელშეწყობა; (II) ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა; (III) ტყის რესურსების მდგრადი გამოყენება; (IV) ენერგო-ეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა; (V) აგრო-ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება. ▪ მიზანი 3 - სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეფექტური სისტემები - ამოცანები: (I) ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს სანიტარიული და ფიტოსანიტარიული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოება; (II) ადგილობრივი და საექსპორტო ბაზრებისთვის მიწოდებული პროდუქციის შესაბამისობის უზრუნველყოფა სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ სტანდარტებთან; (III) ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერება; (IV) სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებების ხარისხის უზრუნველყოფა.
საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2018-2021	საშუალოვადიანი სტრატეგიული ხედვა რეგიონული განვითარების მხარდასაჭერად, რომელიც ფოკუსირებულია ინტეგრირებულ ტერიტორიულ ინვესტიციებზე, ტერიტორიულად დიფერენცირებული პოტენციალის გათვალისწინებით. უზრუნველყოფს თანმიმდევრულ ჩარჩოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობისათვის საჯარო და კერძო ინვესტიციებისთვის. პროგრამის ფარგლებში ძირითადი ღონისძიებები მოიცავს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარებას და განახლებადი ენერგიის პოტენციალის გაფართოებას, ბუნებრივი რესურსების დაცვას და ხელშეწყობას. აღნიშნულია, რომ ამჟამინდელი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა აფერხებს რეგიონულ განვითარებას და ხაზგასმულია სოფლების გაზიფიცირების პროცესის გაგრძელების, და

	განახლებადი ენერგიისა და ალტერნატიული საწვავის ხელშეწყობის საჭიროება. სატყეო სექტორი განსაზღვრულია "მაღალი პოტენციალის მქონე სექტორად", რომელიც უნდა გაძლიერდეს, განსაკუთრებით კახეთის, გურიის, მცხეთა-მთიანეთის და რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონებში. ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარება ასევე მიჩნეულია რეგიონული განვითარების პრიორიტეტულ სფეროებად.
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 (NEAP 3)	ასახავს 2017 – 2021 წლების პერიოდში განსახორციელებელ რიგ მოქმედებებს, მათ შორის ტყის კოდექსის განახლება (რომელიც დამტკიცდა 2020 წელს), ალტერნატიული საწვავი რესურსების (ბიომასა) მოსახლეობისა და საჯარო უწყებებისთვის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. და „დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგიის" (LEDS) შემუშავება, რომელიც მოიცავს ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებს. პროგრამაში ასევე განხილულია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულებები (ორწლიანი განახლებული ანგარიშები, ეროვნული შეტყობინებები, კლიმატის ცვლილების სტრატეგია).
2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (NBSAP)	განსაზღვრავს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სტრატეგიას და კონკრეტულ მოქმედებებს 2014-2020 წლების პერიოდისთვის. საქართველოს ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა მოიცავს 20 მიზანს („აიტის ბიომრავალფეროვნების მიზნები") ხუთი სტრატეგიული მიზნის ფარგლებში. ეს სტრატეგიული მიზნებია: ა) ბიომრავალფეროვნების კარგვის გამომწვევი ძირეული მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლა სამთავრობო სტრუქტურებისა და საზოგადოების საქმიანობაში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გზით; ბ) ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზეწოლის შემცირება და მდგრადი სარგებლობის ხელშეწყობა; გ) ბიომრავალფეროვნების სტატუსის გაუმჯობესება ეკოსისტემური, სახეობრივი და გენეტიკური მრავალფეროვნების დაცვის გზით; დ) ბიომრავალფეროვნებისგან და ეკოსისტემური მომსახურებებისგან თითოეული ადამიანის მიერ მიღებული სარგებლის გაზრდა; ე) განხორციელების გაუმჯობესება თანამონაწილეობითი დაგეგმვის, ცოდნის მენეჯმენტისა და შესაძლებლობების გაძლიერების გზით.
გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა, 2014-2022	პროგრამა განსაზღვრავს გაუდაბნოებასთან ბრძოლის სტრატეგიასა და პრიორიტეტულ მოქმედებებს 2014-2022 წლების პერიოდისთვის. დოკუმენტში დასახელებულია საქართველოში გაუდაბნოებასთან ბრძოლის სუსტი მხარეები, მათ შორის: არასაკმარისი დაფინანსება, მოსახლეობის გაუთვითცნობიერება და სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. პრიორიტეტულ აქტივობებს შორისაა: 1) შესაძლებლობების განვითარება, 2) ტყის ფართობების დაცვა, აღდგენა და გაზრდა, 3) ადგილობრივი თემების როლის გაზრდა გაუდაბნოებასთან ბრძოლაში (მ.შ. ადგილობრივი თემებისთვის ალტერნატიული ენერგიის წყაროების უზრუნველყოფა), 4) გაუდაბნოების საშიშროების ქვეშ მყოფი ზონების / ტერიტორიების გამოვლენის გაუმჯობესება; 5) ნიადაგების ინვენტარიზაციის და

	მდგომარეობის შეფასების გაუმჯობესება, და 6) ეროზიისა და მიწის არამდგრადი მართვის წინააღმდეგ ზომების მიღება, მიწათსარგებლობის სექტორში მიწების მდგრადი მართვის დანერგვის გაძლიერების გზით.
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (2014წ.)	საქართველოს ორგანული კანონია და შესაბამისად უპირატესობა აქვს სხვა კანონებსა და სამართლებრივ აქტებთან. ის განსაზღვრავს „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.“ განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ცნებას, მუნიციპალიტეტების ძალაუფლებას და თვითმმართველობასთან დაკავშირებულ სხვა ძირითად საკითხებს. მუნიციპალური ტყეებისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების ჩართვა ახალ ტყის კოდექსში არსებითად ამ კანონის გაგრძელებას და ამოქმედებას ემსახურება, რომელიც დეტალურად ასახავს თვითმმართველი ერთეულების სამართლებრივად განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ბუნებრივ რესურსებთან, მათ შორის ტყეებთან დაკავშირებით.
მერების შეთანხმება	2008 წელს ევროკავშირმა დაიწყო მერების შეთანხმების (Covenant of Mayors (COM)) პროცესი. შეთანხმების ხელმომწერი ქალაქები ვალდებულებას იღებენ 2020 წლისათვის ემისიები მინიმუმ 20%-ით შეამცირონ საკუთარ ტერიტორიაზე. ქალაქებმა უნდა შეიმუშაონ მდგრადი ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმები (SECAPs), მოახდინონ მათი განხორციელების მონიტორინგი და შემცირებული ემისიების ანგარიშგება. ოცდასამი ქართული ქალაქი მერების შეთანხმების ხელმომწერია და მონაწილეობს პროგრამაში. პროექტის 8-ვე სამიზნე მუნიციპალიტეტი შეთანხმების ხელმომწერია; თიანეთი, ახმეტა, თელავი, დედოფლისწყარო, ყვარელი, ლანჩხუთი, ჩოხატაური, და ოზურგეთი.
რეგიონული გეგმები	
კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021წწ.)	აღწერს რეგიონის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს, განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებს და მიზნებს. პროექტის საქმიანობა შეესაბამება რეგიონის განვითარების მიზნებს, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სფეროში.
მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021წწ.)	აღწერს რეგიონის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს, განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებს და მიზნებს. პროექტის საქმიანობა შეესაბამება რეგიონის განვითარების მიზნებს, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სფეროში.

გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2021წწ.)	აღწერს რეგიონის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შესაძლებლობებს, განსაზღვრავს პრიორიტეტულ სფეროებს და მიზნებს. პროექტის საქმიანობა შეესაბამება რეგიონის განვითარების მიზნებს, განსაკუთრებით გარემოს დაცვის სფეროში.

4.1.5 საერთაშორისო და რეგიონული გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები

ქვემოთ ჩამოთვლილია საქართველოში მოქმედი რეგიონული და საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები:

- კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ (CMS) (1979 წ. ბონის კონვენცია);
- კონვენცია ჭარბტენიანი ტერიტორიების შესახებ (1971 წ. რამსარის კონვენცია);
- კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES კონვენცია, 1973 წ. ვაშინგტონი, ა.შ.შ.);
- როტერდამის კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ (როტერდამი, 1998 წ.);
- კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (11 თებერვალი, 2000 წ.);
- კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (რიო-დე-ჟანეირო, 1992);
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (ნიუ-იორკი, 1994);
- პარიზის შეთანხმება კლიმატის ცვლილების შესახებ (შეთანხმება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ფარგლებში. რატიფიკაციისთვის სათბურის გაზების 03%. ხელმოწერის თარიღი - 22 აპრილი 2016 წ. (7 ივნისი 2017 წ.).
- ვენის კონვენცია ოზონის შრის დაცვის შესახებ (ვენა, 1985 წ.); ➢ ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის ოქმი ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ (მონრეალის ოქმი, 1987 წ.);
- ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის პეკინის შესწორება (პეკინი, 1999 წ.);
- ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის კოპენჰაგენის შესწორება (კოპენჰაგენი, 1992 წ.);
- ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ლონდონის შესწორება (ლონდონი, 1990 წ.);
- გაეროს კონვენცია გაუდაბნოებასთან ბრძოლის შესახებ იმ ქვეყნებში, რომლებიც განიცდიან სერიოზულ გვალვას და/ან გაუდაბნოებას, განსაკუთრებით აფრიკაში (17 ივნისი, 1994 წ.);

- ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენციით გათვალისწინებული, შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და მიმდებარე ატლანტის ოკეანის მცირე ვეშაპისებრთა დაცვის შესახებ შეთანხმება (ბონი, 1996);
- სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ (სტოკჰოლმი, 2001 წ.);
- კონვენცია შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ (ჟენევა, 1979 წ.);
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენციის ბიოუსაფრთხოების კარტახენას ოქმი (2000 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია გემებიდან დაბინძურების პრევენციის შესახებ (მარპოლის კონვენცია) (ლონდონი, 1973 წ.);
- კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ (ბუქარესტი, 1992 წ.);
- გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმი (კიოტო)
- გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის კიოტოს ოქმის B დამატების შესწორება (6 მარტი 2007 წ.);
- ბაზელის კონვენცია სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვისა და განთავსების კონტროლის შესახებ (ბაზელი, 1989 წ.);
- ველური ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ კონვენციის შეთანხმება ევროპის ღამურების პოპულაციების დაცვის შესახებ (1991 წ.);
- ველური ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ კონვენციის შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ (The Hague, 1979);
- კონვენცია შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ (ბუქარესტი, 1992 წ.);
- კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ (1996 წ.);
- ხმელეთზე განლაგებული წყაროებისა და საქმიანობებისაგან შავი ზღვის საზღვაო გარემოს დაცვის შესახებ ოქმი (2009 წ.);
- ენერეგტიკული ქარტიის ოქმი ენერგოეფექტურობისა და გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (1995 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია ღია ზღვაში ნავთობით ავარიული დაბინძურების შემთხვევაში ჩარევის შესახებ (1969 წ.);
- ნავთობით დაბინძურებით მიყენებული ზიანის კომპენსაციისთვის საერთაშორისო ფონდის დაფუძნების შესახებ 1971 წლის კონვენციაში ცვლილებების შეტანის შესახებ 1992 წლის ოქმი;
- საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს კონვენცია (1982 წ.);
- შეთანხმება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC-ის) წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შემთხვევებში სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში და სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებაში თანამშრომლობის შესახებ (1998 წ.);
- შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC-ის) წევრი ქვეყნების მთავრობებს შორის ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის კატასტროფების შემთხვევებში

სასწრაფო დახმარების აღმოჩენაში და სასწრაფო საპასუხო ზომების მიღებაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დამატებით ოქმი (2006 წ.);

- შავი ზღვის დაბინძურებისაგან დაცვის შესახებ კონვენციის შავი ზღვის ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ლანდშაფტის შენარჩუნების შესახებ ოქმი (2002 წ.);
- ლანდშაფტის ევროპული კონვენცია (2000 წ.);
- საერთაშორისო კონვენცია ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ (1969 წ.);
- ნავთობით დაბინძურების შედეგად მიყენებული ზარალისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო კონვენციის ოქმი (1976 წ.);
- კონვენცია ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ (1999 წ.);
- მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია (IPPC) (FAO-ს კონფერენცია, 1997 წ.);
- გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ (1997 წ.);
- ნარჩენებით და სხვა მასალით ზღვის დაბინძურების პრევენციის შესახებ 1972 წლის კონვენციის 1996 წლის ოქმი;
- კონვენცია ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვების და გამოყენების აკრძალვის და მარაგების განადგურების შესახებ (1993 წ.);
- ნავთობის დაღვრაზე მზადყოფნის, მასზე რეაგირებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კონვენცია (OPRC)(1990 წ.);
- კონტინენტური შელფზე დაფუძნებული ფიქსირებული პლატფორმების უსაფრთხოების წინააღმდეგ უკანონო აქტივობების აღკვეთის შესახებ ოქმი (1988 წ.);
- კონვენცია ბირთვული ავარიის შემთხვევაში ადრეული შეტყობინების შესახებ (1986 წ.);
- შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ 1979 წლის კონვენციის ოქმი ევროპაში ჰაერის დამაბინძურებლების შორ მანძილებზე გავრცელების მონიტორინგისა და შეფასების ერთობლივი პროგრამის გრძელვადიანი დაფინანსების შესახებ (EMEP) (1984 წ.);
- კონვენცია ბირთვული ნივთიერებების ფიზიკური დაცვის შესახებ (1980 წ.).
- კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (1979 წ.);
- ოქმი ღია ზღვაში ჩარევის შესახებ ნავთობისგან განსხვავებული ნივთიერებებით დაბინძურების შემთხვევაში (1973 წ.);
- მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის საერთაშორისო კონვენცია (UPOV) (1961 წ.);
- მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის შეთანხმება სანიტარული და ფიტოსანიტარული. ზომების გამოყენების შესახებ (1994 წ.);
- გადაწყვეტილება მომსახურებებით ვაჭრობისა და გარემოს შესახებ (1994 წ.);
- გადაწყვეტილება ვაჭრობისა და გარემოს შესახებ (1994 წ.);
- ხელშეკრულება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის კულტურულ მცენარეთა გენეტიკური

რესურსების შენარჩუნებისა და გამოყენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ (1999 წ.)

- დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელშეკრულება სახიფათო და სხვა ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვების შესახებ (1996 წ.); და
- მინამატას კონვენცია ვერცხლისწყლის შესახებ (2013 წ.).

4.1.6 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება

2014 წლის ივლისში საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას. ამ ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილია ***„ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება"***. ასოცირების შეთანხმების 233-ე მუხლით, **„მხარეები აღიარებენ ტყის კონსერვაციის უზრუნველყოფის, მისი მდგრადი მართვის მნიშვნელობას და ტყის წვლილს მხარეთა ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების მიღწევაში"**. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან ინფორმაციის გაცვლაზე, რაც მოიცავს ინფორმაციის გაცვლას ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების მიხედვით. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისი მოთხოვნების შესრულების მიზნით, მთავრობამ დაიწყო ახალი ტყის კოდექსის შემუშავება, რომელიც დამტკიცდა 2020 წელს.

4.1.7 მდგრადი განვითარების მიზნები

- 2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს წევრმა ქვეყნებმა მიიღეს მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, სიღარიბის აღმოფხვრის, პლანეტის დაცვის და კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით, როგორც მდგრადი განვითარების ახალი დღის წესრიგის ნაწილი. მდგრადი განვითარების მიზნებით განზრახულია ათასწლეულის განვითარების მიზნებზე (MDG) უფრო ფართო სპექტრის მოცვა და იმის დასრულება, რაც ათასწლეულის განვითარების მიზნებით ვერ იქნა მიღწეული. მთავრობები, კერძო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება მდგრადი განვითარების მიზნების დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენს.
- 2015 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო მდგრადი განვითარების მიზნები, 99 ამოცანისა და 200-ზე მეტი ინდიკატორის ჩათვლით. 2030 წლისთვის მთავრობა მიზნად ისახავს 169-ვე ამოცანის მიღებას. ცხრილი 4-5 აღწერილია მდგრადი განვითარების მიზნებთან მიმართებაში პროექტის წვლილი.

ცხრილი 4-5: მდგრადი განვითარების მიზნები და პროექტი (GIZ-ის მიერ ჩატარებული განხორციელებადობის კვლევა)

მდგრადი განვითარების მიზნის №	მდგრადი განვითარების მიზნის ამოცანა	პროექტის აქტივობა
მიზანი 1: სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა.	- 1.2: 2030 წლისათვის ნებისმიერი ფორმით სიღარიბეში მცხოვრები ყველა ასაკის	- პროექტს გრძელვადიანი ეფექტები ექნება ეკონომიკურად დაუცველი სოფლის რეგიონების

	მამაკაცების, ქალებისა და ბავშვების პროპორციული ოდენობის სულ მცირე განახევრება, ქვეყანაში დადგენილი განმარტებების შესაბამისად - 1.4: 2030 წლისთვის უზრუნველყოფილ იქნას, რომ ყველა მამაკაცსა და ქალს, განსაკუთრებით სიღარიბეში მყოფ და მოწყვლად პირებს, ჰქონდეთ თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში, ასევე უზრუნველყოფილ იქნას მათი ხელმისაწვდომობა საბაზისო მომსახურებებზე, მიწისა და ქონების სხვა ფორმების მფლობელობასა და მართვაზე, მემკვიდრეობაზე, ბუნებრივ რესურსებზე, სათანადო უახლეს ტექნოლოგიებსა და ფინანსურ სერვისებზე, მათ შორის მიკროსაფინანსო მომსახურებაზე - 1.5: 2030 წლისთვის ღარიბი და მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მდგრადობის განვითარება და კლიმატთან დაკავშირებული ექსტრემალური მოვლენების და სხვა ეკონომიკური, სოციალური და გარემოსთან დაკავშირებული სტრესებისა და კატასტროფების მიმართ მათი დაუცველობისა და მოწყვლადობის შემცირება	მოსახლეობისთვის. ტყის მდგრადი მართვა უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური განვითარებისათვის (მოკლევადიანი სარგებლის ნაცვლად გრძელვადიან სარგებელზე ორიენტირება). - გარდა ამისა, ენერგოეფექტურობის ზომების შედეგად, ადამიანები ისარგებლებენ ენერგიის დანახარჯების შემცირებით. ეს გააუმჯობესებს საცხოვრებელ პირობებსაც და ადამიანებს წვდომას მისცემს შესაბამის ახალ ტექნოლოგიებზე. - პროექტი ასევე ითვალისწინებს სატყეო (ტყის ღირებულებითი ჯაჭვების ჩათვლით) და ენერგეტიკის სექტორებში უნარების განვითარებას და სამუშაო ადგილების შექმნას, რაც ამცირებს სიღარიბეს შესაბამის რეგიონებში. კომპონენტი 3 ფოკუსირებული იქნება ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებსა და სოფლის დაუცველ მოსახლეობაზე, მხარს დაუჭერს ტყის დეცენტრალიზებულ მართვას მუნიციპალურ დონეზე, უნარების განვითარებას და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებით სარგებლობის შესაძლებლობებს.
მიზანი 3. ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის. .	- 3.9: 2030 წლისთვის სახიფათო ქიმიური ნივთიერებებისა და ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შედეგად სიკვდილისა და ავადმყოფობის შემთხვევათა რაოდენობის მნიშვნელოვნად შემცირება	- სახლებში თანამედროვე, ეფექტური ღუმელების დაყენებას გავლენა ექნება ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რადგან სახლებში ჰაერის დაბინძურება შემცირდება.

მიზანი 4. ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	- 4.2: 2030 წლისთვის ყველა გოგონასა და ბიჭისთვის ადრეულ ასაკში განვითარების, ზრუნვისა და სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რათა ისინი მზად იყვნენ დაწყებითი განათლებისათვის (ინდიკატორი: 5 წლამდე ასაკის ბავშვების წილი, რომლებიც განვითარებული არიან ჯანმრთელობის, სწავლისა და ფსიქოსოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით, სქესის მიხედვით) - 4.3 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ტექნიკური, პროფესიული და საშუალო და უმაღლესი განათლების, მათ შორის საუნივერსიტეტო განათლების, უზრუნველყოფა - 4.4 2030 წლისთვის იმ ახალგაზრდებისა და ზრდასრული ადამიანების რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდა, რომელთაც აქვთ დასაქმებისთვის, ღირსეული სამუშაოსთვის და მეწარმეობისთვის შესაფერისი უნარები, მათ შორის ტექნიკური და პროფესიული უნარები	- სახლებში ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების დადებითი გვერდითი მოვლენა იქნება ბავშვებში სწავლის უნარების გაუმჯობესება - პროექტის მეშვეობით მხარდაჭერილი იქნება ტექნიკური პროფესიული განათლება და ტრენინგი (TVET) სატყეო სპეციალისტებისთვის (კომპონენტი 1), სასწავლო გეგმის გაუმჯობესება და ტყის ახალ კოდექსთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა. პროფესიული განათლების მხარდაჭერა ხდება ასევე კომპონენტი 3-ის ფარგლებში, ადგილობრივი ტყითმოსარგებლეების განათლებისა და პროფესიული ტრენინგის გასაძლიერებლად ტყესთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებთან დაკავშირებულ თემებზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ტყითმოსარგებლეებისთვის ცოდნასა და ტრენინგზე ხელმისაწვდომობისა გაზრდას, შესაძლებლობების განვითარებას და მაღალი ხარისხის მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფას. საბოლოო ჯამში, ეს ძალისხმევა ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის უნარების ჩამოყალიბებას დასაქმების, ღირსეული სამუშაო ადგილების და მეწარმეობისთვის.
მიზანი 5. გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება	- 5.4: აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობის აღიარება და დაფასება საჯარო სერვისების, ინფრასტრუქტურისა და სოციალური დაცვის მომსახურების უზრუნველყოფის და საოჯახო მეურნეობასა და ოჯახში საზიარო	- ქალები განსაკუთრებით მიიღებენ სარგებელს ტყის მართვის გეგმებიდან, რადგან რესურსები, რომლებზეც ისინი დამოკიდებული არიან, დაცულ იქნება. პროექტი ხელს შეუწყობს მათ მონაწილეობას ტყის მართვის დაგეგმვის აქტივობებში, რაც უზრუნველყოფს, რომ ტყის მართვის გეგმები სათანადოდ ითვალისწინებდეს ორივე სქესის

	პასუხისმგებლობის დამკვიდრების მეშვეობით - 5.5: პოლიტიკურ, ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა სრული და ეფექტიანი მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების ყველა დონეზე ლიდერობისათვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა - 5.ა: რეფორმების გატარება იმ მიზნით, რომ ქალებს მიენიჭოთ მამაკაცების თანასწორი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე, ასევე წვდომა მიწისა და სხვა ფორმის ქონების, ფინანსური სერვისების, მემკვიდრეობისა და ბუნებრივი რესურსების ფლობაზე და კონტროლზე, ეროვნული კანონების შესაბამისად - 5.ბ: მოწინავე ტექნოლოგიების, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოება ქალთა გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით	საჭიროებებს. ასევე, პროექტს შეუძლია ქალების უფლებების გაძლიერება ტყესა და მიწის რესურსეთან დაკავშირებით. სამუშაო შეხვედრა, რომელიც გენდერული ცნობიერების ამაღლებას მოიცავს, ხელს შეუწყობს დაბრკოლებების გადალახვას, რომლებიც აფერხებს ქალთა ჩართულობას. კონფლიქტის შერბილებისთვის საკონსულტაციო საბჭოების და/ან მესამე მხარის საარბიტრაჟო მიდგომების პოტენციური განვითარება ასევე მოხდება გენდერულად მგრძნობიარე გზით და ხელს შეუწყობს კონფლიქტების გადაწყვეტას, სარგებლის განაწილებას და ტყის მართვასთან, სოციალურ, გარემოსდაცვით და გენდერული ზემოქმედებასთან, გარანტიებთან და რისკებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. - ენერგოეფექტურობის გაზრდის შედეგად ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება განსაკუთრებით დაეხმარება ქალებს, რადგან ისინი ჩვეულებრივ უფრო მეტ დროს ატარებენ სახლში. - ქალი მეწარმეებისა და ქალების ხელმძღვანელობაში არსებული ბიზნესების მხარდაჭერა ბიზნეს გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში, და განათლებისა და უნარების განვითარებაში ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების კუთხით (ხე-ტყის პროდუქტები, ტყის არამერქნული პროდუქტები, ეკოტურიზმი). ეს ხელს შეუწყობს მათ ეკონომიკურ გაძლიერებას, შექმნის შემოსავლის ახალ წყაროებს ქალებისთვის და დამატებით შესაძლებლობებს სატყეო სექტორში (სადაც ქალები

		არაპროპორციულად არიან წარმოდგენილნი).
მიზანი 6. წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო უზრუნველყოფა.	- 6.6: 2020 წლისთვის წყლის რესურსებთან დაკავშირებული ეკოსისტემების დაცვა და აღდგენა, მათ შორის მთების, ტყეების, მდინარეებისა და ტბების	- ნიადაგის დაცვაში, წყლის შენარჩუნებასა და წყალრეგულირებაში ტყეების როლიდან გამომდინარე, ისინი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს წყალმომარაგებაზე. პროექტი ხელს უწყობს მათ შენარჩუნებას. .
მიზანი 7. ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა.	- 7.1: 2030 წლისთვის ხელმისაწვდომ, საიმედო და თანამედროვე ენერგომომსახურებაზე საყოველთაო წვდომის უზრუნველყოფა - 7.3: 2030 წლისთვის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გლობალური მაჩვენებლის გაორმაგება -7.ბ: 2030 წლისათვის ინფრასტრუქტურის გაფართოება და ტექნოლოგიის განახლება თანამედროვე და მდგრადი ენერგომომსახურების მისაწოდებლად ყველა განვითარებადი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის, მცირე კუნძულოვანი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის და ჩაკეტილი განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებსაც ზღვაზე გასასვლელი არ გააჩნიათ, მათი შესაბამისი პროგრამების მხარდაჭერის საფუძველზე	- პროექტი მხარს დაუჭერს თანამედროვე ენერგო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობას, რაც ხელს შეუწყობს მდგრადობას და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას. - ენერგოეფექტურობაში ინვესტირება შეამცირებს ადგილობრივი მოსახლეობის ენერგეტიკულ სიღარიბეს და უზრუნველყოფს ენერგიის მდგრად წყაროებზე წვდომას.
მიზანი 8. სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტიული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის.	- 8.3: განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის წახალისება, რომელიც ხელს შეუწყობს საწარმოო საქმიანობას, ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, მეწარმეობას, კრეატიულობას და ინოვაციას, და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ჩამოყალიბებისა და ზრდის წახალისებას, მათ შორის	- იქმნება ახალი სამუშაო ადგილები სატყეო სექტორში. გარდა ამისა, ტყის მდგრადი მართვის განხორციელება ხელს უწყობს ჯანსაღი ეკოსისტემების და მათი ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, რაც უმნიშვნელოვანესია ეკოტურიზმისთვის, რომელსაც საქართველოში განვითარების მაღალი პოტენციალი აქვს. აქედან

	ფინანსურ მომსახურებაზე მათი წვდომის უზრუნველყოფის მეშვეობით - 8.5: 2030 წლისთვის ყველა ქალისა და მამაკაცისათვის, მათ შორის ახალგაზრდებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, სრული და პროდუქტიული დასაქმების და ღირსეული სამუშაოს, ასევე თანასწორი ღირებულების სამუშაოსთვის თანასწორი ანაზღაურების მიღწევა - 8.8: შრომითი უფლებების დაცვა და უსაფრთხო და დაცული შრომითი გარემოს შექმნა ყველა მომუშავე პირისთვის, მათ შორის მიგრანტი მუშაკებისთვის, განსაკუთრებით კი მიგრანტი ქალებისა და არასაიმედოდ დასაქმებულებისათვის - 8.9: 2030 წლისთვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება მდგრადი ტურიზმის მხარდასაჭერად - რომლის შედეგად იქმნება სამუშაო ადგილები და ხდება ადგილობრივი კულტურისა და პროდუქტების პოპულარიზაცია	გამომდინარე, პროექტი ხელს უწყობს ტურიზმის სექტორში დასაქმებას. გარდა ამისა, ტყის მდგრადი მართვის კონცეფციები მოიცავს პერსონალის შრომის სტანდარტებს. ასევე, სამუშაო პირობების მონიტორინგი ხელს უწყობს შრომითი უფლებების დაცვას. - სატყეო სექტორში მდგრადი ღირებულებითი ჯაჭვების განვითარების მხარდაჭერა ასევე შექმნის შემოსავლის ახალ წყაროებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განათლებისა და უნარების განვითარებასთან ერთად. - პროექტის მიერ განხორციელებული მონაწილეობითი მექანიზმები, როგორიცაა საჩივრების განხილვის მექანიზმი და ტყის მონაწილეობითი მართვის მიდგომა, გაზრდის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, გარდა ამისა, ხელს შეუწყობს სატყეო სექტორში ინკლუზიურობას და ეკონომიკურ განვითარებას.
მიზანი 12. მდგრადი მოხმარებისა და წარმოების მახასიათებლების უზრუნველყოფა.	- 12.2: 2030 წლისთვის ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისა და ეფექტური გამოყენების მიღწევა -12.7: მდგრადობაზე ორიენტირებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეწყობა ეროვნული პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად (ინდიკატორი: მდგრადი საჯარო შესყიდვების პოლიტიკის და სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი ქვეყნების რაოდენობა)	- გაუმჯობესებული ენერგეტიკული კონცეფციის საშუალებით, პროექტი ხელს შეუწყობს ბუნებრივი რესურსების (ამ შემთხვევაში საწვავის) უფრო ეფექტურ გამოყენებას და მდგრად მოხმარებას. - პროექტის მიერ მხარდაჭერილი ტყის მდგრადი მართვა, კიდევ უფრო მეტად გარდაქმნის ხე-ტყის და ტყის არამერქნული პროდუქტების წარმოებას საქართველოში, მდგრად მართვაზე გადასვლით ახალი ტყის კოდექსის შესაბამისად. - პროექტი ხელს შეუწყობს მდგრადი წარმოებისა და მოხმარების პრაქტიკას

		სატყეო სექტორში სხვადასხვა საშუალებებით, როგორიცაა სატყეო განათლება, პროფესიონალთა და ადგილობრივი მოსახლეობის ტრენინგი, და ტყესთან დაკავშირებული მდგრადი ღირებულებითი ჯაჭვების და შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება ადგილობრივი ტყითმოსარგებლეებისა და მცირე და საშუალო ბიზნესისთვის.
მიზანი 13. კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება.	- 13.1: კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეებისა და სტიქიური უბედურებების მიმართ მდგრადობის გაძლიერება ყველა ქვეყანაში - 13.2: კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში -13.3: განათლების გაუმჯობესება, ცნობიერების ამაღლება და ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების ზრდა კლიმატის ცვლილების შერბილების, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის, ზემოქმედების შემცირებისა და წინასწარი გაფრთხილების მიმართულებით	- პროექტი გამოიწვევს ემისიების 5.2 მილიონი ტონა CO2eq-ით შემცირებას, 250,000 ჰა-ზე ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის განხორციელებით. ამით მიღწეული იქნება UNCCCC-ში საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის სამიზნე მაჩვენებელი - გარდა ამისა, პროექტი ხელს შეუწყობს ტყის ეკოსისტემებში კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობის შეფასებას, რაც სასარგებლო ცოდნა იქნება ტყის მართვის დაგეგმვისთვის და კლიმატის ცვლილებისადმი-მდგრადი, ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკისთვის. - პროექტის მიერ განხორციელებული ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმებსა და ინდიკატორებში შეტანილი მართვის პრაქტიკები გააძლიერებს ტყეების მდგრადობას კლიმატის ცვლილებისადმი (მაგ., ადგილობრივი და ადაპტირებული მდგრადი სახეობების ხელშეწყობა, ტყის ხანძარების პრევენცია და გაუმჯობესებული მართვა, მავნებლებისა და დაავადებების მართვის გაუმჯობესება და ა.შ.)

მიზანი 15. ხმელეთის ეკოსისტემების დაცვა, აღდგენა და მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა, ტყეების მდგრადი მართვა, გაუდაბურების აღკვეთა, ნიადაგის დეგრადაციის შეჩერება და აღდგენა-გაუმჯობესება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.	- 15.1 2020 წლისთვის საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნას ხმელეთის და შიდა მტკნარი წყლების ეკოსისტემების კონსერვაცია, აღდგენა და მდგრადი გამოყენება - 15.2 2020 წლისათვის ყველა ტიპის ტყის მდგრადი მართვის ხელშეწყობა, გაუდაბნოების შეჩერება, დეგრადირებული ტყეების აღდგენა და ტყის გაშენებისა და აღდგენის ზრდა გლობალური მასშტაბით - 15.3 2030 წლისთვის გაუდაბნოებასთან ბრძოლა, დეგრადირებული მიწისა და ნიადაგის აღდგენა, მათ შორის, გაუდაბნოების, გვალვისა და წყალდიდობების შედეგად დაზიანებული მიწების; მსოფლიოში ნიადაგის დეგრადაციის ნეიტრალური მაჩვენებლისკენ სწრაფვა - 15.4 2030 წლისთვის უზრუნველყოფილი იქნას მთის ეკოსისტემების კონსერვაცია, მათი ბიომრავალფეროვნების ჩათვლით, რათა გაიზარდოს მათი შესაძლებლობები იმ სარგებლის მიღების მიზნით, რაც აუცილებელია მდგრადი განვითარებისათვის - 15.5, დაუყოვნებელი და მნიშვნელოვანი ზომების მიღება ბუნებრივი ჰაბიტატების დეგრადაციის შესამცირებლად, ბიომრავალფეროვნების კარგვის შესაჩერებლად და 2020 წლისთვის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და მათი გადაშენების თავიდან აცილება	- პროექტი დანერგავს ტყეების მდგრად მართვას, რაც განაპირობებს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური მომსახურებების დაცვას 270,000 ჰექტარზე. - ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვით გათვალისწინებული მართვის ღონისძიებები ხელს შეუწყობს ენდემური სახეობების დაცვას და დეგრადირებული ტყეების აღდგენასა და განახლებას. ვინაიდან საქართველოს ტყეების 98% მთიან და მაღალმთიან ტერიტორიებზე მდებარეობს, პროექტი ხელს უწყობს მთის მოწყვლადი ეკოსისტემების დაცვას.

	- 15.ა ფინანსური რესურსების ყველა შესაძლო წყაროდან მობილიზება და მოცულობის მნიშვნელოვნად ზრდა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება - 15.ბ მნიშვნელოვანი რაოდენობის რესურსის მობილიზება ყველა წყაროდან და ყველა დონეზე ტყის მდგრადი მართვის დასაფინანსებლად და განვითარებადი ქვეყნებისათვის ადეკვატური სტიმულების შესაქმნელად, რომ მოხდეს მდგრადი მართვის დანერგვა, მათ შორის კონსერვაციისა და აღდგენისთვის	
მიზანი 16. მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების განვითარება ყველა დონეზე.	-16.7: სწრაფი რეაგირების უნარის მქონე, ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის უზრუნველყოფა ყველა დონეზე	- აღნიშნულს განსაკუთრებით შეუწყობს ხელს გენდერული ცნობიერების ამაღლების ნაწილი პროექტში, რამდენადაც პროექტი მოიცავს ქალთა ჩართულობის და მათი ეკონომიკური და სოციალური სტატუსის გაძლიერებას. პროექტის მიერ გამოყენებული მონაწილეობითი მიდგომა, მათ შორის სექტორზე ორიენტირებული GRM-ის დანერგვა, ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ტყის მართვის ინსტიტუტების განვითარებას მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე.

4.2 კლიმატის მწვანე ფონდის მოთხოვნები და სტანდარტები

4.2.1 კლიმატის მწვანე ფონდი (GCF) / საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC)

GCF გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების შემუშავების და დასრულების პროცესშია. გარანტიები გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის (ESMS) ნაწილია. იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ GCF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა

მომზადდება, აკრედიტებულმა ერთეულებმა უნდა დაიცვან GCF-ის შუალედური უსაფრთხოების სტანდარტები; ეს მოიცავს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შესრულების სტანდარტებს (Performance Standards), რომლებიც აღწერილია 4.2.1.1 თავში. გარანტიები და პოლიტიკა ეხმიანება ზემოქმედების შერბილების იერარქიას, რომელიც სცდება " ზიანის არ მიყენებას", შემდეგი სახით:

1. ადამიანებსა და გარემოზე მავნე ზემოქმედებისა და რისკების წინასწარ განჭვრეტა და თავიდან აცილება;
2. თუ კი თავიდან აცილება შეუძლებელია, მავნე ზემოქმედებისა და რისკების მინიმუმამდე დაყვანა ხდება მათი შემცირების ზომების საშუალებით;
3. დარჩენილი რისკების და ზემოქმედებების შერბილება; და
4. იმ შემთხვევაში, თუ თავიდან აცილების, მინიმუმამდე დაყვანის ან შერბილების ზომები არ არის ხელმისაწვდომი ან არ არის საკმარისი, და თუ საკმარისი მტკიცებულება არსებობს, პროექტის განხორციელების დასასაბუთებლად და ხელშესაწყობად, ისეთი ზომების შემუშავება და განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს აღდგენასა და გამოსწორებას, დარჩენილი რისკების და ზემოქმედებების შესაბამის კომპენსაციამდე.

GCF-ის დირექტორთა საბჭომ დამატებით დაამტკიცა მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკა (დადგენილება GCF.B.19/11). მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკა ვრცელდება GCF-ზე, აკრედიტებულ პირებზე და ეროვნულ დანიშნულ ორგანოებზე (NDA). პოლიტიკა მოიცავს მკაცრ გარანტიებს ყველა პროექტის / პროგრამისთვის, რომელიც მოიცავს მკვიდრ მოსახლეობას (IP).

როგორც ეს მოცემულია გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკაში (GCF / B.19 / 06, დანართი II), GCF არ დაუჭერს მხარს ისეთ საქმიანობას, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონებს, მათ შორის ქვეყნის კანონებსა და / ან ქვეყნის ვალდებულებებს (რომლებიც უშუალოდ ვრცელდება პროექტის საქმიანობაზე) შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ფარგლებში. ამრიგად, გარანტიები უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის პოლიტიკას, კანონებს და რეგულაციებს, მაგრამ თუ ისინი ნაკლებად მკაცრია, ვიდრე შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები ან კონვენციები, მაშინ ეს უკანასკნელი გამოიყენება.

GCF-მა დაამტკიცა ასევე გენდერული პოლიტიკა (GCF.B09 / 23, დანართი XIII), რომელსაც შემდეგი ძირითადი მიზნები აქვს:

- კლიმატის ცვლილებისადმი ქალთა და მამაკაცთა მდგრადობის და გამკლავების უნარების თანაბრად გაძლიერება და ფონდის მიერ მხარდაჭერილ საქმიანობაში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობის და ამ საქმიანობიდან მათი თანაბარი სარგებლობის უზრუნველყოფა;
- ფონდის მიერ დაფინანსებული ადაპტაციისა და შერბილების ღონისძიებებთან დაკავშირებით, პროექტის / პროგრამის მიერ შეფასებული ქალთა და მამაკაცთა პოტენციური რისკების და ზემოქმედებების აღმოფხვრა და შემცირება; და

- კლიმატის ცვლილების შედეგად გამწვავებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით მოწყვლადობაში გენდერული უთანასწორობის შემცირების ხელშეწყობა.

ამ პროექტისათვის ცალკე შემუშავდა გენდერული შეფასება და გენდერული სამოქმედო გეგმა, რომლებიც უფრო დეტალურად აღწერს გენდერული სპეციფიკის რისკებს, ზემოქმედებებს, რისკების თავიდან აცილებისა და შერბილების ზომებს (იხ. დაფინანსების შეთავაზების დანართები 8ა და 8 ბ).

IFC-ის შესრულების სტანდარტები (IFC PS)

IFC-მ შეიმუშავა და გამოაქვეყნა პოლიტიკა, რომელიც კონკრეტულად ვრცელდება კერძო სექტორში მის მიერ განხორციელებულ ინვესტიციებზე (იხ.ცხრილი 4-6). ეს მოიცავს:

- ინფორმაციის მიწოდების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს IFC-ის ვალდებულებებს, წარმოადგინოს ინფორმაცია დაწესებულებისა და მისი საქმიანობის შესახებ.
- სოციალური და გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს IFC-ის როლს და პასუხისმგებლობას პროექტის შესრულების მხარდაჭერაში, პროექტის სპონსორებთან პარტნიორობით.

ცხრილი 4-6: IFC IFC-ის მდგრადობის პოლიტიკა

	მოთხოვნები	განხორციელება
ინსტიტუციური დონე (IFC)	ინფორმირების პოლიტიკა მდგრადობის პოლიტიკა	გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის პროცედურა
პროექტის დონეები	8 შესრულების სტანდარტი	8 სახელმძღვანელო მითითება გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები საუკეთესო პრაქტიკის მასალები

IFC-ის შესრულების სტანდარტები (IFC PS), რომლებიც პირველად გამოქვეყნდა 2006 წლის აპრილში და განახლდა 2012 წლის იანვარში, განიხილება, როგორც სტანდარტების ყოვლისმომცველი ნაკრები, რომელიც ხელმისაწვდომია კერძო სექტორთან მომუშავე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისთვის. შესრულების სტანდარტები განსაზღვრავს პროექტის როლს და პასუხისმგებლობებს ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და საზოგადოებრივი საკითხების მართვაში, IFC-ის მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ქვემოთ წარმოდგენილია შესრულების სტანდარტების შეჯამება:

- **შესრულების სტანდარტი 1 – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შეფასება და მართვა:** ეს სტანდარტი მიზნად ისახავს პროექტის სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებების იდენტიფიცირებას და შეფასებას, კუმულაციური ან / და სექტორული ზემოქმედებების ჩათვლით. ის მიზნად ისახავს ტექნიკურად და ფინანსურად განხორციელებადი ალტერნატივების შესწავლას და ადამიანებზე ნებისმიერი გარდაუვალი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებას, მინიმუმამდე შემცირებას დ მართვას. ის მოითხოვს ოფიციალური გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შემუშავებას, რომელშიც ასახული იქნება შესრულების სტანდარტების პრინციპები. ის განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის დონეს სხვადასხვა გარემოებებში და თუ ზემოქმედებას დაქვემდებარებული თემების გარდა ვინ უნდა იყოს ჩართული. ის ხელს უწყობს გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების გაუმჯობესებას მართვის ეფექტური სისტემების და შესრულების პერიოდული შეფასების საშუალებით. დაბოლოს, ის პასუხისმგებლობას აკისრებს კერძო სექტორს, ადამიანის უფლებების დაცვაზე.

- შესრულების I სტანდარტში განხილულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიზანი, რომელიც გულისხმობს პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ჯგუფებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებას და შენარჩუნებას. ჩართულობის ფორმა და სიხშირე უნდა შეესაბამებოდეს ამ ჯგუფებთან დაკავშირებულ რისკებსა და უარყოფით ზემოქმედებას. ჩართულობისას უნდა გამოირიცხოს გარედან მანიპულაცია, ჩარევა, იძულება და დაშინება, ის უნდა ჩატარდეს დროულად, სათანადო, გასაგები და ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.
- პროექტის შესახებ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება ზემოქმედებას დაქვემდებარებულ თემებს დაეხმარება პროექტთან დაკავშირებული რისკების, ზემოქმედებების და შესაძლებლობების გააზრებაში. თუ პროექტით მოსალოდნელია შესაბამის თემებზე უარყოფითი ზემოქმედება ან რისკები, პროექტის მესვეურებმა უნდა უზრუნველყონ მათთვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. კერძოდ, პროექტის შემსრულებელმა უნდა წარმოადგინოს პროექტის მიზანი, სახე და მასშტაბები, შეთავაზებული საპროექტო საქმიანობის ხანგრძლივობა და ნებისმიერი რისკი და პოტენციური ზემოქმედება შესაბამის თემებზე.
- თუ პროექტის მხრიდან მოსალოდნელია რისკები ან უარყოფითი ზემოქმედება შესაბამის თემებზე, კონსულტაცია უნდა ჩატარდეს ისე, რომ ამ თემებს საშუალება მიეცეს გამოხატონ თავიანთი შეხედულებები პროექტის რისკების, პოტენციური ზემოქმედების, და შემოთავაზებული შემარბილებელი ზომების შესახებ. პროექტის შემსრულებლებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ მათ მოსაზრებებს პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ზემოქმედებას დაქვემდებარებულ მოსახლეობასთან კონსულტაციები უნდა დაიწყოს ადრეულ ეტაპზე, სოციალური და გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში. ყურადღება უნდა გამახვილდეს რისკებზე და უარყოფით ზემოქმედებებზე და მათი შემსუბუქებისთვის გათვალისწინებულ ზომებსა და აქტივობებზე. კონსულტაციის მეთოდი უნდა იყოს ინკლუზიური და კულტურულად მისაღები.
- **შესრულების სტანდარტი 2 – მუშახელი და სამუშაო პირობები:** ეს სტანდარტი მიზნად ისახავს დაამყაროს, შეინარჩუნოს და გააუმჯობესოს სამუშაო ურთიერთობები პერსონალსა და მენეჯმენტს შორის. ის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს და პერსონალთან სამართლიან მოპყრობას და დაცვას ბავშვთა და / ან იძულებითი შრომის პრაქტიკისგან. ის მოითხოვს, რომ სამუშაო ადგილი უზრუნველყოფდეს უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო პირობებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომლების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ის ადგენს, მიგრანტთა მუშაკთა დასაქმების პირობების შესაბამისობას არამიგრანტი დასაქმებულების პირობებთან. სტანდარტი ასევე ითვალისწინებს ხარისხის მოთხოვნებს დასაქმებულთა საცხოვრებელი პირობებისთვის. გარდა ამისა, ის მოითხოვს პირველადი მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგს და შემოაქვს "უსაფრთხოების" ფაქტორები.
- **შესრულების სტანდარტი 3 – რესურსების ეფექტურობა და დაბინძურება:** ეს სტანდარტი მიზნად ისახავს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას, დაბინძურების მინიმუმამდე შემცირებით

და კლიმატის ცვლილების ხელშემწყობი ემისიების შემცირებით. მას შემოაქვს რესურსების ეფექტურობის კონცეფცია ენერგეტიკის, წყლის (მათ შორის, მიუღებელი წყლის სტრესი) და ძირითადი მასალებისთვის. ენერგოეფექტურობის და სათბურის აირების გაზომვის მოთხოვნები მნიშვნელოვანია, ისევე როგორც სახიფათო ნარჩენების განკარგვასთან დაკავშირებული "მოვლის მოვალეობის" კონცეფცია.

- **შესრულების სტანდარტი 4 – საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა:** ეს სტანდარტი ზღუდავს ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედებას და რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პროექტის ყველა ეტაპთან, მათ შორის განსაკუთრებული პირობების შემთხვევებთან. ის მოითხოვს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების შეფასებას პროექტის ყველა ეტაპზე და პრევენციული ზომების განხორციელებას რისკისთვის შესაბამის დონეზე. ის ითვალისწინებს რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან ან / და გარდაქმნასთან და კლიმატის ცვლილებასთან, ეკოსისტემური მიდგომით. ის ასევე ითვალისწინებს უსაფრთხოების ზომებით განპირობებულ რისკებს. უსაფრთხოების ზომების განხორციელებისას ხელმძღვანელობა უნდა მოხდეს პროპორციულობის პრინციპებით, კარგი საერთაშორისო საკადრო პრაქტიკით, ქცევის წესებით, ტრენინგით, უსაფრთხოების პერსონალის აღჭურვითა და მონიტორინგით და შესაბამისი კანონმდებლობით. ძალის გამოყენება, როგორც წესი, არ არის სანქცირებული და უნდა ჩამოყალიბდეს საჩივრის პროცედურა, რომ შესაბამის თემებს შესაძლებლობა მიეცეს გამოხატონ პრეტენზია უსაფრთხოების ღონისძიებებთან და უსაფრთხოების პერსონალის მოქმედებებთან დაკავშირებით.
- **შესრულების სტანდარტი 5 – მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება:** ეს სტანდარტი მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს და მინიმუმამდე დაიყვანოს იძულებითი გადასახლება და შეარბილოს პროექტის მიერ მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული გარდაუვალი უარყოფითი ზემოქმედება. აღნიშნული მიიღწევა ეკონომიკური აქტივების დანაკარგის ანაზღაურებისა და საცხოვრებელი პირობების აღდგენის ღონისძიებების სტანდარტით. მიწათსარგებლობის საკითხები არსებითია მდგრადობისთვის და კონსულტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნების არსებობა აუცილებელია. განსახლების ღონისძიებები მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკური და საარსებო პირობების გაუმჯობესებას.
- თუ ადგილი არ აქვს იძულებით განსახლებას, ეს სტანდარტი არ ამოქმედდება. პროექტი არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის შეძენას, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს მიწის შეძენა საქმიანი ეზოების მოსაწყობად. საქმიანი ეზოების მშენებლობა მოხდება სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე, იმ ტერიტორიებზე, სადაც ადგილი არ აქვს ტრადიციულ მიწათსარგებლობას. მოსაწყობი სატყეო გზები მთლიანად სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზეა.
- **შესრულების სტანდარტი 6 – ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა:** ეს სტანდარტი მიზნად ისახავს წონასწორობის დაცვას ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობას შორის. მასში დეტალურად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჰაბიტატების განმარტებები და მათთან დაკავშირებული

მოთხოვნები. ის ადგენს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული კომპენსაციის მკაფიო მოთხოვნებს. საპროექტო უბანზე მდებარეობს გარკვეული მგრძნობიარე ეკოსისტემები და ჰაბიტატები, რომლებიც მნიშვნელოვანია საერთაშორისო მნიშვნელობის ფაუნისა და ფლორის სახეობებისთვის.

- **შესრულების სტანდარტი 7 – მკვიდრი მოსახლეობა:** ეს სტანდარტი ხაზს უსვამს პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობაზე პროექტის უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების საჭიროებას, ან, სადაც თავიდან აცილება შეუძლებელია, ამ ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების ან / და კომპენსირების აუცილებლობას, ისეთი ფორმით, რომელიც შეესაბამება პროექტის რისკებისა და ზემოქმედების მასშტაბებს, მკვიდრი მოსახლეობის მოწყვლადობის ხარისხს, და ისეთი მექანიზმებით, რომლებიც მორგებულია მათ სპეციფიკურ მახასიათებლებზე და მოლოდინებზე.
- ეს სტანდარტი არ ამოქმედდება, რადგან საქართველოში მკვიდრი მოსახლეობა არ არსებობს. მრავალმხრივი განვითარების ბანკების (MDB) მიერ დაფინანსებული საქართველოში განხორციელებული პროექტების ლიტერატურულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ საქართველოში მრავალმხრივი განვითარების ბანკების მიერ განხორციელებული პროექტებიდან არცერთის ფარგლებში არ ამოქმედებულა PS7 ან ექვივალენტური სტანდარტი.
- **შესრულების სტანდარტი 8 - კულტურული მემკვიდრეობა:** ეს სტანდარტი იცავს კულტურული მემკვიდრეობის უბნებს პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედებისგან და ხელს უწყობს ბიზნეს საქმიანობაში კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბარ გაზიარებას. ის კლიენტებისგან მოითხოვს უზრუნველყონ წვდომა კულტურულ ან საკრალურ ადგილებზე.

აღნიშნული შესრულების სტანდარტები და IFC-ის ყველა სახელმძღვანელო დოკუმენტი ხელმისაწვდომია ბმულზე: http://www.ifc.org და თან ახლავს სახელმძღვანელო მითითებები თითოეული შესრულების სტანდარტისთვის.

4.2.2 GIZ-ის გარანტიები

დაგეგმვის ფაზაში, GIZ-ის მიერ განსახორციელებელი პროექტები შეფასდება GIZ-ის გარანტიებისა და გენდერული მართვის სისტემის შესაბამისად.
გარანტიები + გენდერული მართვის სისტემის ფარგლებში დადგენილი გარანტიები თავსებადია IFC-ის შესრულების სტანდარტებთან, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 4-7: GCF/IFC-ის და GIZ-ის სტანდარტების შედარება

GCF/IFC	GIZ
PS1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებების შეფასება და მართვა	GIZ-ის მდგრადობის პოლიტიკა
PS2: მუშახელი და სამუშაო პირობები	ადამიანის უფლებები
PS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია	გარემო, კლიმატის ცვლილების შერბილება **(არ ამოქმედდება)**

PS4: საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა	ადამიანის უფლებები, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით, გარემო, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია
PS5: მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება (არ ამოქმედდება)	ადამიანის უფლებები, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით
PS6: ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა	გარემო, კლიმატის ცვლილების შერბილება (არ ამოქმედდება), კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, ადამიანის უფლებები, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით
PS7: მკვიდრი მოსახლეობა	ადამიანის უფლებები, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით **(არ ამოქმედდება)**
PS8: კულტურული მემკვიდრეობა	გარემო, ადამიანის უფლებები, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით
GCF-ის გენდერული პოლიტიკა	GIZ-ის გენდერული სტრატეგია
GCF მკვიდრ მოსახლეობასთან დაკავშირებული პოლიტიკა	ადამიანის უფლებები

გარანტიები + გენდერული მართვის სისტემა შეიქმნა 2016 წლის დეკემბერში. გარანტიების მიზნებია:

- გარემოსდაცვით, კლიმატის ცვლილების შერბილების და ადაპტაციის, ადამიანის უფლებების, კონფლიქტებსა და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობის და გენდერული თანასწორობის საკითხებში, სისტემა საშუალებას იძლევა უნებლიე უარყოფითი ზემოქმედება იდენტიფიცირებული იქნას ადრეულ ეტაპზე და ასახული იქნას პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ფაზებში მიზნობრივი შემარბილებელი ზომების საშუალებით. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხში, ეს მიდგომა ვრცელდება კლიმატურ პარამეტრებზე დაფუძნებულ გარე რისკებზე (კლიმატის ცვლილება), ხოლო გენდერული თანასწორობის სფეროში, ეს ასევე გულისხმობს პოტენციური დამხმარე ზომების განსაზღვრას. ასევე გათვალისწინებულია კლიენტისთვის სპეციფიკური მოთხოვნები (უპირველეს ყოვლისა, პოტენციური სარგებლის შეფასება გარემოსთან და კლიმატთან მიმართებაში, სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით და ადამიანის უფლებებზე პოზიტიური ზემოქმედების შეფასება).
- ეს საშუალებას იძლევა მოხდეს უნებლიე უარყოფითი ზემოქმედების, კლიმატურ პარამეტრებზე დაფუძნებული გარე რისკებს (კლიმატის ცვლილება) და გენდერული პოტენციალის შემთხვევაში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მონიტორინგი, პროექტის მთელი ციკლის განმავლობაში და შესაძლებელს ხდის, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფ და სათანადო რეაგირებას.

- GIZ-ს უკეთ შეუძლია ინფორმაცია მიწოდება უნებლიე უარყოფითი ზემოქმედების, კლიმატურ პარამეტრებზე დაფუძნებული გარე რისკების (კლიმატის ცვლილება) და გენდერული პოტენციალის შემთხვევაში, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის შესახებ მხარეებისთვის, გარე აუდიტორებსა და საზოგადოებისთვის. ეს ხელს უწყობს GIZის პროექტების ზოგადი ხარისხისა და მდგრადობის გაუმჯობესებას.

GIZ-ის მიერ გამოყენებული გარანტიები მოიცავს:

1. **გარანტიები – გარემო, კლიმატის ცვლილების შერბილება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია:** გარემოსა და კლიმატის უსაფრთხოება მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და კლიმატის ასპექტების სისტემატიურად გათვალისწინებას - როგორც სტრატეგიულ, ისე და ოპერაციულ დონეზე.
2. **გარანტიები – ადამიანის უფლებები:** ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული გარანტიები აღწერს, თუ როგორ ხდება ადამიანის უფლებების დაცვის შეფასება და რა კრიტერიუმები გამოიყენება. შეფასების ფარგლებში მოწმდება ურთიერთქმედებები პროგრამასა და მის კონტექსტს შორის და პროექტის შესაბამისობა ადამიანის უფლებების სტანდარტებთან.
3. **გარანტიები – სენსიტიურობა კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით:** საჭიროა მყიფე და კონფლიქტების ან ძალადობისკენ მიდრეკილ გარემოზე უნებლიე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად ან თავიდან ასაცილებლად.
4. **გარანტიები – გენდერული თანასწორობა:** პოზიტიური და მდგრადი შედეგების მისაღწევად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების აქტიური ხელშეწყობა. ამიტომაც, გენდერული თანასწორობის სფეროში, გარანტიები + გენდერული მართვის სისტემა უფრო შორს მიდის, ვიდრე „ზიანის მიუყენებლობის“ მიდგომის ფარგლებში უნებლიე ზემოქმედებების იდენტიფიცირება და შეფასება.

გარანტიების და გენდერული მართვის სისტემა შეტანილი იქნა GIZ-ის დაკვეთის [commission] მართვის ოთხეტაპიან პროცესში, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ა) 1-ლი ეტაპი: დაკვეთის განსაზღვრა და მომზადება; ბ) მე-2 ეტაპი: შეთავაზების მომზადება და შესყიდვა, გ) მე-3 ეტაპი: დაკვეთის განხორციელება; და დ) მე-4 ეტაპი: დაკვეთის დასრულება.
გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების პროცესის თვალსაზრისით არსებითია 1-ლი და მე-2 ეტაპები:

- 1-ლი ეტაპი: ეს არის სკრინინგის ეტაპი, რათა განისაზღვროს, ექცევა თუ არა პროექტი გარანტიების + გენდერული მართვის სისტემის ფარგლებში. სკრინინგი ხორციელდება GIZ-ის ზემოთ მოცემული ოთხი გარანტიისთვის საკონტროლო სიის [ჩეკლისტი] გამოყენებით და შეფასების საზომად იყენებს რისკების ან პოტენციური სარგებლის დონეს, და სპეციფიკურ კრიტერიუმებს მათი დონის შესაფასებლად.
- მე-2 ეტაპი: თუ პროექტების სკრინინგის შედეგად გამოვლინდება მნიშვნელოვანი პოტენციალი გარემოსდაცვითი ან კლიმატის ვითარების გაუმჯობესებაში ან მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა,

საჭირო გახდება რისკების სიღრმისეული შეფასება. ეს ეხება გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილების შერბილებას და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, სენსიტიურობას კონფლიქტებისა და კონტექსტის თვალსაზრისით. წინამდებარე გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება წარმოადგენს GIZ-ის დაკვეთის მართვის პროცესის მე-2 ეტაპს.

4.3 ეროვნული გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და IFC/GCF-ის შედარება

ამ ნაწილში შედარებულია გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მარეგულირებელი პირობები და გამსესხებლის მოთხოვნები. გასათვალისწინებელია, რომ ამ პროექტის კატეგორია და ტიპი არ საჭიროებს მარეგულირებელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადებას.

ცხრილი 4-8: გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის და IFC/GCF-ის შედარება

საკითხი	GCF/IFC	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	გენდერული სამოქმედო გეგმის ჰარმონიზაცია
გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა, სტანდარტები, რეგულაციები	IFC-ის გარემოსდაცვითი და სოციალური მდგრადობის პოლიტიკა. შესრულების სტანდარტი (PS) მოითხოვს: (i) გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების შეფასება და მართვა (ii) შრომითი პირობები (iii) რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია (iv) საზოგადოებრივი ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და დაცულობა (v) მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება (vi) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა; (vii) მკვიდრი მოსახლეობა (viii) კულტურული მემკვიდრეობა GCF: (i) მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკა (ii) გენდერული პოლიტიკა (i) (ii) გენდერული პოლიტიკა	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი აღწერს ნებართვების გაცემის პროცედურას, გარემოსდაცვითი შეფასების მოთხოვნებს. გარემოსდაცვით შეფასებას.	GIZ-ის პროექტი შეასრულებს საქართველოს რეგულაციებს, IFC-ის შესრულების სტანდარტებს, GCF-ის და GIZ-ის მოთხოვნებს.
სკრინინგი და კატეგორიზაცია	პროექტის სკრინინგი და კატეგორიზაცია საჭიროა,	სკრინინგი ტარდება პროექტის ადრეულ	პროექტს მიენიჭა B კატეგორია, IFC / GCF

საკითხი	GCF/IFC	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	გენდერული სამოქმედო გეგმის ჰარმონიზაცია
	როგორც IFC-ის პროექტის მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედებების შეფასების ნაწილი, IFC-ი ანიჭებს გარემოსდაცვით და სოციალურ კატეგორიას (A, B, ან C, ან FI-1, FI-2, ან FI-3), რომელმაც უნდა აისახოს (i) პროექტით განპირობებული რისკების ან / და ზემოქმედებების მასშტაბები და (ii) IFC-ის ინსტიტუციური მოთხოვნები გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმირებისთვის, IFC-ის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პოლიტიკის შესაბამისად. GCF-ის კლასიფიკაცია შეიცავს A, B, და C კატეგორიებს.	ეტაპზე. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით დადგენილია A და B კატეგორიის საქმიანობების ჩამონათვალი.	/ GIZ-ის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი არ ვრცელდება ამ პროექტზე, რადგან ის არ საჭიროებს გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას.
გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიში	IFC-ის A კატეგორიის პროექტები გადის ოფიციალურ და მონაწილეობითი შეფასების პროცესს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების ყოვლისმომცველი შეფასების გზით, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის ჩათვლით, რომელიც ზოგადად გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ნაწილია. B კატეგორიის პროექტები ასევე გადის სათანადო შეფასების პროცესს, პოტენციური სამომავლო ზემოქმედებების გამოსავლენად და შესაფასებლად.	გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში აუცილებელია დანართ 1-ში ჩამოთვლილი პროექტებისთვის. მე-2 დანართისთვის, პროექტის გზშ-ის საჭიროება განისაზღვრება სკოპინგის პროცედურის საფუძველზე. გზშ-ის ანგარიშის შინაარსობრივი სტრუქტურა მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში	გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება / გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა მიჰყვება IFC / GCF-ის და GIZ– ის მოთხოვნებს. არ არის მარეგულირებელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების მომზადების საჭიროება.

საკითხი	GCF/IFC		გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	გენდერული სამოქმედო გეგმის ჰარმონიზაცია
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და საჯარო კონსულტაცია	არსებითი კონსულტაციის განხორციელება ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ადამიანებთან, და მათი ინფორმირებული ჩართულობის და დაინტერესებულ მხარეთა სპექტრის იდენტიფიცირების ხელშეწყობა. დაინტერესებული მხარეების, პროექტის ზემოქმედებას დაქვემდებარებული ადამიანების და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა პროექტის მომზადების ადრეულ პროცესში და გადაწყვეტილების მიმღებთა მიერ მათი შეხედულებებისა და პრეტენზიების გაცნობისა და გათვალისწინების უზრუნველყოფა. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გაგრძელება პროექტის განხორციელების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, გარემოსდაცვით შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.		ინფორმაციის გამოქვეყნება ეროვნულ და რეგიონულ მასმედიაში. ორი საჯარო შეხვედრის მოწყობა - ერთი სკოპინგის ეტაპზე, მეორე - გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გზშ ანგარიშის პროექტის წარდგენიდან არაუგვიანეს 55 დღისა. შეხვედრებზე მოწვეული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე. ერთი-ერთზე შეხვედრები და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან გზშ-ის პროცესის დროს. კონსულტაცია გამოქვეყნების დღიდან არაუგვიანეს 60 დღისა.	კონსულტაციები ჩატარდა პროექტის მიერ და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში აღწერილია კონსულტაციების პროცესი, რომელიც უნდა განხორციელდეს პროექტის სხვადასხვა ციკლის განმავლობაში.
ინფორმაციის მიწოდება	A და B კატეგორიის თითოეული შეთავაზებული პროექტისთვის, IFC წარადგენს მისი მიმოხილვის შედეგების მოკლე შინაარსს და რეკომენდაციებს, გარემოსდაცვითი და სოციალური მიმოხილვის შეჯამებას (ESRS). გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიები ენიჭება ნებისმიერ დროს, შეფასების შემდეგ და საჯაროდ წარდგენის წინ. A კატეგორიის		სკოპინგის დოკუმენტია საჯარო განხილვისთვის ხელმისაწვდომია საჯარო კონსულტაციამდე 45 დღით ადრე.	პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ინფორმაცია გამოქვეყნდება GCF-ის, GIZ-ის და სამთავრობო ვებგვერდებზე მინიმუმ 30 დღის განმავლობაში.

საკითხი	GCF/IFC		გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი	გენდერული სამოქმედო გეგმის ჰარმონიზაცია
	პროექტებისთვის საჭიროა მინიმუმ 60-დღიანი ინფორმაციის წარდგენის პერიოდი. ყველა სხვა პროექტისთვის საჭიროა სულ მცირე 30 დღე.			

5 გარემოსდაცვითი და სოციალური ფონის აღწერა

საქართველო მდებარეობს ევრაზიაში, კავკასიის რეგიონში, აღმოსავლეთ ევროპასა და დასავლეთ აზიას შორის. მას დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია, სამხრეთით თურქეთი და სომხეთი და აღმოსავლეთით აზერბაიჯანი. საქართველოს მრავალფეროვანი ლანდშაფტი გააჩნია; მაღალმთიანეთი ჩრდილოეთით, საშუალო და დაბალი სიმაღლის მთები ალპური და სუბალპური მდელოებით და ტყეები ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილებში, ვაკე დაბლობები, ჭარბტენიანი ტყეები, ჭაობები, წვიმის ტყეები, თოვლი და მყინვარები დასავლეთით და ჭალის ხეობები, ტყეები, და ნახევარუდაბნო აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოს ტერიტორია მოიცავს 69,700 კმ2-ს.

ქვეყანა იყოფა 9 ადმინისტრაციულ რეგიონად (სურათი 5-1) რომლებიც თავის მხრივ იყოფა 67 მუნიციპალიტეტად, დედაქალაქ თბილისად და ორ ავტონომიურ რესპუბლიკად.

სურათი 5-1: საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები

5.1 საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონები

სამოქალაქო ომებმა ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) 1991-1992 წლებში და აფხაზეთში 1992-1994 წლებში, გამოიწვია ათასობით ადამიანის დაღუპვა და ასობით ათასი ეთნიკური ქართველის გადასახლება საქართველოს სხვა მხარეებში. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აფხაზეთმა საქართველოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ომმა გამოიწვია ეთნიკური ქართველების იძულებითი გადასახლება აფხაზეთის ტერიტორიიდან საქართველოს სხვა რეგიონებში. აფხაზეთიდან გაქცეული ეთნიკური

ქართველების უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულ პირად (დევნილი) იქცა საქართველოში. საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის გაერო, საქართველო და მსოფლიოს მრავალი სხვა ქვეყანა, გარკვეული გამონაკლისების, მათ შორის რუსეთის გამოკლებით, არ სცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და რეგიონს კვლავ საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. საქართველოში, აფხაზეთის გარეთ ეთნიკური აფხაზების რაოდენობა მცირეა.

1989 წელს, კონფლიქტის დაწყებამდე დაახლოებით 70,000 ოსი ცხოვრობდა ცხინვალის ავტონომიურ რეგიონში (სამხრეთ ოსეთი), და კიდევ 100,000 საქართველოს სხვა ნაწილებში. კონფლიქტის შედეგად, ავტონომიურ რეგიონში მცხოვრები მრავალი ქართველი გაიქცა, მაგრამ დაახლოებით 20,000 ქართველი დარჩა სოფლებში, რომლებიც როგორც წესი ოსურ სოფლებთან იყო შერეული. აფხაზეთიდან გაქცეული ეთნიკური ქართველების მსგავსად, ცხინვალის რეგიონიდან (სამხრეთ ოსეთი) გამოქცეული ეთნიკური ქართველების დიდი ნაწილიც იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა. ოსებსა და ქართველებს შორის ხშირი იყო ქორწინება, თუმცა ამის შესახებ სტატისტიკა არ არსებობს. 2003 წლის ვარდების რევოლუციის შედეგად გაძლიერდა პროდასავლური საგარეო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციას, დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას. 2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს შორის ხანმოკლე ომი იყო ცხინვალის რეგიონისა (სამხრეთ ოსეთი) და აფხაზეთისთვის, რასაც თან დაერთო 2007-2009 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისი. შედეგად, საქართველოს პროგრესი შეფერხდა; მოგვიანებით ქვეყანამ მოახერხა ამ შეფერხებიდან გამოსვლა (GCF-UNDP). დღეს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ოკუპირებულ ტერიტორიებად განიხილება.

სურათი 5-2: აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ავტონომიური რეგიონები)

სურათი 5-2 გვიჩვენებს საქართველოს ორი ავტონომიური რეგიონის ადგილმდებარეობას. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საპროექტო საქმიანობა არ ხორციელდება. თუმცა, ერთ-ერთი სამიზნე რეგიონის – მცხეთა-მთიანეთის დასავლეთ ნაწილი, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკის მიერ კონტროლდება.

5.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა ამჟამად 3.72 მილიონ ადამიანს შეადგენს, მათ შორის 1.9 მილიონი ქალია და 1.7 მილიონი კაცი (ცხრილი 5-1). მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე 65 ადამიანია (5-1).

ცხრილი 5-1: საქართველოს მოსახლეობა - ათასებში (საქსტატი, 2019 წ.)

	2017			2018			2019		
	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება
საქართველო	**3,726.4**	**2,161.9**	**1,564.5**	**3,729.6**	**2,174.8**	**1,554.8**	**3,723.5**	**2,184.3**	**1,539.1**
თბილისი	1,145.5	1,115.1	30.4	1,158.7	1,128.4	30.3	1,171.1	1,140.7	30.4
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა	-	-	-	-	-	-			
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	343.0	192.6	150.4	346.3	195.2	151.1	349.0	197.7	151.4
გურია	111.5	31.8	79.7	110.5	31.6	78.9	109.4	31.4	78.0
იმერეთი	514.4	250.8	263.6	507.0	247.8	259.2	497.4	244.9	252.5
კახეთი	315.9	71.6	244.3	314.7	71.4	243.3	312.5	71.0	241.5
მცხეთა-მთიანეთი	93.9	21.7	72.2	93.9	21.9	72.0	93.6	22.1	71.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30.8	7.0	23.8	30.2	6.9	23.3	29.7	6.8	22.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	324.2	127.7	196.5	320.8	126.5	194.3	316.2	125.0	191.2
სამცხე-ჯავახეთი	157.2	55.0	102.2	155.9	55.0	100.9	154.1	54.4	99.8
ქვემო ქართლი	429.7	185.1	244.5	432.3	187.1	245.1	433.2	188.4	244.7
შიდა ქართლი	260.4	103.5	157.0	259.3	102.9	156.4	257.3	101.9	155.4

ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში შედის დედაქალაქი თბილისი (1.171 მილიონი მაცხოვრებელი), იმერეთის რეგიონი (497,000 მაცხოვრებელი), და ქვემო ქართლი (433,000 მაცხოვრებელი). სურათი 5-3 მოცემული გრაფიკი ასახავს მოსახლეობის განაწილებას. ქვეყნის შიგნით მედიანური ასაკი 38 წელია. 15-სა და 64 წელს შორის ასაკის მაცხოვრებლების რაოდენობა 2.6 მილიონია.



სურათი 5-3: მოსახლეობის განაწილება საქართველოში – 2014 წ. (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018 წ.)

მოსახლეობის მხოლოდ 86% არის ეთნიკურად ქართველი. ქვეყანაში წარმოდგენილ სხვა ეთნიკური ჯგუფებს მიეკუთვნებიან: აზერბაიჯანელები (6.3%), სომხები (4.5%), რუსები (0.7%), ოსები (0.4%), იაზიდები (0.3%), უკრაინელები (0.2%), ქისტები (0.2%), ბერძნები (0.1%), ასირელები (0,1%) და სხვ. (0.4%).

საქართველოს მოსახლეობა მზარდად ურბანულია - მოსახლეობის 58% საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს. მოსახლეობის დანარჩენი 42% ცხოვრობს სოფლად, სადაც ინფრასტრუქტურა ნაკლებად განვითარებულია, მომსახურებების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, და მაღალია შეშაზე ენერგეტიკული დამოკიდებულება.

5.2.1 დასაქმება, სიღარიბე და უთანასწორობა საქართველოში

მთლიანობაში, მოსახლეობის 52% მიიჩნევა ეკონომიურად აქტიურად. 2019 წელს საშუალო თვიური შემოსავალი გურიის, კახეთის, და მცხეთა-მთიანეთისთვის შეადგენდა 547, 554 და 795 ლარს, შესაბამისად (საქსტატი, 2019 წ.). ცხრილი 5-2 ნაჩვენებია საშუალო თვიური შემოსავალი საქართველოში.

ცხრილი 5-2: საშუალო თვიური ნომინალური შემოსავალი რეგიონების მიხედვით - 2010-2017 წწ. (საქსტატი, 2019წ.)

	ლარი, წ							
წელი	**2010**	**2011**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**	**2016**	**2017**
სულ	**597.6**	**636.0**	**712.5**	**773.1**	**818.0**	**900.4**	**940.0**	**999.1**
თბილისი	753.0	791.0	871.5	942.8	997.2	1077.5	1135.1	1209.4
აჭარის ა.რ.	442.6	481.4	543.9	586.0	641.0	770.5	794.0	808.2
გურია	**286.3**	**293.8**	**299.7**	**350.7**	**391.8**	**515.4**	**493.3**	**547.1**
იმერეთი	359.5	399.5	461.3	501.2	522.4	590.2	617.6	667.1

კახეთი	**339.7**	**329.5**	**370.1**	**430.8**	**456.5**	**493.5**	**531.2**	**554.1**
მცხეთა-მთიანეთი	**432.6**	**484.4**	**520.9**	**658.2**	**685.2**	**737.9**	**765.9**	**795.0**
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	309.2	287.2	312.2	366.4	393.6	435.1	453.9	483.8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	415.6	420.1	484.7	542.1	560.1	596.5	629.9	681.8
სამცხე-ჯავახეთი	349.0	356.4	398.9	501.9	507.8	524.3	578.3	611.1
ქვემო ქართლი	509.1	509.4	593.2	637.5	644.9	707.2	711.1	754.2
შიდა ქართლი	358.2	379.2	463.8	485.9	512.1	547.8	585.1	591.7

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმეტესობა დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, მეტყევეობასა და მეთევზეობაში (43%), რასაც მოსდევს საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების შეკეთება, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი (10%), ჯანდაცვისა და სოციალური სამუშაო (9%), მრეწველობა (8%), და სხვა ეკონომიკური საქმიანობები. ქვეყნის უმუშევრობის დონე 2005 - 2018 წლებში 15.1%-დან 12.7%-მდე შემცირდა. თუმცა, COVID-19-ის პანდემიის გამო, 2020 წელს უმუშევრობა კვლავ 18.5%-მდე გაიზარდა.[2]

საქართველოს ადამიანის განვითარების ინდექსი (HDI) 0.78-ს შეადგენს, რითაც ის მსოფლიოში 70-ე ადგილზეა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სიღარიბის შემცირებაში; სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი 2007 - 2017 წლებში 38.8%-დან 21.9%-მდე შემცირდა. თუმცა, საქართველოში სიღარიბესა და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა უფრო მაღალია, ვიდრე ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებში. ასევე, ხელმოკლე მოსახლეობის თითქმის ნახევარი განიხილება, როგორც "მოწყვლადი სიღარიბეში გადასვლის მიმართ". 2016 წლისთვის საქართველოს ჯინის კოეფიციენტი 36.5-ს შეადგენდა; უთანასწორობის დონე ოდნავ დაბალია, ვიდრე თურქეთსა და რუსეთში, და უფრო მაღალია ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში.

სოფლის მოსახლეობაში სიღარიბის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქის მოსახლეობაში. სოფლისა და ქალაქის სიღარიბის მაჩვენებლები, შესაბამისად 24.3% და 17.6%-ია. ჩვეულებრივ, ეს ნიშნავს, რომ ბუნებრივ რესურსებზე დამოკიდებულება, სავარაუდოდ მაღალია. ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა 2020 წელს COVID-19 პანდემიის შედეგად და მოსალოდნელია, რომ სიღარიბე გაიზრდება თითქმის 3?-ით.[3] 2012 წელს სიღარიბის ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე რეგიონები იყო ქვემო ქართლი და შიდა ქართლის ჩრდილოეთი მთიანი ნაწილი, მცხეთა-მთიანეთი და კახეთი. ამ რეგიონებში საცხოვრებელი პირობები მძიმეა, რელიეფის სირთულის და საქალაქო დასახლებებიდან სიშორის გამო (მსოფლიო ბანკი, 2015 წ.). სიღარიბის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისსა და სამცხე-ჯავახეთშია.

[2] საქსტატი. 2021წ. დასაქმება და უმუშევრობა 2020 წ.

[3] მსოფლიო ბანკი. 2020წ. COVID-19 და ადამიანური კაპიტალი - ევროპისა და ცენტრალური აზიის ეკონომიკური მიმოხივა

შემოსავლის თვალსაზრისით, საქართველოში, სოფლის ოჯახის საშუალო შემოსავალი ქალაქის ოჯახის საშუალო შემოსავლის 80%-ს შეადგენს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება რეგიონების მიხედვით (სადაც მონაცემები არსებობს).

გარდა ამ გამოწვევებისა, **COVID-19 პანდემია** კიდევ უფრო ამძიმებს სამიზნე ტერიტორიების მაცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას მიწოდების ჯაჭვებისა და ბაზრების მოშლის, ეკონომიკური ვარდნისა და სამუშაო ადგილების კარგვის გამო, სხვა ფაქტორებთან ერთად. ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა ტყის მართვისა და შესაძლებლობების განვითარების აქტივობებში შესაძლოა შეიზღუდოს ეროვნული პოლიტიკით, რომელიც მიზნად ისახავს COVID-19 ვირუსის გავრცელების შეკავებას.

ცხრილი 5-3:ოჯახის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება რეგიონების მიხედვით - 2018 წ. (საქსტატი, 2019 წ.)

სფერო	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სხვა რეგიონები	საქართველო
1. შემოსავალი, ჯამში (2+3)	**981.6**	**1192.2**	**875.3**	**881.9**	**1138.3**	**883.6**	**893.1**	**840.2**	**1005.0**
2. შემოსავალი ნაღდი ფულით და გადარიცხვით	**866.4**	**1179.6**	**769.7**	**807.0**	**1063.2**	**768.8**	**783.2**	**743.9**	**932.8**
ხელფასები	252.6	731.8	330.2	374.8	537.8	316.9	317.2	296.0	463.7
თვით-დასაქმებიდან	94.6	131.1	112.6	105.1	178.1	71.5	74.2	61.6	106.5
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	224.4	0.9	79.6	59.5	29.1	68.4	51.0	93.0	57.4
ქონების შემოსავალი (იჯარა, პროცენტი დეპოზიტზე და ა.შ.)	7.8	29.5	9.5	0.8	20.1	7.9	2.1	8.0	14.1
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	160.9	152.5	152.6	140.1	167.1	196.9	192.5	188.2	166.6
უცხოური გზავნილები	39.0	27.2	20.8	62.4	43.4	37.1	59.3	43.7	40.2

სფერო	კახეთი	თბილისი	შიდა ქართლი	ქვემო ქართლი	აჭარის ა.რ.	სამეგრელო-ზემო სვანეთი	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სხვა რეგიონები	საქართველო
საჩუქრად მიღებული თანხები	87.1	106.4	64.4	64.3	87.6	70.1	87.0	53.4	84.2
3. უნაღდო შემოსავალი	**115.2**	**12.6**	**105.6**	**74.9**	**75.1**	**114.9**	**110.0**	**96.4**	**72.2**
4. ნაღდი ფულის სხვა შემოდინება	**240.9**	**98.0**	**131.3**	**76.9**	**118.0**	**64.9**	**135.2**	**134.0**	**118.5**
ქონების განკარგვა	3.7	8.4	4.4	2.3	3.8	5.5	5.0	1.5	5.2
სესხება	237.1	89.6	126.8	74.7	114.2	59.4	130.2	132.5	113.3
5. ნაღდი ფულის შემოდინება, სულ (2+4)	**1107.3**	**1277.5**	**901.0**	**883.9**	**1181.2**	**833.6**	**918.4**	**877.8**	**1051.3**
6. ნაღდი და უნაღდო ფულადი შემოდინება (3+5)	**1222.5**	**1290.2**	**1006.6**	**958.8**	**1256.3**	**948.5**	**1028.3**	**974.2**	**1123.5**

ბოლო ათწლეულში, ქალაქად და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას შორის სიღარიბის მაჩვენებლის სხვაობა შედარებით სტაბილურია. სოფლის ეკონომიკური ზრდის ტემპები გაცილებით დაბალია საქალაქო დასახლებებთან შედარებით, განსაკუთრებით კახეთში, მცხეთა-მთიანეთში და შიდა ქართლში. წარმოების სიმცირის მიზეზია შეზღუდული წვდომა ბაზარზე, განათლებაზე, მიწის ფრაგმენტაცია და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა. განათლების თვალსაზრისით, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის უმეტესი ნაწილი (78%) ქალაქიდანაა, რაც მიუთითებს განათლების დაბალ დონეზე სოფლად.

მოწყვლადობა

სოფლებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ, განსაკუთრებით მოწყვლადი არიან სიღარიბის მიმართ. პროექტის მიზნებისთვის, მოწყვლადობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

ოჯახი ითვლება მოწყვლადად, თუ:

- ის რეგისტრირებულია, როგორც ღარიბი ოჯახი, მთავრობის ადგილობრივი სოციალური მომსახურების განყოფილებაში;
- ოჯახს ხელმძღვანელობს ქალი;
- ოჯახი ხანდაზმულია (≥70 წლის ასაკის), სადაც ოჯახის არცერთი სხვა წევრი არ არის შემოსავლის შემომტანი;
- ოჯახს ხელმძღვანელობს შშმ პირი.

გარდა ამისა, შესაძლებელია, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და მწყემსები (მომთაბარე მოსახლეობა, როგორც ნაჩვენებია კახეთისთვის) მიჩნეულ იქნან მოწყვლადებად, თუ მათ ეკუთვნით სოციალური დახმარება, სხვაგვარად რომ ითქვას, შეიძლება ოჯახი იყოს დევნილი, მაგრამ არ იყოს მოწყვლადი, ამიტომ დევნილის სტატუსი არ იძლევა მოწყვლადობის სტატუსის მიღების გარანტიას. ასევე შესაძლებელია, მწყემსები მიჩნეულ იქნან მოწყვლადებად, მაშინაც კი, თუ ისინი არ იღებენ სოციალურ დახმარებას, სოციუმში მათი სოციალური სტატუსის გამო (მაგ., ბავშვები არ დადიან სკოლაში და ოჯახებს შეზღუდული წვდომა აქვთ ჯანდაცვაზე), აღნიშნულის დადასტურება უნდა მოხდეს სოფლის დონეზე, პროექტის დაწყებისთანავე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროექტის მე-2 კომპონენტისთვის, რადგან მოწყვლადი ოჯახები უსასყიდლოდ მიიღებენ ენერგოეფექტურ ღუმელებს და ასევე ბრიკეტებს. ცხრილი 5-4 მოცემულია საქართველოში პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქსტატიდან, თუმცა, საქსტატისა და რეგიონების მიერ მოწოდებულ მონაცემებს შორის არის შეუსაბამობები.

ცხრილი 5-4: პენსიისა და სოციალური პაკეტის მიმღებთა რიცხოვნობა (საქსტატი, 2019 წ.)

რეგიონი	2017	2018
თბილისი	251,724	257,294
აჭარის ა.რ.	69,902	71,088
გურია	31,803	32,058
იმერეთი	152,874	153,703
კახეთი	80,865	81,538
მცხეთა-მთიანეთი	22,593	22,664
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	**11,931**	**11,917**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	97,087	97,826
სამცხე-ჯავახეთი	35,700	35,907
ქვემო ქართლი	82,344	84,364
შიდა ქართლი	61,290	61,654
საქართველო – სულ	**898,113**	**910,013**

ეთნიკური უმცირესობები

საქართველოში უმცირესობებით დასახლებული ხუთი რეგიონია: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. უმცირესობის ზოგიერთი ჯგუფი

ცხოვრობს ქვეყნის შიდა ნაწილებში, დასახლებებში ან გაფანტულად. ეს ჯგუფები არიან: ეთნიკური რუსები, ბერძნები, ქურთები და / ან იეზიდები, ასირელები, ებრაელები, უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები. საქართველოში წარმოდგენილია აგრეთვე ეთნიკური ბოშებისა და მესხების მცირე პოპულაციები.

იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები)

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმეტესობის იძულებით გადაადგილება მოხდა 90-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად. შედარებით მცირე რაოდენობის გადასახლება მოხდა რუსეთის ფედერაციასთან სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული კონფლიქტის დროს, 2008 წლის აგვისტოში. 2014 წელს საქართველოში რეგისტრირებული იყო 262,704 დევნილი. ეს რიცხვი ემყარება ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს მიერ 2013-2014 წლებში ჩატარებული ხელახალი რეგისტრაციის შედეგებს.

დევნილის სტატუსი ენიჭებათ ასევე ბავშვებს, რომელთა ერთ-ერთი მშობელი დევნილია. ყოველთვიურად დაახლოებით 400-500 ახალშობილი იღებს ამ სტატუსს, რაც იწვევს იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვის ზრდას ყოველწლიურად. ეს ასევე მოიცავს მთავრობის მიერ რეგისტრირებულ დევნილებს, რომლებიც დაბრუნდნენ აფხაზეთში, მაგრამ ეს არ მოიცავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფარგლებში გადაადგილებულ პირებს. ამ რეგიონებში ოფიციალური კვლევები არ განხორციელებულა საქართველოს ხელისუფლების მიერ, რადგან აღნიშნული ტერიტორიები არ ექვემდებარება კონტროლს (UNDP).

დევნილები ყოველთვიურად იღებენ შემწეობას მთავრობისგან, მათი ნაწილი კვლავ დასახლებებში ცხოვრობს. დევნილთა ნაწილი ისევ იღებს ყოველთვიურ შემწეობას, მიუხედავად იმისა რომ ბევრი მათგანი სრულად ინტეგრირებულია ქართულ საზოგადოებაში, შესაბამისად, საქართველოში დევნილის სტატუსის ქონა სულაც არ ნიშნავს რომ ადამიანი მოწყვლადია.

5.1.2 ეკონომიკა

საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი ჩართულია სოფლის მეურნეობაში, რომელზეც მშპ-ს დაახლოებით 9.3% მოდის. არის რეგიონები, სადაც სამუშაო ძალის 70%-ზე მეტი მუშაობს სოფლის მეურნეობაში, მაგ. გურია, სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაახლოებით 77% ძირითადად მცირე მეურნეობებს მოიცავს, რომელთა ფართობი ერთ ჰექტარზე ნაკლებია. საქართველოში ყველაზე პოპულარული კულტურა სიმინდია. 2016 წელს ნათესების ფართობმა 95.5 ათასი ჰა შეადგინა იმერეთსა და კახეთში, რომლებზეც მოდის ნათესების 45%-ზე მეტი და აღებული მოსავლის 53%-ზე მეტი. კახეთი მთავარი მწარმოებელია ხორბლისა და ქერის, რომლებიც რიგით მეორე და მესამე ყველაზე გავრცელებული კულტურებია. მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე ამ რეგიონში სტაბილურია, მაგრამ სხვა რეგიონებში მოსავლიანობა ცვალებადია სეზონიდან სეზონამდე, ძირითადად ამინდის პირობების ცვლილებისა და არასათანადო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გამო.

შიდა ქართლი მიჩნეულია საქართველოს ხილის კერად. 2016 წლისთვის ხილის მთლიანი წარმოების თითქმის 38% ამ რეგიონზე მოდის. მას მოჰყვება კახეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი. ეს უკანასკნელი ასევე სხვადასხვა თხილეულის წამყვანი მწარმოებელია, რომელზეც საქართველოს მოსავლის თითქმის ნახევარი მოდის.

სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი და ქვემო ქართლი წამყვანი რეგიონებია მეცხოველეობის დარგში. ეს სამი რეგიონი ლიდერობს სარძევე მიმართულების მესაქონლეობაშიც. ბოლო წლებში, შემცირდა წარმოება სარძევე მესაქონლეობაშიც. რაც გავლენას ახდენს რძის წარმოებაზე. ღვინის წარმოება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმიანობაა, კახეთზე მოდის ღვინის ეროვნული წარმოების დაახლოებით 70% (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018 წ.).

საქართველოში ტურიზმი, განსაკუთრებით ეკოტურიზმი, მზარდი ეკონომიკური სექტორია. ტურისტების რაოდენობის მიხედვით, დაცული ტერიტორიების მიმართ ინტერესი 2016-2019[4] წლებში 60%-ით გაიზარდა. თუმცა, COVID-19 პანდემიას ჰქონდა და ახლაც აქვს ძლიერი უარყოფითი გავლენა სექტორზე. მოგზაურობის შეზღუდვებმა 2020 წელს გამოიწვია შიდა და საერთაშორისო ტურიზმის 80-90%-იანი კლება 2019 წელთან შედარებით[5]. მოსალოდნელია, რომ პანდემიის შემდეგ საქართველოში ეკოტურიზმი თავდაპირველად აღდგება შიდა ტურისტებისა და ისრაელიდან და არაბული ქვეყნებიდან ჩამოსული ვიზიტორების ხარჯზე[6] (1-2 წელი), შემდეგ კი სხვა საერთაშორისო ბაზრების ტურისტებით[7] (2-4 წელი).

5.3 გარემოსდაცვითი პროფილი

5.3.1 კლიმატი

ქვეყანაში ამინდის მახასიათებლებზე გავლენას ახდენს აღმოსავლეთიდან შემომავალი კასპიის ზღვის მშრალი ჰაერის მასები, და დასავლეთიდან - შავი ზღვის ნოტიო ჰაერის მასები. ჩრდილოეთით დიდი კავკასიონის ქედი საქართველოს იცავს ჩრდილოეთიდან მომავალი ცივი ჰაერის მასებისგან.

საშუალო წლიური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში 14-15C°-ია, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში 11-13C°; საშუალო წლიური ნალექიანობა 1,338 მმ-ს შეადგენს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში კლიმატური ზონებისა და პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ცვალებადობს; მშრალ სტეპებში ნალექიანობა 400 მმ-მდეა და ტენიან ადგილებში 4000 მმ-ზე მაღალია წელიწადში. დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილია ნოტიო-სუბტროპიკული ზღვიური კლიმატი. რეგიონი ხასიათდება ზომიერი კლიმატით, საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა დაახლოებით 10-13C°-ია ზამთარში და 20-26C° ზაფხულში. აქ არის ქვეყანაში

[4] APA 2014 - ვიზიტორთა სტატისტიკა წლის მიხედვით

5 GNTA 2021 - საერთაშორისო მოგზაურობა, 2021წ.

6 ინტერვიუ ტუროპერატორებთან და GNTA-ს წარმომადგენლებთან 2020 წ.

7 UNWTO Panel of Experts 2020 UNWTO-ს ექსპერტთა პანელი 2020 წ.

ნალექიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 1,000-2,500 მმ წელიწადში. ცენტრალურ და აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდება უფრო კონტინენტური კლიმატი, სადაც ნალექიანობა და ტენიანობა მცირდება შავი ზღვიდან აღმოსავლეთ მიმართულებით. საშუალო მაქსიმალური ტემპერატურები აღმოსავლეთ საქართველოში საშუალოდ 25-31C°-ია ზაფხულში და საშუალოდ 5-8 C° ზამთარში. სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო ქვეყნის ყველაზე მშრალი ნაწილია, სადაც საშუალო წლიური ნალექიანობა 500-800 მმ-ის ფარგლებშია.

კლიმატური ტენდენციები

კლიმატის გლობალური ტენდენციების მსგავსად, საქართველოშიც გაიზარდა წლიური საშუალო ტემპერატურები. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი მესამე ეროვნული შეტყობინებების (TNC) თანახმად, ბოლო 50 წლის განმავლობაში წლიური ტემპერატურები იზრდება, მატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აღმოსავლეთ საქართველოში - დედოფლისწყაროში (0.70oC), კახეთის რეგიონში და დასავლეთ საქართველოში - ფოთში (0.60oC), 1961-1985 და 1986-2010 წლების პერიოდებში. ამ ორი პერიოდის დაკვირვებები მიუთითებს, რომ დათბობის ტენდენცია უფრო ინტენსიურია დასავლეთ საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ საშუალო წლიური ტემპერატურა უფრო თბილია აღმოსავლეთ საქართველოში. კლიმატის ცვლილებაში რეგიონული განსხვავებები განპირობებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლებით და ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით დაფიქსირებული სხვა ტენდენციები ასევე მოიცავს ცხელი დღეების რაოდენობის მატებას, განსაკუთრებით დაბლობებზე.

ნალექებზე დაკვირვებებიც განსხვავდება რეგიონების მიხედვით: მაშინ, როცა დასავლეთ საქართველში ნალექიანობის გარკვეული ზრდა აღინიშნება (სვანეთისა და აჭარის მთიანი ნაწილები; 5-14%, აღმოსავლეთ საქართველოს დიდ ნაწილში მცირედი კლება ფიქსირდება.

კლიმატურ ცვლადებთან დაკავშირებული პროგნოზები

საქართველოს მთავრობამ, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი მესამე ეროვნულ შეტყობინებაში წარადგინა 2021-2050 და 2071-2100 წლების პერიოდებისთვის შემუშავებული სცენარები, კლიმატის რეგიონული მოდელის RegCM4-ის გამოყენებით. მოდელის თანახმად, მთლიანობაში, საქართველოში 2050 წლისთვის პროგნოზირებულია ტემპერატურის 0.8°–1.4°C-ით მატება, ხოლო რაც შეეხება სამიზნე რეგიონებს, საუკუნის ბოლოსთვის ტემპერატურა + 1.10C – + 3.50C-ით გაიზრდება კახეთში და + 0.90C - +3.20-ით მცხეთა-მთიანეთში. მოსალოდნელია, რომ ტემპერატურის ზრდის ტენდენცია გაგრძელდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ნალექიანობის ტენდენციები სავარაუდოდ არაპროგნოზირებადი და ინტენსიური გახდება; 2050 წლისთვის ნალექიანობა მცირედით მოიმატებს, რასაც კვლავ შემცირება მოჰყვება (იხ. ცხრილი 5-5).

ცხრილი 5-5: ტემპერატურისა და ნალექიანობის პროექციები (UNDP Georgia 2014; TNC; USAID 2017; GEO et al. 2018)

დაკვირვებები/პროექციები	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	დასავლეთ საქართველო
ტემპერატურასთან დაკავშირებული დაკვირვებები	0.5^{0}C წლიური ზრდა	0.5^{0}C წლიური ზრდა	0.3^{0}C
ტემპერატურის პროექციები 2050	+1.1^{0}C	+0.9^{0}C 2050 წლისთვის	+2.1^{0}C
ტემპერატურის პროექციები 2100	+3.5^{0}C	+3.2^{0}C 2100 წლისთვის	+4.2^{0}C
ნალექიანობასთან დაკავშირებული დაკვირვებები	-4% (5 სადგურზე) +5% (2 სადგურზე)	+1.5%	+14%
ნალექიანობის პროექციები 2050	±5% 2050 წლისთვის	+1.8%	არ არის შეფასებული
ნალექიანობის პროექციები 2100	-10-20% 2100[A] წლისთვუს	-14.0%	არ არის შეფასებული

კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეები და ტენდენციები, გავლენა ტყეებზე

საქართველო მიდრეკილია კლიმატთან დაკავშირებული საფრთხეებისა და ბუნებრივი კატასტროფებისკენ, და მიჩნეულია მდინარეების, წყალდიდობის, მეწყრების, ზვავის, ძლიერი სიცხის, ბუნებაში გაჩენილი ხანძრების და ქალაქების წყალდიდობის მაღალი რისკის ტერიტორიად. ბუნებრივი კატასტროფებისადმი მიდრეკილებისა და რისკის დონე განსხვავდება რეგიონების მიხედვით და უფრო მაღალია მთიან და ტყიან რეგიონებში. ასეთი ბუნებრივი კატასტროფები ზიანს აყენებს ეკოსისტემებს, მოსახლეობის საარსებო წყაროებს, ინფრასტრუქტურას, სოფლის მეურნეობას და სხვა.

UNFCCC-ის მიმართ მესამე ეროვნულ შეტყობინებაში ასევე აღნიშნულია, რომ კლიმატის ცვლილება, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საფრთხეები და სტიქიური უბედურებები უფრო გახშირდა და დამძიმდა, მათ შორის ძლიერი წყალდიდობები, მეწყერი, ღვარცოფები და გვალვები. დეგრადირებულ ტერიტორიებზე, სადაც მცენარეულობის დაფარულობა დაბალია, წყალდიდობების და მეწყრების სიხშირე შეიძლება გაიზარდოს კლიმატის ცვლილებასთან ერთად, ტემპერატურის და ნალექიანობის პროგნოზირებული ცვლილებების საფუძველზე. პროექტის სამიზნე რეგიონებში, გურიაში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში, არსებობს როგორც წყალდიდობების, ისე გვალვის რისკი, განსაკუთრებით კახეთს რეგიონში, რომელიც უკვე განიცდის გაუდაბნოებას.

ტყის ეკოსისტემებთან დაკავშირებით, შეზღუდული მონაცემებია ხელმისაწვდომი, თუმცა, WWF-ის მიერ ჩატარებული და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილი ანალიზის შედეგად, გაკეთდა დასკვნა, რომ თითქმის ყველა ტიპის

ტყეს ემუქრება ზაფხულის ძლიერი გვალვების, ხანძრებისა და ციცაბო ფერდობების დამეწყრვის რისკები საუკუნის ბოლოსთვის. საქართველოს ტყეებზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ზემოქმედების სხვა ტიპებია:

- მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებების გავრცელება.
- ბორეალური ტყეების (კერძოდ, არყის ტყეების კიდეები) უფრო მაღალ სიმაღლეებზე გადანაცვლება ზემო სვანეთში, ალპურ ზონაში უფრო ხელსაყრელი პირობების გამო.
- სახეობათა შემადგენლობის ცვლილება.
- ზემოქმედება ტყის ეკოსისტემურ მომსახურებებზე, როგორიცაა ნიადაგის დაცვისა და ნახშირბადის დამარაგების ფუნქციები, რომლებიც შეიძლება შესუსტდეს, თუ შესაბამისი ადაპტაციის სტრატეგიები იქნება დანერგილი.

უფრო მყარი მონაცემების არარსებობა წარმოადგენს გამოწვევას, ტყეებთან დაკავშირებული რისკებისა და ზემოქმედებების უფრო საფუძვლიანი ანალიზისთვის. რეგიონულ, ისე უბნის დონეზე საჭიროა დამატებითი შეფასებების განხორციელება.

5.3.2 წყლის რესურსები

რაც შეეხება მტკნარ წყლებს, საქართველოში 26,000-ზე მეტი მდინარე ნაკადი, 860 ტბა და 734 მყინვარია. საქართველოში ძირითადი მდინარეებია: ალაზანი, მტკვარი, რიონი, ენგური, ხრამი, ცხენისწყალი, იორი, ყვირილა და სხვ. დასავლეთ საქართველოში არსებული მდინარეები და ნაკადები შავ ზღვაში ჩაედინება, ხოლო ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში არსებული მდინარეები მეზობელი ქვეყნების გავლით კასპიის ზღვაში ჩაედინება.

5.3.3 ნიადაგები

ქვეყნის მრავალფეროვანი ბიო-გეოფიზიკური პირობების გამო, აქ ბევრი სხვადასხვა ტიპის ნიადაგია წარმოდგენილი. საქართველოში 17 ძირითადი ნიადაგის ტიპია. ნიადაგის ყველაზე გავრცელებული ტიპებია: მთა-მდელოს ნიადაგები (Lepisols), რომელიც მოიცავს ტერიტორიის 25%-ს, ტყის ყომრალი ნიადაგები (Cambisols Eutric), რომელიც მოიცავს ტერიტორიის 18%-ს და ყავისფერი ნიადაგები (Cambisols Cromic), რომელიც მოიცავს ტერიტორიის 8%-ს, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში).

ნიადაგის ეროზია დადასტურებული საფრთხეა საქართველოს ბევრ რეგიონში, განსაკუთრებით ნახევრად მშრალ (სემიარიდულ) და ნახევრად ტენიან (სემიჰუმიდურ) ზონებში, როგორიცაა კახეთში. მიჩნეულია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების 35% დეგრადირებულია, ანთროპოგენური სარგებლობის შედეგად გამწვავებული ეროზიული პროცესების გამო. გაუდაბნოებასთან ბრძოლის ეროვნული სამოქმედო პროგრამის ფარგლებში, კახეთის, ქვემო ქართლისა და შიდა ქართლის რეგიონები მიჩნეულია, როგორც მოწყვლადი, გაუდაბნოების მიმართ. ანთროპოგენური საქმიანობა, მათ შორის მცენარეული საფარის მოხსნა (მიწის და ტყეების დეგრადაცია), ჭარბი ძოვება და სხვა, ხელს უწყობს გაუდაბნოების დაჩქარებას.

5.3.4 ბიომრავალფეროვნება

კავკასიის ეკორეგიონი, მსოფლიოს ეკოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ზომიერი კლიმატის ეკოსისტემებს მოიცავს და მდებარეობს ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბიო-გეოგრაფიული რეგიონების შესაყარზე. კლიმატური მრავალფეროვნება ხელს უწყობს ჰაბიტატების ფართო სპექტრის განვითარებას, მათ შორისაა შერეული ტყეები, მაღალმთიანი ჰაბიტატები, მდელოები და მტკნარი წყლის / ჭაობის ეკოსისტემები. ეს თავის მხრივ, განაპირობებს ბევრი უჩვეულო თანასაზოგადოებისა და სახეობის არსებობას, და ქვეყნის მრავალფეროვანი ბიო-გეოფიზიკური და კლიმატური პირობების გამო, საქართველო მიჩნეულია გლობალური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების ცხელ წერტილად. ის ერთ-ერთია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) 35 პრიორიტეტული ადგილიდან („შავი ზღვის დიდი აუზი“) და Conservation International-ისა და კრიტიკული ეკოსისტემის საპარტნიორო ფონდის მიერ განსაზღვრული ბიომრავალფეროვნების 36 ცხელი წერტილიდან ორის შემადგენლობაში შედის (კავკასიისა და ირან-ანატოლიის).

ქვეყნის ლანდშაფტის დიდი ნაწილი მთიანია, ტერიტორიის 50%-ზე მეტი ზღვის დონიდან 1000 მეტრზე ზევით მდებარეობს. ქვეყნის დაახლოებით 40% (28,000 კმ2-ზე მეტი) დაფარულია ბუნებრივი ტყეებით (ფართოფარლოვანი, წიწვოვანი და შერეული), ხოლო 25% - სათიბი მდელოებით. მიწის დაახლოებით 13% გამოიყენება სახნავ-სათესად და მრავალწლიანი კულტურების მოსაყვანად.

საქართველოში გავრცელებულია ჭურჭლოვან მცენარეთა 4,130 სახეობა და ქორდიანების 758 სახეობა. საქართველოს ფლორის 900-მდე სახეობა (21%) ითვლება ენდემად; 600 სახეობა ენდემურია კავკასიის რეგიონისთვის, ხოლო 300 - საქართველოსთვის. განსაკუთრებული მრავალფეროვანებითა და ენდემიზმის მაღალი დონით გამოირჩევა მაღალმთიანი ტერიტორიები. საქართველოს ფლორის 2,000-ზე მეტ სახეობას აქვს პირდაპირი ეკონომიკური ღირებულება და გამოიყენება მერქნის, შეშის, საკვების (ხილი, თხილი, სოკო), და ცხოველების საკვების მისაღებად, სამკურნალოდ ან საღებავებისა თუ ზეთის დასამზადებლად.

საქართველოში სახეობათა მრავალფეროვნებით ყველაზე მრავალრიცხოვანია მცენარეთა ხუთი ოჯახი:

ცხრილი 5-6: საქართველოში სახეობრივად ყველაზე მრავალფეროვანი მცენარეთა ოჯახები (Fisher, Groger & Lobin 2018)

ოჯახი	სახეობათა რაოდენობა საქართველოში	ენდემური	ენდემური საქართველოსთვის	ენდემური კავკასიისთვის
Asteraceae	566	132	44	88
Poaceae	339	16	0	16
Fabaceae	317	79	34	45
Rosaceae	237	121	63	58
Brassicaceae	186	34	11	23

საქართველოში გავრცელებულია ფაუნის 16,000-ზე მეტი სახეობა, რომელთაგან 750-ზე მეტი ხერხემლიანია. საქართველო ასევე მნიშვნელოვანია მსხვილი ხორცისმჭამელების თვალსაზრისით, რომელთა უმეტესობა მზარდი საფრთხის წინაშეა. ქვეყნის ტერიტორია მოიცავს ასევე მნიშვნელოვან სამიგრაციო მარშრუტებს მრავალი ფრინველის სახეობისთვის.

საერთო ჯამში 19 ძუძუმწოვარი, 3 ფრინველი, 15 რეპტილია და 3 ამფიბიაა მიჩნეული ენდემურ სახეობად კავკასიის რეგიონისთვის, ხოლო ერთი რეპტილია (აჭარული ხვლიკი, Darevskia mixta) საქართველოს ენდემია.

საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია ცხოველების 139 სახეობა - მათ შორის ძუძუმწოვრების 29, ფრინველების 35, რეპტილიების 11, ამფიბიების ორი, თევზების 14 - და მერქნიანი მცენარეების 56 სახეობა, რომლებსაც გადაშენების საფრთხე ემუქრება ჰაბიტატის განადგურების და ჭარბი ექსპლუატაციის გამო. ხერხემლიანების დაახლოებით 44 სახეობა შეტანილია IUCN-ის წითელ ნუსხაში, როგორც გადაშენების კრიტიკული საფრთხის წინაშე მყოფი (CR), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) ან მოწყვლადი (VU). საკონსერვაციო მიზნების მიღწევას კიდევ უფრო ართულებს მონაცემების შეგროვების, შენახვისა და ანალიზის ეფექტური ინსტრუმენტების არარსებობა (საქართველოს ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზა http://www.biodiversity-georgia.net).

საქართველოში აღრიცხულია 16 ინვაზიური სახეობა, რომლებიც, ძირითადად, ნახევრად ბუნებრივ ჰაბიტატებშია გავრცელებული. ეს ტერიტორიები ანთროპოგენური წნეხის ქვეშაა. არაადგილობრივი სახეობების კონტროლის არარსებობის გამო, ამჟამად საქართველოში მრავალი ინვაზიური არაადგილობრივი სახეობაა წარმოდგენილი (მაგ., Crucian carp, Carassiusm carassius, მტკნარი წყლის ტბებში). საქართველოს ტყეებში გავრცელებულია ასევე მავნებლების სახეობები და დაავადებები, რომლებიც შემთხვევითად იქნა შემოტანილი ქვეყანაში, მათ შორის, ნაძვის დიდი ლაფანჭამია, წაბლის კიბო და სხვ. უმეტესი არაადგილობრივი სახეობების მიერ ადგილობრივ ეკოსისტემებსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებაზე არ ჩატარებულა დეტალური კვლევები. აქედან გამომდინარე, დაუზუსტებელია, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ ზემოქმედების შესამცირებლად, ამ დროისთვის არ არსებობს მკაფიო სტრატეგია საქართველოში უკვე ფართოდ გავრცელებულ არაადგილობრივ სახეობებთან მიმართებაში.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება განიცდის მზარდ ზეწოლას, განსაკუთრებით ნადირობის, უკონტროლო ძოვების და ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით, ჰაბიტატების განადგურების შედეგად, რასაც კიდევ უფრო ამწვავებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი ეკონომიკური წნეხი.

5.3.5 დაცული ტერიტორიები

საქართველოში 88 დაცული ტერიტორიაა (სურათი 5-4), რომელიც, 2017 წლის მონაცემებით, 596,155 ჰექტარს მოიცავს (ქვეყნის ტერიტორიის 8.5%).

სურათი 5-4: საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა (დაცული ტერიტორიების სააგენტო)



სახელმწიფო დაცულ ტერიტორიებს მართავს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო (www.apa.gov.ge) და მხოლოდ ერთ ტერიტორიას მართავს ადგილობრივი ორგანო - ახმეტის ადგილობრივი ხელისუფლება, დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან თანამშრომლობით. საქართველოში დაარსებულია შემდეგი სახის დაცული ტერიტორიები:

- სახელმწიფო ნაკრძალი (შეესაბამება IUCN-ის დაცული ტერიტორიების I კატეგორიას); მკაცრად შეზღუდული საჯარო წვდომა და დაცულობის მაღალი ხარისხი. (14 სახელმწიფო ნაკრძალი, მთლიანი ფართობი - 140,000 ჰა).
- ეროვნული პარკი (შეესაბამება IUCN-ის II კატეგორიას); შეიძლება დაშვებული იყოს გარკვეული რეკრეაციული სარგებლობა ან ბუნებრივი რესურსებით ტრადიციული სარგებლობა (10 ეროვნული პარკი; მთლიანი ფართობი - 350,000 ჰა).
- აღკვეთილი (IUCN-ის IV-VI კატეგორიები); ყოფილი სანადირო მეურნეობები; დაცულობის დაბალი ხარისხი; შეიძლება დაშვებული იყოს ნადირობა, თევზაობა და საკვების მოპოვება. აკრძალულია ხე-ტყის ჭრა, დრენაჟი. (19 აღკვეთილი, მთლიანი ფართობი - 60,000 ჰა).
- ბუნების ძეგლი (სულ 40) იშვიათი და უნიკალური მახასიათებლების მცირე ტერიტორია. შეიძლება დაშვებული იყოს შეზღუდული საეგებლობა.
- დაცული ლანდშაფტი (2,370,700 ჰა), რომელსაც მართავს ახმეტის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი; მიზნად ისახავს საკონსერვაციო მიზნების მიღწევის ხელშეწყობას, მაგ. ეკოტურიზმის პოპულარიზაციის გზით.
- 2018 წლის მდგომარეობით, საქართველომ ასევე დაიწყო "ზურმუხტის ქსელის" ტერიტორიების დაარსება. "ზურმუხტის ქსელი" წარმოადგენს ბერნის კონვენციის მხარეების მიერ შემუშავებული დაცული ტერიტორიების ქსელს (ევროპაში Natura 2000-

ის ექვივალენტი). ეს ქსელი მიზნად ისახავს კონვენციის I და II დანართებში ჩამოთვლილი ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვას და სპეციალური საკონსერვაციო ინტერესის ტერიტორიების (ASCI) დაკავშირებას. ამ ტერიტორიების ეკოლოგიური მნიშვნელობა ჯერჯერობით დადგენილი არ არის და ზოგიერთი ტერიტორიის „ზურმუხტის საიტად“ დამტკიცება მოხდა ყოველგავარი ბიომრავალფეროვნების კვლევებისა და ხეების ინვენტარზაციის გარეშე.

5.3.6 ჰაბიტატები

2018 წლიდან საქართველომ დაიწყო მისი ტრადიციული ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის შესაბამისობაში მოყვანა ევროპის ბუნების საინფორმაციო სისტემის (EUNIS) კლასიფიკაციასთან. EUNIS-ის ჰაბიტატების მხვილი ერთეულებია:

- A ზღვის ჰაბიტატები,
- B სანაპირო ჰაბიტატები,
- C ხმელეთის შიდა ზედაპირული წყლები,
- D ჭაობები და დაჭაობებული ადგილები,
- E ნაირბალახეულით, ხავსებით ან ლიქენებით გაბატონებული მდელოები და მიწის ნაკვეთები,
- F დაბალი ბუჩქნარი და ტუნდრა, გაუდაბურებული ადგილები,
- G ტყიანი ადგილები, ტყე და ხეებით დაფარული სხვა ტერიტორია,
- H მცენარეულობას მოკლებული ხმელეთის შიდა, ან მეჩხერი მცენარეულობის ჰაბიტატები,
- I რეგულარულად ან ახლად კულტივირებული სასოფლო-სამეურნეო, სამებაღეო და საოჯახო ჰაბიტატები,
- J გაშენებული, სამრეწველო და სხვა ხელოვნური ჰაბიტატები.

პროექტისთვის მნიშვნელოვანია მსხვილი ერთეულის ჰაბიტატი G, რომელიც მოიცავს შემდეგ ქვეკატეგორიებს:

- G1.12 ბორეო-ალპური ჭალის პარკული ტყეები
- G1.21 მდინარისპირა იფნარ-მურყნარი ტყე, რომელიც წყლის დონის აწევისას სველდება
- G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე
- G1.36 პონტოურ-სარმატული Populus-ის შერეული ჭალის ტყეები
- G1.37 ირან-ანატოლიური შერეული ჭალის ტყეები
- G1.44 შავი და კასპიის ზღვების სველნიადაგიანი ტყეები
- G1.6 წიფლნარი ტყეები
- G1.8 აციდოფილური მუხნარი ტყეები
- G1.A4 ხევებისა და ფერდობების ტყეები
- G1.A7 შავი და კასპიის ზღვების შერეული ფოთოლმცვენი ტყეები
- G3.17 ბალკანურ-პონტოური სოჭნარი ტყეები
- G3.1H აღმოსავლური ნაძვის ნაძვნარი ტყეები

- G3.4E ევროპული ფიჭვის პონტოურ-კავკასიური ფიჭვნარი ტყეები
- G3.9 წიწვნარი ტყე კვიპაროზისებრთა ან ურთხლისებრთა დომინანტობით (EUNIS 2017)

როგორც ზურმუხტის ქსელის, ასევე ახალი ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიის და მოქმედებათა გეგმის (NBSAP) ფარგლებში, განსაზღვრულია 27 ეროვნული პრიორიტეტული ჰაბიტატი, რომლებიც მიჩნეულია მოწყვლად და საფრთხის ქვეშ მყოფ ჰაბიტატებად (https://eunis.eea.europa.eu).

5.3.7 ტყეები

საქართველოს ტყეები წარმოადგენს მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიკურ რესურსს, უზრუნველყოფს ჰაბიტატებს ბიომრავალფეროვნებისთვის და მარეგულირებელი ეკოსისტემური მომსახურებების მნიშვნელოვან ფუნქციებს, როგორიცაა ნიადაგის ეროზიისა და ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია, წყლის შევსება, კლიმატის სტაბილიზაცია და სხვა. საქართველოში ტყით დაფარულია 2.8 მილიონი ჰექტარი, რაც ქვეყნის მთლიანი ფართობის დაახლოებით 40%-ია. 1.8 მილიონი ჰექტარი ეროვნული სატყეო სააგენტოს (NFA) დაქვემდებარებაშია, 521,000 ჰექტარი - დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ხოლო 153,000 ჰექტარი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. 369,000 ჰექტარი შედის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემადგენლობაში და მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარება (Garforth, Nilssson, Torchinava 2016).

ტყეები დაცულია საქართველოს ტყის კოდექსით, რომელიც არეგულირებს ტყეების ფუნქციებს და ტყითსარგებლობას, მათ შორის წყალშემკრები აუზების, ხე-ტყის წარმოების და სხვა ფუნქციების მართვას. ტყეზე კერძო საკუთრება და ხე-ტყის კომერციული დამზადება დაშვებულია, მაგრამ მხოლოდ ლიცენზიის საფუძველზე. ტყის კოდექსი ასევე განსაზღვრავს დაცული ტყეების კატეგორიებს და შეიცავს წითელი ნუსხის მცენარეთა სახეობების ჩამონათვალს.

საქართველოში ტყეები საფრთხის ქვეშაა, არამდგრადი ჭრების, ძოვებისა და მართვის სუსტი სისტემების არსებობის შედეგად. ქვეყნის ტყეების დიდი ნაწილი დეგრადირებულია. შედეგად, შემცირებულია ტყესთან ასოცირებული ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნება.

გამოკვეთილია შემდეგი პრობლემები: ა) ტყის არამდგრადი მართვა; ბ) ხე-ტყის უკანონო ჭრა; გ) ჭარბი ძოვება; დ) ხანძრები; ე) მავნებლები და დაავადებები; ვ) ნადირობის ცუდი მენეჯმენტი; ზ) კლიმატის ცვლილება; და თ) საკანონმდებლო პრობლემები და სატყეო ინფრასტრუქტურა.

გარდა ამისა, ტყეები არ იყო კატეგორიზებული, რადგან ტყეების აღრიცხვა არ განხორციელებულა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 15 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ტყეების უმეტესი ნაწილი ბუნებრივ ტყეებად იქნა კატეგორიზებული. პროექტი ხელს შეუწყობს ტყის აღრიცხვების განხორციელებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საქართველოში არსებული ტყის სხვადასხვა ტიპები, სიმაღლეები და დამახასიათებელი სახეობები.

ცხრილი 5-7: ტყის ტიპები და სიმაღლე ზღვის დონიდან (Fisher, Groger, Lobin 2018)

ტყის ტიპი [8]	სიმაღლე ზ.დ.	დამახასიათებელი ხის სახეობები
სუბალპური	2000 მეტრი	*Fagus orientalis, Betula edwediewii, Acer trautvetteri, Picea orientalis, Abies nordmanniana, Sorbus aucuparia.*
მთის და ნაწილობრივ მთიანი რელიეფის სოჭნარ-ნაძვნარი ტყე	1400 – 1900 მეტრი	*Abies nordmanniana, Fabus orientalis, Picea orientalis.*
მთის და [მაღალმთის] ფიჭვნარი ტყეები	700 – 2,400 მეტრი	*Pinus sylvestris var. hamata, Quercus petraea ssp iberia, Q. macranthera, Acer spp, Picea oreintalis, Betula pubescens var. litwinowii, Abies nordmanniana, Fagus orientalix, Fraxinus excelsior, Astragalus microcephalus.*
მთის და [მაღალმთის] აღმოსავლური წიფლის წიფლნარი ტყეები და რცხილნარ-წიფლნარი ტყეები	1,000 – 2,200 მეტრი	*Fagus orientalis, Picea orientalis, Carpinus orientalis, Fraxinus orientalis.*
ბორცვების და მთისწინეთის რცხილნარ-მუხნარი ტყეები		*Quercus petraea ssp. Iberica, Carpinus betulus, C. orientalis, Fagus orientalis, Castanea sativa.*
ჰიგროფილური თერმოფილური შერეული ფოთოლმცვენი ფართოფოთლოვანი ტყეები	1,000 – 1,400 მეტრი	*Fagus orientalis, Castanea sativa, Carpinus orientalis, Tilia caucasica, Alnus barbata, Rhododendron ponticu, R. ungernii, R smirnowii, Prunus laurocerasus, Ilex colchica, Buxus sempervirens.*
ხმელთაშუაზღვისპირული ფიჭვის ტყეები		*Pinus pityusa, Carpinus orientalis, Cistus creticus, Rhododendron luteum, Ruscus aculeatus, R. colchicus.*
ღვიის მეჩხერი ტყეები		*Quercus petraea ssp. Iberica, Juniperus communis ssp. oblonga.*
ჭარბტენიანი მურყნარი ტყეები და ჭაობის ტყეები		*Alnus barbata, Fraxinus excelsior, Pterocarya pterocarpa.*

5.4 ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფონი სამიზნე რეგიონებში

პროექტის განსახორციელებლად შეირჩა სამი სამიზნე რეგიონი და რვა მუნიციპალიტეტი (იხ. სურათი 5-5). რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების შერჩევისთვის გამოყენებული

[8] ეს კლასიფიკაცია ჯერ კიდევ არ არის შესაბამისობაში მოყვანილი EUNIS-თან. ტყეების ინვენტარიზაცია უზრუნველყოფს დამატებით მონაცემებს ტყის კლასიფიკაციისთვის EUNIS-ის გამოყენებით.

კრიტერიუმები შეჯამებულია განხორციელებადობის კვლევის ანგარიშში (დაფინანსების შეთავაზების დანართი 2).



სურათი 5-5: სამიზნე რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების რუკა

5.5 კახეთის რეგიონი

5.5.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

კახეთის რეგიონი მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, ჩრდილოეთით მას ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთით - აზერბაიჯანი და აღმოსავლეთით - მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი. რეგიონის მთლიანი ფართობია 11,310 კმ^2, რაც საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 17.5%-ს შეადგენს (სურათი 5-6). კახეთის მოსახლეობა 312,500 ადამიანია, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 9%-ს წარმოადგენს. რეგიონი შედგება რვა მუნიციპალიტეტისგან, ცხრა ქალაქისა და 276 სოფლისგან. რეგიონის დედაქალაქია თელავი. პროექტი იმუშავებს კახეთის რვა მუნიციპალიტეტიდან ოთხში: ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარელის და თელავის მუნიციპალიტეტებში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ ანგარიშის მომზადებისთვის ვიზიტი განხორციელდა შემდეგ სოფლებში / ქალაქებში: არგოხში, ვარდისუბანში, დედოფლისწყარო, შილდა, ლაფანყური, ოზაანი და ახალსოფელი.

.



სურათი 5-6: კახეთის რეგიონის რუკა

ურბანიზაციის დონე დაბალია, კახეთის მოსახლეობის 80% სოფლებში ცხოვრობს. სოფლების მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობა დაახლოებით 1,200 ადამიანია. მოსახლეობა 1989 წლის შემდეგ 7.9%-ით შემცირდა, ხოლო 2002 წლის შემდეგ 0.2%-ით, ძირითადად 20-დან 39 წლამდე ასაკის ადამიანთა მიგრაციის შედეგად. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევია ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში დასაქმების პოტენციალის მქონე სამუშაო ძალის დიდი ნაწილი მიგრირებს საქართველოს სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთ. კახეთში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში, არის აგრეთვე ქალთა მიგრაციის ტენდენცია. კახეთი პენსიონერების რიცხოვნობით იმერეთის შემდეგ მეორე ადგილზეა, სამეგრელო-ზემო სვანეთთან ერთად (კახეთის რეგიონული განვითარების სტრატეგია, 2013 წ.).

კახეთში დასაქმების მაჩვენებელი აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს, როგორც ეს ჩანს ცხრილი 5-8, სოფლის მეურნეობაში ჩართული ან თვითდასაქმებული ადამიანების რაოდენობის გამო.

ცხრილი 5-8: დასაქმების მაჩვენებელი კახეთში

აღწერა	კახეთი	საქართველო
დასაქმების დონე	67.1%	56.8%
აქტიურობის დონე	71.8%	66.9%

უმუშევრობის დონე	6.5%	15.01%

საკონსულტაციო პროცესში მთავრობის წარმომადგენლებთან გამართული განხილვის შედეგად დადასტურდა, რომ კახეთში, მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია სამთავრობო ინფრასტრუქტურულ პროექტებში, როგორიცაა მშენებლობა, რეაბილიტაცია, გზების გაყვანა და მოვლა, სარწყავი და სადრენაჟე სისტემების დაყენება და გაწმენდა და სხვ. ასევე, მცირე ბიზნესსა და სოფლის მეურნეობაში.

მოწყვლადი ადამიანები

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის თანახმად (ცხრილი 5-9), კახეთი მესამე ადგილზეა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობის მიხედვით (12,793 ოჯახი) თბილისისა და იმერეთის შემდეგ. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების პროცენტული წილით საქართველოს მთლიან მოსახლეობასთან, კახეთი ასევე მესამეა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და შიდა-ქართლის შემდეგ; 18.8%-იანი მაჩვენებლით (სოფლის განვითარების სტრატეგია საქართველო, 2017 წ.).

ცხრილი 5-9: მოწყვლადი ოჯახების რიცხოვნობა კახეთში – 2019 (კახეთის რეგიონული ოფისი)

ახმეტა	თელავი	დედოფლისწყარო	გურჯაანი	ყვარელი	ლაგოდეხი	საგარეჯო	სიღნაღი
2,094	1,199	1,064	2,798	973	1,871	1,456	1,338

იძულებით გადაადგილებული პირები

რეგიონული ოფისის თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა კახეთში სხვა რეგიონებთან შედარებით დაბალია. კახეთში ყველა რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირს ერიცხება შესაბამისი შემწეობა და დახმარება (კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013 წ.).

ჯანდაცვა

2013 წელს კახეთში მთავრობის მიერ ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავდა პირველადი ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების უფასო მიწოდებას. კახეთში 122 სოფლის ამბულატორია მოქმედებს. პირველადი სამედიცინო დახმარების დაწესებულებები გაუმართავ მდგომარეობაშია. ამ ობიექტების უმეტესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს ჯანდაცვის საბაზისო მოთხოვნებს და ჰიგიენური პირობები არასახარბიელოა. კახეთში პირველადი ჯანდაცვის სექტორში ყოველ 1000 ადამიანზე 1 ექიმი მოდის, არის საშუალო მედპერსონალის ნაკლებობა (ერთ ექიმზე 0.9 ექთანი მოდის). პირველადი ჯანდაცვის ექიმების რაოდენობაა 198, ხოლო ექთნების - 209. ყველა მუნიციპალიტეტში არის გარემონტებული და სათანადოდ აღჭურვილი სტაციონარი. სტაციონარებში 100,000 მოსახლეზე საწოლების უზრუნველყოფის მაჩვენებელი 95.4-ია, რაც საქართველოს მასშტაბით მცხეთა-მთიანეთის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

რეგიონში ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემებია: ა) მოსახლეობის თვითმკურნალობისა და თვითმედიკაციის მაღალი დონე; ბ) რეგიონში გავრცელებულია ბრუცელოზი და ტუბერკულოზი; გ) სასმელი წყლით გამოწვეული დაავადებების შემთხვევები; დ) მაღალია ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულების დონე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში; ე) სიმსუქნე; ვ) ავთვისებიანი სიმსივნე; ზ) ანემია; თ) ენდოკრინოლოგიური სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული დაავადებები; და ი) რეგიონში იოდის ნაკლებობით გამოწვეული ფარისებრი ჯირკვლის პრობლემები.

განათლება

რეგიონში 206 ბაგა-ბაღი, 192 სკოლა (ძირითადად საჯარო სკოლები), 2 სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი და ერთი სახელმწიფო უნივერსიტეტია. მოსახლეობის 18%-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, ხოლო 32% კი პროფესიული განათლების მქონეა. კახეთში საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა და აღმზრდელთა თანაფარდობა საშუალოდ 12/1-ზეა და არათანაბრადაა გადანაწილებული მუნიციპალიტეტების მიხედვით (ყველაზე მაღალია გურჯაანში (21/1) და ყველაზე დაბალია სიღნაღში - 10.48/1).

მიუხედავად იმისა, რომ კახეთის საჯარო სკოლები ბრენდირების სისტემით 7-8-ვარსკვლავიან კატეგორიაშია, სკოლების 28% ჯერ კიდევ რეაბილიტაციას საჭიროებს, სრულად განახლებულია სკოლების 18%, ხოლო ნახევრად რეაბილიტირებულია კახეთის სკოლების 53,5%. სკოლების ინფრასტრუქტურა ყველაზე უკეთ ყვარლის მუნიციპალიტეტშია მოწესრიგებული, ხოლო გურჯაანისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ ყველაზე არასახარბიელო მდგომარეობაა. კახეთის რეგიონის ორი პროფესიული კოლეჯის ინფრასტრუქტურა და სასწავლო ბაზები დამაკმაყოფილებელია. კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, კახეთში ყველაზე მოთხოვნადი და ამავე დროს დეფიციტურია შემდეგი პროფესიები: აგრონომი, უცხო ენის სპეციალისტი (თარჯიმანი), პროექტის, საფინანსო და მარკეტინგის მენეჯერი, სხვადასხვა სპეციალისტი-ექიმი, ინჟინერ-მშენებელი (გზების, ხიდების, შენობების), ინჟინერ-მექანიკოსი, სასტუმროს მენეჯერი, ფარმაცევტი, ფარმაკოლოგი, სხვადასხვა საგნის პედაგოგი და ენტომოლოგი.

ეკონომიკა

სოფლის მეურნეობა ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა. სხვა საქმიანობებს შორისაა მრეწველობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურების სფერო (ტურიზმის გამო) და მშენებლობა. ბოლო წლებში მშენებლობის მასშტაბის ზრდამ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე საშენი მასალების (აგური, კრამიტი, სამშენებლო ბლოკი და სხვა) წარმოების განვითარებას შეუწყო ხელი. რეგიონში მოქმედებს სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოები: ფიქალ-მარმარილოს მოპოვება-გადამუშავება თელავის მუნიციპალიტეტში, კირქვის მოპოვება-გადამუშავება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში.

ტურიზმი

ტურიზმი ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგია, რეგიონში წარმოდგენილია მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები, სახელმოხვეჭილი მეღვინეობის კერები, ბუნებრივი რესურსები, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობა. რეგიონში ფუნქციონირებსსასტუმროები, საოჯახო ტიპის სასტუმროები და ტურისტული კომპანიები. მუნიციპალიტეტებთან და თემებთან განხილვების დროს, ტურიზმი ხშირად იყო ნახსენები, როგორც მნიშვნელოვანი საქმიანობა შემოსავლის მოსაპოვებლად.

სოფლის მეურნეობა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38% კახეთის რეგიონშია. კახეთის ყველაზე დიდი მუნიციპალიტეტი - დედოფლისწყარო - პირველია არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიდიდით.

კახეთში ყველაზე მნიშვნელოვანი წარმოებებია: ა) მევენახეობა; საქართველოში არსებული ვენახების დაახლოებით 65% კახეთში მდებარეობს; ბ) მარცვლეულის წარმოება; საქართველოში ხორბლის წარმოება ყველაზე მაღალი კახეთშია; გ) სიმინდი; და დ) მზესუმზირის წარმოება, კერძოდ, დედოფლისწყაროსა და სიღნაღში.

დღესდღეობით, მზესუმზირის წარმოების ძირითადი წილი ოჯახურ მეურნეობებზე მოდის, დანარჩენი კი - 2-5% საწარმოებს უკავიათ. მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების განცხადებით, ახლო წარსულში, არაერთი კომპანია აწარმოებდა მზესუმზირის ზეთს, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა ვალების და საბანკო სესხების მაღალი პროცენტის გამო, და ამ კომპანიებიდან ბევრი იძულებული გახდა გაკოტრება გამოეცხადებინა. თუმცა, მათ ასევე აღნიშნეს, რომ სხვაგვარი ფინანსური მოდელის გამოყენებით, საკმაო პოტენციალი არსებობს, რომ დარგი განვითარდეს და მინიმუმამდე შეამციროს დამოკიდებულება თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან მზესუმზირის ზეთის იმპორტზე. სხვა წარმოებები მოიცავს საზამთროს და ბოსტნეულს, კარტოფილს, ატამს და სხვა ხილეულს.

სურათი 5-7: კახეთის ვენახები

სოფლის მეურნეობის დარგში არსებული გამოწვევებია: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების დაურეგისტრირებლობა, მოძველებული სასოფლო-სამეურნეო დანადგარები, დავები მესაკუთრეობის თაობაზე მოქალაქეთა შორის ან

მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის, ნიადაგის არასათანადო მოვლა, ფერმერების მიერ ორგანული სასუქების არასაკმარისი გამოყენება, სარეველებისა და მავნებლების მიერ ვენახების დაზიანება, სავარგულებზე პირუტყვის ძოვება, რაც გაუდაბნოებას იწვევს, ქარის და წყლისმიერი ეროზია, განსაკუთრებით საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში. წყლისმიერი ეროზიის თვალსაზრისით, ყველაზე დიდი საფრთხეა მდინარე ალაზნის ადიდება, რომელიც ყოველწლიურად აზიანებს სახნავ და საძოვარ მიწებს. განხორციელებული ვიზიტების დროს, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან განსავითარებელ დარგად იყო დასახელებული, როგორც მუნიციპალიტეტების, ისე მოსახლეობის მიერ.

მეცხოველეობა

კახეთის სოფლის მეურნეობაში მეცხოველეობას ტრადიციულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, როგორც რძის წარმოების, ასევე მეცხოველეობის თანაპროდუქტებისა და ხორცის წარმოების თვალსაზრისით. საძოვრების და სათიბების დიდი ტერიტორიები და ხელსაყრელი აგროკლიმატური პირობები ამ დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთს მცირე წილი უკავია ქვეყნის მეცხოველეობის მთლიან სულადობაში, ამ დარგის განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს და თბილისთან მისი სიახლოვე რეგიონის ძლიერ მხარეს წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის მსგავსად, მეცხოველეობა მუნიციპალიტეტებისა და თემების მიერ ნახსენები მნიშვნელოვანი განსავითარებელი დარგი იყო, თუმცა, გამოთქმული იყო წუხილი რეგიონში ეროზიის მაღალი დონის გამო.

მეცხოველეობის დარგთან დაკავშირებულ გამოწვევებში შედის პირუტყვის უკონტროლო გადასარეკი ტრასები, დაავადებების გავრცელება, სასაკლაოების არასათანადო ჰიგიენური პირობები, რეგიონსა და ქვეყანაში არაკეთილსაიმედო ეპიზოოტური მდგომარეობა, არაეფექტური ვეტერინარული სისტემა, საკვები ბაზის დაბალი კვებითი ღირებულება დასიძვირე; სურსათის ხარისხის კონტროლის სისტემის არაეფექტურობა და ადგილობრივ ხორცის ბაზარზე მონოპოლიური კომპანიების დიდი ზეგავლენა.

მეფუტკრეობა

მიუხედავად იმისა, რომ კახეთში მეფუტკრეობის წარმოება მცირეა საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, არსებობს დარგის განვითარების პოტენციალი, თბილისთან სიახლოვის და ტყიანობის ფონზე არსებული ხელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე. ხე-ტყის ჭრისგან ტყის დასაცავად მეფუტკრეობის გამოყენება ბევრ საკონსერვაციო პროექტში წარმატებით იქნა გამოყენებული სხვა ქვეყნებში.

5.5.2 გარემოსდაცვითი პროფილი

საქართველოს ტყეების 11-12% კახეთის რეგიონშია. კახეთის ტერიტორიის დაახლოებით 30% ტყით არის დაფარული. კახეთის რეგიონის ტყეების 98% მთის ტყეებია, ხოლო ტყეების 15% დაცული ტერიტორიებს მიეკუთვნება. საქართველოს დაცული ტერიტორიების 37% კახეთშია. ქვემოთ მოყვანილ სურათი 5-8 მოცემულია ტყით დაფარული ფართობები

მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც აჩვენებს, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტში ყველაზე მაღალია ტყიანობის მაჩვენებელი, ხოლო სიღნაღის მუნიციპალიტეტში ყველაზე დაბალი. კახეთში ტყეები უმნიშვნელოვანეს ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ფუნქციებს ასრულებს, მათ შორის: ეროზიისგან დაცვა, კლიმატის რეგულაცია, წყლის დაცვა, ბუნებრივი გენეტიკური რესურსების შექმნა და სხვა ფუნქციები. კახეთი რიგით მესამეა ტყის ყველაზე დიდი ფართობის მქონე რეგიონებს შორის. რეგიონის ტყეების 98% მთის ტყეებია, რომლებიც მაღალი ეკოლოგიური და ეკონომიკური მნიშვნელობით გამოირჩევა.

ტყე მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსია, რომელიც მოსახლეობას შეშით, სამშენებლო მასალით, ტყის არამერქნული პროდუქტებით და სანადირო რესურსით უზრუნველყოფს. როგორც ამ ანგარიშის 7.11 თავშია მოცემული, ტყეები უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკოსისტემურ მომსახურებებს, მათ შორისაა, ეროზიისგან დაცვა, კლიმატის რეგულაცია, წყლის დაცვა, ბუნებრივი გენეტიკური რესურსების შექმნა და სხვა ფუნქციები. რეგიონის მთის ტყეების 80% იზრდება მაღალ და ციცაბო (25º-ზე მეტი დაქანება) კლდოვან ფერდობებზე და, შესაბამისად, მათი ეკოლოგიური მნიშვნელობა უფრო მაღალია. რეგიონის ტყეების 2%-ს ჭალის ტყეები წარმოადგენს.



სურათი 5-8: ტყით დაფარულობა კახეთში (კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია, 2013 წ.)

ბუნებრივი საფრთხეები მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული: კლიმატის ცვლილებით დაწყებული

სოფლის მეურნეობის არამდგრადი წარმოებით დამთავრებული. ეს პრობლემა კახეთის რეგიონშიც მწვავედ დგას.

ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული სოფლის მეურნეობის დანაკარგები ყოველწლიურად იზრდება, ისეთი ამინდის პირობების შედეგად, როგორიცაა გვალვა გაზაფხულზე, წვიმები მოსავლის აღების პერიოდში, მოულოდნელი სეტყვა და ქარიშხლები. მაგალითად, 2012 წლის ივლისში, სეტყვისა და ძლიერი ქარიშხლის შედეგად

მიყენებული ზარალი უპრეცედენტო იყო, ხოლო 2013 წლის აპრილსა და მაისში თელავისა

და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მოსულმა სეტყვამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას.

ენერგოეფექტურობა

კახეთი საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით არ არის მდიდარი ალტერნატიული და განახლებადი ენერგორესურსებით. არსებობს ენერგიის უფრო ეფექტური წყაროების საჭიროება, მკაცრი ზამთრის პერიოდში ოჯახების დასახმარებლად და ბიზნესის შესაძლებლობების ხელშესაწყობად.

მიწათსარგებლობა

მიწათსარგებლობის შესწავლის ოპერაცია ჩატარდა დროის ორ შუალედში მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების მახასიათებლების დასადგენად; 1999 და 2018 წლებისთვის. სურათი 5-9 და სურათი 5-10 მოცემულია მონაცემები დიაგრამის სახით, ხოლო სურათი 5-11 და სურათი 5-12 მონაცემები ნაჩვენებია სივრცობრივად. ამ ოპერაციის განხორციელების მიზანი იყო არა აბსოლუტური რიცხვების, არამედ ტენდენციების გამოვლენა, ამიტომ დიაგრამები სიფრთხილით უნდა იქნას გათვალისწინებული.

როგორც მოსალოდნელი იყო, ტყეების დეგრადაციის მსოფლიო ტენდენციებისა და საქართველოში საშეშე ხე-ტყისთვის ხეების არამდგრადი ჭრების შედეგად, მონაცემები აჩვენებს, რომ შემცირდა ტყის საფარი და წყლის კატეგორიები, გაიზარდა ღია ველობების ფართობი (ღია ველობები სავარაუდოდ საძოვრები, სათიბები, სავარგულები და სხვა მიწებია, თუმცა მიწათსარგებლობის ზუსტი ტიპი საჭიროებს ადგილზე დაზუსტებას) და მოწყობილი ინფრასტრუქტურა გაიზარდა ორჯერ და მეტად.



სურათი 5-9: მიწათსარგებლობა კახეთში, 1999 წ.



სურათი 5-10: მიწათსარგებლობა კახეთში, 2018 წ.


RESOLUTE ENVIRONMENTAL SOLUTIONS
Kakheti, Georgia
Land Cover Map - 1999
Legend
Land Cover Classes
1 - Water
2 - Forest
3 - Open Fields
4 - Infrastructure
5 - Bare Ground
National
N
W
E
S
50
0
50 km

სურათი 5-11: 1999 Land Cover Map for კახეთი



სურათი 5-12: კახეთი კახეთის მიწის საფარის რუკა, 1999 წ.

კახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2022)

კახეთის რეგიონის 8-წლიანი განვითარების პრიორიტეტები შემდეგ ძირითად დარგებად არის დაყოფილი: სოფლის მეურნეობა, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, განათლება და სოციალური განვითარება. პროექტის ფარგლებში, მნიშვნელოვანია ტყეების დაცვასთან დაკავშირებული პრიორიტეტები.

1. სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესება და დამატებული ღირებულება.
2. მეფუტკრეობა. თაფლის წარმოების და ექსპორტის გაზრდა.
3. მეცხოველეობა და მეფრინველეობა: ხარისხის და წარმოების გაუმჯობესება
4. არასასოფლო-სამეურნეო პოტენციალის განვითარება რესურსების ბაზის შესწავლის და მეწარმეების წახალისების გზით
5. ტურიზმის ხელშეწყობა ახალი მიმართულებების დამატებით, ინფრასტრუქტურის განვითარებით და კვალიფიკაციის ამაღლებით
6. წყალმომარაგების და ნარჩენების მართვის ეფექტურობის გაზრდა
7. მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება
8. ტყეების და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ბიომრავალფეროვნების აღრიცხვისა და დაცვის გზით
9. დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება და მათი ტურიზმის პოტენციალის გაზრდა
10. სტიქიური უბედურების მართვისა და პრევენციის ეფექტურობის გაზრდა
11. გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესება გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების გზით
12. განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის გამოყენება
13. ჯანდაცვის გაუმჯობესება
14. განათლების ეფექტურობის გაუმჯობესება ინკლუზიური და არაფორმალური განათლების დანერგვით

5.6 გურიის რეგიონი

5.6.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

რეგიონი მდებარეობს საქართველოს დასავლეთ ნაწილში. მას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეგრელო, ჩრდილოეთიდან იმერეთი, აღმოსავლეთიდან სამცხე-ჯავახეთი, სამხრეთიდან აჭარა და დასავლეთით შავი ზღვა. რეგიონის ფართობია 2,033 კმ2. გურია შედგება 3 მუნიციპალიტეტისა (ოზურგეთი, ლანჩხუთი, და ჩოხატაური) და 1 ქალაქისგან - ოზურგეთისგან, რომელიც რეგიონის დედაქალაქია (სურათი 5-13). პროექტი განხორციელდება გურიის სამივე მუნიციპალიტეტში: ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად ვიზიტები განხორციელდა შემდეგ სოფლებში / ქალაქებში, ესენია: ლესა, ზოტი, მთისპირი, ჩიბათი და შემოქმედი.



სურათი 5-13: გურიის რეგიონი

გურიის მოსახლეობა 109,400 ადამიანია (საქსტატი, 2019 წ.), რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 3.1%-ს შეადგენს. მოსახლეობის 98% ეთნიკური ქართველია, 1% ეთნიკური სომეხია, დანარჩენი 1% კი ოსებისა და რუსებისგან შედგება. მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია (86%), რიგით მეორე რელიგიაა ისლამი.
რეგიონული სტრატეგიის თანახმად, შინამეურნეობის ყოველთვიური საშუალო ფულადი და არაფულადი შემოსავლები 2011 წელს 554 ლარს შეადგენდა. ამ მაჩვენებლით, გურია კახეთის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებს უსწრებს, თუმცა საქსტატისა და რეგიონული სტრატეგიის მონაცემები ერთმანეთს აცდენილია. 2011 წელს რეგიონში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 5466 ადამიანს (რეგიონის მოსახლეობის 3,9%), ხოლო დაქირავებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება 276,4 ლარს შეადგენდა.

სოფლის მეურნეობა რეგიონის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა, გარკვეული დოზით განვითარებულია ტურიზმიც, რასაც ხელს უწყობს ბათუმთან სიახლოვე და სამკურნალო კურორტები, მათ შორის, შავი ზღვის კურორტი ურეკი, რომელიც მდიდარია მაგნიტური ქვიშებით. სოფლის მეურნეობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს თხილისა და სიმინდის წარმოებას, თუმცა, 2015 წლიდან აზიური ფაროსანა (halyomorpha halys) თავს ესხმის თხილის (Corylus) ნარგავებს და ანადგურებს მოსავალს. ფაროსანა აზიანებს არა მხოლოდ თხილს, არამედ სხვა კულტურებსაც, მათ შორის სიმინდს. საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა ფაროსანას წინააღმდეგ საბრძოლველად. თხილის პლანტაციები მავნებლების წინააღმდეგ ქიმიური საშუალებებით დამუშავდა. საერთო ჯამში, სამეგრელოს, გურიისა და აჭარის რეგიონებში, 351 სოფლის ტერიტორიაზე,

დამუშავდა 53,000 ჰექტარი მიწა, მათ შორის ადგილობრივი მიწის ნაკვეთები და სიმინდის ყანები. თუმცა, ამ ინიციატივის შედეგად ვერ მოხერხდა მავნებლის საბოლოოდ განადგურება და პრობლემა დღემდე აქტუალურია.

წყალი ასევე ერთ-ერთი მთავარი რესურსია. ნაბეღლავი - საქართველოში ცნობილი მინერალური წყალი გურიაში იწარმოება. მნიშვნელოვანი საქმიანობაა ასევე ჩაის წარმოება, მაგრამ ბოლო წლებში ეს დარგიც უკუსვლას განიცდის.

სურათი 5-14: ნაბეღლავის მინერალური წყალი გურიაში

მოწყვლადი ოჯახები

საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რიცხოვნობით გურია მეხუთე ადგილზეა. საქართველოში საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის 14,7% გურიიდანაა (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია, 2017 წ.). ცხრილი 5-10 წარმოდგენილია სახელმწიფო შემწეობის მიმღები ოჯახების რიცხოვნობა რეგიონული ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით.

ცხრილი 5-10: მოწყვლადი ოჯახები, დევნილები და ეკომიგრანტები – 2019 წ. (გურიის რეგიონული ოფისი)

სექტორი	ლანჩხუთი	ოზურგეთი	ჩოხატაური	ოჯახების/შინამეურნეობების საერთო რაოდენობა რეგიონში
სოციალურად დაუცველი ოჯახები	1433	2203	1077	4713[9]
დევნილები	148	180	92	420
ეკომიგრანტები	არ არის შეფასებული	არ არის შეფასებული	არ არის შეფასებული	636

[9] 4,713 ოჯახის წარმომადგენელი 17,813 ადამიანი.

5.6.2 გარემოსდაცვითი პროფილი

რეგიონი მდიდარია ტყის რესურსებით, გურიაში ტყეს საერთო ტერიტორიის 48% უკავია. რეგიონული სტრატეგიის თანახმად, 2012 წელს ხე-ტყის მოპოვება 7,900 ჰა ფართობზე ხორციელდებოდა. რეგიონში ოპერირებს 21 ლიცენზირებული სახერხი.
ტყის შემქმნელ ძირითად მერქნიან სახეობებს შორის, რეგიონის მასშტაბით ჭარბობს წიფელი (29,370 ჰა). მნიშვნელოვანი ფართობი უკავია აკაციას (9,786 ჰა), წაბლს (466 ჰა) და სხვადასხვა წიწვოვნებს (5520 ჰა), როგორიცაა ფიჭვი (166 ჰა). თუმცა, რეგიონში ჯერ არ დასრულებულა ხეების ინვენტარიზაცია და ეს მაჩვენებლები სავარაუდოდ არაზუსტია.

ტყის დაცვა

რეგიონის ტყეები უზრუნველყოფს მნიშვნელოვან ეკოსისტემურ მომსახურებებს, როგორიცაა მერქანი, საწვავი ხე-ტყე, ნიადაგის დაცვა, წყლის რეგულირება და კლიმატის რეგულირება. ტყეები თვითგანახლების მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.

კოლხეთის ეროვნული პარკი გურიისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე მდებარეობს. პარკის ტერიტორიაზე გავრცელებულია ფრინველების 194 სახეობა და პარკზე გადის ფრინველების ყოველწლიური მიგრაციის მარშრუტები. საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ გარემოსდაცვითი პროგრამების და პროექტების დაგეგმვა და განხორციელება, ტრადიციულად, ცენტრალური ხელისუფლების მიერ ხდება. რეგიონის და მუნიციპალიტეტის დონეზე, გარემოსდაცვითი დაგეგმვა და მოსახლეობისა და კერძო სექტორის ჩართულობა შეზღუდულია (გურიის რეგიონული გეგმა, 2014-2021 წწ.), თუმცა რეგიონულმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა მზარდია ბოლო წლებში.

მიწათსარგებლობა

მიწათსარგებლობის შესწავლის ოპერაცია ჩატარდა დროის ორ შუალედში მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების მახასიათებლების დასადგენად; 1998 და 2018 წლებისთვის. სურათი 5-15 და სურათი 5-16 მოცემულია მონაცემები დიაგრამის სახით, ხოლო სურათი 5-17 და სურათი 5-18 მონაცემები ნაჩვენებია სივრცობრივად. ამ ოპერაციის განხორციელების მიზანი იყო არა აბსოლუტური რიცხვების, არამედ ტენდენციების გამოვლენა, ამიტომ დიაგრამები სიფრთხილით უნდა იქნას გათვალისწინებული.

მონაცემები აჩვენებს, რომ საერთო დაფარულობის თვალსაზრისით, გურიაში ტყის ფართობი 1998 წლიდან გაზრდილია, ეს ინფორმაცია ასევე დადასტურდა ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლებთან გამართული განხილვების დროს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ტყის მდგომარეობა რეგიონში გაუმჯობესებული ჩანს, გაზრდილი კანონაღსრულებისა და ზედამხედველობის შედეგად. თუმცა, Global Forest Watch-იდან მიღებული განხორციელებადობის კვლევის მონაცემების თანახმად, ტყის დაფარულობა მეტ-ნაკლებად უცვლელია დაახლოებით იგივე პერიოდების განმავლობაში.

1998 და 2018 წლების რუკებს თუ შევადარებთ, 2018 წლის რუკა ტყეების უფრო მეტ ფრაგმენტაციას აჩვენებს. დროის შუალედში წყლის კატეგორიები მნიშვნელოვნად შემცირდა. შემცირდა ღია ველობებიც, სავარაუდოდ სასოფლო-სამეურნეო და საძოვრების ფართობების შემცირების გამო (ღია ველობები სავარაუდოდ მოიცავს საძოვრებს, სავარგულებს, სათიბებს და სხვა მიწებს, თუმცა მიწათსარგებლობის ზუსტი ტიპი საჭიროებს ადგილზე დაზუსტებას) და აშენებული ინფრასტრუქტურის მომატების გამო.



სურათი 5-15: მიწათსარგებლობა გურიაში, 1998 წ.



სურათი 5-16: მიწათსარგებლობა გურიაში, 2018 წ.



სურათი 5-17: გურიის მიწის საფარის რუკა, 1998 წ.



სურათი 5-18: გურიის მიწის საფარის რუკა, 2018 წ.

გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2022)

გურიის რეგიონის 8-წლიანი განვითარების პრიორიტეტები მოიცავს შემდეგს:

1. საჯარო ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება
2. ბუნებრივი რესურსების და მატერიალური აქტივების ეფექტური მართვა და გამოყენება
3. საბაზისო ინფრასტრუქტურის და მშენებლობის განვითარება
4. მრეწველობის განვითარების ხელშეწყობა
5. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება
6. ტურიზმის განვითარება
7. სოფლის მეურნეობის განვითარება
8. რეგიონის ბრენდის შექმნა
9. უცხოური ინვესტიციების მოზიდვა
10. კომუნალური და სხვა საზოგადოებრივი მომსახურებების მოწესრიგება
11. სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბება
12. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის განვითარება
13. ქმედითი გარემოსდაცვითი საქმიანობის განხორციელება
14. მედიისა და სამოქალაქო სექტორის განვითარება და გენდერული უთანასწორობის შემცირება

5.7 მცხეთა-მთიანეთის რეგიონი

5.7.1 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი

სურათი 5-19: მცხეთა-მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, რეგიონს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, დასავლეთიდან შიდა ქართლის რეგიონი, სამხრეთიდან ქვემო ქართლი და თბილისი, ხოლო აღმოსავლეთიდან - კახეთი. რეგიონის ფართობი 6,786 კმ2-ია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული დედაქალაქია მცხეთა. 1992 წლიდან რეგიონის დასავლეთ ნაწილს აკონტროლებს სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რესპუბლიკა.

რეგიონი შედგება ხუთი მუნიციპალიტეტისგან; მოსახლეობა შეადგენს 93,600 ადამიანს (საქსტატი, 2019 წ.). ცხრილი 5-11 მოცემულია მოსახლეობის რიცხოვნობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. პროექტი განხორციელდება თიანეთის მუნიციპალიტეტში. თავდაპირველად, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების კონსულტანტებს ამ მუნიციპალიტეტის თემებთან შეხვედრები არ ჩაუტარებიათ, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გამოთქმული წინადადების თანახმად, არ იყო შესაფერისი დრო ამ ღონისძიებების განსახორციელებლად, მოლოდინების შექმნასთან დაკავშირებული სიფრთხილის გამო, რადგან პროექტის ფარგლებში ვიზიტების ჩატარების დროს პარალელური ინიციატივა ხორციელდებოდა

მუნიციპალიტეტის მიერ. თუმცა, შემდეგ, სოფელ არტანთან გაიმართა შეხვედრა 2021 წლის იანვარში, კომპონენტ 3-ის შემუშავებისთვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

ცხრილი 5-11: მცხეთა-მთიანეთი მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტები და მოსახლეობა

მუნიციპალიტეტი	მოსახლეობა	ქალაქი/სოფელი	მოსახლეობა
ახალგორი	7,703	ახალგორი	2,500
დუშეთი	25,659	დუშეთი	6,167
თიანეთი	9,468	თიანეთი	2,479
მცხეთა	47.711	მცხეთა	7,940
ყაზბეგი	3,795	სტეფანწმინდა	1,326

რეგიონის ძირითად ურბანულ მხარეებს წარმოადგენს მცხეთა და დუშეთი, კახეთისა და გურიის მსგავსად, მოსახლეობის დაახლოებით 75% სოფლად ცხოვრობს.

მოსახლეობის უმრავლესობა ეთნიკური ქართველია. პრობლემაა რეგიონიდან მიგრაცია; მოსახლეობა მკაცრი პირობების მაღალმთიანი ტერიტორიებიდან ურბანულ დასახლებებში ინაცვლებს. პოტენციურად, ამას შეიძლება გეოპოლიტიკური შედეგები მოჰყვეს, რუსეთთან და სამხრეთ ოსეთთან არსებული საზღვრის გამო. რეგიონში 483 სოფელია. სოფლები ზომით პატარა და მცირედ დასახლებულია, მხოლოდ ერთ სოფელში ცხოვრობს 5000 ადამიანი, 50 სოფელში 10 ან ნაკლები მაცხოვრებელია და 60-მდე სოფელი თითქმის მიტოვებულია. თიანეთში 12 [ადმინისტრაციული ერთეული][10] და 70-მდე სოფელია. რეგიონი ზარალდება მეწყრებითა და ზვავებით, რაც ხშირად მთავარი მაგისტრალისა და სოფლის გზების ჩაკეტვას იწვევს ზამთარში.

ძირითადი ეკონომიკური დარგებია მესაქონლეობა და მეცხვარეობა, მერძევეობა და სოფლის მეურნეობა, განსაკუთრებით ბოლქვიანი კულტურების მოყვანა. მეურნეობების უმეტესობა მცირე საოჯახო მეურნეობაა. საქართველოში მესამე ეროვნული პროექტის თანახმად, რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაუმჯობესების მთავარი ბარიერებია:

- მარცვლეულის წარმოება: სათანადო ტექნიკის, აგროტექნოლოგიების, ხარისხიანი თესლის, სარწყავი სისტემების და სხვა საჭირო მასალების ნაკლებობის გამო, საშუალო მოსავლიანობა ძალიან დაბალია.
- მეკარტოფილეობა: სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობა და სათესლე კარტოფილის მწარმოებელი ფერმის არარსებობა.
- მეხილეობა: ნერგების სიძვირე, სათანადო ტექნიკის არარსებობა, სოფლის მეურნეობის ეფექტურად გაძღოლის მეთოდების უცოდინრობა, ხილის დამზადების პუნქტებისა და მცირე გადამამუშავებელი საწარმოების არარსებობა ადგილზე.

[10] [ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი/?] საქართველოს ადმინისტრაციის ყველაზე დეცენტრალიზებული წევრია; მას თანამდებობაზე ნიშნავს მუნიციპალიტეტი. ის მთავარი წარმომადგენელია თემის დონეზე და პასუხისმგებელია ადგილობრივი ბიუჯეტის და ინფრასტრუქტურის განკარგვაზე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელობაზე და ზოგ შემთხვევაში, კონფლიქტების მოგვარებაზე.

- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენება: სანაშენე ფერმების არარსებობა, საკვები ბაზის არასაკმარისობა, მოსახლეობაში ფულადი რესურსის არარსებობა. საჭიროა მაღალპროდუქტიული, მათ შორის ალპურ პირობებთან შეგუებული ჯიშების შემოყვანა- გამრავლება, რძის და ხორცის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ამოქმედება და ახალი, ძვირადღირებული პროდუქტების შექმნა.
- წვრილფეხა პირუტყვის მოშენება: ზამთრის საძოვრების სიმწირე. საჭიროა ცხვრის ბილიკებზე არსებული ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და ამუშავება.
- მეფრინველეობა: მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული კომერციული მეფრინველეობის ფერმები მნიშვნელოვან როლს თამაშობს დედაქალაქის კვერცხითა და ქათმით მომარაგებაში. დიდი მოთხოვნაა ე.წ. სოფლის კვერცხსა და ქათამზე. მეფრინველეობის ფერმების მცირე ზომების გამო, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ ნაწილობრივ ხდება.
- მეფუტკრეობა: სათანადო ეტიკეტირების და მარკეტინგული ღონისძიებების ნაკლებობა. ალპური და ტყის მცენარეების სიმრავლე განაპირობებს ქართული თაფლის განსაკუთრებულ ხარისხს. ბუნებრივი პირობები თაფლის წარმოების გაზრდის შესაძლებლობას იძლევა.
- სათბურების სიმცირე: სათბურების მოწყობა მნიშვნელოვანია, რეგიონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სიმწირის გათვალისწინებით.
- კომერციალიზაციის დაბალი დონე: პროდუქტიულობის გარდა, რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების კომერციალიზაციის დონეც საკმაოდ დაბალია. ცალკე აღებულ მეწარმეებს არ ხელეწიფებათ თავიანთი პროდუქციის სათანადოდ შეფუთვა, რეკლამირება და გაყიდვა.
- კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური სფეროა ტურიზმი, კულტურული მემკვიდრეობის, ბუნებრივი ლანდშაფტის, ტყეების, მთების, განსაკუთრებით გუდაურის სათხილამურო კურორტის არსებობიდან გამომდინარე, რომელიც მოთხილამურეთა ცნობილი საერთაშორისო მიმართულებაა, და თბილისის ეროვნული პარკი. ქალაქი მცხეთა აღიარებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლად, სხვა მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები მდებარეობს დუშეთში, ყაზბეგში და სხვა ქალაქებში.

მცხეთა-მთიანეთი ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფანია. რეგიონზე გამავალი საერთაშორისო საავტომობილო გზა სომხეთს რუსეთთან აკავშირებს. რეგიონზე ასევე გადის ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენი (MDF 2016).

მოწყვლადი ოჯახები

საერთო ჯამში, მცხეთა-მთიანეთში 6,215 ოჯახი იღებს სოციალურ დახმარებას (ცხრილი 5-12), მცხეთა-მთიანეთი მეოთხე ადგილზეა სოციალური შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობით, რაც საქართველოში სოციალური შემწეობის მიმღები მთლიანი მოსახლეობის 17%-ს წარმოადგენს (საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგია, 2017 წ.). ამჟამად თიანეთის მუნიციპალიტეტში 667 ოჯახია რეგისტრირებული, როგორც სოციალურად დაუცველი, რაც ნიშნავს რომ ისინი სოციალურ დახმარებას იღებენ

სახელმწიფოსგან. რეგიონში სულ 9,564 დევნილია, რომელთა უმეტესობა იძულებით გადაადგილებული აღმოჩნდა 2008 წლის ოსეთის კონფლიქტის შემდეგ. თიანეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 დევნილი (თიანეთის მუნიციპალიტეტი, 2019).

ცხრილი 5-12: დაუცველი ოჯახების რაოდენობა მცხეთა-მთიანეთში (რეგიონული ოფისი)

თიანეთი	დუშეთი	მცხეთა	ყაზბეგი	ახალგორი
667	2406	1520	320	არ არის შეფასებული

5.7.2 გარემოსდაცვითი პროფილი

ტყე

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტერიტორიის დაახლოებით 39% ტყით დაფარულია; რაც 2,640 კმ2-ს შეადგენს. ტყეების უდიდესი ნაწილი განლაგებულია მკვეთრი დაქანების ფერდობებზე და ასრულებს მნიშვნელოვან ნიადაგდაცვით, წყლის შემნახველ-მარეგულირებელ, სანიტარიულ-ჰიგიენურ, რეკრეაციულ, ქარდაცვით და სხვა მარეგულირებელ ეკოსისტემურ მომსახურებებს, როგორიცაა რეკრეაცია და ტურიზმი. დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი ტყის რესურსები გააჩნიათ, ხოლო თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში [?].

უკანასკნელ წლებში, რეგიონის ტყეები დეგრადაციას განიცდის, რის შედეგადაც გახშირებულია მეწყრები, ღვარცოფები, ნიადაგის ეროზია. რეგიონულმა მთავრობამ ერთ-ერთ სტრატეგიულ პრიორიტეტად გამოაცხადა გარემოს დაცვა, მათ შორის ტყეების ზრდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორების დაგეგმვა და შემუშავება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ეკოსისტემური მომსახურებები და ეკონომიკური პოტენციალი, ძოვების რეგულირება და სათემო ტყის მართვის ეფექტური გამოყენება.

2011 წელს, კანონიერი ჭრებით მიღებული ხე-ტყის მოცულობა 61,884 მ3 იყო, რაც 2018 წლისთვის 25,488მ3-მდე შემცირდა. კლება გამოიწვია არა მოხმარების შემცირებამ, არამედ ტყეკაფების ადგილმდებარეობის გადანაცვლებამ მთიან ადგილებში, რამაც გააძვირა შეშის და მერქნის ფასი. ეს სავარაუდოდ ასევე ნიშნავს, რომ შეშაზე მოსახლეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გაიზარდა უკანონო ჭრები. თიანეთის ტყეებში მაღალია ტყის უკანონო ჭრის მაჩვენებელი. რეგიონული ოფისის ცნობით, ეს სიღარიბის მაღალი დონითაა გამოწვეული, რაც ადამიანებს უბიძგებს უკანონოდ მოიპოვონ ხე-ტყე, ალტერნატიული საწვავი რესურსის შესაძენად ფინანსური სახსრების არარსებობის გამო (მცხეთა-მთიანეთის რეგიონული სტრატეგია 2014-2021 წწ.).

მიწათსარგებლობა

მიწათსარგებლობის შესწავლის ოპერაცია ჩატარდა დროის ორ შუალედში მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებების მახასიათებლების დასადგენად; 1998 და 2018 წლებისთვის. სურათი 5-20 და სურათი 5-21 მოცემულია მონაცემები დიაგრამის

სახით, ხოლო სურათი 5-22 და სურათი 5-23 ნაჩვენებია სივრცობრივი მონაცემები. ამ ოპერაციის განხორციელების მიზანი იყო არა აბსოლუტური რიცხვების, არამედ ტენდენციების გამოვლენა, ამიტომ დიაგრამები სიფრთხილით უნდა იქნას გათვალისწინებული.

სხვა რეგიონების მსგავსად, მონაცემები აჩვენებს, რომ 1998 წლიდან მცხეთაში ტყით დაფარული ფართობი შემცირდა. წყლის კატეგორიები დაახლოებით იგივე დარჩა. გაიზარდა ღია ველობების ფართობი, სავარაუდოდ, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და საძოვრების ფართობების გაზრდის შედეგად (ღია ველობები, სავარაუდოდ, საძოვრებს, სავარგულებს, სათიბებს და სხვა ფართობებს მოიცავს, თუმცა მიწათსარგებლობის ზუსტი ტიპი საჭიროებს ადგილზე დაზუსტებას). აშენებული ინფრასტრუქტურა ერთადერთი კლასია, რომელიც შესწავლილი პერიოდის განმავლობაში ყველა რეგიონში გაიზარდა.



სურათი 5-20: მიწათსარგებლობა მცხეთა-მთიანეთში, 1998 წ.



სურათი 5-21: მიწათსარგებლობა მცხეთა-მთიანეთში, 2018 წ.



სურათი 5-22: მცხეთა-მთიანეთი მცხეთა-მთიანეთის მიწის საფარის რუკა, 1998 წ.



სურათი 5-23: მცხეთა-მთიანეთის მიწის საფარის რუკა, 2018 წ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014-2022)

რეგიონის 8-წლიანი განვითარების პრიორიტეტები მოიცავს შემდეგს:

1. გარემოს დაცვა, მდგრადი ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება
2. რეგიონის ინოვაციური (კლასტერული) მდგრადი განვითარების სისტემის ჩამოყალიბება
3. საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა
4. სოფლის მეურნეობის განვითარება
5. ტურიზმის მდგრადი განვითარება
6. ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა
7. განათლების, კულტურისა და სპორტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
8. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის საჭირო მომსახურებების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება
9. სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესება
10. სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება
11. რეგიონული და მუნიციპალური მმართველობისა და თვითმმართველობის სრულყოფა

5.8 ბარიერები და შესაძლებლობები სამ სამიზნე რეგიონში

ბარიერები და შესაძლებლობები სამ სამიზნე რეგიონში: კახეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში, წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილი 5-13 (საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა, 2018-2021 წწ.).

ცხრილი 5-13: ბარიერები და შესაძლებლობები 3 სამიზნე რეგიონში

რეგიონი	ბარიერები	შესაძლებლობები
კახეთი	• ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის დაბერება • ადგილობრივი მოსახლეობის თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებელი, უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობა • წყალარინების სისტემისა და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი	• ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა (ახლო მდებარეობა თბილისთან და აზერბაიჯანის საზღვართან) • მეღვინეობის შემდგომი მოდერნიზაცია (სტრატეგიული ექსპორტის სექტორი) • სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო სექტორის შემდგომი განვითარება და მოდერნიზაცია • მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა ტურიზმის განვითარებისათვის • არსებული დასაჯდომი

რეგიონი	ბარიერები	შესაძლებლობები
	მდგომარეობა, გაზის მიწოდების დეფიციტი • სივრცითი დაგეგმვის სისტემის არარსებობა • ამორტიზებული • საზოგადოებრივი ტრანსპორტი • ტურისტული მომსახურების დაბალი ხარისხი • მიწის აღრიცხვიანობის საკითხების მოუწესრიგებლობა, არსებული კანონმდებლობით • სოფლებისა და მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების არასრული გაზიფიცირება	ზოლი თელავის აეროპორტში • ტყის რესურსები • ტურიზმის განვითარების მაღალი პოტენციალი (აგრო, კულტურული, ღვინის, სათავგადასავლო, ეკო და გამაჯანსაღებელი ტურიზმი), განსაკუთრებით სიღნაღის, თელავის, ყვარლის, საგარეჯოსა და ახმეტის (მათ შორის, თუშეთში) მუნიციპალიტეტებში • არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი), როგორც საფუძველი ინოვაციების განვითარებისათვის • ჰიდრო და მზის ენერგიის პოტენციალი
გურია	• ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონე და მოსახლეობის დაბერება • უმუშევრობის მაღალი დონე, კვალიფიციური სამუშაო ძალისნაკლებობა • ნაკლებად განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა • სახნავ-სათესი მიწების მცირე ფართობი, ძველი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ტექნოლოგიები, ლოგისტიკის განუვითარებელი სისტემა • სკოლების ამორტიზებული ინფრასტრუქტურა • პროფესიული განათლების ობიექტების სიმცირე • ამორტიზებული წყალმომარაგების სისტემა და წყლის დაბალი ხარისხი • სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა და სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების ნაკლებობა	• ახლო მდებარეობა ფოთისა და ბათუმის პორტებთან, ბათუმისა და ქუთაისის აეროპორტებთან • სუფსის ნავთობტერმინალი • სამთო, ზღვისპირა და სამედიცინო ტურიზმის განვითარების პოტენციალი • წყლის, ქარის, ბიომასისა და მზის ენერგიის გამომუშავების პოტენციალი • ტყის რესურსები
მცხეთა-მთიანეთი	• სუსტად განვითარებული სივრცითი დაგეგმვის სისტემა და სივრცითი დაგეგმვის დოკუმენტების	• საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების კარგი მდგომარეობა

რეგიონი	ბარიერები	შესაძლებლობები
	ნაკლებობა • უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე, სამუშაო ძალის დაბალი კვალიფიკაცია • ტურისტული ინფრასტრუქტურის ცუდიხარისხი • სოფლის მეურნეობის დაძველებული ტექნიკა და ტექნოლოგიები, ლოგისტიკური სისტემების არარსებობა • ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა • სკოლამდელი და ზოგადი განათლების ობიექტების სიმცირე	• თბილისთან ახლო მდებარეობა • საძოვრებისა და ტყეების დიდიფართობი • წყლის რესურსები • კულტურული, სათავგადასავლო, სამთო ტურიზმის განვითარების პოტენციალი • ჰიდრო, ქარის, მზის და ბიომასის ენერგეტიკული პოტენციალი

6 პროექტის კატეგორია

განხორციელდა პროექტის სკრინინგი GIZ-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების პოლიტიკის, ასევე GCF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების და IFC-ის შესრულების სტანდარტებთან მიმართებაში.

კლიმატის მწვანე ფონდი (2018) მოითხოვს, რომ "გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების მასშტაბები და სიღრმე, რისკებისა და ზემოქმედებების პროპორციული იყოს, და განისაზღვროს სკრინინგის შედეგად და შესაბამისი გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების (ESS) სპეციალური მოთხოვნების შესაბამისად, GCF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების სტანდარტებისა და ამ პოლიტიკის მიხედვით. A კატეგორიის საქმიანობებისთვის, რომლებისგანაც მოსალოდნელია მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, საჭიროა სრული და ამომწურავი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასება (ESIA) და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP). შეზღუდული ზემოქმედების B კატეგორიის საქმიანობებისთვის, საჭირო იქნება მიზნობრივი ESIA და ESMP, საჭიროებისამებრ, უფრო შეზღუდული ფოკუსით, სადაც აღწერილია პოტენციურ ზემოქმედებები, აგრეთვე სათანადო შერბილების, მონიტორინგის და ანგარიშგების ზომები. C კატეგორიის საქმიანობას არ უნდა ახლდეს მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები, ამიტომ შეიძლება არ საჭიროებდეს რაიმე შეფასების მომზადებას, თუმცა წინასწარი შეფასებით ან სკრინინგით უნდა დადასტურდეს, რომ საქმიანობა ნამდვილად C კატეგორიას მიეკუთვნება".

GCF-ი აღნიშნულ კატეგორიებს შემდეგნაირად აღწერს:

> **A კატეგორია** – საქმიანობა, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედებები, რომლებიც ინდივიდუალურად ან კუმულაციურად, მრავალფეროვანი, შეუქცევადი ან უპრეცედენტოა;
>
> **B კატეგორია –** საქმიანობა, რომელსაც თან ახლავს მსუბუქი პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები და ზემოქმედებები, რომლებიც ინდივიდუალურად ან კუმულაციურად, მცირეა, და ზოგადად, სპეციფიკური, დიდწილად შექცევადი და შემარბილებელი ზომების საშუალებით ადვილად გამოსწორებადია; და
>
> **C კატეგორია –** საქმიანობა, რომელსაც იწვევს მინიმალურ უარყოფით გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებსა და ზემოქმედებებს, ან სრულიად არ იწვევს ასეთ რისკებსა და ზემოქმედებებს.

GIZ-ისთვის, ქვემოთ მოცემულია პროექტის რისკების კატეგორიების კლასიფიკაცია, ინდივიდუალური გარანტიების გამოყენებით:

- **გარემოსდაცვითი გარანტია:** პროექტი შეიცავს სამშენებლო სამუშაოების შეზღუდულ რაოდენობას, რომელთა შერბილება შესაძლებელია გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის გზით. სამშენებლო და ხე-ტყის ჭრის სამუშაოები გამოიწვევს ზემოქმედებას ფლორასა და ფაუნაზე, მცენარეულობის და ნიადაგის დაზიანებას და ასევე, არსებობს პროექტის

მუშახელის უბანზე ყოფნასთან და ქცევასთან დაკავშირებული რისკები, ეროზიის რისკი და სხვა. ყველა ეს რისკი და ზემოქმედება ექვემდებარება მართვას და არ განიხილება მნიშვნელოვან რისკად და ზემოქმედებად, შესაბამისად, ძირითადად შეფასებულია, როგორც დაბალი და საშუალო და ექცევა GIZ-ის B კატეგორიაში.

- **კლიმატის გარანტია; კლიმატის ცვლილების შერბილება:** კლიმატის გარანტიის მიხედვით, პროექტები, რომელთა ძირითადი მიზანი კლიმატის ცვლილების შერბილება ან კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციაა, ანუ KLM-2 ან KLA2 მარკერების მქონე პროექტები, როგორც ამ შემთხვევაში ეს პროექტი, არ საჭიროებს შეფასებას, რადგან შეიძლება ჩაითვალოს, რომ შერბილების ან ადაპტაციის მნიშვნელოვანი პოტენციალი უკვე შეტანილია პროექტის დაგეგმვასა და დიზაინში. აქედან გამომდინარე, ამ გარანტიისთვის რისკის კატეგორია არ შეფასებულა ESIA-ის პროცესში.
- **კლიმატის გარანტია; კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია:** როგორც ასახულია ამ ანგარიშის გარემოსდაცვითი ფონის მიმოხილვის ნაწილში (თავი 5.3.1), საქართველოში ტყეები განიცდის კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ ზემოქმედებას. შეზღუდული მონაცემების გამო, ამ ზემოქმედების მასშტაბის შეფასება ვერ ხერხდება, თუმცა კლიმატის ცვლილების რისკები არსებობს ამ პროექტისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მიდრეკილია მეწყრების, ზამთრის სეზონზე ზვავების, გვალვებისა და წყალდიდობისკენ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროექტის მუშახელზე, ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობაზე და გამოიწვიოს შეყოვნებები ან/და შეფერხებები პროექტის მიზნების მიღწევაში. პროექტის სამიზნე რეგიონებში, ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვისა და განხორციელებისას, პროექტის ერთ-ერთი სარგებელი იქნება ტყეების მოწყვლადობის შეფასება და შედეგების ინტეგრირება მართვის გეგმებში, ტრენინგებში, პროტოკოლებში და პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ოპერაციული თვალსაზრისით, პროექტისათვის ეს შეიძლება მოიცავდეს მდგრადი სატყეო გზების მშენებლობას და კლიმატის ცვლილების მიმართ მდგრადი მცენარეების გამოყენებას აღდგენის პროცესში. ამ გარანტიით გათვალისწინებული რისკი ფასდება C კატეგორიად.
- **კონფლიქტების და კონტექსტის თვალსაზრისით სენსიტიურობის გარანტია:** პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული რეგულაციების დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი პროექტის პერსონალს, ეროვნულ სატყეო სააგენტოს, ზედამხედველობის დეპარტამენტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოსახლეობას შორის. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, ეს კონფლიქტი ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, თუ თავიდანვე სწორი მიდგომა იქნა გამოყენებული. პროექტის შემუშავებისა და დაგეგმვის ფაზაში ინტეგრირებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესი, რათა თავიდან იქნას აცილებული და/ან მინიმუმამდე იქნას დაყვანილი დაინტერესებული მხარეების კონფლიქტი. გარდა ამისა, პროექტი უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის და ჩართულობის თვალსაზრისით შესაძლებლობების გაძლიერების სიღრმისეულ პროგრამას, და კონფლიქტის მართვის პროგრამას. ამ გარანტიის რისკის კატეგორიად განისაზღვრა B კატეგორია.

- **ადამიანის უფლებების გარანტია:** ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული რისკები შეფასებულია, როგორც დაბალი და საშუალო და ძირითადად ეხება ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავებასა და განხორციელებასთან და ტყის კოდექსისა და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების აღსრულებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას. პროექტისთვის საჭირო არ იქნება ადამიანების განსახლება, რადგან სამუშაოების უმეტესი ნაწილი ჩატარდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ტყის მიწებზე, სადაც დასახლებები არ არის. გარკვეული მიწის ფართობი საჭირო იქნება საქმიანი ეზოების მოსაწყობად, მაგრამ ეს ადგილები საგულდაგულოდ შეირჩევა ისე, რომ განსახლების საჭიროება არ შეიქმნას. ESMP-ის მნიშვნელოვანი ნაწილია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელება, განსაკუთრებით, ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ადამიანების მიერ წამოჭრილი საკითხები ინტეგრირდება ინდივიდუალურ ტყის მდგრადი მართვის გეგმებში. ადამიანის უფლებების გარანტიის რისკის კატეგორია შეფასებულია, როგორც B კატეგორია.

GIZ-ის პროექტებისთვის რისკების შეფასება ემყარება ერთი, ყველაზე მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის საერთო კატეგორიას, ნებისმიერი გარანტიის კატეგორიისთვის და არა რისკების გასაშუალოებას. GIZ-ის მიერ გამოყენებული "გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის" განმარტება შემდეგია: "GIZ-ის პროექტის შესაძლო უნებლიე უარყოფითი ზემოქმედებები ადამიანებზე და დაცვის ობიექტებზე".

პროექტი კლასიფიცირებულია, როგორც "B კატეგორია" GCF-ის გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების, და GIZ-ის გარანტიების და წინასწარი გენდერული შემოწმების სისტემით, როგორც ზემოთ განხილული იყო, გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების თვალსაზრისით. ამ სიღრმისეული ESIA-ს შედეგებით დაადასტურა წინასწარი შემოწმების შედეგები. შესაბამისად, პროექტი კლასიფიცირდება როგორც "B კატეგორია" შემდეგი საფუძვლებით:

- პროექტს ექნება დადებითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გაზრდით, ტყისა და ეკოსისტემების დაცვის გზით ტყის მდგრადობის გაუმჯობესებით, და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგადი მენეჯმენტის შესაძლებლობის გაუმჯობესებით, და პარალელურად უფრო ენერგოეფექტური პროცესებისა და ტექნიკის დანერგვით.
- პროექტი დაიგეგმა ისე, რომ არ გამოიწვევს ადამიანების განსახლებას. პროექტის ფარგლებში ორი ძირითადი ფიზიკური სამუშაო ტარდება: ა) სატყეო გზების, მორსათრევი ბილიკების მოწყობა და ტყეში ხეების ჭრა, ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიაზე, სადაც არავინ არ არის დასახლებული; და ბ) საქმიანი ეზოების მშენებლობა მერქნის დასაწყობებისა და გაყიდვისთვის. ამ ეზოების ადგილმდებარეობა განსაზღვრული არ არის; მათი შერჩევა სიფრთხილით მოხდება, ისე, რომ საჭირო არ გახდეს იძულებითი განსახლება.

- პროექტით გათვალისწინებულია ფიზიკური სამუშაოების შეზღუდული მოცულობა ტყის ტერიტორიაზე, ეს მოიცავს სატყეო გზების, მორსათრევი ბილიკების მშენებლობას, და ხეების ჭრას, რაც გამოიწვევს ბუნებრივი ჰაბიტატის მცირე დანაკარგს. სატყეო გზების მოწყობა და ხეების ჭრა საჭიროა ტყეების მდგრადი მართვისთვის. სატყეო გზების მშენებლობისა და ხეების ჭრის ზემოქმედება ადგილ-სპეციფიკურია, რაც მინიმუმამდე შემცირდება შერბილების ზომების გამოყენებით.
- საერთო ჯამში, პროექტის პოტენციური ზემოქმედებები კლასიფიცირებულია, როგორც დაბალი და საშუალო და მათთან გამკლავება შეიძლება შერბილების გზით, მათ შორის, შედეგიანი კონსულტაციებით, გადაწყვეტილებების მიღებაში საზოგადოების ჩართულობით, შესაძლებლობების გაძლიერებით, ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებით და მშენებლობისა და სხვა სამუშაოების დროს გარემოსდაცვითი, შრომითი, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედებების მართვის სისტემით.

7 გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები

გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების კლასიფიკაცია შესრულდა GIZ-ის ზოგადი სახელმძღვანელო გარანტიებისა და გენდერული მართვის სისტემის გამოყენებით. GIZ-ის გარანტიების კონტექსტში, GIZ-ი განსაზღვრავს რისკებს, როგორც:

- GIZ-ის პროექტის შესაძლო უნებლიე უარყოფითი ზემოქმედება ადამიანებზე და დასაცავ ობიექტებზე;
- კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისთვის, გარე რისკები, რომლებიც გამომდინარეობს პროექტის კონტექსტიდან ან გარემოდან (GIZ, 2018 წლის ოქტომბერი).
-

GIZ-ი რისკებს ყოფს სამ კატეგორიად, გარემოს, კლიმატის, კონფლიქტების და კონტექსტის თვალსაზრისით სენსიტიურობის და ადამიანის უფლებების სფეროებად, როგორც ეს მოცემულია ქვემოთ:

ცხრილი 7-1: GIZ-ის რისკების შეფასების მატრიცა (GIZ, 2018 წ.)

რისკის კატეგორია	A (მაღალი)	B (საშუალო)	C (დაბალი)
პოტენციურად რთული, სერიოზული, შეუქცევადი ან უპრეცედენტო	პოტენციურად იშვიათი ან ადგილობრივად შეზღუდული შემთხვევა, დიდწილად შექცევადი შედეგები,	მცირე, ან შეუძლებელია იდენტიფიცირება	პოტენციურად რთული, სერიოზული, შეუქცევადი ან უპრეცედენტო

	სამართავად მარტივი		

შეფასება განხორციელდა დაინტერესებული მხარეების შეხედულებებისა და პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზის გამოყენების საფუძველზე. ეს შეფასება მიზნად არ ისახავს ზემოქმედებების რაოდენობრივ შეფასებას, არამედ აფასებს რისკის დონეს, ზემოქმედების მასშტაბისა და არსებული გარემოს საფუძველზე.

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია მოსალოდნელ დადებითი ზემოქმედებები, უარყოფითი სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედებები და მათი კლასიფიკაცია და ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება. ამორიცხული აქტივობების ჩამონათვალი, რომლებსაც პროექტი არ დააფინანსებს, მოცემულია დანართში 2.

7.1 პროექტის მოსალოდნელი დადებითი შედეგები

პროექტს ექნება დადებითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გაზრდით, ტყისა და ეკოსისტემების დაცვის გზით ტყის მდგრადობის გაუმჯობესებით და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოგადი მენეჯმენტის შესაძლებლობების გაუმჯობესებით, და პარალელურად უფრო ენერგოეფექტური პროცესებისა და ტექნიკის დანერგვით. საერთო ჯამში დადებითი ზემოქმედებები მოიცავს შემდეგს:

- პირდაპირი დადებითი ზემოქმედება კლიმატის მოქმედებაზე ტყის ზეზემდგომ მარაგში სეკვესტრირებული/ჩაჭერილი CO2-ის რაოდენობის გაზრდით, აგრეთვე ტყის შემატების ზრდის შედეგად დამატებითი ნახშირბადის სეკვესტრირების პოტენციალი. უფრო კონკრეტულად, პროექტი გამოიწვევს ემისიების 5.2 მილიონი ტონა CO2eq-ით შემცირებას, 250,000 ჰა-ზე ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვის განხორციელებით.
- ტყეების ეკოლოგიური პროცესების და ეკოსისტემური მომსახურებების გაუმჯობესება.
- ტყეების დეგრადაციის აჩქარების შემცირება და ტყის არასათანადო მართვის პრაქტიკის შეცვლა ტყის მდგრადი მართვით.
- ტყის მდგრადი მართვის გეგმების დიზაინის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან მერქნის შესყიდვის განხორციელებას და ამით გააუმჯობესებს საქართველოში ტყეების ზოგად მდგომარეობას.
- პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას, ეს პროექტი შეიძლება კატალიზატორი იყოს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განხორციელდეს შედეგიანი ურთიერთქმედება თემებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაძლებლობების გაზრდა, მათ შორის მონაცემთა მართვაში, გადამუშავებასა და

ანალიზში და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების მომზადებასა და გამოყენებაში.

- ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის გაუმჯობესება.
- ენერგოეფექტური ღუმელები და ბრიკეტები წარმოქმნიან უფრო ნაკლებ კვამლს, ვიდრე ტრადიციული ღუმელები და შეშა, რაც მათ უფრო სასარგებლოს ხდის მომხმარებლის ჯანმრთელობისთვის.
- ტყეში უკანონო საქმიანობის ფორმალიზება გამოიწვევს დადებით ეკონომიკურ შედეგებს ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის, ხე-ტყის მრეწველობისთვის და ქვეყნის ეკონომიკისთვის.
- უკანონო საქმიანობის შემცირებას მოჰყვება ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური სარგებელი.
- პირდაპირი, არაპირდაპირი და ინდუცირებული დასაქმების და საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. მიმდინარე შეფასებით, სატყეო სექტორში მოსალოდნელია 867 სამუშაო ადგილის შექმნა, პროექტის მიმდინარეობის პერიოდში, აღდგენის, მოვლის, ხე-ტყის დამზადების, ტრანსპორტირების, გზების მშენებლობისა და მოვლის სამუშაოებში და 100-მდე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა – თითოეული დაახლოებით 20 დასაქმებულით – რაც საჭირო იქნება სატყეო ტექნოლოგიებისთვის ბაზრის უზრუნველსაყოფად.
- ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება (ღირებულებებითი ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა ტყის არამერქნული პროდუქტების, ეკოტურიზმისა და ხე-ტყის გადამუშავების სექტორებში), რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ გაძლიერებას მდგრადად მართულ ტყეებთან დაკავშირებული ფორმალური სამუშაო ადგილების საშუალებით.
- ტყის მდგრადი მართვისა და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ განათლებისა და ცოდნის გაძლიერება.
- ტყის მართვის მონაწილეობითი დაგეგმვის მხარდაჭერა ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ და ადგილობრივ სატყეო უწყებებსა და მოსახლეობას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა.
- სატყეო სექტორისთვის საჩივრების განხილვისა და სარგებლის განაწილების მექანიზმების დანერგვა.
- ტყის მდგრადი მართვის შესაბამისი პროფესიული უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესება.
- სატყეო რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური რისკების შერბილება და მართვა, უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ მყოფი დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და უფლებების უკეთ დაცვით.
- საკანონმდებლო და მარეგულირებელი პოლიტიკის გაძლიერება, რომელიც შექმნის ჩარჩოს ბუნებრივი რესურსების მდგრადი და გენდერულად მგრძნობიარე მართვისთვის.

7.2 პოტენციური უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებები

პროექტის ეკოლოგიური და სოციალური ზემოქმედებები შეფასდა მოსახლეობასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ადგილობრივ, რეგიონულ და ცენტრალურ ხელისუფლებებთან კონსულტაციების და პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზის შედეგად.

ამ თავში წარმოდგენილია: ა) ზემოქმედებათა ფიზიკური წყაროების მოკლე აღწერა (7.2.1 თავი); ბ) ზემოქმედებების და ზემოქმედებათა კლასიფიკაციის მიმოხილვა ცხრილის ფორმით (7.2.2 თავი); და გ) IFC-ის შესრულების სტანდარტების მიზნების მიმოხილვა პროექტთან მიმართებით, გამოვლენილი ზემოქმედებების ანალიზი და კლასიფიკაციის დასაბუთება (7.2.3 თავი).

4.2.3 ზემოქმედების ფიზიკური წყარო

პროექტი განახორციელებს შემდეგ ფიზიკურ სამუშაოებს:

- 641 კმ სატყეო გზების მშენებლობა, მათ შორის არსებული გზების შეკეთება.
- სატყეო გზების, მორსათრევი ბილიკების და დასაწყობების ადგილების მოვლა.
- დაახლოებით 1,924 კილომეტრის მორსათრევი ბილიკების გაყვანა, ტყეკაფებიდან დასაწყობების ადგილებამდე ხე-ტყის ტრანსპორტირებისთვის, შემცირებული ზემოქმედების მქონე ხე-ტყის დამზადების მეთოდების გამოყენებით.
  - დასაწყობების ადგილების მოწყობა.
  - მშენებლებისა და მძიმე ტექნიკის ყოფნა ადგილზე (მათ შორის, ხე-ტყის მჭრელთა ჯაჭვური ხერხები და ბულდოზერები, ექსკავატორები და როლერების გამოყენება გზების მშენებლობისა და მოვლის დროს). 14 საქმიანი ეზოს მშენებლობა. საქმიანი ეზოები მოიცავს სულ მცირე 1 ოფისს საქმიანი ეზოს პერსონალისთვის და დაცვისთვის, საშრობ და შესანახ (გადახურული ფარდული) ობიექტებს და ხე-ტყის მარტივი დამუშავების ადგილს (სურათი 7-1). შეშის გაყიდვა ეზოში მოხდება.
  - 14 საქმიანი ეზოს ყოველდღიური საქმიანობა.
  - მორების გადაზიდვა ტყეკაფებიდან საქმიან ეზოებამდე.

სურათი 7-1: საქმიანი ეზოს პოტენციური განლაგება (აღებულია განხორციელებადობის კვლევიდან)

4.2.4 გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების და ზემოქმედებათა კლასიფიკაციის მიმოხილვა

ცხრილი 7-2 მოცემულია პროექტის კომპონენტების და აქტივობების ზემოქმედება, პროექტის ფაზა, ზემოქმედების კლასიფიკაცია (იხ. ცხრილი 7-1) და შესაბამისი GCF/IFC-ის და GIZ-ის სტანდარტები. აქტივობები, რომლებიც იგივე ზემოქმედებას იწვევს, არ არის შეტანილი, გამეორების თავიდან ასაცილებლად.

ცხრილი 7-2: გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებების კლასიფიცირება

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
კომპონენტი 1 - ტყის მდგრადი მართვა						
აქტივობა 1.1: ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება	1	ველური ბუნების შეწუხება და ფლორის დაზიანება ხე-ტყის ჭრის ღონისძიებების დროს.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS6	გარემო და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია
	2	ხე-ტყის ჭრისა და მორთრევის დროს, არსებობს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები ეროვნული სატყეო სააგენტოს, პროექტის პერსონალისა და კონტრაქტორებისთვის. კერძოდ, ხე-ტყის ჭრისა და მორთრევის ღონისძიებების განხორციელება და საგზაო შემთხვევების რისკები.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS2	ადამიანის უფლებები
	3	ტყესთან მისასვლელი გზების მშენებლობისას, მდინარის გადაკვეთის და მორსათრევი ბილიკების ჩათვლით, ზემოქმედება დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ნარჩენების, ხმაურისა და	მშენებლობა	საშუალო	PS2, PS3, PS6	გარემო, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		მტვრის წარმოქმნა, დაღვრები, ველური ბუნების შეწუხება, მცენარეულობის და ნიადაგის დაზიანება და წყალზე ზემოქმედება.				
	4	სატყეო გზების მოწყობის შედეგად, მისაწვდომობის გაზრდის რისკი, ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედება.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS6	გარემო
	5	საექსპლუატაციო ფაზაში ხე-ტყის ჭრის სამუშაოებმა, სატყეო გზებზე და მორსათრევ ბილიკებზე ჩატარებულმა სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს სედიმენტაცია და ეროზია (ზოგი რეგიონი უფრო მიდრეკილია ეროზიისკენ), წყალზე ზემოქმედება, მტვრის წარმოქმნა სამუშაოების დროს, ნიადაგზე ზემოქმედება საშიში მასალების დაღვრის გამო და ნარჩენების წარმოქმნა.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS3	გარემო

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
	6	საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის ხე-ტყის ჭრის შეზღუდვებმა და საქმიანი ეზოებიდან შეშისა და მერქნის შეძენის მოთხოვნამ, შეიძლება გაზარდოს საყოფაცხოვრებო ენერგიის ხარჯები ან ხელი შეუშალოს ოჯახებს საკვების მომზადებისა და გათბობისთვის შეშის / მერქნის მოპოვებაში. განსაკუთრებით, დაუცველ ოჯახებს და მომთაბარე ადამიანებს (პირუტყვის მწყემსები, მაგ. კახეთში).	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები
	7	ტყეში არსებულ კულტურულ ადგილებთან წვდომის შეზღუდვა, ან ასეთ ადგილებზე ზემოქმედება (ადგილებში, სადაც შეხვედრები განხორციელდა, მოსახლეობა არ იყენებს ტყეს კულტურული მიზნებისთვის, თუმცა, საქართველოში შეიძლება არსებობდნენ სხვა	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი	PS8	ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა, გარემო

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		თემები, რომლებიც იყენებენ ტყეს კულტურული საქმიანობის / რიტუალებისთვის).				
	8	ახალი ტყის კოდექსი საშუალებას იძლევა, რომ განხორციელდეს პირუტყვის მოვება და ხეებზე ხილის შეგროვება, მცენარეების, კენკრის, სოკოს და ტყის სხვა არამერქნული პროდუქტების შეგროვება, არაკომერციული მიზნებისათვის. თუმცა, იქნება შეზღუდვები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და საზოგადოებასთან კონფლიქტი.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა
	9	ბუნებრივი კატასტროფების რისკები, როგორიცაა მეწყერი, წყალდიდობა და ზვავები, გზების გაყვანისა და მოვლის დროს, მორსათრევი ბილიკების	მშენებლობა და ექსპლუატაცია	საშუალო PS2-ისთვის დაბალი PS4-ისთვის	PS2 და PS4	ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		გაყვანისა და ხე-ტყის ჭრის სამუშაოების დროს.				
აქტივობა 1.2: ტყეზე ზედამხედველობის გაძლიერება	10	კონფლიქტი თემებსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს / ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის, ხე-ტყის ჭრის აკრძალვისა და ჯარიმების გამოცემის გამო, რაც შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდეს.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1 და PS4	ადამიანის უფლებები და კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა
	11	საარსებო წყაროს შეზღუდვა ნადირობის აკრძალვისა და გაზრდილი ზედამხედველობის გამო.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	ადამიანის უფლებები
	12	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პერსონალის ან / და კონტრაქტორების მიერ პატრულირების დროს ტყეში ნარჩენების წარმოქმნა.	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი	PS3	გარემო
	13	საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: საგზაო შემთხვევები სატრანსპორტო	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი	PS4	ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		ტექნიკის მოძრაობის გაზრდის გამო.				
აქტივობა 1.3: მდგრადად წარმოებული შეშის უზრუნველყოფა ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ	14	ადგილობრივი მოსახლეობისთვის ენერგეტიკული ხარჯები იზრდება, ამან შეიძლება ზოგადად გავლენა იქონიოს ყველა ოჯახზე, განსაკუთრებით კი დაუცველ ოჯახებზე, საქმიანი ეზოებიდან შეშის შეძენის აუცილებლობის გამო (ზემოქმედება მითითებულია №6-ში).	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები
	15	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ეროვნული სატყეო სააგენტოს და პროექტის პერსონალისთვის, საქმიანი ეზოების ყოველდღიური მართვის პროცესში.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS2	ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა, და გარემო
	16	ტყის კიდევ უფრო დეგრადაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ საქმიანი ეზოებს მოწყობის, და ამავდროულად თემების	ექსპლუატაცია	დაბალი	PS6	გარემო და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		მიერ ტყის უკანონო ჭრის გაგრძელების და ხე-ტყის შეძენაზე უარის თქმის შედეგად.				
	17	შემოსავლის შემცირება არაფორმალური ბიზნესებისთვის (შუამავლები), რომლებიც ყიდიან საწვავ ხე-ტყეს ან მერქანს.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები
	18	14 დაგეგმილი საქმიანი ეზოს მშენებლობასთან დაკავშირებული, მცირე უარყოფითი ზემოქმედება, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დარგში, მტვერის, ხმაურისა და ნარჩენების წარმოქმნა.	მშენებლობა	დაბალი	PS2, PS3	ადამიანის უფლებები, გარემო და კლიმატის ცვლილების შერბილება
	19	საწვავი ხე-ტყის ხელმისაწვდომობის შემცირება საყოფაცხოვრებო მოხმარებისთვის და საწვავ ხე-ტყესა და მერქანზე წვდომის შეფერხება, სოციალური ჭრების	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		პროგრამის შეწყვეტის და საქმიანი ეზოებიდან შემენის მოთხოვნის გამო.				
აქტივობა 1.4: ქვეყნის მასშტაბით ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვისთვის გარემოს გაუმჯობესება	20	ეს აქტივობა მოიცავს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელშეწყობას, ტყის კოდექსის კანონქვემდებარე დებულებების ამოქმედებაში, რაც აუცილებელია ეკოსისტემაზე დაფუძნებული ტყის მდგრადი მართვისთვის; ხელმძღვანელი კომიტეტის და სამუშაო ჯგუფების შექმნას და ცოდნის გავრცელებას. ამ აქტივობის ზემოქმედება დაკავშირებულია ტყის არამერქნული რესურსების კომერციული გამოყენების შესახებ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის შემუშავებასა და	ექსპლუატაცია	ამ დროისთვის კლასიფიცირება შეუძლებელია, რადგან შეზღუდულია ინფორმაცია კანონქვემდებარე დებულებების შესახებ.	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		განხორციელებაში საზოგადოების მხრიდან ხელის შემლასთან.				
აქტივობა 1.5: სატყეო სექტორისთვის მონიტორინგისა და აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ვერიფიკაციის სისტემების გაუმჯობესება	21	ეს აქტივობა არსებითია ინფორმაციის მართვისა და ანგარიშგებისთვის. არ არის მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება ან მოსალოდნელია უმნიშვნელო ზემოქმედება და საჭირო არ არის შერბილების ღონისძიებები	ექსპლუატაცია	უმნიშვნელო	არ არის შეფასებული	არ არის შეფასებული
კომპონენტი 2: ბაზრის განვითარება ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავისთვის						
აქტივობა 2.1: ენ. ეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის მიწოდების ჯაჭვის განვითარებისთვის ტექნიკური და	22	ღუმელების ამჟამინდელმა კუსტარულმა და არაფორმალურმა მიმწოდებლებმა შეიძლება დაკარგონ ბიზნესები ენერგოეფექტური ღუმელების შემოღების გამო.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
საინვესტიციო მხარდაჭერის საშუალების შექმნა	23	დაბინძურება, სამუშაო ადგილების დაბინძურება, ნარჩენების სათანადო მართვის ნაკლებობა და ზოგადად პროექტის სტანდარტების შეუსრულებლობა ენერგოეფექტური ღუმელების მწარმოებლების მხრიდან.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS3	გარემო
აქტივობა 2.2: მომხმარებელთა დაფინანსების ინსტრუმენტების დანერგვა ენერგოეფექტურობისა და ალტერნატიული საწვავის გადაწყვეტებისთვის	24	ოჯახების ფინანსური დავალიანების ზრდა და ზეწოლა ოჯახების ფინანსებზე.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	ადამიანის უფლებები
	25	პროექტი განიზრახავს დაეხმაროს დაუცველ ოჯახებს ენერგოეფექტური ღუმელების და ბრიკეტების შეძენაში, სხვადასხვა სქემების საშუალებით (ვაუჩერები, გრანტები და ა.შ.). ამ მხარდაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს დაუცველ ოჯახებზე მთავრობის მიერ გაცემული სოციალური შემწეობის გაუქმება. სოციალური	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		დაცვის სამინისტროსთან მაისში გამართული შეხვედრების შემდეგ, მოხდა ამ რისკის საშუალოდან დაბალ დონემდე დაყვანა.				
აქტივობა 2.3: მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება და საწვავი ხე-ტყის მომხმარებლების-თვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა	26	არ არის მოსალოდნელი; არ არის საჭირო შემარბილებელი ზომები.	ექსპლუატაცია	უმნიშვნელო	არ არის შეფასებული	არ არის შეფასებული
აქტივობა 2.4: პოლიტიკისა და რეგულაციების ხელშეწყობა	27	ამ ეტაპზე ზემოქმედებები არ არის ცნობილი.	ექსპლუატაცია	ამ დროისთვის კლასიფიცირება შეუძლებელია, რადგან შეზღუდულია ინფორმაცია პოლიტიკისა და რეგულაციების შესახებ.	უნდა განსაზღვროს	უნდა განსაზღვროს
კომპონენტი 3						

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
აქტივობა 3.1 შემუშავებული და დანერგილია მუნიციპალიტეტის დონის ინსტრუმენტები, პრაქტიკა, გეგმები და საჭირო შესაძლებლობები ჩართულობითი ტყის მდგრადი მართვისა და კონსერვაციისთვის	28	არსებობს რისკი, რომ ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების (ღარიბი, ან შორეულ მანძილებზე მცხოვრები ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) კონტექსტი და საჭიროებები არ იყოს საკმარისად გათვალისწინებული და წარმოდგენილი ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში, შესაბამისი ტრენინგების ფონურ კვლევებში და მუნიციპალური ტყის მართვის დანერგვის	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1 PS4	გენდერი, ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		თანმხლებ ინსტრუმენტებში. ახლად შემუშავებული ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და რეგულაციები შეიძლება მეტ სარგებელს შეიცავდეს გარკვეული ჯგუფებისთვის, საკმარისად არ ახდენდეს მოწყვლადი ოჯახების, ან ქალების ჩართვას და ელიტური მიტაცების, სარგებლის უსამართლო განაწილების, არათანაბარი წარმომადგენლობის და გადაწყვეტილების მიღების არათანასწორი უფლების საფრთხეს შეიცავდეს.				

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
	29	არსებობს რისკი, რომ მუნიციპალური ტყის მართვის მიდგომა გამოიწვევს ტყის რესურსების (მერქანი, საწვავი ხე-ტყე და ტყის არამერქნული პროდუქტები) გადაჭარბებულ მოპოვებას, არასაკმარისი მონიტორინგის, ან არამდგრადი მართვის გამო, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელს, მაგალითად, მერქნის და ტყის არამერქნული პროდუქტების არამდგრადი მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ღონისძიებების უმრავლესობა	ექსპლუატაცია	საშუალო	PS6	გარემო და კლიმატი

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		ფოკუსირებული იქნება დაბალი რისკის აქტივობებზე, აქტიური მართვა შეიძლება მხარდაჭერილი იყოს არსებული მუნიციპალური ტყის მართვის ადგილებში, როგორიცაა თუშეთი, სადაც საჭირო იქნება ამ რისკის მჭიდრო მონიტორინგი და შერბილება.				
3.2 შემუშავებული, ხელშეწყობილი და გამოცდილია ადგილობრივი დონის მექანიზმები უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესების	30	ტყის რეფორმამ შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებზე, რომელთანაგან ბევრი არაფორმალურად იყო დასაქმებული სექტორში, ან საარსებო წყაროს სახით დამოკიდებული იყო საწვავი ხე-ტყის უკანონო	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1 PS4	გენდერი, ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
უკეთესად დასაცვად		მოპოვებაზე (მაგ. ტყის მართვის წინა სქემით, გარკვეული ნაწილობრივ უკანონო შუამავლები აწვდიდნენ შეშას მოსახლეობას). გარდა ამისა, გაძლიერებულმა ტყის ზედამხედველობამ და კანონაღსრულებამ, საწვავი ხე-ტყის ფასთან ერთად, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ახალი ტყის კოდექსით დაარსებული „საქმიანი ეზოები“, სადაც შესაძლებელი იქნება საწვავი ხე-ტყისა და მერქნის გაცემა, შეიძლება თანაბრად არ იყოს ხელმისაწვდომი				

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ფასები შეიძლება დამატებით ტვირთად დააწვეს ღარიბ, ან განსაკუთრებით დაუცველ ოჯახებს.				
	31	პროექტი განხორციელდება წინასწარ არსებული რთული სიტუაციის კონტექსტში, სადაც არსებობს განსხვავებული ინტერესები და ძალაუფლებებითი ურთიერთქმედებები, ადგილი აქვს კომპრომისებს და შეიძლება წარმოიშვას პოტენციური კონფლიქტები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და დაუცველი	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1 PS4	გენდერი, ადამიანის უფლებები, კონფლიქტებთან და კონტექსტთან დაკავშირებული სენსიტიურობა

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		ოჯახების ზოგადად დაბალი წარმომადგენლობის გამო, არსებობს რისკი, რომ ეს ჯგუფები მონაწილეობას ვერ მიიღებენ შესაბამის მექანიზმებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის არათანაბარი განაწილება და ელიტის მიერ ხელში ჩაგდება.				
	32	არსებობს რისკი, რომ ერთობლივი მართვის აქტივობები არ განხორციელდება მდგრადად.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS6	გარემო და კლიმატი
3.3 ტყის მდგრად მართვასთან და კონსერვაციასთან დაკავშირებული პროფესიული უნარები და	33	არსებობს რისკი იმისა, რომ შემუშავებულ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში საკმარისად არ იქნება გათვალისწინებული	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	გენდერი, ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
ცოდნა ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების, და ცოდნის ცენტრებთან საერთაშორისო პარტნიორობის მეშვეობით.		გენდერული და სოციალური ჩართულობის ასპექტები (მაგ. სასწავლო გეგმა არ არის გენდერულად მგრძნობიარე, მასწავლებლები არ არიან გადამზადებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხებში, ტრენინგების ჩატარების დრო არახელსაყრელია).				
	34	ტყესთან დაკავშირებულ პროფესიული განათლების პროგრამებში ქალების მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია და ქალები ნაკლებად არიან ინტეგრირებული ფორმალურ სატყეო	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	გენდერი, ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		სექტორში. არსებობს რისკი, რომ არათანაბარი განაწილება მოხდება ადგილობრივ მამაკაცებს, ქალებსა და დაუცველ ოჯახებს შორის და, რომ ქალები თანაბრად ვერ ისარგებლებენ პროექტის მიერ შეთავაზებული უნარების განვითარების, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობებით.				
	35	საველე ვიზიტებთან დაკავშირებული მცირე ზემოქმედება გარემოზე (მაგ. სტუდენტების, ან მკვლევართა მხრიდან), როგორიცაა დანაგვიანება, ბიომრავალფეროვნების გათელვა, ან სხვა მცირე ადგილსპეციფიკური ზემოქმედება.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS3	გარემო და კლიმატი

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
3.4 გაძლიერებულია შერჩეული ღირებულებითი ჯაჭვები, მაგ. ხე-ტყის ღირებულებითი ჯაჭვი, ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვი, ან ეკოტურიზმის ღირებულებითი ჯაჭვის ნაწილები.	36	ყველა ღირებულებითი ჯაჭვისთვის, არსებობს რისკი, რომ ქალები და სოციალურად დაუცველი ოჯახები ვერ მიიღებენ მონაწილეობას შესაძლებლობების განვითარების, ტრენინგისა და მარკეტინგის აქტივობებში.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	გენდერი, ადამიანის უფლებები
	37	ტყის არამერქნული პროდუქტების მზარდი გამოყენება შეიცავს ჭარბი მოპოვების და არამდგრადი შეგროვების, ან გადამუშავების რისკს, რაც იწვევს გარემოს დეგრადაციას და ბიომრავალფეროვნების პოტენციურ კარგვას.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS6	გარემო და კლიმატი

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
	38	ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვების ხელშეწყობა შეიცავს რისკს, რომ ის სარგებელს მოუტანს უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მამაკაცებს და/ან ოჯახებს, რადგან ისინი უკეთ არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და ბიზნეს გარემოში (სარგებლის ელიტური მიტაცება).	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	გენდერი, ადამიანის უფლებები
	39	არსებობს ასევე „მამაკაცების მიერ მიტაცების“ რისკი, ე.ი. ქალებისთვის მიცემული სარგებლობის უფლებები შესაძლოა უკან იქნას	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	გენდერი, ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		გამორთმეული, ან ბიზნესები შეიძლება ქმრებმა ჩაიგდონ ხელში.				
	40	ტურიზმი დაკავშირებულია დაბინძურების ზრდის რისკთან, ვიზიტორთა მაღალი რაოდენობის, ან გადაჭარბებული განვითარების გამო (მაგ. ნიადაგის დატკეპნა, მცენარეული საფარის გათელვა, დანაგვიანება, საკანალიზაციო პრობლემები, ან სხვა ადგილსპეციფიკური ზემოქმედება). მაგალითად, თუშეთში ტურიზმის ზრდამ გამოიწვია ნარჩენებისა და კანალიზაციის სერიოზული პრობლემა, არამდგრადი ტურიზმი ეროვნულ პარკებში	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1 PS3	გარემო და კლიმატი

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		სავარაუდოდ გავლენას ახდენს ცხოველთა სახეობების ქცევაზე.				
	41	NFA-ს დათმობის მექანიზმი ამჟამად საკმარისად არ ითვალისწინებს სოციალური ჩაურთველობისა და არასწორად რეგულირებული ტურიზმის გამო გარემოს დაბინძურების ზემოხსენებულ რისკებს.	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1, PS6	ადამიანის უფლებები, გარემო და კლიმატი
	42	ეკოტურიზმის ხელშემწყობი აქტივობები შეიცავს მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. ქალები, დევნილები, ღარიბი, ან შორეულ ადგილებში მცხოვრები ოჯახები) ჩართულობის ნაკლებობის რისკს,	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	ადამიანის უფლებები, გენდერი

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		თუმცა, რისკი მცირე ხარისხისაა, რადგან ეკოტურიზმი აღიქმება, როგორც სექტორი, სადაც ხელსაყრელი პირობებია ქალი მეწარმეებისთვის, რადგან მაღალია ქალთა აღქმული როლი სტუმარმასპინძლობის სექტორში.				
	43	კიდევ ერთი სოციალური რისკია ის, რომ ეკოტურიზმიდან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ადამიანები ან ბიზნესები მიიღებენ სარგებელს, სხვები კი მიღმა დარჩებიან. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შურს და ზოგჯერ წარმატებული ბიზნეს მოდელებისა და	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		კომპანიების საბოტაჟიც კი.				
	44	სახერხი საამქროების და სატყეო მომსახურების მიმწოდებლების გაძლიერებასთან დაკავშირებული ქვეაქტივობები შეიცავს ხე-ტყის არამდგრადი მოპოვების პრაქტიკისა და უკანონო ჭრის რისკებს.	ექსპლუატაცია	დაბალი	PS1	გარემო და კლიმატი
	45	იმ ქვეაქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს ხე-ტყის მეორადი გადამუშავების სექტორის გაძლიერებას, რადგან ხე-ტყის გადამუშავების სექტორი დიდწილად არაფორმალურია, არსებობს კონფლიქტების	ექსპლუატაცია	საშუალო	PS1	ადამიანის უფლებები

პროექტის კომპონენტები	ზემო-ქმედების №	პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებები	პროექტის ფაზა	ზემოქმედების კლასიფიკაცია (GIZ)	შესაბამისი სტანდარტი	
					IFC/GCF	*GIZ*
		გაზრდის რისკი ადგილობრივ ბიზნესებთან, რომლებსაც არ სურთ თავიანთი საქმიანობის ფორმალიზება და სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმების დაცვა.				

4.2.5 ზემოქმედებათა ანალიზი

ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია IFC-ის შესრულების სტანდარტების მიზნების მიმოხილვა პროექტის თვალსაზრისით და იდენტიფიცირებული ზემოქმედებების ანალიზი (ცხრილი 7-2), ზემოქმედებების კლასიფიკაციის დასაბუთება და შემარბილებელი ზომების მოკლე აღწერა (იხ. ESMP, დაფინანსების წინადადების დანართი 6ბ, შეთავაზებული შემარბილებელი ზომების დეტალური აღწერისთვის).

PS1: გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედებები შეფასება და მართვა

შემდეგ ნაწილში აღწერილია PS1 მიზნების შესაბამისობა პროექტთან მიმართებაში.

- მიზანი 1: პროექტის ზემოქმედებები და რისკები გამოვლენილია და განხილულია ამ ანგარიშში, თითოეულ შესაბამის შესრულების სტანდარტში. ზემოქმედებებისა და მათი კლასიფიკაციის მიმოხილვა მოცემულია ცხრილი 7-2. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა მოცემულია მე-2 ტომში. გარდა ამისა, ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება მოცემულია 7.3 თავში.
- მიზანი 2: პროექტის ზემოქმედებები მიჩნეულია როგორც საშუალო და დაბალი. შეთავაზებულია შემარბილებელი ზომები დარჩენილი ზემოქმედების მაქსიმალურად შესამცირებლად და „უმნიშვნელო“ დონეზე დასაყვანად, ისე რომ არ იყოს ზარალის კომპენსაციის საჭიროება. პროექტმა მიიღო ყველა ზომა, ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად/ მინიმუმამდე დასაყვანად.
- მიზანი 3: გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მართვის სისტემასთან (ESHS-MS) დაკავშირებული შესაბამისი ნაწილი მოცემულია ESMP-ში, ეს მოიცავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას.
- მიზანი 4: შემუშავებულია საჩივრების მექანიზმის პროცედურა, და მოცემულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და საჩივრების მექანიზმის ანგარიშში.
- მიზანი 5: დაინტერესებული მხარეების მართვის გეგმა მოცემულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საჩივრების მექანიზმის ანგარიშში. გარდა ამისა, პროექტის აქტივობები შემუშავდა დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული შენიშვნების გათვალისწინებით და მოიცავს ხელისუფლების შესაძლებლობების გაძლიერებას დაინტერესებულ მხარეებთან შედეგიანი კონსულტაციის მიღწევაში.

PS1-თან დაკავშირებული ზემოქმედებათა ანალიზი

6	საყოფაცხოვრებო სარგებლობისთვის ხე-ტყის ჭრის აკრძალვებმა და შეშისა და მერქნის საქმიანი ეზოებიდან შეძენის მოთხოვნამ, შეიძლება გაზარდოს საყოფაცხოვრებო ენერგიის ხარჯები ან ხელი შეუშალოს ოჯახებს საკვების მომზადებისა და გათბობისთვის შეშის / მერქნის მოპოვებაში. განსაკუთრებით, დაუცველი ოჯახებს და მომთაბარე ადამიანებს (მაგ. პირუტყვის მწყემსები კახეთში).	ექსპლუატაცია	საშუალო

- მოსახლეობამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს შიში, რომ ოჯახების ხარჯები გაიზრდება ტყის კოდექსის საფუძველზე ხე-ტყის ჭრის შეზღუდვის გამო. ამჟამად, მოსახლეობა იყენებს სოციალური ბილეთების სისტემას ხე-ტყის დაბალი

ღირებულებით მოსაპოვებლად, ან თვითონ მოიპოვებს უფასო ხე-ტყეს უკანონოდ, ან შუამავლებისგან ყიდულობს საწვავ ხე-ტყეს საბაზრო ფასად (ამ ხე-ტყის უმეტესობა ასევე უკანონოდ არის მოჭრილი). მოსახლეობის მიერ ამ საშუალებების გამოყენების ზუსტი ფარდობითობა უცნობია. შუამავლების მიერ მიწოდებული 1 მ3 საწვავი ხე-ტყის ფასი, ეროვნული სატყეო სააგენტოს ინფორმაციით, დაახლოებით იგივეა, რაც ფასი, რომელშიც ეროვნული სატყეო სააგენტო მომავალში გაყიდის საწვავ ხე-ტყეს, დაახლოებით 81 ლარი / მ3.

- ეს ზემოქმედება კლასიფიცირებულია, როგორც საშუალო, რადგან აღნიშნული აქტივობა სავარაუდოდ გავლენას მოახდენს იმ ოჯახების დიდ რაოდენობაზე, რომლებიც იყენებენ ბილეთების სოციალურ სისტემას ან თვითონ ჭრიან ხე-ტყეს სასოფლო დასახლებებში. ზამთარში საკვების მომზადებისა და გათბობისთვის საწვავი ხე-ტყე არსებითი მოთხოვნილებაა ოჯახების კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.
- ხელისუფლებასთან მიმდინარეობს განხილვები, რათა მოხდეს დაუცველი ოჯახების სუბსიდირების მიდგომის დანერგვა საქმიანი ეზოებიდან ხე-ტყის მისაღებად. დანარჩენ მოსახლეობას მოეთხოვება საქმიანი ეზოებიდან შეშის შემენა, ეროვნული სატყეო სააგენტოს ფასში, რომელიც ფარავს ხარჯებს - 81 ლარი / მ3. იმის გათვალისწინებით, რომ, სავარაუდოდ სოფლად ოჯახების დიდი ნაწილი უკანონოდ ჭრის საწვავ ხე-ტყეს ან იყენებს სოციალური ბილეთების ძალიან ხელმისაწვდომ სისტემას, მოსალოდნელია, რომ სოფლის ოჯახებისთვის ენერგიის ღირებულება გაიზრდება.

8	ახალი ტყის კოდექსი საშუალებას იძლევა, რომ განხორციელდეს პირუტყვის ძოვება და ხეებზე ხილის შეგროვება, მცენარეების, კენკრის, სოკოს და ტყის სხვა არამერქნული პროდუქტების შეგროვება, არაკომერციული მიზნებისათვის. თუმცა, იქნება შეზღუდვები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მოსახლეობასთან კონფლიქტი.	ექსპლუატაცია	საშუალო

- ტყის ფართობებზე საქონლის ძოვება გავრცელებული პრაქტიკაა სოფლის მოსახლეობაში; საქონლის გამოსაკვებად ტყეზე დამოკიდებულება მაღალია. ეს ზემოქმედება კლასიფიცირებულია, როგორც საშუალო, რადგან ახალი ტყის კოდექსის 33-ე მუხლი უშვებს ტყეში ძოვების საშუალებას, მაგრამ გაკონტროლების ფარგლებში. ტყის მართვის ინდივიდუალური გეგმა, რომელსაც ეროვნული სატყეო სააგენტო შეიმუშავებს, როგორც კომპონენტი 1-ის ნაწილი, განსაზღვრავს ლიმიტებს, სამიზნე მაჩვენებლებს და ადგილებს, სადაც ძოვება დაიშვება.
- ძოვება სადავო საკითხია, მოსახლეობა საქონლის გამოსაკვებად დამოკიდებულია ტყეზე, თუმცა, ეს ძლიერ აზიანებს ტყეს, ანადგურებს მცენარეთა მოზარდ-აღმონაცენს, ახდენს ნიადაგის დატკეპნას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეროზია და შესაბამისად, ტყის ბუნებრივი განახლების შესაძლებლობების შემცირება (Zeidler & Schachtschabel 2016), ამიტომაც, საჭიროა დაბალანსება გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებებს შორის.

- ტყის მახლობლად მცხოვრები თემები აწარმოებენ კენკრის, სოკოს, სამკურნალო მცენარეების და ტყის სხვა არამერქნული პროდუქტების შეგროვებას, მაგრამ ისინი არ არიან დამოკიდებული ამ საქმიანობაზე, როგორც შემოსავლის ძირითად წყაროზე. დაუცველი ოჯახები უფრო მეტად არიან დამოკიდებული ტყის არამერქნულ პროდუქტებზე ვიდრე სხვა ოჯახები. კონსულტაციის პროცესში აშკარა იყო, რომ ის თემები, რომლებიც ტყიდან შორს ცხოვრობენ და გზებთან უფრო ახლოს არიან, არ არიან დამოკიდებული ტყის არამერქნულ პროდუქტებზე. ახალი ტყის კოდექსის 35-ე მუხლი ითვალისწინებს ტყის არამერქნული პროდუქტების მოპოვების დებულებებს, ის არ კრძალავს, არამედ არეგულირებს ამ რესურსების მოპოვებას (Zeidler & Schachtschabel 2016)

10	კონფლიქტი თემებსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს / ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის, ხე-ტყის ჭრის აკრძალვისა და ჯარიმების გამოცემის გამო, რაც შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდეს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- საკონსულტაციო პროცესის დროს, ეროვნული სატყეო სააგენტოს მხრიდან აღინიშნა, რომ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობა იყო დამყარებული, რადგან ეროვნული სატყეო სააგენტოს ზოგი თანამშრომელი ასევე სოფლის წევრია ან შესაბამისი მხარის მცხოვრებია. თუმცა, მოსახლეობამ გამოთქვა წუხილი ტყის კოდექსში გათვალისწინებულ შეზღუდვებთან და გაზრდილ ჯარიმებთან დაკავშირებით (გამოკითხვის შედეგად ვერ დასტურდება, გაიზარდა თუ არა ჯარიმები ბოლო წლებში). მოსახლეობამ აღნიშნა, რომ გაზრდილმა ზედამხედველობამ და ჯარიმებმა შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი თემების და ზედამხედველობის დეპარტამენტის წევრებს შორის.
- ზემოქმედება შეფასდა როგორც საშუალო, რადგან საქართველოში უკვე იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობა გზას კეტავდა ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივ სახერხებზე ზედამხედველობის გაზრდის გამო.

11	საარსებო წყაროს დაკარგვა ნადირობის აკრძალვისა და გაზრდილი ზედამხედველობის გამო.	ექსპლუატაცია	დაბალი

- საჯარო კონსულტაციების პროცესში მოსახლეობასთან განხილვის დროს, სოფლის თემებმა დაადასტურეს, რომ არსებობისთვის ისინი მნიშვნელოვნად არ არიან დამოკიდებული ნადირობაზე, შესაბამისად, ეს ზემოქმედება შეფასდა როგორც დაბალი.

14	ადგილობრივი მოსახლეობისთვის ენერგეტიკული ხარჯები იზრდება, ამან შეიძლება ზოგადად გავლენა იქონიოს ყველა ოჯახზე, განსაკუთრებით კი დაუცველ ოჯახებზე, საქმიანი ეზოებიდან შეშის შეძენის აუცილებლობის გამო (№6 ზემოქმედების მსგავსი).	ექსპლუატაცია	საშუალო

- ზემოქმედების რისკი შეფასებულია, როგორც საშუალო , რადგან ეს ეხება მხოლოდ საქმიანი ეზოებიდან საშეშე ხე-ტყის შეძენის მოთხოვნას და არა ტყის კოდექსით გათვალისწინებულ აკრძალვებს.

17	შემოსავლის შემცირება არაფორმალური ბიზნესებისთვის (შუამავლები), რომლებიც ყიდიან საწვავ ხე-ტყეს ან მერქანს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- არ არსებობს მონაცემები იმ არაფორმალური ბიზნესების რაოდენობის შესახებ, რომლებიც ახდენენ საწვავი ხე-ტყის და მერქნის მიწოდებას; ეს საოჯახო ბიზნესებია და, ძირითადად, ერთი ან ორი ადამიანისგან შედგება, რომლებსაც გააჩნიათ ჯაჭვის ხერხი და სატვირთო მანქანა, რომლითაც ახდენენ საწვავი ხე-ტყის / მერქნის მიწოდებას. ეს ბიზნესები ან კანონიერად იყენებს ცალკეული ოჯახების ბილეთებს ან / და უკანონოდ ჭრიან ტყეს. რამდენიმე რეგიონში, მაგალითად მცხეთა-მთიანეთში, დაადასტურეს, რომ ძალიან ძნელი იქნება ვინმესთვის ამ ტიპის არაფორმალური ბიზნესის დაფუძნება მთავრობის ზედამხედველობის და მაღალი ჯარიმების პირობებში. მიუხედავად ამისა, თემებთან განხილვის დროს, ზოგმა სხვა რეგიონის წარმომადგენელმა დაადასტურა მათი არსებობა და მღელვარება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
- ზემოქმედება შეფასდა, როგორც საშუალო, რადგან მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული წყაროდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვანია, ეს, როგორც წესი, არ არის შემოსავლის ძირითადი წყარო (თუმცა, ამ ინფორმაციის დადასტურება ვერ ხერხდება, რადგან მოსახლეობას საკითხზე საუბრის სურვილი არ აქვს).

19	საყოფაცხოვრებო სარგებლობისთვის საწვავი ხე-ტყის ხელმისაწვდომობის შემცირება და შეშასა და მერქანზე წვდომის შეზღუდვა, სოციალური ჭრების პროგრამის შეწყვეტის და საწვავი ხე-ტყის საქმიანი ეზოებიდან შეძენის მოთხოვნის გამო.	ექსპლუატაცია	საშუალო

- თემებთან ჩატარებული კონსულტაციების შედეგად დადგინდა, რომ მათ აშფოთებთ სოციალური ჭრების პროგრამის გაუქმება, რომელიც უზრუნველყოფს ბილეთების სისტემას და კომლებს საშუალებას აძლევს, გარკვეული რაოდენობის ხე-ტყე მოჭრან პირადი მოხმარებისთვის.
- პოტენციური ზემოქმედებაა საწვავი ხე-ტყესა და მერქანზე წვდომის მოსალოდნელი შეზღუდვა. ახალი სისტემა, რომელიც დაინერგება ხელისუფლების მიერ, მოახდენს ხეების ჭრის ლეგალიზაციას, ხოლო თემებს მოუწევთ საწვავი ხე-ტყის და / ან მერქნის შეძენა 14 საქმიანი ეზოდან, რომლებიც შეიქმნება პროექტით გათვალისწინებულ 3 რეგიონში.
- ზემოქმედება შეფასებულია, როგორც საშუალო დონის, რადგან თემები დამოკიდებული იქნებიან საქმიან ეზოებზე, მიწოდების სისტემაზე და საწვავი ხე-ტყის მუდმივ ხელმისაწვდომობაზე, რაც აუცილებელია საბაზისო საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
- უფრო მაღალი კლასიფიკაცია არ არის გათვალისწინებული, რადგან პროექტი აცნობიერებს პოტენციურ ზემოქმედებას დაუცველ ოჯახებზე, ხელისუფლება განიხილავს ვარიანტებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს სუბსიდირებას და ტრანსპორტირების უზრუნველყოფას მოწყვლადი ოჯახებისთვის, ხე-ტყეზე წვდომის პრობლემების მინიმუმამდე შესამცირებლად.

22	ღუმელების ამჟამინდელმა კუსტარულმა და არაფორმალურმა დამამზადებლებმა შეიძლება დაკარგონ ბიზნესები ენერგოეფექტური ღუმელების შემოღების გამო.	ექსპლუატაცია	საშუალო

- პროექტი დანერგავს ენერგოეფექტურ ღუმელებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს მოსახლეობას, როგორც ჯანმრთელობის, ისე შუშაზე მოთხოვნის შემცირების თვალსაზრისით. ამასთან, ღუმელების ამჟამინდელი კუსტარული დამამზადებლები შესაძლოა ბაზრიდან თანდათანობით განიდევნონ ენერგოეფექტური ღუმელების შემოღების შედეგად. გამოთვლილია, რომ დაახლოებით 50,000 ტრადიციული ღუმელი იყიდება ყოველწლიურად 3 სამიზნე რეგიონში. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანებმა შესაძლოა შემოსავლის ძირითადი წყარო დაკარგონ, ეს ზემოქმედება შეფასებულია როგორც საშუალო, რადგან იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც ზარალი მიადგება, შედარებით მცირეა.

24	ოჯახების ფინანსური დავალიანების ზრდა და ზეწოლა ოჯახების ფინანსებზე.	ექსპლუატაცია	დაბალი

- პროექტი დანერგავს ენერგოეფექტურ ღუმელებს, რომლებიც ამცირებს კვამლის წარმოქმნას, შესაბამისად სასარგებლო იქნება ჯანმრთელობის თვალსაზრისით და შეამცირებს საწვავი ხე-ტყის მოხმარებას, რითაც შეამცირებს სათბურის აირების ემისიებს და შეანელებს ტყის განადგურების უწყვეტ ტენდენციას. სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 70-80 პროცენტი იყენებს საწვავ ხე-ტყეს საკვების მომზადებისა და გათბობისთვის და სავარაუდოდ, ექვემდებარება საყოფაცხოვრებო ჰაერის დაბინძურებას, რომლის დონეც, მინიმალურ დონეზე საშუალოდ, 30-ით მეტია (მსოფლიო ბანკი, 2015 წ.).
- თემებს შესაძლებლობა მიეცემა შეიძინონ ენერგოეფექტური ღუმელები სესხის სქემით, შემცირებული პროცენტებით. თუმცა, ეს ღუმელები გაცილებით ძვირია, ვიდრე ადგილობრივ ბაზარზე არსებული ღუმელები. სესხის სტრუქტურის კარგად გააზრების გარეშე, არსებობს პოტენციური რისკი, რომ მოსახლეობას გაეზრდება ვალი და ვერ შეძლებს სესხის დაფარვას. ეს რისკი შეფასდა, როგორც დაბალი, რადგან ენერგოეფექტური ღუმელების შეძენა არ არის მოთხოვნა, და არ მოხდება მოსახლეობის იძულება განახორციელონ მათი შეძენა, არამედ მოხდება ამის შეთავაზება, როგორც საწვავი ხე-ტყის მოხმარების შემცირების მოდელის. გარდა ამისა, 2019 წლის იანვარში ხელისუფლებამ, საქართველოს ბანკის მეშვეობით, შემოიღო ახალი კანონი, რომლითაც ბანკებსა და მიკრო საფინანსო ინსტიტუტებს ეკრძალებათ სასესხო ხელშეკრულებების გაფორმება, გარკვეული დავალიანების მქონე ოჯახებზე.

25	პროექტი განიზრახავს დაეხმაროს დაუცველ ოჯახებს ენერგოეფექტური ღუმელების და ბრიკეტების შეძენაში, სხვადასხვა სქემების საშუალებით (ვაუჩერები, გრანტები და ა.შ.). ამ მხარდაჭერამ შეიძლება გამოიწვიოს დაუცველ ოჯახებზე მთავრობის მიერ გაცემული სოციალური შემწეობის გაუქმება.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ხელისუფლების მიერ დაუცველ [/მოწყვლად] ოჯახებზე გაიცემა სოციალური შემწეობა. დაუცველობა ემყარება ოჯახში მცხოვრები ადამიანების რაოდენობას, სიღარიბის სტატუსს და საკუთრებაში არსებულ აქტივებს. ამ სტატუსის შემოწმება რეგულარულად ხდება ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. საქართველოში იყო შემთხვევები, როდესაც სოციალური შემწეობა გაუქმდა სხვადასხვა პროექტიდან მიღებული გრანტების ან ტრენინგის, ან უფრო მაღალი ღირებულების აქტივების (მაგალითად, უკეთესი საყოფაცხოვრებო ტექნიკა) შეძენის შედეგად. მაისში, GIZ-მა შეხვედრები გამართა სოციალური დაცვის სამინისტროსთან და ამ რისკის დაყვანა მოხდა საშუალოდან დაბალ დონემდე, რადგან სამინისტრომ შეცვალა დაუცველების შეფასების ქულების სისტემა და ახალი აქტივები, როგორიცაა საბაზისო საყოფაცხოვრებო პირობებისთვის საჭირო ღუმელები, აღარ იქნება აღრიცხული. მიუხედავად ამისა, განხორციელების პროცესში პროექტი აღნიშნულ საკითხს მონიტორინგს გაუწევს.

28	არსებობს რისკი, რომ ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების (ღარიბი, ან შორეულ მანძილებზე მცხოვრები ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) კონტექსტი და საჭიროებები არ იყოს საკმარისად გათვალისწინებული და წარმოდგენილი ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში, შესაბამისი ტრენინგების ფონურ კვლევებში და მუნიციპალური ტყის მართვის დანერგვის თანმხლებ ინსტრუმენტებში. ახლად შემუშავებული ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და რეგულაციები შეიძლება მეტ სარგებელს შეიცავდეს გარკვეული ჯგუფებისთვის, საკმარისად არ ახდენდეს მოწყვლადი ოჯახების, ან ქალების ჩართვას და ელიტური მიტაცების, სარგებლის უსამართლო განაწილების, არათანაბარი წარმომადგენლობის და გადაწყვეტილების მიღების არათანასწორი უფლების საფრთხეს შეიცავდეს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- პროექტის განხორციელება:
  - მოიცავს გენდერულად თანასწორ კონსულტაციებს, მათ შორის კონსულტაციებს მუნიციპალურ ქალთა ოთახებთან, კომიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან (იხილეთ ასევე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა).
  - ხელს შეუწყობს მონაწილეობით და ინკლუზიურ პროცესებს (მაგ., სექტორის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმის და დაცვისა და სარგებლის განაწილების ადგილობრივი პლატფორმების განვითარების შესაძლებლობის შესწავლა)

- უზრუნველყოფს მონაწილეობის მიზნების განსაზღვრას და მონიტორინგს (მათ შორის, ქალებისთვის და სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, შესაბამისობიდან გამომდინარე)
- ხელს შეუწყობს სხვა ინსტიტუტებთან ცოდნის გაცვლას, მუნიციპალურ ტყის მართვასთან, სოფლის განვითარებასთან და სატყეო სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური ჩართულობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ
- უზრუნველყოფს პროექტის გენდერულად პასუხისმგებლიან მონიტორინგსა და შეფასებას (M&E)
- მოიცავს ტრენინგის მასალების შემუშავებას და ტრენინგების განხორციელებას გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის თემებზე
- გენდერის სპეციალისტს (პროექტის გენდერის სპეციალისტს, ან გარე სპეციალისტს) სთხოვს გადახედოს შემუშავებულ საკანონმდებლო და მარეგულირებელ დოკუმენტებს, გაიდლაინებს, ინსტრუმენტებს და ტრენინგის მასალებს, რათა ისინი გენდერულად მგრძნობიარე იყოს. ამ სპეციალისტებმა შეიძლება ასევე ზედამხედველობა გაუწიონ ტრენინგებს გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის შესახებ.

➢ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, გენდერული სამოქმედო გეგმა (GAP) მოიცავს დამატებით ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალების, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფების ქალების მონაწილეობა საპროექტო აქტივობებში და გენდერული თანასწორობისა და გენდერული ბენეფიტების კიდევ უფრო გაძლიერება პროექტის ფარგლებში.

➢ პროექტის საჩივრების პროცედურები ხელმისაწვდომი იქნება პროექტის დაინტერესებული მხარეებისთვის, თუ დაზარალებული პირები, ან ჯგუფები მოინდომებენ საჩივრის შეტანას.

30	ტყის რეფორმამ შეიძლება განსაკუთრებით უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებზე, რომელთაგან ბევრი არაფორმალურად იყო დასაქმებული სექტორში, ან საარსებო წყაროს სახით დამოკიდებული იყო საწვავი ხე-ტყის უკანონო მოპოვებაზე (მაგ. ტყის მართვის წინა სქემით, გარკვეული ნაწილობრივ უკანონო შუამავლები აწვდიდნენ შეშას მოსახლეობას). გარდა ამისა, გაძლიერებულმა ტყის ზედამხედველობამ და კანონაღსრულებამ, საწვავი ხე-ტყის ფასთან ერთად, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ახალი ტყის კოდექსით დაარსებული „საქმიანი ეზოები“, სადაც შესაძლებელი იქნება საწვავი ხე-ტყისა და მერქნის გაცემა, შეიძლება თანაბრად არ იყოს ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ფასები შეიძლება დამატებით	ექსპლუატაცია	საშუალო

	ტვირთად დააწვეს ღარიბ, ან განსაკუთრებით დაუცველ ოჯახებს.		

- პროექტი, კერძოდ კი კომპონენტი 3 და მისი აქტივობები მოიცავს ამ რისკის შემცირებას, საარსებო წყაროების გაძლიერებით და ტყის რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური რისკების შერბილებითა და მართვით, და ამავდროულად, უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული დაინტერესებული მხარეების ინტერესებისა და უფლებების უკეთ დაცვით. საქმიანი ეზოების შემუშავება და ფუნქციონირება მხარდაჭერილი იქნება GCF-ის პროექტის კომპონენტი 1-ის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს გადასვლას საწვავის ხე-ტყის მიწოდების ჯაჭვებში. კომპონენტები 1 და 3 ასევე უზრუნველყოფს ადგილობრივი თემების უფრო აქტიურ მონაწილეობას ტყის მართვის დაგეგმვაში, რაც გაზრდის გამჭვირვალობას. კომპონენტი 2 ორიენტირებული იქნება ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვაზე, ხე-ტყის უფრო ეფექტური მოხმარების ხელშესაწყობად.
- კომპონენტი 3-ისთვის, მხარდაჭერილი იქნება მუნიციპალური ტყის მართვის ხელშემწყობი პირობები და ჩარჩოები. აქტივობა 3.1-ის ფარგლებში, ანალიზში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი თემებისთვის საწვავი ხე-ტყის მიწოდების შედეგები, მათ შორის ფასებთან, ხელმისაწვდომობასა და სოციალურ თანასწორობასთან დაკავშირებული შედეგები. პროექტი ასევე შეიმუშავებს საჩივრების წარდგენის მექანიზმებს, რაც ხელს შეუწყობს კონფლიქტების მოგვარებას, რადგან საწვავი ხე-ტყის ახალ მექანიზმზე გადასვლას შესაძლოა თან ახლდეს არასასურველი სოციალური და გარემოსდაცვითი შედეგები (აქტივობა 3.2). კომპონენტი 3 დამატებით გააძლიერებს მუნიციპალური აქტორების, ადგილობრივი ტყითმოსარგებლეების, მცირე და საშუალო ბიზნესის და სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობებს და შეიმუშავებს მექანიზმებს ადგილობრივი ინტერესების უკეთ დასაცავად, შექმნის ტყის მდგრად მართვასა და მასთან დაკავშირებულ ღირებულებით ჯაჭვებზე დაფუძნებულ ადგილობრივ სარგებელს და უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების დაცვას (იხ. სოციალური მხარდაჭერის გეგმა/ კომპონენტი 3 ESMP-ში).
- იხილეთ აგრეთვე რეკომენდაციები გენდერული და სოციალური ინკლუზიის შესახებ #28 ზემოქმედების ქვეშ.

31	პროექტი განხორციელდება რთული წინასწარ არსებული სიტუაციის კონტექსტში, სადაც არსებობს განსხვავებული ინტერესები და ძალაუფლებ რივი ურთიეთქმედებები, ადგილი აქვს კომპრომისებს და შეიძლება წარმოიშვას პოტენციური კონფლიქტები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და დაუცველი ოჯახების ზოგადად დაბალი	ექსპლუატაცია	საშუალო

	წარმომადგენლობის გამო, არსებობს რისკი, რომ ეს ჯგუფები მონაწილეობას ვერ მიიღებენ შესაბამის მექანიზმებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის არათანაბარი გაზიარება და ელიტის ხელში ჩაგდება.		

- აქტივობა 3.2-ის დიზაინი ხელს უწყობს მოქნილ მიდგომებს, რადგან გასაგებია, რომ ერთიანი მიდგომა არ იმუშავებს. მოქნილი მიდგომების ხელშეწყობით, რომლებიც შეიძლება მორგებული იყოს ადგილობრივ კონტექსტზე, შესაძლებლობების და უნარების მიზნობრივ განვითარებასთან ერთად, მას შეუძლია ადგილობრივ მექანიზმებზე, მოქნილ მიდგომებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა. ამ აქტივობის ფარგლებში პოტენციურ საგარანტიო მექანიზმში გათვალისწინებული იქნება ისეთი ასპექტები, როგორიცაა მამაკაცებისა და ქალების განსხვავებული დროითი გრაფიკები, მობილურობა, განათლების დონე, კულტურული ბარიერები ან იერარქია. ამ მექანიზმების დაგეგმვისთვის შემდგომში გამოყენებული იქნება ასევე მრავალმხრივი კონსულტაციები.
- იხილეთ აგრეთვე რეკომენდაციები გენდერული და სოციალური ინკლუზიის შესახებ #28 ზემოქმედების ქვეშ.

33	არსებობს რისკი იმისა, რომ შემუშავებულ პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამებში საკმარისად არ იქნება გათვალისწინებული გენდერული და სოციალური ჩართულობის ასპექტები (მაგ. სასწავლო გეგმა არ არის გენდერულად მგრძნობიარე, მასწავლებლები არ არიან გადამზადებული გენდერული თანასწორობისა და სოციალური ჩართულობის საკითხებში, ტრენინგების ჩატარების დრო არახელსაყრელია).	ექსპლუატაცია	საშუალო

- ამ რისკის შესამცირებლად, სასწავლო გეგმები და პროგრამები დაიგეგმება გენდერული პასუხისმგებლობით (მაგ. ტრენინგის საჭიროებების გენდერულად დიფერენცირებული შეფასება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარებით ქალ ტყითმოსარგებლეებთან და ქალთა ორგანიზაციებთან, კურსის შემუშავების დაწყებამდე და შემუშავების პროცესში, გენდერული ექსპერტების დაქირავება სასწავლო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობისთვის). ამ რისკის დასაძლევად კომპონენტი 3-ის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი საპროექტო აქტივობები. გარდა ამისა, გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის დებულებებს.

34	ტყესთან დაკავშირებულ პროფესიული განათლების პროგრამებში ქალების მონაწილეობის დონე ძალიან დაბალია და ქალები ნაკლებად არიან ინტეგრირებული ფორმალურ სატყეო სექტორში. არსებობს რისკი, რომ არათანაბარი განაწილება მოხდება ადგილობრივ მამაკაცებს, ქალებსა და დაუცველ ოჯახებს შორის და, რომ ქალები თანაბრად ვერ ისარგებლებენ პროექტის მიერ შეთავაზებული	ექსპლუატაცია	საშუალო

	უნარების განვითარების, განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობებით.		

ამჟამინდელი სურათით, კურსდამთავრებულთა მხოლოდ მცირე ნაწილია (დაახლოებით 2-3%) ქალი. ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე აჩვენა, რომ ქალები ვერ ხედავენ საკუთარ თავს სატყეო სექტორში დასაქმებაში და ორივე სქესი მას მამაკაცთა სფეროდ მიიჩნევს. პროექტი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ სატყეო პროგრამებს, არამედ სხვა პროფესიული განათლების პროგრამებსა და კურსებს, სადაც უფრო ძლიერი გენდერული ბენეფიტები იქნება. უნდა მოხდეს ამ აქტივობის რეგულარული მონიტორინგი, რათა განისაზღვროს პროგრამების გაძლიერების შესაძლებლობები, და გათვალისწინებული იყოს ადგილობრივი ტყითმოსარგებლეების და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების სხვადასხვა საჭიროებები და კონტექსტი. პროექტი ასევე უზრუნველყოფს სასწავლო გეგმებში გენდერული საკითხების გათვალისწინებას, გენდერული და სოციალური ინკლუზიის მიმართულებით მასწავლებელთა შესაძლებლობების გაძლიერებას და მიზნობრივი კომუნიკაციის განხორციელებას, რათა ქალებმა შეძლონ მონაწილეობის მიღება შეთავაზებულ კურსებში და ტყის მდგრადი მართვიდან და ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვებიდან სარგებლის მიღება. ამ რისკის დასაძლევად შემუშავებულია შესაბამისი საპროექტო აქტივობები.

- გარდა ამისა, გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს დამატებით მადასტურებელ და საგარანტიო დებულებებს.

36	ყველა ღირებულებითი ჯაჭვისთვის, არსებობს რისკი, რომ ქალები და სოციალურად დაუცველი ოჯახები ვერ მიიღებენ მონაწილეობას შესაძლებლობების განვითარების, ტრენინგისა და მარკეტინგის აქტივობებში.	ექსპლუატაცია	საშუალო

- მიზნობრივი მხარდაჭერა უნდა იქნას უზრუნველყოფილი ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ზოგიერთი პოტენციური დამატებითი გამოწვევის გადალახვაში დასახმარებლად (მაგ. დროის სიმწირე, შეზღუდული ფორმალური კონტროლი მიწაზე, ან რესურსებზე, რამაც შეიძლება დაბრკოლება შექმნას კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის). ამ რისკის შემდგომი შერბილება შესაძლებელია ID#28 ზემოქმედების ქვეშ გათვალისწინებული ღონისძიებების საფუძველზე.
- გარდა ამისა, საჩივრების განხილვის მექანიზმი და აქტივობა 3.2-ის დაცვითი მექანიზმები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კონფლიქტების ადგილობრივ გადაწყვეტას, კომუნიკაციას და სარგებლის განაწილებას.

38	ტყის არამერქნული პროდუქტების ღირებულებითი ჯაჭვების ხელშეწყობა შეიცავს რისკს, რომ ის სარგებელს მოუტანს უფრო მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მამაკაცებს და/ან ოჯახებს,	ექსპლუატაცია	საშუალო

	რადგან ისინი უკეთ არიან წარმოდგენილი გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებსა და ბიზნეს გარემოში (სარგებლის ელიტური მიტაცება).		

ტყის არამერქნული პროდუქტების ზოგიერთ ღირებულებით ჯაჭვში შეიძლება დომინირებდნენ ქალები, ზოგში კი მამაკაცები. ასევე, გადამუშავების სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება იყოს გენდერული დისბალანსი. გარდა ამისა, არსებობს ელიტური მიტაცების რისკი, რაც დააზარალებს ღარიბ ოჯახებს. შერბილების ღონისძიების სახით, რეკომენდირებულია, რომ მხარდაჭერილი ღირებულებითი ჯაჭვების მინიმუმ 30%-ს ჰქონდეს გენდერულ და სოციალურ ჩართულობასთან დაკავშირებული მაღალი სარგებელი. პროექტი ასევე უნდა მოიცავდეს ღონისძიებებს ქალი მეწარმეებისა და ქალების მიერ წარმართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. ასევე, აქტივობა 3.4 მოიცავს ტყის არამერქნული პროდუქტების ბაზრის გენდერულად მგრძნობიარე და ინკლუზიურ კვლევას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროექტის მიერ ტყის არამერქნული პროდუქტების მრავალფეროვანი ღირებულებითი ჯაჭვების მხარდაჭერა, განსხვავებული სამიზნე მომხმარებლებით და ბენეფიციარებით. ეს უნდა მოიცავდეს ღირებულებით ჯაჭვებს, რომელიც მაღალ სარგებელს შეიცავს განსაკუთრებით დაუცველი ჯგუფებისთვის. გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს დამატებით მხარდამჭერ და საგარანტიო ღონისძიებებს.

39	არსებობს ასევე „მამაკაცების მიერ მიტაცების“ რისკი, ე.ი. ქალებისთვის მიცემული სარგებლობის უფლებები შესაძლოა უკან იქნას გამორთმეული, ან ბიზნესები შეიძლება ქმრებმა ჩაიგდონ ხელში.	ექსპლუატაცია	საშუალო

შერბილების ღონისძიებები მოიცავს შესაბამის აქტივობებში ქალთა გრძელვადიანი ჩართულობის გაძლიერებას და მონიტორინგს, მაგალითად, გრძელვადიანი იჯარების საშუალებით, ან ქალთა ინტერესთა ჯგუფებისა და კოოპერატივების ფორმირებით, და ქალების მფლობელობაში, ან ხელმძღვანელობაში არსებული მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერით (აქტივობა 3.4-ში). მონიტორინგის სისტემა უნდა მოიცავდეს ქალთა წარმომადგენლობის ინდიკატორებს. გენდერული სამოქმედო გეგმა მოიცავს შესაბამის მხარდამჭერ და საგარანტიო ღონისძიებებს.

41	NFA-ს დათმობის მექანიზმი ამჟამად საკმარისად არ ითვალისწინებს სოციალური ჩაურთველობისა და არასწორად რეგულირებული ტურიზმის გამო გარემოს დაბინძურების ზემოხსენებულ რისკებს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- პროექტი მოიცავს ეკოტურიზმისთვის ორმხრივად მომგებიანი შეთანხმებების ყველაზე შესაფერისი პირობებისა და მოთხოვნების ანალიზს (აქტივობა 3.4), რომელიც ითვალისწინებს სოციალურ და გარემოსდაცვით რისკებსა და ზემოქმედებას. გარდა ამისა, აქტივობა 3.4-ის ფარგლებში ეკოტურიზმის ღონისძიებების შემუშავება მოხდება მონაწილეობითი და ინკლუზიური პროცესებით.

- საქართველოს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის (FIMS) გაუმჯობესება და ტყის ზედამხედველობისა და აღსრულების შესაძლებლობების განვითარება (კომპონენტი 1) კიდევ უფრო შეამცირებს ამ რისკს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების გზით.

42	ეკოტურიზმის ხელშემწყობი აქტივობები შეიცავს მოწყვლადი ჯგუფების (მაგ. ქალები, დევნილები, ღარიბი, ან შორეულ ადგილებში მცხოვრები ოჯახები) ჩართულობის ნაკლებობის რისკს, თუმცა, რისკი მცირე ხარისხისაა, რადგან ეკოტურიზმი აღიქმება, როგორც სექტორი, სადაც ხელსაყრელი პირობებია ქალი მეწარმეებისთვის, რადგან მაღალია ქალთა აღქმული როლი სტუმარმასპინძლობის სექტორში.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ინტერვიუები აჩვენებს, რომ ქალების როლი აღიქმება სტუმარმასპინძლობის სექტორში, რადგან კერძო საოჯახო სფეროში ქალები დომინირებენ. თუმცა, ტურიზმის სექტორის სხვა ნაწილები, როგორიცაა საგენტოს სერვისები, თარჯიმნობა, ან გიდობა, ძირითადად მამაკაცების სფეროდ მიიჩნევა.
- მიზნობრივი მხარდაჭერა იქნება უზრუნველყოფილი ქალებისა და სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ზოგიერთი პოტენციური დამატებითი გამოწვევის გადალახვაში დასახმარებლად (მაგ. დროის სიმწირე, შეზღუდული ფორმალური კონტროლი მიწაზე, ან რესურსებზე, რამაც შეიძლება დაბრკოლება შექმნას კრედიტზე ხელმისაწვდომობისთვის). ასევე, ჩატარდება გენდერული სენსიბილიზაცია მამაკაცებისა და ქალებისთვის, ტრადიციული გენდერული ნორმებისა და სტერეოტიპების დაძლევაში მათ დასახმარებლად. დამატებითი ღონისძიებები განისაზღვრა შესაბამისი ღირებულებითი ჯაჭვების ფარგლებში, აქტივობა 3.4-ში და GAP-ში. გარდა ამისა, საჩივრების განხილვის მექანიზმი და აქტივობა 3.2-ის დაცვითი მექანიზმები კიდევ უფრო შეუწყობს ხელს კონფლიქტების ადგილობრივ გადაწყვეტას, კომუნიკაციის და სარგებლის განაწილების გაუმჯობესებას.

43	კიდევ ერთი სოციალური რისკია ის, რომ ეკოტურიზმიდან მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ადამიანები, ან ბიზნესები მიიღებენ სარგებელს, სხვები კი მიღმა დარჩებიან. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, შეიძლება ადგილი ჰქონდეს შურს და ზოგჯერ წარმატებული ბიზნეს მოდელებისა და კომპანიების საბოტაჟსაც კი.	ექსპლუატაცია	საშუალო

ამ რისკის შესარბილებლად საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს ეკოტურიზმის აქტივობებიდან მიღებული სარგებლის თანაბარი გაზიარება. ამ რისკის შემცირების ვარიანტი შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ფონდები, სადაც მოგების გარკვეული პროცენტი გადაიხდება, და ეს შესწავლილი უნდა იქნას აქტივობა 3.4-ის ფარგლებში. აქტივობა 3.2-ით გათვალისწინებული მხარდაჭერა, რომელიც ფოკუსირებულია

მონაწილეობისა და კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესებაზე, სარგებლის გაზიარებასა და კონფლიქტების მოგვარებაზე, ასევე ხელს შეუწყობს ამ რისკის შერბილებას.

44	სახერხი საამქროების და სატყეო მომსახურების მიმწოდებლების გაძლიერებასთან დაკავშირებული ქვეაქტივობები შეიცავს ხე-ტყის არამდგრადი მოპოვების პრაქტიკისა და უკანონო ჭრის რისკებს.	ექსპლუატაცია	დაბალი

ქვეყნის სატყეო რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლება GCF-ის პროექტის ყველა მიმართულების შემადგენელი ნაწილი იქნება. აქტივობა 3.4-ის ქმედებები არა მხოლოდ სექტორის გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკასა და ღონისძიებებს ეხება, არამედ ასევე მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება სექტორის რეფორმის, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოსა და ამ ჩარჩოს შეუსრულებლობის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისთვის. კომპონენტი 1-ის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციები გააუმჯობესებს მონიტორინგისა და აღსრულების შესაძლებლობებს უკანონო ჭრების მონიტორინგის, აღმოჩენისა და შემცირებისთვის. გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმები და საჩივრების განხილვის მექანიზმი ასევე ხელს შეუწყობს კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შერბილებას და უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის პროცედურებს კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში.

45	იმ ქვეაქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს ხე-ტყის მეორადი გადამუშავების სექტორის გაძლიერებას, რადგან ხე-ტყის გადამუშავების სექტორი დიდწილად არაფორმალურია, არსებობს კონფლიქტების გაზრდის რისკი ადგილობრივ ბიზნესებთან, რომლებსაც არ სურთ თავიანთი საქმიანობის ფორმალიზება და სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმების დაცვა.	ექსპლუატაცია	საშუალო

- ეს რისკი ასევე აღწერილია კომპონენტ 1-ში (ზემოქმედება ID # 10). ამ რისკის შესამცირებლად მუნიციპალურ დონეზე ეწყობა ცნობიერების ამაღლების კამპანიები სოფლის თემებისა და ადგილობრივი მეწარმეების ინფორმირების მიზნით სამართლებრივი მოთხოვნებისა და გაჩენილი შესაძლებლობების შესახებ. გარდა ამისა, პროექტის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ასევე უზრუნველყოფს მონაწილე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას პროექტის მიზნების შესახებ. დაზარალებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროექტის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმი.

შემარბილებელი ზომები

- შემარბილებელი ზომები მოცემულია მე-2 ტომში, თუმცა, მნიშვნელოვანია ამ თავში ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ მართვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა მოსახლეობის მიერ ხე-ტყის შეძენის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ეროვნული სატყეო სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერებით, მოსახლეობასთან შედეგიანი კონსულტაციების მიღწევისა და გარემოსდაცვითი კომუნიკაციის შესაძლებლობების გაღრმავების მიზნით. თემების განათლება და ცნობიერების ამაღლება, მათი პრობლემების გაცნობიერება, მათ უკუკავშირზე პასუხი, ინფორმაციის გაცვლა, კონსენსუსის მიღწევა, ბუნებრივი რესურსების მართვის საერთო ხედვის შემუშავება (მაგალითად, ტყის მდგრადი მართვის გეგმის შედგენა, მათ შორის ტყის მდგრადი მართვის თითოეული გეგმის მიზნების შემუშავება, ძოვებისთვის აკრძალული და ძოვებისთვის ნებადართული ტერიტორიების იდენტიფიცირება ტყითმოსარგებლე თემებთან თანამშრომლობით), ზემოჩამოთვლილთაგან ყველა მნიშვნელოვანი ასპექტია მოსახლეობის მიერ ხე-ტყის შესყიდვის მისაღწევად.
- თემების ჩართულობა და მოსმენა, სავარაუდოდ, გაუზრდის მათ პროცესებსა და აქტივობებში თანამშრომლობის განცდას. საზოგადოების მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები, სავარაუდოდ, იქნება უფრო გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული და მდგრადი, რადგან მათში ასახული იქნება განსხვავებული მოსაზრებები და ინფორმაცია უშუალოდ ადგილიდან. მიღებულ გადაწყვეტილებებზე თემების რეაგირება ხელს შეუწყობს თანამშრომლობის, ურთიერთობის და ნდობის ჩამოყალიბებას. მთავარი მიზანია, მოხდეს თანამშრომლობის და ნდობის ჩამოყალიბება, და მოსახლეობის მიერ ხე-ტყის შესყიდვის მიღწევა.

PS2: მუშახელი და სამუშაო პირობები

PS2-ის მიზნებია:

მიზანი 1: დასაქმებულებთან სამართლიანი მოპყრობის, დისკრიმინაციის პრევენციის და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა.
მიზანი 2: დასაქმებულებსა და მენეჯმენტს შორის ურთიერთობის დამყარება, შენარჩუნება და გაუმჯობესება.
მიზანი 3: დასაქმებულთა დაცვა, მათ შორის დაუცველი კატეგორიების, როგორიცაა ბავშვები, მიგრანტი დასაქმებულები, მესამე პირების მიერ დასაქმებულები და კლიენტების მიწოდების ქსელში ჩართული დასაქმებულები.
მიზანი 4: უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების და დასაქმებულთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.
მიზანი 5: იძულებითი შრომის გამოყენების პრევენცია.

შემდეგ თავში აღწერილია PS2-ის მიზნებისა და პროექტის შესაბამისობა.

- მიზანი 1: პროექტის პარტნიორები და GIZ-ი დაიცვან საქართველოს შრომით რეგულაციებს. ყველა სამუშაო ადგილი, რომელიც შეიქმნება პროექტის ფარგლებში, იქნება რეკლამირებული ქალი აპლიკანტების წასახალისებლად, ეს მოიცავს კონტრაქტორებს და ქვე-კონტრაქტორებს. პროექტი შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რომელიც მოიცავს თანამშრომლებთან მოპყრობის

თვალსაზრისით საქართველოს სამართლებრივი ვალდებულების პატივისცემას, სამართლიანი მოპყრობის გარანტიას, თანაბარ შესაძლებლობებს პოლიტიკური კუთვნილების, ასაკის, სქესის, რასის, ეთნოსისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციას გარეშე. აქ შედის პროექტის სამუშაო ძალის პატივისცემით მოპყრობა და არავითარი შემწყნარებლობა რაიმე სახის სექსუალური შევიწროების, დისკრიმინაციის, ბულინგის და ძალადობის მიმართ.

- გარდა ამისა, ადამიანური რესურსების პოლიტიკა მოიცავს ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით აღიარებული პრინციპების დაცვას, უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობითი პრინციპების დაცვას და შრომის ფუნდამენტური პრინციპების და უფლებების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციის დაცვას.
- მიზანი 2: პროექტის პარტნიორები და GIZ-ი იცავენ საქართველოს შრომით რეგულაციებს.
- მიზანი 3: პროექტის პარტნიორები და GIZ-ი იცავენ საქართველოს შრომით რეგულაციებს; პროექტის მიერ რეგულარულად განხორციელდება ადგილზე შემოწმებები, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ კონტრაქტორები და ქვე-კონტრაქტორები დაიცავენ საქართველოს შრომის კოდექსს. პროექტის მიერ შემუშავებული იქნება ადამიანური რესურსების პოლიტიკა.
- მიზანი 4: ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზემოქმედებები მოიცავს უბედური შემთხვევები რისკებს, კერძოდ, ხე-ტყის ჭრასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებულ რისკებს. ESHS-MS ნაწილის სახით, პროექტი შეიმუშავებს პროცედურებს უსაფრთხო სამუშაო გარემოს ხელშეწყობისა და დანერგვის მიზნით. ეს მოიცავს დამცავ პერსონალურ აღჭურვილობას (PPE), ხის მჭრელების დატრენინგებას უსაფრთხოებაში, განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში მუშაობისას და ხე-ტყის ჭრას, უსაფრთხო მართვას, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების პროცედურების მომზადებას, უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების ანგარიშგების, დოკუმენტირებისა და მართვის სისტემის შექმნას, მათ შორის, ყოველთვიური გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პანელის შექმნას და ყოველთვიურ მოხსენებას პროექტის ხელმძღვანელ კომიტეტთან, უსაფრთხოების კულტურის დანერგვას.
- პროექტის მიერ მოხდება პირდაპირი და არაპირდაპირი დასაქმება საქმიან ეზოებში, ხე-ტყის ჭრაში, საწვავი ხე-ტყისა და მერქნის გადაზიდვაში, და ენერგოეფექტური ღუმელების და ბრიკეტების წარმოებაში. ამ სამუშაოების დიდი ნაწილისთვის კონტრაქტები გაფორმდება სხვადასხვა ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ კომპანიებთან. სავარაუდოდ, ზოგიერთ კომპანიას შეიძლება არ ჰქონდეს დანერგილი საქართველოს ხელისუფლების მიერ მოთხოვნილი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პროცედურები და არ უზრუნველყოფდეს დასაქამებულთა მიერ სამუშაოს უსაფრთხო შესრულებას. პროექტი,კომპანიების მიერ ფასის შეთავაზების პროცესში, მოახდენს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების (ESHS) კრიტერიუმების ინტეგრაციას და მონაწილე კომპანიებისგან მოითხოვს წარმოადგინონ კომპანიის უსაფრთხოების სტანდარტები და ჩანაწერები.

სტანდარტების დაცვის მონიტორინგი განხორციელდება GIZ-ისა და ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ.

- ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამშენებლო სამუშაოებისა და ხეების ჭრის დროს საჭირო გახდეს პერსონალის საცხოვრებლების მოწყობა. ხე-ტყის მჭრელები და მუშები სავარაუდოდ ადგილობრივი თემებიდან იქნებიან, მუშები; რომლებიც ადგილობრივი თემებიდან არ იქნებიან, დარჩებიან ადგილობრივ საოჯახო სასტუმროებში.
- მიზანი 5: პროექტის პარტნიორები და GIZ იცავენ საქართველოს შრომით რეგულაციებს. პროექტი შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რომელიც მოიცავს იძულებითი შრომისგან დაცვის პირობებს.

PS2-თან დაკავშირებულ ზემოქმედებათა ანალიზი

2	ხე-ტყის ჭრისა და მორთრევის სამუშაოების დროს, არსებობს შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები ეროვნული სატყეო სააგენტოს, პროექტის პერსონალისა და კონტრაქტორებისთვის. კერძოდ, ხე-ტყის ჭრისა და მორთრევის ღონისძიებების განხორციელება და საგზაო შემთხვევები.	ექსპლუატაცია და მშენებლობა	საშუალო

- ხე-ტყის ჭრის ზოგიერთი სამუშაო ჩატარდება შორეულ და მაღალმთიან ადგილებში (თუმცა ტყის კოდექსში გათვალისწინებულია ფერდობებზე ჭრის შეზღუდვები). პროექტის მთელი საექსპლუატაციო ფაზის განმავლობაში, წარმოდგენილი იქნება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ჯაჭვური ხერხით ხეების ჭრასთან, მოჭრილი მორების მორსათრევ ბილიკამდე და დასაწყობების ადგილამდე ტრანსპორტირებასთან. ასევე, მძიმე სატრანსპორტო საშუალებების და კერძოდ, საპროექტო ავტოტექნიკის შეჯახება, სატყეო სამუშაოების დროს უბედური შემთხვევების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. ავტოტექნიკის ზუსტი რაოდენობა, რომელსაც ეროვნული სატყეო სააგენტო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და კერძო კომპანიები გამოიყენებენ, არ არის ცნობილი, თუმცა, ხე-ტყის მჭრელთა და მომუშავე ჯგუფების რაოდენობა შედარებით მცირეა და შეიძლება მისი კონტროლირება, შესაბამისად, ზემოქმედება შეფასებულია, როგორც საშუალო.
- ზემოქმედების კლასიფიცირება და ანალიზი ასევე ვრცელდება შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკებზე სატყეო გზების და მორსათრევი ბილიკების მშენებლობის დროს (ზემოქმედება №3) და განმეორების თავიდან ასაცილებლად, ის არ არის შეტანილი ამ განხილვაში.

9	ბუნებრივი კატასტროფების რისკები, როგორიცაა მეწყერი, წყალდიდობა და ზვავები, გზების გაყვანისა და მოვლის დროს, მორსათრევი ბილიკების გაყვანისა და ხე-ტყის ჭრის სამუშაოების დროს.	ექსპლუატაცია და მშენებლობა	საშუალო

- საქართველოში ბუნებრივი კატასტროფები ხშირია, ეს მოიცავს წყალდიდობას, მეწყერსა და ზვავებს. ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტი წარმოშობს ამ ტიპის საფრთხეებს, რადგან არსებობს მტკიცებულება, რომ ტყის ეკოსისტემების კონსერვაცია

და ტყის აღდგენის ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბუნებრივი საფრთხეების მიმართ მოსახლეობის მოწყვლადობის შემცირებაში (ÇElik HE 2008). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ეს რისკები არსებობს, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, ზემოქმედება შეფასებულია როგორც საშუალო, რადგან ამან შეიძლება გავლენა იქონიოს ეროვნული სატყეო სააგენტოს და კერძო სექტორის პერსონალის უსაფრთხოებაზე, როდესაც ისინი სამუშაოებს ახორციელებენ ტყეში; განსაკუთრებით ეს ეხება ხის მჭრელებს.

15	ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკები ეროვნული სატყეო სააგენტოს და პროექტის პერსონალისთვის, საქმიანი ეზოების ყოველდღიური მართვის პროცესში.	ექსპლუატაცია	დაბალი

- საქმიან ეზოებში დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკი უმნიშვნელოა, მასში შედის მოსრიალება და დაცემა, ინციდენტები ან უბედური შემთხვევები ტექნიკასა და ხე-ტყესთან მუშაობის დროს და სხვა მცირე ინციდენტები. ეს ზემოქმედება შეფასებულია, როგორც დაბალი დონის, რადგან მისი მართვა მარტივად შესაძლებელია შრომის უსაფრთხოება და ჯანმრთელობის სისტემების დანერგვითა და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლებით.

18	14 დაგეგმილი საქმიანი ეზოს მშენებლობასთან დაკავშირებული, მცირე უარყოფითი ზემოქმედება, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დარგში, მტვერის, ხმაურისა და ნარჩენების წარმოქმნა.	მშენებლობა	დაბალი

- 14 საქმიანი ეზო აშენდება სამ რეგიონში. ეზოების ადგილმდებარეობები ჯერ არ არის განსაზღვრული, თუმცა არსებობს სამშენებლო ზემოქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალის შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან საქმიანი ეზოების მშენებლობის დროს. ეს ძირითადად უმნიშვნელო რისკებია, რადგან მოიცავს მეორეხარისხოვან სამუშაოებს, რომელთა მართვა მარტივად შესაძლებელია შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის სისტემების დანერგვისა და უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით; ამრიგად, ეს რისკი შეფასებულია, როგორც დაბალი.

შემარბილებელი ზომები

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ზემოქმედებებთან დაკავშირებული რისკების ძირითადი შემარბილებელი ზომა მართვის სისტემის ჩამოყალიბებაა, რომელიც მოიცავს უსაფრთხოების პროცედურებს, სათანადო პირადი დაცვის საშუალებებს (PPE), კონტრაქტორებისა და პერსონალის მონიტორინგს და ინციდენტების შესახებ მოხსენებას.

PS3: რესურსების ეფექტურობა და დაბინძურების პრევენცია

PS3-ის მიზნებია:

მიზანი 1. ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება ან მინიმუმამდე დაყვანა, პროექტის საქმიანობისგან გამოწვეული დაბინძურების თავიდან

აცილების ან შემცირების გზით.
მიზანი 2. რესურსების, მათ შორის ენერგიისა და წყლის, უფრო მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა.
მიზანი 3. პროექტთან დაკავშირებული სათბურის აირების ემისიების შემცირება

ქვემომდებარე ნაწილში აღწერილია PS3-ის მიზნების პროექტთან შესაბამისობა.

- მიზანი 1: ამ მიზანთან დაკავშირებული ზემოქმედება მოიცავს პოტენციურ დაბინძურებას, პროექტის მუშახელის, კონტრაქტორების და ქვეკონტრაქტორების მიერ. ეს მოიცავს ხე-ტყის ჭრის და საქმიანი ეზოების სამუშაოებით წარმოქმნილ მყარ ნარჩენებს, საქმიანი ეზოების, ხე-ტყის საჭრელი და სამშენებლო ტექნიკიდან დაღვრის რისკებს, და სატყეო გზებსა და მორსათრევ ბილიკებთან დაკავშირებულ სამუშაოებს ტყეში, მცენარეულობის გაკაფვას და სატყეო გზებისა და მორსათრევი ბილიკების მშენებლობასთან და ტრანსპორტის გადაადგილებასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას ნიადაგზე, ხანძრებთან, მტვრის წარმოქმნასთან, ხმაურთან, და დაბინძურებული წყლის ჩაღვრასთან დაკავშირებულ რისკებს. აღნიშნულ საქმიანობათა მასშტაბები უმნიშვნელოა, თუმცა, ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად, პროექტი შეიმუშავებს მიზნობრივ პროცედურებს. გარდა ამისა, პროექტის თანამშრომლები და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოახდენენ პერსონალისა და კონტრაქტორების მონიტორინგს და უზრუნველყოფენ პროცედურების სათანადო შესრულებას.
- მიზანი 2: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა მოხდება უმნიშვნელო დონეზე, ეს მოიცავს საქმიან ეზოებში წყლის მოხმარებას პირადი სარგებლობისთვის და სამუშაოებისთვის. ხეების ჭრა პროექტის განუყოფელი კომპონენტია, ეს განხორციელდება ახალი ტყის კოდექსის საფუძველზე, ტყის მდგრადი მართვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებით, რომლებიც დაადგენს კრიტერიუმებს და სამიზნე მაჩვენებლებს / კვოტებს ტყის მდგრადი მართვის უზრუნველსაყოფად. პროექტის განხორციელება დადებითად იმოქმედებს ტყეზე, რადგან მინიმუმამდე იქნება დაყვანილი უკანონო ჭრების პრაქტიკა და გამოყენებული იქნება ხე-ტყის ჭრის უფრო კონტროლირებული მიდგომა.
- პროექტისთვის საჭირო იქნება მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ეს ძირითადად მოიცავს საქმიანი ეზოების მშენებლობას, სატყეო გზების მშენებლობას და შეკეთებას და მორსათრევი ბილიკების გაყვანას. ნებისმიერი სამშენებლო ან გაწმენდითი სამუშაოს დაწყებამდე, პროექტი განახორციელებს სწრაფ გარემოსდაცვით და სოციალურ სკრინინგს, საკონტროლო სიის [ჩეკლისტი] ფორმით, შესაბამისად, ნებისმიერი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვა შეიძლება პროექტის მიერ კარგი პრაქტიკის პრინციპების გამოყენებით და მონიტორინგით.
- მიზანი 3: პროექტის საქმიანობა არ გამოიწვევს IFC-ს ანგარიშგების მოთხოვნებით გათვალისწინებულ 25,000 ტონაზე მეტი CO2-ის გენერირებას ყოველწლიურად. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებში პროექტის მიერ გენერირებული CO2-ის რაოდენობა არ არის დათვლილი, მაგრამ პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია

დადებითად იმოქმედოს სათბურის აირის ემისიებზე, რადგან შემცირდება ტყის დეგრადაცია და გაიზრდება საქართველოს ტყეებში ნახშირბადის დამარაგება.

PS3-თან დაკავშირებული ზემოქმედებათა ანალიზი

3	ტყესთან მისასვლელი გზების მშენებლობისას, მდინარის გადაკვეთის და მორსათრევი ბილიკების ჩათვლით, ზემოქმედება დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ნარჩენების, ხმაურისა და მტვერის წარმოქმნა, დაღვრები, ველური ბუნების შეწუხება, მცენარეულობის და ნიადაგის დაზიანება და წყალზე ზემოქმედება.	მშენებლობა	საშუალო

- PS3-თან დაკავშირებული ზემოქმედებები უმეტესად სამშენებლო სამუშაოებსა და გზების მოვლის პროცესს უკავშირდება. რისკებში შედის სახიფათო მასალების დაღვრა, როგორიცაა ნავთობი, ან საწვავი დანადგარებიდან და ავტოტექნიკიდან, მტვრისა და ხმაურის წარმოქმნა მშენებლობის პერიოდში. პროექტი გამოიწვევს საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებს წარმოქმნას მშენებლობის ეტაპზე. ნარჩენების მართვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის და IFC-ის მოთხოვნების შესაბამისად. ზოგადად, საქართველოში ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა შეზღუდულია, განსაკუთრებით სოფლად. საქართველოში ნაგავსაყრელების და ჩამდინარე წყლების მართვა ხდება მუნიციპალიტეტების მიერ. პროექტი ამ ობიექტებს გამოიყენებს პროექტის მიერ წარმოქმნილი მყარი ნარჩენების განსათავსებლად. ამჟამად, ქვეყანაში შეზღუდულია სახიფათო ნარჩენების მართვის სერტიფიცირებული და ავტორიზებული ობიექტების რაოდენობა. სახიფათო ქიმიკატების მართვის ერთადერთი ცნობილი, შესაფერისი ობიექტი მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 20-25 კმ-ში; შპს „სანიტარი“, ქალაქი რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი №4. შპს "სანიტარს" გააჩნია როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების და დამუშავების ლიცენზია. კომპანიას გააჩნია სახიფათო ნარჩენების თანამედროვე ნაგავსაწვავი, სათანადო, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საშუალებები სახიფათო ნარჩენების დასამუშავებლად და შესანახად.
- საპროექტო საქმიანობისათვის წყალი უმნიშვნელო რაოდენობით იქნება გამოყენებული, რაც ძირითადად გულისხმობს წყალს გამოყენებას პირადი მოხმარებისთვის, დასუფთავებისთვის და, შესაძლოა, აღჭურვილობის მოვლისთვის მშენებლობის პერიოდში.
- რისკი, რომ ზემოქმედება მიადგება ტყის ზედაპირულ წყლებს, ნიადაგსა და მცენარეულობას, თუ მოხდება სახიფათო მასალების დაღვრა (მაგალითად, საწვავი და ნავთობი), სატყეო გზებისა და მორსათრევი ბილიკების მშენებლობისას დანალექების დაგროვება, მუშახელის და პერსონალის არასათანადო ქცევის გამო.
- გარდა ამისა, პროექტი გავლენას მოახდენს ნიადაგზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ეროზია, კერძოდ, კახეთის რეგიონში, რომელიც მიდრეკილია გაუდაბნოებისა და ეროზიის პრობლემებისკენ. ნიადაგზე ზემოქმედება ასევე მოიცავს სახიფათო მასალების დაღვრის რისკს.

- ეს რისკები შეფასდა, როგორც საშუალო, სამშენებლო სამუშაოების შეზღუდული მასშტაბებიდან გამომდინარე, თუმცა ზოგიერთი ლოკაციის სიშორის გამო, პროექტის გუნდის მიერ მათი მონიტორინგი შეიძლება რთული აღმოჩნდეს.
- კლიმატის ცვლილების ადაპტაციასთან დაკავშირებული რისკების მასშტაბი სრულად ვერ შეფასდება ტყის მოწყვლადობასთან დაკავშირებით შეზღუდული მონაცემების არსებობის გამო. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მიდრეკილია მეწყრების, ზამთრის სეზონის ზვავების, ხანძრების, გვალვისა და ძლიერი წყალდიდობის მოვლენებისადმი, და იმის გათვალისწინებით, რომ კლიმატის ცვლილების პროგნოზები ზოგადად მთლიანად საქართველოში დათბობას და არაპროგნოზირებად ნალექიანობას მოასწავებს, არსებობს რისკი, რომ დაზიანდეს პროექტის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, და შეფერხდეს პროექტის გრძელვადიანი ამოცანების მიღწევა.

5	ხე-ტყის ჭრის ღონისძიებების დროს, სატყეო გზებზე და მორსათრევ ბილიკებზე ჩატარებულმა სამუშაოებმა შეიძლება გამოიწვიოს დანალექების დაგროვება და ეროზია (ზოგი რეგიონი უფრო მიდრეკილია ეროზიისკენ), წყალზე ზემოქმედება, მტვრის წარმოქმნა სამუშაოების დროს, ნიადაგზე ზემოქმედება სახიფათო მასალების დაღვრის შედეგად და ნარჩენების წარმოქმნა.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ზემოაღნიშნული №3 ზემოქმედების პირობები (მაგ. ზემოქმედება წყალზე, ნიადაგზე და მცენარეულობაზე, სახიფათო მასალების დაღვრის შედეგად) ვრცელდება №5 ზემოქმედებაზე, მაგრამ უფრო მცირე მასშტაბებში, უბანზე სამშენებლო სამუშაოების, პერსონალის და კონტრაქტორების შემცირებული რაოდენობის გამო, შესაბამისად, ეს ზემოქმედება შეფასდა, როგორც დაბალი.
- სატყეო გზებისა და მორსათრევი ბილიკების მოვლისთვის პესტიციდების გამოყენება აკრძალული იქნება, მცენარეული საფარისგან გაწმენდა მოხდება მექანიკურად.

12	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის პერსონალის ან / და კონტრაქტორების მიერ პატრულირების დროს ტყეში ნარჩენების წარმოქმნა.	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი

- საპატრულო მოქმედებების განმახორციელებელი პერსონალის მიერ წარმოქმნილი ნარჩენები, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან შედგება. ეს უმნიშვნელო ზემოქმედებაა და შეფასებულია, როგორც დაბალი, რადგან აღნიშნული ქმედებები კონტროლს ექვემდებარება.

18	14 დაგეგმილი საქმიანი ეზოს მშენებლობასთან დაკავშირებული, მცირე უარყოფითი ზემოქმედება, მათ შორის შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დარგში, მტვრის, ხმაურისა და ნარჩენების წარმოქმნა.	ექსპლუატაცია	დაბალი

- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის რისკები გათვალისწინებულია ზემოთ, PS2-ში. საქმიან ეზოებში მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების და მორების

ნარჩენების წარმოქმნა; ასევე სატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის გამოყენების შედეგად სახიფათო მასალების წარმოქმნა, თუმცა ეს უმნიშვნელო რისკია. იქნება მტვერთან და ხმაურთან დაკავშირებული გარკვეული მცირე უარყოფითი ზემოქმედება. ეს ზემოქმედება შეფასებულია როგორც დაბალი, მისი მცირე მასშტაბის გამო.

23	დაბინძურების წარმოქმნა, სამუშაო ადგილების დაბინძურება, ნარჩენების სათანადო მართვის არარსებობა და ზოგადად პროექტის სტანდარტების შეუსრულებლობა ენერგოეფექტური ღუმელების მწარმოებლების მხრიდან.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ენერგოეფექტური ღუმელების მწარმოებლებს ექნებათ მკაცრი შიდა სტანდარტები გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულების თვალსაზრისით. იქნება გარკვეული ზემოქმედება ნარჩენების წარმოქმნასა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, შესაძლებელია სახიფათო მასალების წარმოქმნა, ენერგოეფექტური ღუმელების წარმოების დროს შესაძლო დაღვრები, მტვრისა და ხმაურის წარმოქმნა. ეს ზემოქმედება შეფასებულია როგორც დაბალი, მისი მცირე მასშტაბის გამო.

36	საველე ვიზიტებთან დაკავშირებული მცირე ზემოქმედება გარემოზე (მაგ. სტუდენტების ან მკვლევართა მხრიდან), როგორიცაა დანაგვიანება, ბიომრავალფეროვნების გათელვა, ან სხვა მცირე ადგილსპეციფიკური ზემოქმედება.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ეს რისკი მიჩნეულია უმნიშვნელოდ, რადგან საველე ვიზიტები განხორციელდება მართვადი მასშტაბით და შემოიფარგლება მცირე ზომის კონკრეტული ადგილებით. კვლევა და საველე ვიზიტები დაიგეგმება სწავლის ხელშეწყობისა და კარგი პრაქტიკის იდენტიფიცირებისთვის, შესაბამისად მონაწილეთა მხრიდან მოსალოდნელია ცნობიერების გარკვეული დონე. მიუხედავად ამისა, საველე ვიზიტებისას საჭირო იქნება გარკვეული სტანდარტების დაცვა (მაგ. ნარჩენების სათანადოდ განთავსება). ეს სტანდარტები ინტეგრირებული იქნება პროფესიულ ტრენინგში აქტივობა 3.3-ის ფარგლებში. თუ ვიზიტი განსაკუთრებით მგრძნობიარე ზონაში იგეგმება, შეიძლება ჩატარდეს სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი (იხ. ESMP).

40	ტურიზმი დაკავშირებულია დაბინძურების გაზრდის რისკთან, როგორიცაა დანაგვიანება, ბიომრავალფეროვნების გათელვა, ან სხვა ადგილსპეციფიკური ზემოქმედება ვიზიტორთა მაღალი რაოდენობის, ან გადაჭარბებული განვითარების გამო. მაგალითად, თუშეთში ტურიზმის ზრდამ გამოიწვია ნარჩენებისა და კანალიზაციის სერიოზული პრობლემა, ეროვნულ პარკებში ტურიზმი გავლენას ახდენს ცხოველთა სახეობების ქცევაზე.	ექსპლუატაცია	საშუალო

- აქტივობა 3.4-ის ფარგლებში ეკოტურიზმის ხელშემწყობი აქტივობები შემუშავებული უნდა იყოს მდგრადობის მაღალი სტანდარტებით და ადგილობრივი დასაქმებისა და ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობაზე ორიენტირებით. ეკოტურიზმის განვითარების აქტივობები მოიცავს NFA-სა და მუნიციპალური მიწების ტურისტული პოტენციალის შეფასებას (მათ შორის, ასევე პოტენციური სენსიტიური გარემოსდაცვითი ტერიტორიების და უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების შეფასებას). ამ შეფასებისთვის გამოყენებული იქნება ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებიდან. ამას დაემატება ცნობიერების ამაღლების აქტივობები ტურიზმის პოტენციურ ნეგატიურ შედეგებზე და დაბინძურების პრევენციის აქტივობების ხელშეწყობა.
- გარდა ამისა, აქტივობა 3.3-ის ფარგლებში მხარდაჭერილი ტრენინგი და განათლება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკოტურიზმის, მდგრადობისა და სოციალური და გარემოსდაცვითი გარანტიების საუკეთესო პრაქტიკას.
- აქტივობა 3.2-ში შემუშავებული სარგებლის გაზიარებისა და ურთიერთობის გაუმჯობესებული მექანიზმები და 1 და 3 კომპონენტებში მონაწილეობითი პროცესების გაძლიერება კიდევ უფრო გააუმჯობესებს კომუნიკაციას და თანამშრომლობას ადგილობრივ თემებსა და ტყის მართვის ორგანოებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ადრეულ გამოვლენას და ტყითსარგებლობის წესების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას.
- ამას გარდა, კომპონენტი 1 ხელს შეუწყობს ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავებას საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით, სადაც გათვალისწინებული იქნება რეკრეაციის, ან ტურიზმისთვის შესაფერისი ადგილები. ასევე, გატარდება ღონისძიებები ტყის მონიტორინგისა და ინფორმაციის გაუმჯობესებისთვის (აქტივობა 1.5) და DES-ის შესაძლებლობების განვითარებისა და ინსტიტუციური გაძლიერებისთვის ტყის მონიტორინგისა და კანონაღსრულების გასაუმჯობესებლად (აქტივობა 1.2). ეს ზომები გააუმჯობესებს ანგარიშვალდებულებას და ხელს შეუწყობს ამ რისკის შემცირებას.
- ამ რისკის შემდგომი შერბილება შესაძლებელია ID#29 და 37 ზემოქმედებების ქვეშ მითითებული ზომების საფუძველზე.

45	იმ ქვეაქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მიზნად ისახავს ხე-ტყის მეორადი გადამუშავების სექტორის გაძლიერებას, რადგან ხე-ტყის გადამუშავების სექტორი დიდწილად არაფორმალურია, არსებობს კონფლიქტების გაზრდის რისკი ადგილობრივ ბიზნესებთან, რომლებსაც არ სურთ თავიანთი საქმიანობის ფორმალიზება და სამართლებრივი და მარეგულირებელი ნორმების დაცვა.	ექსპლუატაცია	დაბალი

- ქვეყნის სატყეო რეფორმის შესახებ ცნობიერების ამაღლება GCF-ის პროექტის ყველა მიმართულების შემადგენელი ნაწილი იქნება. აქტივობა 3.4-ის ქმედებები არა მხოლოდ სექტორის გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკასა და ღონისძიებებს ეხება,

არამედ ასევე მნიშვნელოვანი პლატფორმა იქნება სექტორის რეფორმის, საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩოსა და ამ ჩარჩოს შეუსრულებლობის შედეგების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისთვის. კომპონენტი 1-ის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციები გაუმჯობესებს მონიტორინგისა და აღსრულების შესაძლებლობებს უკანონო ჭრების მონიტორინგის, აღმოჩენისა და შემცირების მიზნით. გარდა ამისა, აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავებული მექანიზმები და საჩივრების განხილვის მექანიზმი ასევე ხელს შეუწყობს კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესებას, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შერბილებას და უზრუნველყოფს დავების გადაწყვეტის პროცედურებს კონფლიქტების წარმოშობის შემთხვევაში.

- პროექტის განხორციელებისას დაინტერესებული მხარეების ჩართულობა ასევე უზრუნველყოფს მონაწილე დაინტერესებული მხარეებს ინფორმირებულობას პროექტის მიზნების შესახებ. დაზარალებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება პროექტის დონის საჩივრების განხილვის მექანიზმი.

შემარბილებელი ზომები

პროექტი PS3-თან დაკავშირებული შემარბილებელი ზომების მართვას მოახდენს კონტრაქტორების მართვის და მართვის სისტემის დანერგვის გზით, ასევე ტრენინგის საშუალებით, რომელიც მოიცავს პრაქტიკასა და პროცედურებს და შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც შესაბამისობაში იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკებთან. გარდა ამისა, პროექტი უზრუნველყოფს ენერგოეფექტური ღუმელების მწარმოებლების შესაძლებლობების გაძლიერებას, ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებისა და ნარჩენების მართვის სფეროში, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოყენებაში, ხმაურისა და მტვრის მინიმუმამდე შემცირებაში, დაღვრის შეკავებაში, და მუშების მიერ სათანადო პირადი დაცვის საშუალებების გამოყენების უზრუნველყოფაში. ESMP+G სპეციალისტი მოახდენს მომწოდებლების მონიტორინგს და სამუშაო ადგილების და სამუშაო პირობების პერიოდულ შემოწმებას. საქმიანობის, პერსონალისა და კონტრაქტორების მონიტორინგი ფუნდამენტური იქნება პროექტის მოთხოვნების და პოლიტიკის შესრულების უზრუნველსაყოფად.

- კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასთან დაკავშირებული რისკის გათვალისწინება მოხდება სამიზნე რეგიონების ტყის მდგრადი მართვის გეგმებში. ადაპტაციის თვალსაზრისით, პროექტის ერთ-ერთი სარგებელი იქნება ტყეების მოწყვლადობის შეფასება, და შედეგების ინტეგრირება მართვის გეგმებში, ტრენინგებში, პროტოკოლებში და პოლიტიკის შემუშავებაში. ოპერაციული თვალსაზრისით, პროექტისათვის ეს შეიძლება მოიცავდეს მდგრადი სატყეო გზების მშენებლობას და აღდგენის პროცესში კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი სახეობების გამოყენებას.

PS4: საზოგადოების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება

PS4-ის მიზნებია:

მიზანი 1: პროექტის მიმდინარეობისას, ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, როგორც რუტინული, ისე არარუტინული გარემოებებისგან, ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების განჭვრეტა და თავიდან აცილება,.
მიზანი 2: პერსონალისა და ქონების დაცვის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების სათანადო პრინციპების შესაბამისად, ისე, რომ თავიდან აცილებული ან მინიმუმამდე შემცირებული იყოს რისკები ზემოქმედებას დაქვემდებარებული მოსახლეობისთვის.

- მიზანი 1: პროექტს ექნება მცირე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედება მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე. ეს ძირითადად გამოწვეულია ხის მჭრელების, რეინჯერების, ზედამხედველი პერსონალისა და პროექტის სხვა თანამშრომლების მიერ ავტოსატრანსპორტო მოძრაობის გაზრდით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგზაო შემთხვევები ან ინციდენტები.
- მიზანი 2: არსებობს რისკი, რომ პროექტი გამოიწვევს გარკვეულ საზოგადოებრივ კონფლიქტს, სოციალური ჭრების პროგრამის შეწყვეტის, ტყის კოდექსის და ტყის მდგრადი მართვის გეგმების აღსრულებისა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ზედამხედველობის გაძლიერების გამო. საზოგადოებრივმა კონფლიქტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც მოსახლეობას, ისე ტყეში დასაქმებულ მუშახელს, ზედამხედველობის თანამშრომლებს და დააზიანოს ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქონება.

PS4-თან დაკავშირებული ზემოქმედებათა ანალიზი

9	ბუნებრივი კატასტროფების რისკები, როგორიცაა მეწყერი, წყალდიდობა და ზვავები, გზების გაყვანისა და მოვლის დროს, მორსათრევი ბილიკების გაყვანისა და ხე-ტყის ჭრის სამუშაოების დროს.	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი

- საქართველოში ბუნებრივი კატასტროფები ხშირია, ეს ეს მოიცავს წყალდიდობებს, მეწყრებსა და ზვავებს. არ არის მოსალოდნელი, რომ პროექტი წარმოშობს ამ ტიპის საშიშროებებს, რადგან არსებობს მტკიცებულება, რომ ტყის ეკოსისტემების კონსერვაცია და ტყის აღდგენითი ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტიქიური მოვლენებისადმი მოსახლეობის მოწყვლადობის შემცირებაში (ÇElik HE 2008), შესაბამისად, ეს ზემოქმედება შეფასებულია, როგორც დაბალი. რისკი მოსახლეობისთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე მუშახელისთვის, რადგან ისინი არ იქნებიან ტყეში, სადაც ბუნებრივი საფრთხეები უფრო მეტია.

10	კონფლიქტი თემებსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს / ზედამხედველობის დეპარტამენტს შორის, ხე-ტყის ჭრის აკრძალვისა და ჯარიმების გაცემის გამო, რაც შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდეს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის როლის ზრდამ და ტყის კოდექსის აღსრულებამ, შეზღუდვების დაწესებისა და ჯარიმების გამოწერის კუთხით, შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი მოსახლეობასა და გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის სამინისტროს შორის. ასეთი კონფლიქტი შეიძლება ფიზიკურ ძალადობამდეც მივიდეს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს თემების უსაფრთხოებაზე. საქართველოში იყო შემთხვევა, როდესაც კონფლიქტს მოჰყვა გზის გადაკეტვა და ფიზიკური ძალადობა. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ასეთი პრეცედენტი, და რომ მოსახლეობის მიერ აღინიშნა მსგავსი რისკის არსებობის საშიშროება, და იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ფაქტის დაფიქსირება პროექტის რეპუტაციის დაცემას გამოიწვევს, ეს ზემოქმედება შეფასდა, როგორც საშუალო.

13	მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოება: საგზაო შემთხვევები სატრანსპორტო ტექნიკის გადაადგილების ზრდის გამო.	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი

- პროექტის სამშენებლო და სხვა სამუშაოები გამოიწვევს ტრანსპორტის მოძრაობის ზრდას პროექტის განხორციელების ადგილებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ინციდენტები და უბედური შემთხვევები, რაც გავლენას მოახდენს მოსახლეობის უსაფრთხოებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო ჯგუფების რაოდენობა შეზღუდულია და ღონისძიებები ადგილსპეციფიკურია, ეს ზემოქმედება შეფასებულია როგორც დაბალი.

28	არსებობს რისკი, რომ ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების (ღარიბი ან შორეულ მანძილებზე მცხოვრები ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) კონტექსტი და საჭიროებები არ იყოს საკმარისად გათვალისწინებული და წარმოდგენილი ინსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებაში, შესაბამისი ტრენინგების ფონურ კვლევებში და მუნიციპალური ტყის მართვის დანერგვის თანმხლებ ინსტრუმენტებში. ახლად შემუშავებული ინსტიტუტები, ინსტრუმენტები, მექანიზმები და რეგულაციები შეიძლება მეტ სარგებელს შეიცავდეს გარკვეული ჯგუფებისთვის, საკმარისად არ ახდენდეს მოწყვლადი ოჯახების, ან ქალების ჩართვას და ელიტური მიტაცების, სარგებლის უსამართლო განაწილების, არათანაბარი წარმომადგენლობის და გადაწყვეტილების მიღების არათანასწორი უფლების საფრთხეს შეიცავდეს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- იხილეთ აღწერა PS1-ში

30	ადგილობრივი მოსახლეობისთვის (განსაკუთრებით ქალებისთვის) ახალი სისტემის ფარგლებში ტყის მდგრადი მართვიდან სარგებლის მიღების შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ადრე	ექსპლუატაცია	საშუალო

	არაფორმალურად იყო დასაქმებული სექტორში, ან საარსებო წყაროს სახით დამოკიდებული იყო საწვავი ხე-ტყის უკანონო მოპოვებაზე (მაგ. ტყის მართვის წინა სქემით, გარკვეული ნაწილობრივ უკანონო შუამავლები აწვდიდნენ შეშას მოსახლეობას). გარდა ამისა, გაძლიერებულმა ტყის ზედამხედველობამ და კანონაღსრულბამ, საწვავი ხე-ტყის ფასთან ერთად, შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ახალი ტყის კოდექსით დაარსებული „საქმიანი ეზოები“, სადაც შესაძლებელი იქნება საწვავი ხე-ტყისა და მერქნის გაცემა, შეიძლება თანაბრად არ იყოს ხელმისაწვდომი ადგილობრივი მოსახლეობისთვის.		

➢ იხილეთ აღწერა PS1-ში.

31	პროექტი განხორციელდება რთული წინასწარ არსებული სიტუაციის კონტექსტში, სადაც არსებობს განსხვავებული ინტერესები და ძალაუფლებერივი ურთიერთქმედებები, ადგილი აქვს კომპრომისებს და შეიძლება წარმოიშვას პოტენციური კონფლიქტები. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და დაუცველი ოჯახების ზოგადად დაბალი წარმომადგენლობის გამო, არსებობს რისკი, რომ ეს ჯგუფები მონაწილეობას ვერ მიიღებენ შესაბამის მექანიზმებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სარგებლის არათანაბარი გაზიარება და ელიტის ხელში ჩაგდება.	ექსპლუატაცია	საშუალო

➢ იხილეთ აღწერა PS1-ში.

შემარბილებელი ზომები

პროექტის ერთ-ერთი მსხვილი კომპონენტია მოსახლეობასთან კომუნიკაცია და ჩართულობა, საჩივრების პროცედურის დანერგვა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება, შედეგიანი ჩართულობის, შუამავლობისა და დავების მოგვარების საკითხებში. საქართველოში წარსულში ადგილი ჰქონდა ინციდენტებს, როდესაც ხელისუფლებამ პოლიცია / სამხედრო ძალები გაგზავნა ხე-ტყის უკანონო ჭრის აღსაკვეთად ხაიშის მახლობლად ზვავების და მეწყრული პროცესების განვითარების გამო, რასაც კონფლიქტი და გზის გადაკეტვა მოჰყვა. მოსახლეობის ფიზიკური იძულება და დაშინება იშვიათად იწვევს რაიმე სახის კონსტრუქციულ დიალოგს. საზოგადოებრივი კონფლიქტის მოსაგვარებლად პირველი ნაბიჯი დიალოგია. იძულებითი აღსრულება უკანასკნელი ზომა უნდა იყოს, თუ მედიაციის და დავის მოგვარების ყველა სხვა საშუალება ამოიწურება. პროექტი ყურადღებით უნდა დააკვირდეს, როგორი რეაგირება ექნება ხელისუფლებას მოსახლეობასთან პოტენციურ კონფლიქტზე.

პროექტი მოამზადებს ადამიანური რესურსების პოლიტიკას, რომელიც დაეყრდნობა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მიერ აღიარებულ პრინციპებს, უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფლობით პრინციპებს და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციას შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ.

PS5: მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება

არ ამოქმედდება. პროექტისთვის მიწის შესყიდვის საჭიროება არ არსებობს, თუმცა შეიძლება საჭირო გახდეს მიწის შეძენა საქმიანი ეზოების მშენებლობისთვის. საქმიანი ეზოები მოეწყობა სახელმწიფოს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, სადაც ტრადიციული მიწათმოსარგებლეები არ არის წარმოდგენილი. თუ ვერ მოხერხდება სათანადო სახელმწიფო მიწის ნაკვეთის მოძიება, მიწის მესაკუთრეებთან გაფორმდება ნებაყოფლობითი ხელშეკრულებები, ხოლო თუ ვერ მოხერხდება ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევა, მოხდება ალტერნატიული მიწის ნაკვეთის შერჩევა საქმიანი ეზოების მოსაწყობად. ასაშენებელი სატყეო გზებიდან ყველა სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე მდებარეობს.

PS6: ბიომრავალფეროვნება, კონსერვაცია და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა

PS6-ის მიზნებია:

მიზანი 1: ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია.
მიზანი 2: ეკოსისტემური მომსახურებებიდან მიღებული სარგებლის შენარჩუნება.
მიზანი 3: ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა, ისეთი პრაქტიკის დანერგვით, რომელშიც ინტეგრირებულია საკონსერვაციო საჭიროებები და განვითარების პრიორიტეტები.

- მიზანი 1: პროექტი დადებით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე, საქართველოში ტყეების მართვისთვის გაუმჯობესებული ინსტიტუციური მექანიზმების შექმნით და საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტებთან და საერთაშორისო კონვენციებთან, როგორიცაა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენცია (CBD), შესაბამისობაში მოქმედებით. პროექტმა ხელი უნდა შეუწყოს მთავრობის მიერ ნაკისრ, აიტის მიზნის ვალდებულებების შესრულებას.
- ხეების ჭრა განხორციელდება ტყის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ზემოქმედების შემცირების მეთოდოლოგიის გამოყენებით და ჭრების დაწყებამდე მცენარეულობის შეფასებით. ნებისმიერი ხე, რომელზეც ბუდეები აღმოჩნდება, იქნება დაცული.
- მიზანი 2: ამ ანგარიშის 7.11 თავში მოცემულია ტყეების ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება.
- მიზანი 3: პროექტის მთავარი წინამძღვარია ტყეების (ბუნებრივი რესურსების) მდგრადი მართვის ხელშეწყობა. არსებობს გარკვეული პოტენციური ზემოქმედებები, რომელთა შორისაა ხეების ჭრა საწვავ ხე-ტყესა და მერქანზე მოსახლეობის

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ხეების ჭრა მისასვლელი გზების მოსაწყობად, მაგრამ ეს ყველაფერი ფართო ტყის მდგრადი მართვის ნაწილია და მოსალოდნელია, რომ მდგრადი შედეგების მომტანი იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში. საერთო ჯამში, პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში ტყეების მდგრად მართვას.

PS6-თან დაკავშირებული ზემოქმედებების ანალიზი

1	ველური ბუნების შეწუხება და ფლორის დაზიანება ხე-ტყის ჭრის ღონისძიებების დროს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- მიუხედავად იმისა, რომ ხე-ტყის ჭრის ღონისძიებები ჩატარდება შემცირებული ზემოქმედების ჭრებით (RIL), მათ შორის, საკონსერვაციო მნიშვნელობის ხეების შენარჩუნებით, სამიზნე ოდენობების დადგენით და შერჩევითი ჭრებით, მაინც იქნება ზემოქმედება ველურ ბუნებაზე. ეს რისკი შეფასებულია, როგორც საშუალო, რადგან საქმიანობა განხორციელდება ბუნებრივ ჰაბიტატებში და იმოქმედებს ველურ ბუნებაზე, განსაკუთრებით ფრინველებზე, შეზღუდული გავრცელების სახეობებზე და ნელა მოძრავ სახეობებზე.

3	ტყესთან მისასვლელი გზების მშენებლობისას, მდინარის გადაკვეთის და მორსათრევი ბილიკების ჩათვლით, ზემოქმედება დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ნარჩენების, ხმაურისა და მტვრის წარმოქმნა, დაღვრები, ველური ბუნების შეწუხება, მცენარეულობის და ნიადაგის დაზიანება და წყალზე ზემოქმედება.	მშენებლობა	საშუალო

- N1 რისკის მსგავსად, ზემოქმედება მოხდება ფაუნაზე, მცენარეულობასა და ნიადაგზე, სატყეო გზებისა და მორსათრევი ბილიკების გაწმენდისა და მშენებლობის დროს. ეს გავლენა შეფასდა, როგორც საშუალო.
- სატყეო გზების მშენებლობას ახლავს რისკი, რომ გამარტივდება წვდომა ცოცხალ ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც ადრე მიუწვდომელი იყო მოსახლეობისა და ოპორტუნისტებისთვის. თუმცა, აღსრულებისა და ჯარიმების რისკის

4	სატყეო გზების მშენებლობის შედეგად გაზრდილი მისაწვდომობის რისკი, რაც ზემოქმედებას ახდენს ფლორასა და ფაუნაზე.	ექსპლუატაცია	დაბალი

გათვალისწინებით, ეს რისკი შეფასდა როგორც დაბალი.

- სატყეო გზების მშენებლობას ახლავს რისკი, რომ გამარტივდება წვდომა ცოცხალ ბუნებრივ რესურსებზე, რომლებიც ადრე მიუწვდომელი იყო მოსახლეობისა და ოპორტუნისტებისთვის. თუმცა, აღსრულებისა და ჯარიმების რისკის გათვალისწინებით, ეს რისკი შეფასდა როგორც დაბალი.

16	ტყის კიდევ უფრო დეგრადაცია ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ საქმიანი ეზოებს მოწყობის, და ამავდროულად მოსახლეობის მიერ ტყის უკანონო ჭრის გაგრძელების და ხე-ტყის შეძენაზე უარის თქმის შედეგად.	ექსპლუატაცია	დაბალი

- არსებობს რისკი, რომ ხე-ტყის მდგრადი ჭრის პროგრამა, რომელსაც პროექტი განახორციელებს და მასთან ერთან ხე-ტყის უკანონო ჭრების გაგრძელება, თუ კანონიერი შეძენა არ განხორციელდა, ტყის კიდევ უფრო დეგრადირებას გამოიწვევს. ეს რისკი შეფასებულია როგორც დაბალი, პროექტის დიზაინიდან გამომდინარე, რომელიც მიზნად ისახავს უწესრიგო და უკანონო ჭრების გაკონტროლებასა და შეზღუდვას.

29	არსებობს რისკი, რომ მუნიციპალური ტყის მართვის მიდგომა გამოიწვევს ტყის რესურსების (მერქანი, საწვავი ხე-ტყე და ტყის არამერქნული პროდუქტები) გადაჭარბებულ მოპოვებას, არასაკმარისი მონიტორინგის ან არამდგრადი მართვის გამო, რომელიც პრიორიტეტს ანიჭებს მოკლევადიან ეკონომიკურ სარგებელს, მაგალითად, მერქნის და ტყის არამერქნული პროდუქტების არამდგრადი მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ღონისძიებების უმრავლესობა ფოკუსირებული იქნება დაბალი რისკის აქტივობებზე, აქტიური მართვა შეიძლება მხარდაჭერილი იყოს არსებული მუნიციპაური ტყის მართვის ადგილებში, როგორიცაა თუშეთი, სადაც საჭირო იქნება ამ რისკის მჭიდრო მონიტორინგი და შერბილება.	ექსპლუატაცია	საშუალო

აქტივობა 3.1 შემუშავებულია ამ რისკის გათვალისწინებით; ის ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტყის მართვის გამასშტაბურებისთვის ეტაპობრივ მომზადებას, ეტაპობრივი მიდგომის მიხედვით. პროექტი მხარდაჭერას უწევს ადრეულ ფაზას, აქცენტი კეთდება განხორციელებადობის კვლევების ჩატარებაზე, შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ხელსაყრელ გარემოზე, რაც ხელს შეუწყობს მყარი საძირკვლის შექმნას მუნიციპალური ტყის მართვის გამასშტაბურებისთვის, რაც მოიცავს გამჭვირვალე და ხელმისაწვდომ მექანიზმებს გარემოსდაცვითი და სოციალური გარანტიების უზრუნველსაყოფად. ძლიერი სამართლებრივი და მარეგულირებელი პოლიტიკისა და პროცედურების, ძლიერი ინსტრუმენტებისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ხელს შეუწყობს მუნიციპალური ტყის მართვისთვის მომზადებას და ტყეებით მრავალმხრივი სარგებლობის მდგრად დაბალანსებას. აქტივობა 3.2-ის ფარგლებში შემუშავდება გამჭვირვალე და სამართლიანი სარგებლის განაწილების მექანიზმები და საჩივრების განხილვის მექანიზმი, რაც გაუმჯობესებს სექტორში გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ეს რისკი ასევე შემცირდება კომპონენტ 1-ის აქტივობებით, რომლებიც აუმჯობესებს გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულ დაგეგმვას, მართვას, მონიტორინგს და აღსრულებას.

თუშეთის დაცული ლანდშაფტი (TPL) მუნიციპალური ტყის მართვის ერთი მაგალითია, რომელსაც პროექტი სავარაუდოდ მხარდაჭერას გაუწევს ადგილზე ინტერვენციით. რადგან TPL დაცული ლანდშაფტია, მასზე ტყის ერთობლივი ზედამხედველობა ხორციელდება DES-თან ერთად. DES-ი ერთ-ერთი მთავარი ბენეფიციარია ECO.Georiga-ს ფარგლებში 1-ლი

კომპონენტის 1.2 აქტივობისთვის, რომელიც გააძლიერებს DES-ის შესაძლებლობებს ტყის ზედამხედველობაში, აღსრულებასა და მონიტორინგში.

ტყეებში განხორციელების ნებისმიერი აქტივობისთვის გამოყენებული იქნება ESHS-MS-ის და სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურები.

32	არსებობს რისკი, რომ ერთობლივი მართვის აქტივობები არ განხორციელდება მდგრადად.	ექსპლუატაცია	საშუალო

დეტალური დაგეგმვა (ტყის მართვის გეგმებთან დაკავშირებული) განხორციელდება 1 და 3 კომპონენტების მეშვეობით და უზრუნველყოფილი იქნება დამატებითი მხარდაჭერა როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე ადგილობრივი ტყითმოსარგებლეების შესაძლებლობების გასაძლიერებლად აღნიშნული რისკის შემცირებისთვის, ამ ერთობლივი მართვის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების დროს. GCF-ის პროექტის კომპონენტი 1 კიდევ დამატებით გააძლიერებს შესაძლებლობებს მონიტორინგისა და აღსრულების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს გარემოზე პოტენციური არასასურველი ზემოქმედების ეფექტურ იდენტიფიცირებას და შერბილებას, ან მართვას.

ტყეებში განხორციელების ნებისმიერი აქტივობისთვის გამოყენებული იქნება ESHS-MS-ის და სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურები.

37	. ტყის არამერქნული პროდუქტების მზარდი გამოყენება შეიცავს ჭარბი მოპოვების და არამდგრადი შეგროვების ან გადამუშავების რისკს, რაც იწვევს გარემოს დეგრადაციას და ბიომრავალფეროვნების პოტენციურ კარგვას.	ექსპლუატაცია	საშუალო

ამ რისკის შემცირება უნდა მოხდეს მცირე და საშუალო ბიზნესის შესაძლებლობების განვითარების სათანადო მიზნობრივი ღონისძიებებით. აქტივობა 3.3 მოიცავს პრაქტიკულ კვლევას ტყის არამერქნული პროდუქტების ინვენტარიზაციასა და მართვასთან დაკავშირებულ თემებზე და სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების გადახედვას, რაც ასევე ხელს შეუწყობს ამ რისკის შერბილებასა და მართვას. მოხდება ასევე ტყის არამერქნული პროდუქტების პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევის მხარდაჭერა, სამეცნიერო ცოდნისა და ცნობიერების გასაძლიერებლად ტყის არამერქნული პროდუქტების დაგეგმვასთან, მართვასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ. ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობით შემუშავებაში გათვალისწინებული იქნება ტყესთან დაკავშირებული ღირებულებითი ჯაჭვების შესაძლებლობები (მათ შორის ტყის არამერქნული პროდუქტები, ხე-ტყე/მერქანი და ეკოტურიზმი). კომპონენტი 1-ის ფარგლებში გაძლიერდება ტყის მონიტორინგი და ზედამხედველობა. გარდა ამისა, აქტივობა 3.4 მოიცავს მდგრადი შეგროვების ხელშემწყობი სერტიფიცირების (ხელახალი) დანერგვის განხორციელებადობის კვლევებს (მაგ., Fair Wild, Organic Wild Collection) და, თუ შედეგები პოზიტიური იქნება, შემდგომი ზომები მიიღება

პროექტის ბენეფიციართა მხრიდან, შერჩეული სერტიფიცირების მოთხოვნების შესრულების მხარდასაჭერად. ამ სერტიფიცირების სისტემებით შესაძლებელი იქნება ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვების გაძლიერება და მონიტორინგი. ტყეებში განხორციელების ნებისმიერი აქტივობისთვის გამოყენებული იქნება ESHS-MS-ის და სწრაფი გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურები.

41	NFA-ს დათმობის მექანიზმი ამჟამად საკმარისად არ ითვალისწინებს სოციალური ჩაურთველობისა და არასწორად რეგულირებული ტურიზმის გამო გარემოს დაბინძურების ზემოხსენებულ რისკებს.	ექსპლუატაცია	საშუალო

- იხილეთ აღწერა PS1-ში.

შემარბილებელი ზომები

პროექტი შეიმუშავებს პროცედურებს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით. ეს მოიცავს მცენარეულობის შემოწმებას, ხე-ტყის ჭრის დაწყებამდე, ბუდეების არსებობის შემთხვევაში მათ მოსაძებნად, სატყეო გზებზე საავტომობილო საშუალებებით გადაადგილების შეზღუდვას, ეროვნული სატყეო სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარდა და სხვა შემარბილებელ ზომებს, რომლებიც განხილულია I ტომში.

PS7: მკვიდრი მოსახლეობა

ამ პროექტისთვის არ ამოქმედდება. საქართველოში წარსულში ჩატარებული მრავალმხრივი განვითარების ბანკების (MDB) მიერ დაფინანსებული პროექტების ლიტერატურულმა მიმოხილვამ აჩვენა, რომ საქართველოში არ ყოფილა პროექტები, რომლებმაც PS7-ის ან ექვივალენტური სტანდარტის ამოქმედება გამოიწვია საქართველოში სხვა MDB-ებისგან.

PS8: კულტურული მემკვიდრეობა

PS8-ის მიზნებია:

მიზანი 1: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა საპროექტო საქმიანობის უარყოფითი ზემოქმედებისგან და მისი შენარჩუნების ხელშეწყობა.

მიზანი 2: კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებით მიღებული სარგებლის თანაბრად განაწილება.

- მიზანი 1: ნაკლებად სავარაუდოა, რომ პროექტი გავლენას მოახდენს კულტურულ მემკვიდრეობაზე, მიუხედავად ამისა, პროექტი მოამზადებს კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის (Chance Find) პროცედურას, იმ შემთხვევისთვის, თუ ტყეებში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირება მოხდება.
- მიზანი 2: იხილეთ მიზანი 1.

PS8-თან დაკავშირებული ზემოქმედებათა ანალიზი

7	ტყეში არსებულ კულტურულ ადგილებთან წვდომის შეზღუდვა, ან ასეთ ადგილებზე ზემოქმედება (ადგილებში, სადაც შეხვედრები განხორციელდა, მოსახლეობა არ იყენებს ტყეს კულტურული მიზნებისთვის, თუმცა, საქართველოში შეიძლება არსებობდნენ სხვა თემები, რომლებიც იყენებენ ტყეს კულტურული საქმიანობის / რიტუალებისთვის).	მშენებლობა და ექსპლუატაცია	დაბალი

- არსებობს რისკი, რომ ხეების ჭრის ან სამშენებლო სამუშაოების დრო, პროექტის გუნდი შეხვდება კულტურულ ადგილებს. საჯარო კონსულტაციების პროცესში ადგილობრივმა თემებმა დაადასტურეს, რომ ტყეში არ არის წარმოდგენილი კულტურული ადგილები, შესაბამისად, ეს ზემოქმედება შეფასდა, როგორც დაბალი.

შემარბილებელი ზომები

ამ ზემოქმედების მართვისათვის მომზადდა კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის (Chance Find) პროცედურა, რომელიც შედის I ტომში.

7.3 ეკოსისტემური მომსახურებების შეფასება

IFC-ი ეკოსისტემურ მომსახურებებს შემდეგნარად განსაზღვრავს: "სარგებელი, რომელსაც ადამიანები, მათ შორის ბიზნესები, იღებენ ეკოსისტემებიდან. ეკოსისტემური მომსახურებები დაყოფილია ოთხ ტიპად: (i) მომმარაგებელი მომსახურებები; მოიცავს პროდუქტებს, რომლებსაც ადამიანები ეკოსისტემებიდან იღებენ; (ii) მარეგულირებელი მომსახურებები; სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემური პროცესების რეგულირებიდან; (iii) კულტურული მომსახურებები, ეს არის არამატერიალური სარგებელი, რომელსაც ადამიანები იღებენ ეკოსისტემებიდან; და (iv) დამხმარე მომსახურებები; მოიცავს ბუნებრივ პროცესებს, რომლებიც სხვა მომსახურებებს ინარჩუნებენ".

გაეროს ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასებით განსაზღვრული ეს ოთხი ძირითადი ეკოსისტემური პროდუქტი და მომსახურება წარმოდგენილია ცხრილი 7-3.

ცხრილი 7-3: ეკოსისტემური მომსახურების ოთხი კატეგორია (ათასწლეულის ეკოსისტემების შეფასება, 2005)

კატეგორიები	აღწერა	მაგალითი
მომმარაგებელი მომსახურებები	პროდუქტის მიწოდება	წყალი საკვები ნედლეული
მარეგულირებელი მომსახურებები	ეკოლოგიური პროცესები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ წარმოებას ან ხარჯების დაზოგვას.	მიწისქვეშა წყლების შევსება ნიადაგის სტაბილურობა წყლის გაფილტრვა ნახშირბადის დამარაგება
კულტურული მომსახურებები	ღირებულება, რომელიც გამომდინარეობს ბიომრავალფეროვნების გამოყენებისგან ან დაფასებისგან.	სულიერი საგანმანათლებლო რეკრეაციული

დამხმარე მომსახურებები	ეკოლოგიური პროცესები, რომლებიც საფუძველს უქმნის ან ხელს უწყობს ზემოთ მოცემულ სამ მომსახურებას	ნიადაგის ნაყოფიერება დამტვერვა მავნებლების კონტროლი

წინასწარი დესკტოპ ანალიზი და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის პროცესში შეგროვებული პირველადი მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოში ტყის ეკოსისტემიდან ადამიანები იღებენ 21 სხვადასხვა მომსახურებას, რომლებიც მოცემულია ცხრილი 7-4.

ცხრილი 7-4: ეკოსისტემური მომსახურებების საზოგადოებრივი გამოყენება

კატეგორია	#	ეკოსისტემური მომსახურება	გამოყ
მომმარაგებელი მომსახურებები	1	ველური ბუნება/ფაუნა	ნადირობა
	2	მერქანი	სახლების მშენებლობა და ავეჯის დამზადება, კომერციული სახერხები
	3	პირუტყვის კვება / ძოვება	ძირითადად მსხვილფეხა საქონელი, მაგრამ ასევე ცხვარიც
	4	საწვავი (შეშა)	საყოფაცხოვრებო და კომერციული (არაფორმალური ბიზნესების ჩათვლით)
	5	ხის პროდუქტები	ველური ხილი
	6	მცენარეთა პროდუქტები	ბალახები, კენკრა, სოკო
	7	თევზი	თევზი (ძირითადად ყავისფერი კალმახი)
მარეგულირებელი მომსახურებები	8	ჰაერის დაბინძურების მართვა	მტვრის კონტროლი
	9	ნახშირბადის დამარაგება	ხეებში, მცენარეებში, ნიადაგში და ა.შ. დამარაგებული ნახშირბადი
	10	წყალდიდობის შეკავება და რეგულირება	პიკური ნაკადების შეკავება წყლის სიჩქარის და მოცულობის შემცირებით
	11	ხანძრისგან გამოწვეული ზიანის კონტროლი	დაუგეგმავი ხანძრის ალბათობის, ინტენსივობის და / ან მასშტაბის კონტროლი
	12	თავშესაფარი ან საშენი	სივრცე ცხოველებისთვის (ძუძუმწოვრები, თევზი, ფრინველები) გასამრავლებლად და სხვა ადგილებზე გასავრცელებლად (მდინარის დინების საპირისპირო მიმართულებით, მდინარის დინების მიმართულებით, ან რეგიონულად)
	13	წყლის ხარისხი	დამაბინძურებლების გაზავება

კატეგორია	#	ეკოსისტემური მომსახურება	გამოყ
	14	წყლის ხარისხი (საკვები ნივთიერებების ასიმილაცია)	საკვები ნივთიერებების ასიმილაცია მცენარეთა მიერ, მაგ. ნიტრატები სოფლის მეურნეობიდან და სხვა.
	15	ნიადაგის სტაბილურობა	ეროზიის კონტროლი, მეწყრების და ზვავების პრევენცია
კულტურული მომსახურებები	16	კულტურული მემკვიდრეობა	მლოცველები და სხვა
	17	სამედიცინო	სამკურნალო მცენარეები (შეიძლება მოიცავდეს ბალახებს, ბოლქვებს, ფესვებს, ფოთლებს ან ქერქს)
	18	რეკრეაციული	პიკნიკი, ტურიზმი, კემპინგი
დამხმარე მომსახურებები	19	ნიადაგის ფორმირება და ნაყოფიერება	ნიადაგის ფორმირება და საკვებ ნივთიერებათა ციკლები
	20	ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნები	IUCN-ის მიზნები, CBD, ბერნის კონვენცია
	21	მავნებელ მცენარეთა / ცხოველთა კონტრილი	მავნებელ მცენარეთა / ცხოველთა პოპულაციების და გავრცელების შემცირება

- დამოკიდებულების დონე მაღალია ხმელეთის მომმარაგებელ მომსახურებებზე, როგორიცაა მერქანი და შეშა, რომლებიც ძალზე მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობისთვის, როგორც ენერგიის წყარო, რომელიც გამოიყენება წლის ცივ თვეებში გათბობისთვის და საკვების მომზადებისთვის, ხოლო მერქანი მშენებლობისთვის. გარდა ამისა, ზოგიერთი არაფორმალური ბიზნესი შემოსავლის წყაროს სახით დამოკიდებულია როგორც შეშაზე, ასევე მერქანზე.
- ტყეებზე დამოკიდებულების დონე მაღალია საქონლის საძოვრებისთვის.
- ტყეებზე დამოკიდებულების დონე საშუალო და დაბალია კენკრის, ბალახების და სოკოს შეგროვებისთვის, როგორც შემოსავლის წყაროსთვის, ასევე საკვებად.
- დამოკიდებულების დონე საშუალო და დაბალია მოჭრილ ტოტებზე, რომლებიც გამოიყენება შეშად და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებებისთვის.
- ნადირობაზე დამოკიდებულების დონე დაბალია, დიდწილად იმიტომ, ტერიტორიაზე მოსახლეობის ძირითად საარსებო წყაროებში არ შედის ნადირობა.
- თევზის სახეობებზე დამოკიდებულების დონე დაბალია, ადგილებში, სადაც ვიზიტები განხორციელდა მოსახლეობის არ არის დამოკიდებული თევზაობაზე, როგორც ძირითად საარსებო წყაროზე.

7.3.1 ტყის ეკოსისტემურ მომსახურეგებზე ზემოქმედებებისა და შემარბილებელი ზომების შეჯამება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ზემოქმედებები, მათი კლასიფიკაცია (GIZ-ის მეთოდოლოგიის გამოყენებით) და შემარბილებელი ზომები 21 ეკოსისტემური მომსახურების გამოყენებისთვის.

ცხრილი 7-5: ტყის ეკოსისტემურ მომსახურებაზე ზემოქმედება და შემარბილებელი ზომები # ეკოსისტემური მომსახურება ზემოქმედების დონე შერბილების ზომები

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
1	ველური ბუნება/ფაუნა	უმნიშვნელო	
2	მერქანი	საშუალო	სათემო საკონსერვაციო პროექტების შემუშავება, პარტნიორებთან ერთად. ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრამების და ხე-ტყის ეფექტურად გამოყენების მხარდაჭერა. პროექტის საშუალებით დასაქმების უზრუნველყოფა (საქმიანი ეზოები, ხე-ტყის ჭრა, გიდები და ა.შ.). საქმიანი ეზოების დაარსება გაუმჯობესებს კანონიერებას და შეამცირებს ხე-ტყის უკანონო მოპოვებას. ამას თან ახლავს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემების (FIMS) გაუმჯობესება. პროექტის შემუშავება არაფორმალური კომპანიების ფორმალიზების მიზნით ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებულიღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
3	პირუტყვის კვება / ძოვება	საშუალო	ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. ტყის მდგრადი მართვით უნდა განისაზღვროს აკრძალული ადგილები, და საჭიროების შემთხვევაში, თემებთან კომუნიკაცია. ძოვების შეზღუდვის დროებისა და ადგილების განსაზღვრა და თემებისთვის ინფორმაციის მიწოდება. სათემო პროექტების შემუშავება საარსებო საშუალებების გაუმჯობესების მიზნით, რაც შეიძლება მოიცავდეს წყლის მიწოდებას, ვეტერინარულ მხარდაჭერას, გამოკვებას, შემოღობვას და სხვა. ტექნიკური მხარდაჭერა, თავსებადი ერთობლივი მართვის აქტივობების განხორციელების და სარგებლის განაწილების მექანიზმების ხელშესაწყობად, რომლებიც ეხმარება ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებს მდგრადი აქტივობების განხორციელებაში. ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებული ღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას
4	საწვავი (ხე-ტყე)	საშუალო	ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. ენერგოეფექტური ღუმელები და ბრიკეტები. მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრამების და ხე-ტყის ეფექტური გამოყენების მხარდაჭერა. საქმიანი ეზოების დაარსება გაუმჯობესებს კანონიერებას და შეამცირებს ხე-ტყის უკანონო მოპოვებას. ამას თან ახლავს ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემების (FIMS) გაუმჯობესება.

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
			პროექტის საშუალებით დასაქმების უზრუნველყოფა (საქმიანი ეზოები, ხე-ტყის ჭრა, გიდები და ა.შ.). ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. სოციალური მხარდაჭერის პროგრამა ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებული ღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას
5	ხის პროდუქტები	საშუალო	ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო ბიზნესის / სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ხელშეწყობა (როგორცაა მაგალითად, ENPARD EU პროექტი) პროექტის საშუალებით დასაქმების უზრუნველყოფა (საქმიანი ეზოები, ხე-ტყის ჭრა, გიდები და ა.შ.). ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. ტექნიკური მხარდაჭერა, თავსებადი ერთობლივი მართვის აქტივობების (მაგ. ტყის არამერქნულ პროდუქტებთან დაკავშირებული) განხორციელების და სარგებლის განაწილების მექანიზმების ხელშესაწყობად, რომლებიც ეხმარება ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებს მდგრადი აქტივობების განხორციელებაში. ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებული ღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
			ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას.
6	მცენარეთა პროდუქტები	საშუალო	ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. მცირე და საშუალო ბიზნესის / სოციალური მხარდაჭერის პროგრამების ხელშეწყობა (როგორცაა მაგალითად, ENPARD EU პროექტი) პროექტის საშუალებით დასაქმების უზრუნველყოფა (საქმიანი ეზოები, ხე-ტყის ჭრა, გიდები და ა.შ.). ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. ტექნიკური მხარდაჭერა, თავსებადი ერთობლივი მართვის აქტივობების (მაგ. ტყის არამერქნულ პროდუქტებთან დაკავშირებული) განხორციელების და სარგებლის განაწილების მექანიზმების ხელშესაწყობად, რომლებიც ეხმარება ადგილობრივ ტყითმოსარგებლეებს მდგრადი აქტივობების განხორციელებაში. ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებული ღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას.
7	თევზი	უმნიშვნელო	
8	ჰაერის დაბინძურების მართვა	დადებითი ზემოქმედება	
9	ნახშირბადის დამარაგება	დადებითი ზემოქმედება	

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
10	წყალდიდობის შეკავება და რეგულირება	დადებითი ზემოქმედება	
11	ხანძრით მიყენებული ზიანის კონტროლი	დადებითი ზემოქმედება	
12	თავშესაფარი ან საშენი	დადებითი ზემოქმედება	
13	წყლის ხარისხი	დადებითი ზემოქმედება	
14	წყლის ხარისხი (საკვები ნივთიერებების ასიმილაცია)	დადებითი ზემოქმედება	
15	ნიადაგის სტაბილურობა	დადებითი ზემოქმედება	
16	კულტურული მემკვიდრეობა	დაბალი	ტყის მდგრადი მართვის გეგმები უნდა მოიცავდეს ტყეში არსებული იმ ადგილების ინვენტარიზაციას, რომლებსაც ადამიანები კულტურული მემკვიდრეობის სახით იყენებენ. კულტურული მემკვიდრეობის აღმოჩენის პროცედურის შემუშავება. ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. კულტურულ ადგილებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადამიანების თავისუფლად შეშვება. ტყის მდგრადი მართვის გეგმების მონაწილეობითი შემუშავება ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას კულტურული მემკვიდრეობის, ან ადგილობრივი მნიშვნელობის ტერიტორიების განსაზღვრაში.
17	სამედიცინო	საშუალო	ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში. მცირე და საშუალო ბიზნესის / სოციალური მხარდაჭერის პროგრამების

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
			ხელშეწყობა (მაგალითად, ENPARD EU პროექტი) პროექტის საშუალებით დასაქმების უზრუნველყოფა (საქმიანი ეზოები, ხე-ტყის ჭრა, გიდები და ა.შ.). ტყის მდგრადი მართვის გეგმების შემუშავება თემებთან კონსულტაციებით. ტყის მდგრად მართვასთან (და მასთან დაკავშირებული ღირებულებით ჯაჭვებთან) დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას
18	რეკრეაცია	საშუალო	ცნობიერების ამაღლება ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებით. ტყის მდგრადი მართვის გეგმით რეკრეაციისთვის აკრძალული ადგილების განსაზღვრა, და ტყით სარგებლობის მკაფიო წესები. ეკომეგობრული სუფთა ნაგვის ურნების განთავსება, ეკომეგობრული აბრების განთავსება (მაგ. ხეების სახელწოდება, გეგმები, გამოყენებები და ა.შ.), ადგილების აღჭურვა კემპინგისთვის (მაგრამ ვიზიტორთა რაოდენობის შეზღუდვა, ცალკეული ტყის მდგრადი მართვის გეგმის მიზნების შესაბამისად), ვიზიტორებისთვის ეკომეგობრული ბილიკების მოწყობა. სკოლების მიერ გარემოსდაცვითი ექსკურსიების ორგანიზება ტყეებში. ეკოტურიზმთან დაკავშირებული პროფესიული უნარებისა და ცოდნის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება ტყის რესურსების უკეთ დაგეგმვისა და მონიტორინგისთვის, რაც ხელს შეუწყობს მავნე ზემოქმედების ადრეულ გამოვლენას (მათ შორის ტურიზმისა და რეკრეაციისგან)

#	ეკოსისტემური მომსახურება	ზემოქმედების დონე	შერბილების ზომები
19	ნიადაგის ფორმირება და ნაყოფიერება	დადებითი ზემოქმედება	
20	ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნები	დადებითი ზემოქმედება	
21	მცენარეთა / ცხოველების მავნებლების კონტროლი	დადებითი ზემოქმედება	

7.4 COVID-19-ის გავლენა

პანდემიამ დამატებითი რისკები და ზემოქმედებები გააჩინა პროექტისთვის. COVID-19-მა ძლიერ იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე, ისევე როგორც მოსახლეობის საარსებო პირობებზე (სხვა ზემოქმედებებთან ერთად): ეკონომიკური ვარდნა და სამუშაო ადგილების კარგვა, ბაზრის დინამიკის შეცვლა, მიწოდების ჯაჭვების მოშლა, უთანასწორობის ზრდა, მობილობის და მომსახურებების ხელმისაწვდომობის შემცირება.[11] COVID-19 COVID-19-ის პანდემიამ შესაძლოა გავლენა იქონიოს პროექტზე გადაწყვეტილების მიღების, პარტნიორების წვლილის, ვადების (მაგ. განხორციელების შეფერხებები), ბიუჯეტების და ღონისძიებების ეფექტურობის თვალსაზრისით. თავდაპირველი სახით დაგეგმილმა აქტივობებმა შეიძლება ხელი შეუწყოს COVID-19-ის გავრცელებას, თუ დამატებითი ზომები არ იქნება ადაპტირებული პროექტის პერსონალის, პარტნიორებისა და ბენეფიციარების დასაცავად. შეფერხებებმა მომსახურებებში, რეგიონულ და ეროვნულ ღირებულებით ჯაჭვებში ასევე შეიძლება იქონიოს დაუგეგმავი ზემოქმედება პროექტის განხორციელებაზე (მაგ. მუშაობა ძლიერ დაზარალებულ ღირებულებით ჯაჭვებზე, როგორიცაა ეკოტურიზმი).

შერბილების ღონისძიებები

COVID 19-ის გადადების თავიდან ასაცილებლად, სავარაუდოდ, საჭირო გახდება ზოგიერთ აქტივობაში ცვლილებების შეტანა, პროექტის პერსონალის, პარტნიორებისა და ბენეფიციარების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება მოიცავდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის ალტერნატიული ფორმატების მოძიებას, ან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესაბამისი პროტოკოლების არსებობის უზრუნველყოფას. პროექტი გაითვალისწინებს საქართველოს მთავრობის, GIZ-ის, SDC-ისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებსა და მითითებებს, COVID-19-ის ცვალებადი ვითარების შესაბამისად. პირისპირ შეხვედრის აუცილებლობის შემთხვევებში, მიღებული იქნება ზომები, როგორიცაა სათანადო ვენტილაციის მქონე, ან დიდი სივრცეების შერჩევა, სადაც შესაძლებელი იქნება დისტანციის დაცვა, საჭირო იქნება პირადი დამცავი აღჭურვილობის ტარება (და საჭიროების შემთხვევაში, მონაწილეებისთვის მიწოდება) და ჰიგიენური ნორმების დაცვა (მაგ. ხელების დაბანა, ზედაპირების დეზინფექცია და სხვა). ღონისძიებაზე დასწრების ოქმები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება მონაწილეთა ინფორმირებისთვის იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მონაწილეს COVID-19 დაუდასტურდება შეხვედრიდან 2 კვირის განმავლობაში. ამავდროულად, SDC-ის პროექტი კარგ პოზიციაშია, რომ საქართველოს მხარდაჭერა აღმოუჩინოს COVID-19-ისგან მწვანე აღდგენაში, მათ შორის ადგილობრივი ტყითმოსარგებლეებისა და სოფლის თემების მხარდაჭერის უნარების განვითარებაში, ღირებულებითი ჯაჭვების გასაძლიერებლად, რაც მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და გენდერულ სარგებელს შეიცავს. სადაც ეს შესაძლებელია, COVID-19

[11] მაგ. UNICEF 2020, KfW 2020, World Bank 2020, ADB 2020,

გათვალისწინებული იყო პროექტის ღონისძიებების შემუშავებისას. თუმცა, ვინაიდან მდგომარეობა ძალიან დინამიკურია, საჭიროა მჭიდრო მონიტორინგი და სიტუაციის შესახებ მოხსენება, ასევე მოქნილობის უზრუნველყოფა განვითარებულ მოვლენებზე საჭიროებისამებრ რეაგირებისთვის. საჭიროა გამჭვირვალე და ხშირი ანგარიშგება რისკების შერბილების ღონისძიებების განხორციელების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების გეგმების შემუშავება (მაგ. საგანგებო გეგმები პროექტის ფინანსური და ტექნიკური მართვისთვის, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისთვის, საველე სამუშაოებისთვის, მოგზაურობისთვის და ა.შ.).

8 გამოყენებული წყაროები

1. APA. 2014. Visitor Statistics by Year. Available online: https://apa.gov.ge/en/statistika/vizitorta-statistika/vizitorta-statistika-wlebis-mixedvit
2. Çlik HE 2008, "Forests and Natural Disasters". In: Coskun H.G., Cigizoglu H.K., Maktav M.D. (eds) Integration of Information for Environmental Security. *NATO Science for Peace and Security Series C: Environmental Security*. Springer, Dordrecht.
3. EUNIS 2017, "Updated EUNIS Habitats in Georgia". Ministry of Environmental Protection and Agriculture.
4. Fischer, E, Groger, A, & Lobin, W 2018, "Illustrated Field Guide to the Flora of Georgia (South Caucasus). 2018, Koblenz Geographical Colloquia, Series Biogeographical Monographs 3.
5. Garforth, M, Nilsson, S, Torchinava, P, 2016, "Integrated Biodiversity Management, South Caucasus - Wood market study. December 2016. GIZ.
6. Geostat. 2021. Employment and unemployment 2020. Available online: https://www.geostat.ge/en/modules/categories/683/Employment-Unemployment
7. GIZ 2013, "Kakheti Regional Development Strategy 2014-2021.
8. GNTA. 2021.. International Travel (Residence) 2021. Available online: https://gnta.ge/statistics/
9. Guria Regional Development Strategy 2014-2021.
10. MDF 2016, The Strategic Environmental, Social and Cultural Heritage Assessment of the Regional Development and Tourism Development Strategies of Samtskhe-Javakehti and Mtsketa-Მთიანეთი. May 2016. Municipal Development Fund of Georgia.
11. Millennium Ecosystem Assessment 2005. *Ecosystems and Human Well-being: Synthesis.* Island Press, Washington, DC.
12. MoRDI 2018. Regional Development Programme of Georgia 2018-2021. Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia.
13. Mtskheta-Mtianeti Regional Development Strategy 2014-2021.
14. Slootweg, R, Rajvanshi, A, Mathur, VB, & Kolhoff, A 2010, *Biodiversity in Environmental Assessment – enhancing ecosystem services for human well-being*. Cambridge University Press, Ecology, Biodiversity and Conservation series. ISBN: 978-0-521-71655-0.
15. UN REDD 2013, National Forest Monitoring Systems: Monitoring and Measurement, Reporting and Verification (M & RV) in the context of REDD+ Activities. UN-REDD Programme Secretariat, Geneva, Switzerland.
16. UNDP, Scaling-up Multi-Hazard Early Warning System and the Use of Climate Information in Georgia - Environmental and Social Assessment Report. FP-UNDP-5846- Annex -VIb-ENG.
17. World Bank 2015, Georgia Country Environmental Analysis: Institutional, Economic, and Poverty Aspects of Georgia's Road to Environmental Sustainability. June 2015. World Bank Group Report Number ACS13945.
18. World Bank. 2020. COVID-19 and Human Capital - Europe and Central Asia Economic update. Available online: https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/34518
19. Zeidler, U. & Schachtschabel, G.D. 2016, Strategic Environmental and social assessment of draft Forest Code of Georgia. PEM Consult and MOE Saecon. World Bank.